# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 6 ივნისი 2008 №12(64)

1516
2008



უილიამ ფოლკნერის დეტექტივი

საუბარი დათო ქართველიშვილთან

ირმა თავართქილაძის ნოველა

რილკეს უკანასკნელი წუთები

ხვალინდელი დღის ქალი

ქართული „პიგმალიონი“



16 ივნისი

ეკატერინე გაბაშვილის დღე

# ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი გთავაზობთ

















მისამართი: მერაბ კოსტავას 5 ტელეფონი: (+995 32) 99 53 00

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| **პრემიერა... პრემიერა...** | 2 | ნათელა არველაძე **გიჟმაჟი სიხალისე** |
| **ესეისტიკა** | 6 | ჟან კოკტო **ხვალინდელი დღის ქალი** |
| **პროზა** | 7 | სევარიონ ნადირაძე **ორი მინიატურა** |
| | 9 | ირმა თავართქილაძე **ახალგაზრდა კაცის აღსარება** |
| **პოეზია** | 13 | ჯანსულ ჩარკვიანი **მზის მოლოდინში** |
| | 17 | ია ჯინჭარაძე **ნაწყვეტი გავშვობიდან და სხვა ლექსები** |
| **პირველი შთაბეჭდილება** | 19 | მალხაზ ივანიძე **გრძნობითი ინტუიციის სივრცე** |
| **უცხოეთის ცხოვრებიდან** | 20 | **რილკეს უკანასკნელი წუთები** |
| | 22 | გრიგოლ სენეკური **დანაშაული და ბრალი ფრანც კაფკას რომანებში** (კაფკა – მარქსის თანამოაზრე?!.) |
| **ბედი კაცისა** | 24 | როსტომ ჩხეიძე **თვითმკვლელობა – გარდუვალი მოვალეობა** (კარლო ჩხეიძის ბედისწერა) |
| **რეპორტაჟი** | 34 | ეკა ბუჯიაშვილი **ეს ბროდსკი იყო** (გია ჯოხაძის საჯარო ლექცია) |
| | 38 | ივანე ამირხანაშვილი **ბარათაშვილის პოსტმოდერნი ენგურის ნაპირებთან** |
| **დიალოგი** | 40 | **მთელი ცხოვრების საქმე** (დათო ქართველიშვილთან შეხვედრა არტ-კაფე „ქარავანში") |
| **კრიტიკა** | 43 | ნონა კუპრეიშვილი **„ანგელოზისა" და „ნაგვის ყუთის" სიმღერა** |
| **ჩვენ და ბავშვები** | 45 | ნინო ჩხიკვიშვილი **როცა ყველა შინ არის** |
| **პოეტის ერთი ლექსი** | 49 | გიორგი ნიკლაური (ჭოლიკაური) **ხევსურეთისადმი** |
| **დეტექტივი** | 50 | უილიამ ფოლკნერი **კვამლი** |
| **ლიტერატურული ცხოვრება** | 62 | **პოეზიის ზეიმი ზემო აჭარაში** |
| **მოზაიკა** | 63 | **სამოთხე და მისი მკვიდრნი** |



დამფუძნებელი „ილიონი"
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 93) 65-93-68
გავრცელება – (995 99) 98-80-34
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური – გელა გარდაფხაძე

გარეკანზე: დუინოს ციხე-სიმაგრე, სადაც დაიწერა რილკეს ელეგიები
ია ჯინჭარაძე, ეკა ტუკვაძის ფოტოეტიუდი

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62

„ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერი გამოვა 20 ივნისს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

26020

ნათელა არველაძე

# გიჟმაჟი სიხალისე

ჩემო მკითხველო! რეცენზიას არ ვწერ. შთაბეჭდილება მინდა გამოვხატო და რამდენიმე მოსაზრება გაგიზიაროთ სპექტაკლზე, რომელიც მარჯანიშვილის თეატრმა წარმოადგინა.

ბერნარდ შოუს ცნობილი პიესის, „პიგმალიონის" ადაპტირებული ვარიანტი თეატრში იშვა. აკა მორჩილაძე და ლევან წულაძე, როგორც თავად სანახაობას ეტყობა, დიდის გატაცებითა და ცოდნით მუშაობდნენ ლიტერატურულ პირველწყაროზე. თეატრის ვარიანტს ეტყობა მწერლის ხელი, რეჟისორის ხედვის თავისებურებაც. ათასგვარი ბარბარიზმები, კილოკავი, დამახინჯებული ფორმები – მეტისმეტად ნაცნობი და დამკვიდრებული გახლდათ ძველთბილისურ ყოფაში. ეს მიგნებები, თითქოს თავნებობენ და მსუბუქად სხლტებიან ტექსტიდან, მყისიერად გადასკუპდებიან სცენაზე, მსახიობის ბაგეთაგან დაცდენილები კი ჩუქურთმასავით ეხვევიან და ამშვენიერებენ ისედაც ტევად და სხარტ დიალოგებს. მწერალიც და რეჟისორიც მეექვსე გრძნობის შემწეობით აგნებენ და ქმნიან იმ ქალაქის კოლორიტს, ტიფლისად რომ მონათლეს ჩვენმა ალმოსავლელმა, შემდეგ კი ჩრდილოელმა „მოყვარეებმა".

რაო? რაზეა შექმნილი ეს სპექტაკლიო? ნუ შეეცდები ამ კითხვით მომმართო, ჩემო მკითხველო! თავადაც მიჭირს მივუთითო სანახაობის დედააზრი. ამ სანახაობის მთავარი მოქმედი გმირი, მთავარი პერსონაჟი – თბილისია, ტიფლისად რომ მოინათლა შემდგომ; უფრო ზუსტად კი ძველი ქუჩაბანდებიანი, მოკირწყლული ქუჩებიანი, ბანიანი და რიკულებიანი აივნების ქალაქი კი არა, არამედ უკვე სოლოლაკისა თუ გოლოვინის პროსპექტისაკენ „დაძრული", ევროპა-აზიის გზაგასაყარის მშვენება – მარგალიტი, თუნდაც ფირუზი თუ ლალი... სანახაობის პროტაგონისტია ძველი – ახალი თბილისი, ცოტა რუხი ფერები რომ შეჰპარვია მხატვარ შმაგი სავანელის შემწეობით, ხოლო ჭრელა-ჭრულა მოხდენილი კაბებით დამშვენებულ ანა კალატოზიშვილის გადაწყვეტით (საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ქუდები, ირინა კუზმიჩოვას მიერ მეტად გემოვნებით მიგნებული და შეკერილი), ვახტანგ კახიძის ნაცნობი მელოდიითა და გია მარღანიას ქორეოგრაფიით.

მიუხედავად ყველაფრისა, დადგმა მაინც გიჟმაჟ სანახაობად აღიქმება და მეტი გასართობისა და მცირედი დამოძღვრის შემწეობით, კეთილად განგაწყობს წარმოდგენის მიმართ. ჩემო მკითხველო! ამ დაძაბული ჟამიანობის დროებაში ცოტა გულის გადაყოლებაც ხომ გვინდაო – არაერთგზის უთქვამთ ჩემთვის. წინათ ერთ ვაი-ვიშს ავტეხდი, ახლა კი მშვიდად მინდა გამოვხატო ჩემი პოზიცია. ეტყობა, „გამოვსწორდი!"

* * *

უწინარესად მთავარს გამოვყოფ, ცნობილი პიესის რისკიან ადაპტაციას ვგულისხმობ. ამგვარი პრაქტიკა კარგა ხანია დამკვიდრდა უცხოურსა თუ ჩვენს თეატრებში.

ერთი სახეობაა – მითის მოარული სიუჟეტის, ლეგენდის მიხედვით ახალი პიესის შექმნა (ამის კლასიკური მაგალითია ინტელექტუალური დრამა); ნაცნობი პერსონაჟების, მარგინალური დინების მიხედვით ახალი პიესის დაწერა; ან სულაც ლეგენდის, მითის, მოარული სიუჟეტის ინტერპრეტაციით მწერლის თანამედროვე ეპოქის სულისკვეთების, მსოფლმხედველობითი პრინციპების წარმოჩენა და პარაბოლური სისტემით ნაცნობი სიუჟეტისა თუ ამბისათვის ჰორიზონტის განვრცობა. არაერთგზის ამ სვლას თავისი გამართლებაცა და მეტად საგულისხმო შედეგიც მოჰყვა.

ამგვარი მიდგომის მეორე სახეობაა – არსებული მხატვრული ნაწარმოების, ამ შემთხვევაში პიესის, მაგისტრალური ხაზის შენარჩუნება, მაგრამ ამბის „გადანერგვა" ახალ ნიადაგზე, რომელსაც წინათ გადმოკეთებას ვუწოდებდით. ამ სვლამაც არაერთგზის გაამართლა, ამგვარი მაგალითების დასახელება ქართული სინამდვილიდანაც შესაძლებელია (მაგალითად, ვიქტორ როზოვის პიესები).

ორივე სვლას ჩინებული შედეგიც მოჰყვა და მარცხიც. ამის თაობაზე კარგახანია მიმდინარეობდა მწვავე დისკუსიაც, ისევე, როგორც კლასიკური ნაწარმოების თავისუფალი ინტერპრეტაციის პრობლემაზე.

ამ ბოლო ხანს დებატების სიცხოველე მინელდა, დადგა მშვიდი ანალიზის პერიოდი.

არაერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ არავინ უკრძალავს თანამედროვე მწერალს მითის, ლეგენდის, მოარული სიუჟეტის, იგავის გამოყენებით ახალი ნაწარმოების შექმნას. ისინი ამით აღიარებენ შემოქმედებითი მიდგომის პრიორიტეტს. მაგრამ უკვე არსებული მხატვრული ქმნილების „აჭრა" საკუთარ თარგზე, გადაკეთებ-გადმოკეთება, ეპიზოდებისა თუ ცალკეული პერსონაჟებისა და რეპლიკების ჩამატება, ან მოქმედების ადგილისა თუ კოლორიტის შეცვლა, ამ სვლის კულტივირება მათთვის ნაკლებად მისაღებია.

სამშაბათს, 10 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"
დარბაზში გაიმართება
შეხვედრა

**თემურ ჩხეიძესთან**

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

არიან უფრო რადიკალური ფრთის წარმომადგენლებიც, რომლებიც ავტორის ხელშეუხებლობის პრინციპს იმპერატივით იცავენ.

თითოეულს თავისი არგუმენტაცია აქვს და თავიანთი სიმართლეც. რა თქმა უნდა, ასეთი ადაპტაცია საუკეთესო გამოსავალი არ არის. რა თქმა უნდა, რა სჯობს, თუნდაც, ახალი „პიგმალიონის" შექმნას არა ბერნარდ შოუს მიხედვით, არამედ მითის შემწეობით იგივე რანგის ნაწარმოების დაბადებას. მაგრამ...

ამგვარი პრაქტიკა არსებობს, ეს რეალობაა, რომელიც შესწავლასა და შეფასებას ითხოვს: თითქმის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინიციატივა თეატრიდან იბადება. რეჟისორებს ამისი უფლება არავისთვის უთხოვიათ, საერთოდ რეჟისურამ თავად მოიპოვა უფლებები! ესეც რეალობაა. ბევრჯერ შედეგიც საგულისხმოა. ამდენად, პრაქტიკაც გამართლებულია. ყოველ შემთხვევაში, სპეციალისტებს გვმართებს არსებული სათეატრო ცხოვრების ამ ასპექტითაც შეფასება.


ნატო მურვანიძე (კატო)

ჩემდათავად შეუცდომელ არბიტრად ვერ გამოვდგები. ჩემთვის ყველა სვლა, ყოველი ხერხი, მიდგომა, სტილი საინტერესო და მისაღებია. უნიჭო და უსახური ნაწარმოების, უმისამართო სანახაობის გარდა. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე „ამეტყველებული" აკა მორჩილაძის მიერ შოუს „პიგმალიონის" ადაპტაცია, ლევან წულაძის მიერ, თითქმის, საუკუნის წინანდელი თბილისის „ამეტყველება" საინტერესო სანახაობაა და, ამდენად, ალბათ, გამართლებულია თეატრის ექსპერიმენტი.

ჩემთვის უფრო საგულისხმო იქნებოდა სიჭრელეში ჩაკარგული რამდენიმე სატკივარის (რომ არა ვთქვა, სულის შემხუთველი ჭრილობის!) გამოკვეთილად წარმოდგენა: მაგალითად, გულსაკლავია ბაგრატიონების ოჯახის შთამომავალთა „სტუმრობა" მეჯლისზე. უპირველესი მასპინძელი სტუმრის სტატუსს სჯერდება! ვაჰ, დრონი, დრონი... იტყოდა იმედგაცრუებული პოეტი; ან გაქნილი და მედროვე ქაქანოვის გაშინაურება, თბილისელობისა და მეტრის სტატუსის მამლაყინწური დაჩემება! ვაჰ, დრონი, დრონი... ისევ აღმოხდებოდა სვეგამწარებულ პოეტს! სანახაობის ეს მარგინალური დინება, ჩემი ფიქრით, ითხოვს იმ სერიოზული მუხტის გამძაფრებას, რომელსაც შეუძლია ეს ხალისიანი სანახაობა გართობასთან ერთად, მეტად აქტუალური შეგონების წყაროდაც აქციოს. აქცენტების შეცვლა, ღიმილთან ერთად, ფიქრიან ცრემლსაც თუ მოჰგვრის მაყურებელს და გამოჰკვეთს ასოციაციურ ნაკადს, უთუოდ მეტ სიღრმესა და მასშტაბს შეიძენს დადგმა. ამით სანახაობის სიმსუბუქეს არაფერი დააკლდება, სათქმელის მნიშვნელობაზე კი დააფიქრებს მაყურებელს, ვინძლო რაიმე ეშველოს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, გახუნებულ ეროვნულ ღირსებას! ირონია ძლიერი ზემოქმედების საშუალებაა, მოქნეულ მათრახს შეეტოლება! ცრემლიანი ირონია, სიყვარულის ტკივილით აღმოცენებული ირონია უძლიერესი საშუალებაა, მოქნეულ მახვილს შეეტოლება!

პრემიერაზე მაყურებელმა გულმხურვალედ მიიღო წარმოდგენა. გალაღებულმა დარბაზმა თეატრი „მსჯავრდებულის" ბორკილებიდან დაბეჯითებით „გამოიხსნა" და ამით ვერდიქტიც გამოიტანა: ცნობილი პიესის ახალ ნიადაგზე „გადმონერგვა", დროისა და სამოქმედო სივრცის შეცვლა, პერსონაჟებისა თუ რეპლიკების სახეცვლილება და ჩამატება, ამ შემთხვევაში, ორგანულად განხორციელდა მწერლის ცოდნისა და ნიჭიერების, იმავდროულად, რეჟისორული გულმხურვალების შედეგად.

ეს ახალი ნიადაგი მეტად გაპოხიერებული აღმოჩნდა. XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან მოყოლებული თბილისი, ანუ ტფილისი, ან ტიფლისი, როგორც მას უცხო ტომთა ხელოსნები მოიხსენიებდნენ, ჭრელი ქალაქი გახლდათ, არა მარტო მრავალეროვნულობის მიზეზით, არამედ ამ ათასგვარ ტომთა, ხალხთა, ცალკეულ წარმომადგენელთა ენობრივი სტრუქტურის, კილოს, ზნე-ჩვეულებათა, ტრადიციათა შერევით, დიფუზიით, ზემოქმედებით.

ამ დროისათვის თბილისი კარგახანია მონოეროვნული ქალაქი აღარ იყო. ჩვენი ბედოვლათობით, თავქარიანობით, უკიდეგანო დემოკრატიულობით, შემგუებლობით, მოთმინებით (ტოლერანტობის სემანტიკა ეს გახლავთ!) მთელი ეზოები, ქუჩები, უბნები ღია აღმოჩნდა ამ ტრადიციათა თანაარსებობისათვის, შემდეგ კი შერევისათვის, გადახლართული და ერთიანი ყოფისათვის.

ასე წარმოიქმნა ენობრივი სიჭრელეც. თბილისი ბაბილონს დაემსგავსა. ბარბარიზმებმა, ჩვენი ენობრივი სტრუქტურისათვის მიუღებელმა ფორმებმა, სხვადასხვა სახის საქმიანი წრეების ტერმინებმა ლამისაა უცხო ენად გვიქციონ ქართული. ახლა არა მარტო სხვადასხვა ჯურის, თვით მდარე ხარისხის პროდუქციის იმპორტისათვის არის ღია კარი, არამედ მოდერნული ლექსიკისათვის, ჩვენი ეროვნული ფიზიონომიის დამანგრეველი ჩვევები-

სათვისაც, წარმოუდგენელი ბილწსიტყვაობისათვისაც, სლენგისათვისაც.

ეს არის უმძიმესი რეალობა, სატკივარი და ღია ჭრილობა მათთვის, ვისთვისაც ჯერ კიდევ რაიმეს ნიშნავს პოეტის ცხარე შეგონება – რა ენა ნახდეს, ერიც დაეცესო! ამაზე დამაფიქრა სანახაობამ, თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ დამდგმელმა გუნდმა განგაშის ზარს ჩამოჰკრა. ეს უფრო ახალი-ძველი თბილისის გახსენება, ერთგვარ რომანტიკასთან გამოთხოვების სურვილია, ნოსტალგიის სიმძიმილია, გულთბილი გაკენწვლაა და... მაინც სიყვარულის გამხელაა. ამ გრძნობის წარმოჩენისათვის მადლიერია მაყურებელიც, რომელიც გულმხურვალედ ილებს სპექტაკლს.

ასე მგონია, ლევან წულაძე შეპყრობილია ძველი თბილისის ნოსტალგიით, მხოლოდ რომანტიკული საბურველით არ იხსენებს მას, არამედ რეალისტის სიფხიზლით აფასებს, კიდეც ელოლიავება და კიდეც ირონიით შეჰყურებს, უყვარს და ეკამათება, მოსწონს და ვერც ეგუება, ერთგულობს და ნაკლსაც მიუთითებს.

რეჟისორი ვერ ელევა ამ გრძნობას და, როგორც ჩანს, ვერც „ხანუმათი“ და ვერც „პიგმალიონით“ ბოლომდე ვერ ალმოსთქვა სათქმელი. არ არის გამორიცხული კიდევ ერთი-ორი მოარული სიუჟეტით, პოპულარული პიესის ადაპტაციით დაუბრუნდეს ამ თემას. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ყოფა, დეტალები, ცეკვა-სიმღერა, ენის სიჭრელე, ჟარგონი ასრულებს სანახაობის დომინანტის ფუნქციას. ამ მიმზიდველ, ჭრელა-ჭრულა მიგნებებში, მახვილგონივრულ დიალოგებსა თუ რეპლიკებში იკარგება ძარღვიანი და მშფოთვარე სათქმელი... მაგრამ ამ დადგმებს თავიანთი ხიბლიც აქვთ, რომელიც გიზიდავს, გათბობს, გახალისებს.

* * *

სანახაობა სალამო ხანს, ოპერის თეატრის შენობასთან გათამაშებული ეპიზოდით იწყება და მოედანზე გამართული სახალხო დღესასწაულით მთავრდება. წვიმს. სპექტაკლის შემდეგ გამოეფინება მაყურებელი და... ევროპული ტანსაცმელი, ნაცნობი მელოდია, სხვადასხვა კილოკავი, ავლაბრული ჟარგონი ერთმანეთში ირევა. თვალშისაცემია ქალაქური ყოფის სიჭრელე, რომელიც არა მარტო ბარბარიზმებით გაძეძგილი ლექსიკით ვლინდება, არამედ ილანდება კოსტიუმის ტარების მანერაშიც, წოდებრივი ცენზის მრავალსახეობაშიც, თვით „არისტოკრატულ“ გაპრანჭულობასა თუ პროვინციულ ალტკინებაშიც. ევფუისტური სტილი და ქუჩის დემოკრატიულობა ერთად თავსდება ამ პატარა მონაკვეთზე, რომელიც ქალაქური ყოფის მოდელად აღიქმება. აქ ერთდროულად ევროპულ ოპერასაც ისმენენ და ბაიათებსაც, კლავესინზეც უკრავენ და თარზეც. დაირა, ზურნა, თარი, ჩონგური, ფორტეპიანო, გიტარა – ყოველდღიურად ჭყვიტინებდა, ჟღერდა, იფრქვეოდა... მართლმადიდებელი ეკლესიის ზარების რეკვა, მოლას გაბმული ყივილი, სინაგოგას რეჩიტატივი, კათოლიკე მისიონერთა ლოცვა – შეხმატკბილებულად გაისმოდა. ჩემი ფიქრით, რეჟისორი სურნელების, ცხოვრების ნირის, ურთიერთობათა დემონსტრაციაზე დაიხარჯა. აქ მთავარი გახდა განწყობა, არომატი, ჩუქურთმა, ნიუანსი, შტრიხი.

თვით განგების აუცილებლობამ „მოავლინა“ ამ სიჭრელეში ენათმეცნიერი მიხეილ ახმეტელი (ანუ ბერნარდ შოუს ჰენრი ჰიგინსი). სწორედაც რომ ეს ქალაქი მეტისმეტად ნოყიერია მისი ექსპერიმენტისათვის, მისი მოწოდებისათვის: შეისწავლოს ენის ფორმები, დაადგინოს კილოკავის წარმომავლობა, შეუცვალოს ადამიანს დამახინჯებული ლექსიკა, ფონეტიკის კულტივირებით მოხსნას წოდებრივი „უთანასწორობა“. პროფესორის ფიგურა ერთგვარ ლაკმუსადაც არის ჩაფიქრებული, რომ კიდევ უფრო გამოიკვეთოს კილოკავთა ნაირსახეობა, თვით იმერეთის ერთი მივარდნილი სოფლის წყალგალმა თუ გამოლმა დამახასიათებელი კილო. აქ იუმორი და ირონია გადაჯაჭვული აღმოჩნდა თავად პროფესორის „მამლაყინწური“ თავდაჯერებლობისა და ხაზგასმული სიბეჯითის მიზეზით, თბილ ღიმილს ბადებს მისი „გამოცნობის“ მეცნიერული სიზუსტეც და მიხვედრილობის იდუმალებაც, შინაგანი სიამაყეც და ღირსებაც, რადგანაც ამ „წვრილმანით“ უნდა მივხვდეთ, როგორ ელოლიავება პროფესორი ქართულ ენას, სალიტერატურო ენის ფორმებს. ხმელ-ხმელი, თავის თავში ჩაკეტილი, ამ პროვინციული სიჭრელის მატარებელი საზოგადოებისაგან განდგომილი პროფესორი, სულაც არ არის ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ ამბოხებული პიროვნება. ის მხოლოდ თავისი პროფესიით არის შეპყრობილი, მხოლოდ პროფესიული ჟინი და საკუთარი მისია ამოძრავებს. ქალიშვილის სიყვარულიც რაღაც „სიუჟეტის“ მიმართ ხარკის გაღებითა და „აუცილებლობით“ არის ნაკარნახევი. აკაკი ხიდაშელის პერსონაჟი ინარჩუნებს დამოუკიდებლობას ლიტერატურული და ეკრანული („ჩემი მშვენიერი ქალბატონი“) გმირისაგან. ის ახირებული, თავდაჯერებული ბერბიჭაა, მაგრამ ხასიათის უმთავრესი ფერი და ბგერა მაინც მოწოდების ერთგულებაა.

ნატო მურვანიძის კატო თავდაპირველად, სცენაზე გამოჩენისთანავე, კინოფილმიდან მიღებული შთაბეჭდილების ასოციაციას იწვევს; განსაკუთრებით ვიზუალურად, ფიზიკური პარტიტურით. თანდათან მსახიობი იცილებს ამ „ზემოქმედების არეალს“ და სცენაზე მართლა გითრევს თბილისის ქუჩებში ანაზდეულად ამოზრდილი, პროვინციელი გულუბრყვილო კატოს ქალბატონად გადაქცევის ამბავი. ნატო მურვანიძეს განსაკუთრებული სცენური მიმზიდველობა, ხიბლი, კულტურა ახასიათებს. ამ სპექტაკლშიც გაიბრწყინა მისმა ნიჭიერებამ და ოსტატობამ. რად ღირს გაკვეთილის ეპიზოდი, ოპერის ლოჟაში გათამაშებული სცენა, პოლკოვნიკთან გულითადი ურთიერთობის წარმოჩენა!

გივი ჩუგუაშვილის ელიზბარ რატიშვილი (შოუს მიხედვით პოლკოვნიკი პიკერინკი) პირველივე გამოჩენიდან რაღაც გამოუთქმელ სითბოსა და სიკეთეს ასხივებს, შემთხვევითი არც არის, მისი და კატოს ურთიერთობა ასეთი სათუთი ნიუანსებით რომ წარმოჩნდა.

სანახაობის ერთ-ერთი სახიერი მიგნება და ოსტატურად შესრულებული ეპიზოდია ცეკვის, ეტიკეტის შესწავლის სცენა, სადაც ყოველი მონაწილე პლასტიკურ სიმსუბუქესა და არტისტულ სილაღესთან ერთად, ხასიათის ნამსხვრევთა მოჭიატე სხივსაც წარმოსახავს, იუმორი და

სილაზათე კი ჩუქურთმასავით ამშვენიერებს რეჟისორულ მიგნებას (საერთოდ კი დასახვენი მგონია არაერთი ეპიზოდის პლასტიკური მონახაზი, განსაკუთრებით კი მოედანზე გათამაშებული მასობრივი სცენები).

ქალაქური ყოფის ნიუანსებით აღსავსეა ონისე ონიანის, ბესო ბარათაშვილის, თენგიზ პაპიძის შესრულება. სასცენო კულტურამ გამოანათა, როცა სცენაზე თამარ სხირტლაძისა და კოტე თოლორაიას პერსონაჟები შემოვიდნენ, ეპიზოდური როლის შესრულების სასცენო ტრადიციაც წარმოისახა.

ქალაქური ყოფის სიჭრელის მიმანიშნებელია კნეინა ქეთევანის დუმბაძისეული შესრულება, მსახიობი თამაშობს ულრუბლო წარსულისა და მკაცრი რეალობის მიჯნაზე მყოფ ბანოვანს, რომელსაც ისლა დარჩენია, არ შეიმჩნიოს ეს გაუგონარი ცვლილება ყოფისა, ეკონომიკისა, საკუთარი ასაკისა. ეს კონტრასტი ბადებს ირონიასა და იუმორს მსახიობის მიერ ტაქტითა და თბილი ფერებით შექმნილი პერსონაჟის მიმართ. მისი „ლირიკული" პერსონაჟი და მანანა კოზაკოვას სალდაფონი ფრაუ ბუხი ერთმანეთს ავსებენ, მათი თანაარსებობით ვლინდება ძველთბილისური ცხოვრების კონტრასტული ნიუანსებით აღსავსე ყოფა.

მანანა კოზაკოვას გამოკვეთილ, რისკიანი პლასტიკური მონახაზის, თავდაჯერებულ სახასიათო პერსონაჟებს შეემატა გერმანელი ეკონომკას ნიღაბიც. კონტრასტული ფერები, მკვეთრი მოძრაობები წესრიგისადმი მიდრეკილი, იმპერატივით მოსაუბრე და პედანტი ფრაუ ბუხის წარმოსაჩენად აგრერიგად ორგანული აღმოჩნდა. მსახიობის ქცევისა და ლაპარაკის მანერით მთელი მოდგმის სახიერი სურათი შეიქმნა.

მსახიობთა ანსამბლის პროტაგონისტია გივი ბერიკაშვილის გრიგოლი, მსახიობი თითქოს არც თამაშობს, თითქოს არც ძერწავს სახეს, არც წარმოაჩენს ხასიათის სხვადასხვა ასპექტს. მსახიობი სცენაზე დგას და... უკვე იქმნება ხასიათი, გამოკრთის კოლორიტი, ერთგვარი დამლა ძველქალაქური ყოფისა. გივი ბერიკაშვილს სცენაზე გამოაქვს პიროვნული ხიბლი, ხასხასა ფერები, სულის ჟღურტული, გულის სითბო, არტისტული გაქანება და... კიდევ ის მეტად მნიშვნელოვანი და აგრერიგად ფასეული, რასაც პროფესიის სიყვარული და პროფესიული ღირსება ჰქვია. მისი პერსონაჟი ძველი მაიდანის, კონკის, დუქნების წიაღიდან იშვა, მისი ფესვები მუხრანთუბანშია ჩაკირული, რიყეზე ხელოსანთა გარჯისა და ავლაბრელ ყარაჩოხელთა მოლხენის შემსწრეც ყოფილა, ახლა კი სოლოლაკის მკვიდრია, მოქალაქეა, მრავლისმნახველი, მრავლის მომსწრე, მრავლის გადამტანიცაა, მაგრამ მაინც ალალმართლად განვლილ, დარდიმანდულ ცხოვრებაზე მიუთითებს მისი იუმორი, განაბული გამოხედვა, კოპების ყასიდად შეყრა, გულთბილი ღიმილი.

და მაინც, იმ საღამოს, პრემიერაზე, მსახიობის თამაშში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სიამაყე და სიხარული ამ სცენისა, ამ დარბაზისა, ამ ფარდის შერხევისა, თავისი საკაზმულოსი. ამ გიჟმაჟი გრძნობისათვისაც შეიყვარა გივი ბერიკაშვილი ხალხმა, მას ხომ არ უხმარია სხვა ჯადოთილისმა. გივი ბერიკაშვილი ამ თეატრის ყარაჩოხელია, ამ სცენის ჯადო-თილისმაა და კიდევ... ვასო აბაშიძის, ნიკო გოცირიძის, ვასო გოძიაშვილის ტრადიციის ყისმათიანი გამგრძელებელია.

* * *

ჩემო მკითხველო! აი, გავასრულე ამბავი მარჯანიშვილელთა „პიგმალიონისა", ამბავი ძველთბილისური ყოფის ნოსტალგიისა, ამბავი კოპწია და ჭრელა-ჭრულა ხალხისა. უმთავრესი სათქმელი კი გაუმხელელი დამრჩა: თეატრს შვენის სიძველე, წლებშია მისი სიდიადე. თეატრს შვენის დღესასწაული, ზეიმია მისი უბერებლობის სახსარი. თეატრს განახლებაც შვენის, ახალგაზრდობაა მისი მარადიული სიხალისის წყარო.

თეატრს ტრადიციის ერთგულებაც შვენის, მეხსიერებაა მისი სიძლიერის ნიშანი. თეატრის ისტორიის შემქმნელთა დაფასების უნარიცაა ხელმძღვანელობის სიბრძნე. ამის დასტურია, სოფიკო ჭიაურელის ხსოვნას რომ მიეძღვნა სპექტაკლი. სოფიკოს სახელს, მის სულს ამქვეყნიური აღარაფერი ესაჭიროება. ცოცხლებს კი აგრერიგად გვჭირდება მეხსიერებითაც მადლმოსილი ადამიანების სიმრავლე. ლევან წულაძე მადლიერების გრძნობითაც არის დაჯილდოებული. ის მადლიერი შვილია, მადლიერი შეგირდია, მადლიერი მეგობარია... თუნდაც ამისთვის პატივისცემით ვარ განმსჭვალული მის მიმართ.

### ჩვენი ფოსტა

გამარჯობა, ძვირფასო რედაქციავ!

ერთი შეკითხვა მაქვს: მაინტერესებს, თუ დაბეჭდავთ დოკუმენტური სახის სტატიებს. კონკრეტულად კი ვგულისხმობ შემდეგს: ამ ბოლო ხანებში გერმანიაში ძალიან მომრავლდა მეორე მსოფლიო ომის თემაზე გადაღებული რეპორტაჟები და სტატიები, რომლებსაც ყოველთვის დიდი ინტერესით ვუყურებ და ვკითხულობ.

ჩემთვის საინტერესოა, რა განიცადა უბრალო გერმანელმა ხალხმა ომის პერიოდში. საბჭოთა კავშირში სულ სხვანაირ პროპაგანდას უწევდნენ ომს და მთელი გერმანელი ხალხი ფაშისტებად იყო მონათლული. ბევრმა არც იცის, თუ რამდენი ადამიანი ცდილობდა, ჰიტლერის ნაცისტურ რეჟიმს შეწინააღმდეგებოდა, რაც, რა თქმა უნდა, სიცოცხლის ფასად გაუჯდა. ან კიდევ, რა გამოსცადეს გერმანელმა ჯარისკაცებმა სტალინგრადის ალყის დროს; ან თუნდაც, უდიდესი გემის კატასტროფა მსოფლიო ისტორიაში (1945 წელს აღმოსავლეთში წითელი არმიის შემოჭრისას მოსახლეობა ეცადა გემით გადასულიყო დასავლეთში, მაგრამ გემს მოხვდა საბჭოთა წყალქვეშა ნავსატყორცნი და ჩაიძირა. ამან შეიწირა 9000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე); ან კიდევ ბერლინის ან დრეზდენის დაბომბვა...

ვფიქრობ, რომ ქართველი მკითხველისთვის არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული, გერმანელების თვალით დანახული მეორე მსოფლიო ომი. უბრალოდ, საკითხავია, თქვენთვის რამდენად საინტერესოა ამის დაბეჭდვა ან კიდევ, ჯდება თუ არა ეს თქვენი ჟურნალის ფარგლებში.

გთხოვთ, მომწეროთ, დაინტერესებული ხართ თუ არა ამ მასალით.

პატივისცემით,

**ირმა ქიმერიძე**

„ხვალინდელი დღის ქალი“ გახლავთ დასკვნითი თავი ჟან კოკტოს „საფრანგეთის დედოფლებისა“, რომელიც დაიწერა და 1952 წელს გამოიცა არა როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, არამედ, როგორც თანმხლები ტექსტი კრისტიან ბერნარის გრავიურების ალბომისა, რომელშიც თავმოყრილი იყო საფრანგეთის ოცამდე გვირგვინოსანი და უგვირგვინო დედოფლის პორტრეტი. კოკტოს ლაკონურად და ვირტუოზულად მოხაზული სახეები ჟანა დ'არკისა, მარია მედიჩისა, მარი-ანტუანეტასი, სარა ბერნარისა... ქალებისა, რომლებიც ატარებდნენ ან იმსახურებდნენ, რომ ეტარებინათ დედოფლის გვირგვინი, ქალებისა, ურომლისოდაც ძნელია საფრანგეთის ისტორიის, სულიერებისა და ხელოვნების წარმოდგენა, სურათების გარეშეც წარმტაცი საკითხავია და ასეც გამოიცემა.

ჟან კოკტო

# ხვალინდელი დღის ქალი

რა შეგვიძლია ვიცოდეთ მომავლის ქალების შესახებ, ქალებისა, რომლებიც იგივენი არიან მარად და მარადვე იცვლებიან? მოდების აჩქარებულ კადრებად ჩვენება მათ დაგვანახებდა იმ ციკლონის შუაგულში, რომელსაც ქმნის დაგრძელებული და დამოკლებული ქვედაკაბები, აფრიალებული ბუმბული, დაშვებული და მართკუთხად აწეული მხრები. ოღონდ ეს ფილმი ვერ გვიჩვენებდა იმ ხვეულებსა და კლაკნილებს, იმ ლაბირინთს, რაც დაბუდებულია ამ გარეგან სახეში და რისი სირთულეც, რისი იდუმალი კულუარების თამაშიც აგრერიგად არ სდევს ჟამთასვლას.



მხატვარი ანრი ტულუზ-ლოტრეკი
მისია ნატანსონის პორტრეტი

ძალზე მყარი მიზეზ-საფუძველი უბიძგებს ქალებს, პასიური ჯარისკაცური მორჩილებით მისდიონ მოდას. მთავარია, მოეწონო, სხვამ არ დაგასწროს, შეინარჩუნო, თუნდაც აბსურდის ძალით, ბუნების საწინააღმდეგო სტილი, მე ვგულისხმობ სტილს, რომელიც ბუნებას ვერ ეწყობა, სტილს, რომელიც მამრს ზიზილ-პიპილოთი მორთავს, მდედრს კი მოკრძალებულ უნიფორმას ჩამოაცმევს.

სულ მცირე შეცდომაც უკანდახევას გამოიწვევდა, გამოიწვევდა პრეროგატივებზე უარის თქმას. ამიტომაა, რომ თუ ქალი მამაკაცს უახლოვდება მისი მოდის აყოლით – რაც სპორტის მეშვეობითაც ხდება – იგი არ ახანებს, მისი ადგილიც დაიკავოს, ადგილი კერპისა, რომელზეც მამაკაცი საკუთარ მონაგარს გამოჰფენს და რომელსაც ამ სამყაროში აგზავნის, როგორც თავის ელჩს.

საყურადღებოა, რომ ძალზე გამოკვეთილი მოდა ძალზე გამოკვეთილი პოლიტიკის თანამდევია. მიმართულება მკაფიოვდება და ყველგან საჩინო ხდება. როგორც კი პოლიტიკა ჭოჭმანს იწყებს და სიზუსტე აკლდება, შესამჩნევი ხდება ისიც, თუ რაოდენ ნაკლებად ძალუძს მოდას თავის დამკვიდრება და რაოდენ უნდილად მიჰყვება ამ უფორმობასა და კონტურების მოშლას. 1949 წელს, მაგალითად, ძალზე გაჭირდებოდა ქალთა მოდის დახასიათება. ერთგვარი პირქუში ანარქია უბიძგებს ქალებს, ჩაიცვან, რაც მოეგუნებებათ, ხოლო მათ მკერავებში ბადებს წინააღმდეგობას და ისინიც ველარ ახერხებენ, ერთობლივად შექმნან რაიმე მნიშვნელოვანი ფუფუნების სფეროში.

რას წარმოადგენს მოდა? მოდა ისაა, დროშასავით ერთბაშად რომ წამომართავს ყველა ქალი, რომელი წრიდანაც უნდა იყოს, რომელი სოფლის სიღრმიდანაც უნდა მოდიოდეს, წამომართავს უმალ, როგორც კი იდუმალი ბრძანება გახმიანდება. ხანდახან მოდა რომელიმე ცნობილი ქალის ნაკლისა ან დისკომფორტის შენიღბვის საჭიროებიდან იბადება, ხან – რაიმე შემთხვევითობიდან, როგორც ეს კაცების მოდაში მოხდა, უელსის პრინცმა რომ რბოლისას შარვლის კალთები აიკაპინა. იმპერატრიცა ევგენია, რომელიც ორსულობას კრინოლინქვეშ მალავდა, ვერსალელი ქალბატონები, რომლებიც ნასიცხარ გამონაყარს ხალებით იფარავდნენ – და ასეთი მაგალითი უხვზე უხვია – სათავეში უდგანან ამა თუ იმ მოდას, რომლებიც დაუფიქრებლად გაუთავისებიათ ყველა ფენის ქალებს.

ხშირად უკვირთ, რომ მოდა ქალებს სხეულს უმახინჯებს და ნაირნაირ მსხვერპლს იწირავს: ხან დაიქანებენ მხრებს, ხან მთლად კვადრატულს გაიხდიან, ხან იპატარავებენ ფეხებს, ხან მოუხეშავს აჩენენ. საქმე სხვა რამ გახლავთ. საქმე ისაა, რომ რომელიმე მხრებდაწურული ან ტლანქფეხება ქალი თავისი რანგით ანდა ქონებით აოცებს ქალაქს. ბრბოც მაშინვე მხოლოდ მის მსგავსთ ცნობს. ასე მოინაცვლებს ადგილს იღბალი და შესაძლოა მადმუაზელ გრანლიე, რომელსაც ბალზაკი შეუხედავად და შინაბერობისათვის განწირულად წარმოგვიდგენს, დღეს მოდური სილამაზის ნიმუში გახდეს; მაშინ, როცა ესთერი, იმდროინდელი ტიპური ლამაზმანი, დუნედ და ჩასუქებულად მივიჩნიოთ.

ამიტომაც შეუძლებლად მეჩვენება, გამოვითვალოთ, როგორი იქნება ხვალინდელი დღის სილამაზის ტიპი. ელეგანტურობის დედოფლობა ფრიად ძნელი შესანარჩუნებელია. ისე მალევე ჩამოგვაგდებენ ტახტიდან, როგორც აგვიყვანეს.

პარიზი მოდების ქალაქია. აქ დედოფლობას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

და არანაკლებ დიდძალი საფასური.

ფრანგულიდან თარგმნა
ნინო ციმაკურიძემ

სევარიონ ნადირაძე

# ორი მინიატურა

## მათხოვარი და ზეთისხილის რტო

ჩემს ქალაქს უამრავი დასამახსოვრებელი პიროვნება ჰყავდა. თუმცა, ის მაინც სულ სხვა იყო... მოხუცი მათხოვარი, ყოველ დღე რომ გეჩხირებოდა თვალში და მაინც გაკლდა... ვიდრე ჯანი ერჩოდა, ჯამბაზივით ფრთხილად გადი-გამოდიოდა ცხოვრების იმ საბედისწერო ბაგირზე, რომელიც უდაბნოსფერი საათის ქანქარასავით გამუდმებით ქანაობდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე... მოხუცს ყოველ კუთხე-კუნჭულში მოჰკრავდით თვალს, თითქოს მთელი ეს ვეებერთელა ქალაქი იმ თავის ძირგამომპალ ხელანში ჰქონდა დატეული, რომელსაც აკანკალებული მიუშვერდა გამვლელ-გამომვლელს.

მათხოვრის დამღიერებულ სახეს გამომწვარი აგურისფერი გადაჰკრავდა. გათოშილი ბაგეები გალურჯებოდა და ისე დახეთქოდა, გეგონებოდათ, ტუჩზე უამრავი ტუჩი გამოზრდიაო და ასე ერთიანი ძალისხმევით უფრო ადვილად უმკლავდებიანო შიმშილს. მათი საცოდაობის შემყურე მათხოვარს ხშირად აუწყლიანდებოდა ჩასისხლიანებული თვალები... მაგრამ, ბედნიერი დღე თუ გაუთენდებოდა, რაც მცირეოდენი ულუფის ხელში მოგდებას ნიშნავდა, პირველ რიგში, უამრავი ტუჩი ახსენდებოდა, რომელიც სიცივეს გამოერეკა მტაცებელი ფრინველებივით მოხუცის სიბინძურისგან გაუხეშებულ, ნაცრისფერ წვერში. მოხუცი, რა თქმა უნდა, თავაზიანად გაუწვდიდა აცქმუტებულ ტუჩებს მოხარშული თევზის ყუათიან კუდს, მაგრამ... აქ ტუჩებს ავიწყდებოდათ თავაზიანობა, ჯერ მოხუცის ჟანგისფერ თითებს დაეძგერებოდნენ, რომლებიც დროზე რომ არ გამოერიდებინა, შეიძლება, თევზის კუდთან ერთად აღმოჩენილიყო სტომაქში. შემდეგ ტუჩები ერთმანეთს დაუნდობლად გლეჯდნენ და წიწკნიდნენ, კბენდნენ და ღეჭავდნენ, ვიდრე სისხლისფრად არ შეიღებებოდნენ... ამ დროს კუჭიც ბევრი მაქვსო, ასე ეგონა მოხუცს. ეს უკანასკნელიც ისე ჩაერთვებოდა სიცოცხლისათვის გაჩაღებულ ორომტრიალში და ისე სწრაფად სტაცებდა გაცოფებულ ტუჩებს ჯერ კიდევ დაუღეჭავ, სისხლის გემოშერეულ ლუკმას, რომ მოხუცის ჩაშავებული ორიოდე კბილი თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა. მოგვიანებით, როცა ულუფა მთავრდებოდა, მათხოვარი დამწუხრებით აღმოაჩენდა, მაინც მშიერი რომ დარჩენილიყო თავისი უმადური მეგობრების წყალობით. თუმცა, ბოლოს მაინც საკუთარ თავს დატუქსავდა, როგორც შვილების ცუდად აღმზრდელი მამა და ყოველი ტუჩის ნაპრალიდან თანაგრძნობით მოიწმენდდა სისხლს...

მათხოვარს განსაკუთრებით ცირკის კიბის ერთი პატარა და ბოლო საფეხური უყვარდა. ეს ის ადგილი იყო,



სადაც სადღესასწაულო ტანსაცმელში, ბრჭყვიალა ნილბებსა და ფერად ბუშტებში გაპრანჭული ბავშვების ჟივილ-ხივილით ივსებოდა სივრცე. დადგებოდა საცოდავად, უფრო დაბლა დახრიდა თავს, უფრო მოიკუნტებოდა და იდგა ასე გარინდული მოწყალების მოლოდინში, როგორც მადლობის სათქმელად გამზადებული ბალაგანის უხუცესი მონაწილე. შემდეგ კი, როცა ცხოვრების სიმძიმემ კიდევ უფრო მოხარა და სახიდან ჩამოურეცხა ღიმილისა და იმედის პატარა სხივიც, ნიჟარიდან გამობობღებული ლოკოკინასავით მიეტმასნა ყველაფერს, რასაც ხედავდა და ეხებოდა... ახლა წონასწორობას მხოლოდ იმ უჩვეულო ალკაზმულობით ინარჩუნებდა, რომელიც ყოველდღე კალენდრის ფურცელივით ეკვროდა მის დასვრილ და აშმორებულ სხეულს; ნაგვის ბუნკერში ნაპოვნი სარკის ნამსხვრევები, ნეფე-დედოფლის ფეხთით დამტვრეული თეფშის ნატეხები, გაფუჭებული კომპასი, უდაბნოსფერი საათის ისრები, წეროს უზარმაზარი ფრთები და მათხოვრის ყველაზე ძვირფასი ატრიბუტი – ზეთისხილის რტო, უტყუარი საბუთი ბიბლიური ნოეს შთამომავლობისა...

ინვა სიმყრალით გაჟღენთილ კიდობანში, ხშირ, ჭუჭყიან წვერში გაბლანდული, აშმორებულ სამოსელში გახვეული, რომელიც დიდი ხანია ველარ უფარავდა სხეულის შიშველ ადგილებს და გრძნობდა, როგორ მოჟონავდა თავისივე სხეულიდან სისხლისა და ჩირქის ნაზავი... ყურთასმენა ერთმეოდა, ველარც შენობების მსუყე ქადის მსგავს ქონგურებს ხედავდა მკაფიოდ, თუმცა უფრო მძაფრად შეიგრძნობდა მაღალი კედლების საბედისწერო ნაპრალებსა თუ ბზარებს... ხვედრებაც უფრო უხშირდებოდა და ნახველიც უფრო სისხლისფერი და ბლანტი უხდებოდა. სწორედ ამიტომ, სიცარიელემ ამოავსო მოხუცი მათხოვრის მიერ მიტოვებული ცირკის კიბის პატარა საფეხური – საკუთარი ნახველით შეშინებული ბავშვებს გაწერიდა და მდინარეზე გადაჭიმული ერთ-ერთი ხიდის კუთხეში გაწვა ბებერი ლოკოკინასავით.

დღითიდღე უფრო შორიდან ჩაესმოდა ეკლესიის ზარების რეკვა, რადგან უფრო მეტად შმორდებოდა და ყროლდებოდა, ხოლო მის გარშემო კი იზრდებოდა ფურთხისა და ტალახის ჭაობი, რომელიც ნელ-ნელა ქვევით ეზიდებოდა მათხოვრის გამომშრალ სხეულს.

ფურთხსა და წყევლასაც მოწყალებად მიიჩნევდა, რადგან მოხუცის შეგნებაში წაშლილიყო ზღვარი ფურთხსა და ხურდას შორის. უკვე რამდენიმე დღეა, ველარც სამადლოდ გამოწვდილი ლუკმა გალოღნა და ველარც ბუნებრივი მოთხოვნილებისათვის ჩაიზლაზნა მდინარისაკენ. უფრო აშმორდა და აყროლდა, ადამიანებიც მოწყალებას გასცემდნენ ტალახით, ფურთხით, წიხლით, ქვებით, როგორც ღირსეულ მათხოვარს შეეფერებოდა. მოხუცს უკვე ალარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. უკან ველა-

რაფერს შემობრუნებდა, გარდა ზამთრის სუსხით გათოშილი გვერდებისა, რისთვისაც ისე ზანტად და მოშვებულად ირჯებოდა, რომ ყველაზე ხნიერ ლოკოკინასაც კი აუჩუყდებოდა გული. თუმცა, ასეთ უსიცოცხლო ადამიანსაც კი დაუდგებოდა ხოლმე ერთადერთი მშვენიერი წამი, ესეც მაშინ, როცა ულამაზესი ქალბატონის მოხდენილი კაბის შრიალი ზღვის ტალღასავით გადაუვლიდა მკერდზე და შეისუნთქავდა მომაჯადოებელ სურნელს. ამ დროს, მინის ზედაპირის ყველაზე ცივი ადგილებიც კი ღუმელივით ცხელი ეჩვენებოდა, შეშინებული შეიმალებოდა თავის აშმორებულ ნიჟარაში, რათა არ დაეფრთხო და უნებურად არ ჩაექრო ეს ერთადერთი გამოცხადება, მერე კი ხელის კანკალით გულდასმით დაიფარავდა სხეულის ყველა მოშიშვლებულ ნაწილს.

ერთ მზიან დილით კი, ჩვენი ქალაქის არც ერთი კენჭი რომ არ მოსწრებია, ისეთმა ქარიშხალმა ფეხზე წამოაგდო ხვრინვის მაღალფარდოვნებაში გარინდული ადამიანების გუნდი. ქარბორბალა ყოველი ფანჯრის წინ თეთრი ბაირაღივით დაატარებდა მოხუცი მათხოვრის უჩვეულო ალკაზმულობას: სარკის ნამსხვრევებს, კალენდრის ჩამოგლეჯილ ფურცლებს, კომპასის ისრებს, კონვერტებს, ქაღალდებს, რომლებზეც მათხოვარს გაურკვეველი სიმბოლოები აღენიშნა, როგორც აღსარება, საიდუმლოდ თქმული საკუთარი მოძღვრისადმი. ზეცას წეროების უზარმაზარი გუნდი მიაპობდა...



მხატვარი ნინო დვალი

სიკვდილი კი ზეთისხილის რტოთი უახლოვდებოდა მოხუცს...

## ჭორიკნები

ფერდობზე ერთ დიდ ბილიკს რამდენიმე ბილიკი ერთვის, რომელიც სოფლის შესასვლელთან უერთდება სამანქანო გზას, მერე კი გარს უვლის პატარა გორაკს და სოფლის სიღრმეში იჭრება. სოფელს ყველა სახლი თუ ნალია, როგორც კარგად დაძველებული ჩოხა, ისე მოუხდენია, თივისა და სიმინდის ფუჩეჩის ბულულები ულვაშწვერად მიუთვლია, კვამლისაგან ახრჩოლებული ბუხრებიც ყალიონებივით მოუმარჯვებია და განუწყვეტლივ მოძრაობას მისცემია... ის კი არა, მას ხელის დაქნევაც შეძლებია გამვლელ-გამომვლელისათვის. სოფელი ქალაქში მარტო არავის უშვებს. გლეხს ტანში შეეჭრება ხოლმე და რომელ განთქმულ აბანოშიც არ უნდა გაიხეხოს კაცმა, ათასმა მექისემ ერთდროულად რომ იჯირითოს მის ძვლებზე, ათასი ქისაც რომ გაცვითონ, მაინც ვერ მოაშორებენ ახალ გამომცხვარი ლავაშის, თბილი რძისა და დანაყილი ქინძის სასიამოვნო სურნელს...

სოფელი სკივრივით ინახავს თავის წიაღში ამოუცნობ, იდუმალ ხმებს, რომელიც საუკუნოვანი სიღრმეებიდან მოისმის. ამით იმის თქმა უნდა სოფელს, რომ ძალიან ხანდაზმული გახლავთ. თუმცა, თავადაც რომ არაფერი თქვას, მის ასაკზე მეტყველებს დაბილიკებული ნაკვეთები და ჭორფლივით ჩაკირული კენჭები, რომლებიც ათას ფიქრს აღუძრავს დაკვირვებულ ადამიანს და საიდუმლო სკივრში ღრმად ჩახედვის სურვილს გაუცხოველებს.

ყველა ძველი თუ ახალი ამბის „თვითმხილველნი" და „გამავრცელებელნი" ჩვენი სოფლის მოხდენილი, მაგრამ ჭორიკანა ქალბატონები არიან, რომელთა თხრობის შეუდარებელი ნიჭის წინაშე მუხლს მოიდრეკს ყოველი გამიჯნურებული პოეტი, ხოლო მათი გაზაფხულივით ჭრელი და სიფრიფანა კაბის შრიალი ყველაზე გაწონასწორებულ დონ-ჟუანსაც სამუდამოდ დაატყვევებს. ჭორაობით გაბეზრებული სოფელი ხანდახან დამიზნებით გაისვრის კენჭებს დაუღლელად მოქაქანე ქალბატონებისაკენ. რა თქმა უნდა, ისინი მოხდენილი კისკისით აიცდენენ მათკენ გამოტყორცნილ ყოველ კენჭს და პირს მდინარისკენ იბრუნებენ...

მორაკრაკებს მდინარე და ათას ჭორს ნაფოტივით მოატივტივებს კამკამა ზედაპირზე. მოხდენილი ჭორიკანები უსმენენ მდინარის მონაყოლს ვეებერთელა თევზებზე, ჭინკებსა და ქაჯებზე, მორევში შეტყუებით და დახრჩობით რომ ემუქრებოდნენ მათ საქმროებს, პირველ-ქრისტიანებზე, ნათლობის იდუმალებაზე, შობის უძირო ღამეზე. შემდეგ ეს ლეგენდები სოფლის კოხტა ქალბატონების შეუდარებელი ბაგეებიდან უზარმაზარი ტალღებივით აიქოჩრებიან ხოლმე და დედამიწის ყოველ კუთხეს აწყდებიან...

მხოლოდ ერთი საბრალო დედაბერი, ყრუ-მუნჯად დაბადებული, ყველასაგან გარიყული და მიტოვებული აკვირდება სოფლის დაქსაქსულ ბილიკებს, დახავსებულ ლოდებს, სევდიანად ჩავლილ ურმის თვლებს, მკერდში კი იმხელა სათქმელი დაჰგუბებია, ასე გეგონება, რომ ამოთქვას, სამყაროს გადაატრიალებსო!

ირმა თავართქილაძე დაიბადა 1968 წლის 29 აპრილს, თბილისში. დაამთავრა 163-ე საშუალო სკოლა. 1985-89 წლებში სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში (ამჟამად – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი), სამსახიობო ფაკულტეტზე. 1989-95 წლებში მუშაობდა სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მსახიობად. ითამაშა მთავარი როლები სპექტაკლებში: ნატა – ზურაბ სამადაშვილის „კარს იქეთ“, 1990 წელს სპექტაკლი აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო თეატრალურ წარმოდგენად, ნათელა დედოფალი – პოლიკარპე კაკაბაძის „დემეტრე მეორე“, გრაციელა – ჯ. მაროტასა და ბ. რანდონეს „ქვრივთა ნუგეშინისმცემელი“; განასახიერა შეშლილი მარაოიანი ქალის სახე – ოთარ ჩხეიძის „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი“, მშვენიერი გოგო – ლაშა თაბუკაშვილის „ტაძარი“ (რეჟისორი ნუკრი ქანთარია).

1998-2002 წლებში სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლეს კინოსარეჟისორო კურსებზე. გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ვიდეოფილმები: „სარეცხი“, „გაზეთი 1“, „გაზეთი 2“; საკუთარი ინსცენირებით სასწავლო სცენაზე დადგა კავაბატა იასუნარის მოთხრობა „მშვილდის უბე“.

2005-2006 წლებში მუშაობდა „გაერთიანებული ქართული ბანკი“-ს (შემდგომ „ვითიბი ბანკი ჯორჯია“) საინფორმაციო სამსახურში, მარკეტინგის დეპარტამენტში, ვაკე-საბურთალოს ფილიალში მენეჯერად.

2006-2007 წლებში მუშაობდა ანიმაციურ სტუდიაში „სტუდია მიფასი“ ალმასრულებელ პროდუსერად. იმხანად სტუდიამ შექმნა ოთხი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ანიმაციური ფილმი: „ლეგენდა ღვინოზე“, „რატომ არის ზღვა მარილიანი“, „ჩიტბატონა“, „როგორ გაჩნდა მთვარე“.

ინტენსიური წერა 1994 წლიდან დაიწყო. 1998 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი რომანი „განრისხებული ქარი“, 2003 წელს ჟურნალში „მნათობი“ დაიბეჭდა პირველი პიესა „ვამპირი“.

დაწერილი აქვს რომანი „ზიგფრიდი“, მოთხრობები, პიესები. ამჟამად მუშაობს პიესაზე იაპონური ფოლკლორის მიხედვით, რომლის დადგმას თვითონვე აპირებს.

ირმა თავართქილაძე

# ახალგაზრდა კაცის აღსარება



ქუჩაში ჩემ წინ მიმავალმა კაცმა გამომხედა, დამელოდა და როდესაც გავუსწორდი, – მეძახდითო? – თავაზიანად მკითხა.

– არა-მეთქი, – მივუგე და გზა განვაგრძე.

რამდენიმე წუთში იმავე კაცმა ზურგზე დამკრა ხელი, – ახლა ხომ ნამდვილად დამიძახეთო?!

– არა-მეთქი, – თავი გავაქნიე და ნაბიჯს ავუჩქარე, სამსახურს ვეძებდი.

ის იყო, კოხტა შენობის ვიწრო კიბესთან შევჩერდი, კაცმა მკლავზე მომქაჩა და, – დაგივარდათო, – პატარა ვარდისფერი ქაღალდი მომაწოდა.

– არაფერი დამვარდნია-მეთქი! – ხელი ავუქნიე და კიბეზე ავედი.

– როგორ არა, ჯიბიდან ამოგივარდათო, – დაიჟინა.

– რას გადამეკიდეთ-მეთქი! – ვუყვირე.

– გამომართვით, – კაცს ჩემი გაბრაზება თითქოს არც შეუმჩნევია, ის ვარდისფერი ქაღალდი მომაჩეჩა.

– მოითმინეთ! – დავედევნე, – მე ლატარიის ბილეთი არ მქონია, ვილაც სხვას დაუვარდა! – ვუთხარი და ბილეთი უკან დავუბრუნე.

– ღმერთო ჩემო! – აღშფოთდა კაცი, – ეს ბილეთი თქვენია! – ხმას აუწია, ბილეთი ჯიბეში ჩამიკუჭა და წავიდა. კარგად, ჩემზე გაცილებით კარგად ეცვა და სიარულისას ირწეოდა, ჩემი სიმაღლის იყო, ახალგაზრდა, თავიდანვე შევნიშნე – თვალებში უცნაური სხივი უთამაშებდა.

შენობაში შესვლისას არავის შევუჩერებივარ, მეტიც, ვეებერთელა დერეფანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სიჩუმეს მუსიკის გაფანტული ყრუ ხმა არღვევდა. სავარძელში ჩავჯექი, იდაყვით სავარძლის სახელურს დავეყრდენი. ამდენი ზევით-ქვევით წანწალით გული მქონდა გაწვრილებული, უიმედობით კიდევ უფრო ვიყავი ილაჯგაწყვეტილი და აქაც მხოლოდღა შეურაცხყოფას ველოდი, თუმცა, იმედის პატარა ნაპერწკალი მაინც მიღვივოდა გონებაში, ვარსკვლავივით მიციმციმებდა.

„წერილი ვისგანაა, თუ თქვენს თაობაზე დაგვირეკესო?“ – ყველგან ერთსა და იმავეს მეკითხებოდნენ.

– წერილი არ მაქვს, ჩემს თაობაზე კი იქნებ მითხრათ, ვის უნდა დაერეკა, ვინ გიყვართ და რას ეთაყვანებით?! სამაგიეროდ, უამრავი ღრმა, ცინცხალი ჩანაფიქრი მწყობრად და ლაზათიანად ჩავაწიკწიკე, აი, ამ წკრიალა ფურცლებზე, – ასე ომახიანად დავიწყე შესავალი სიტყვა სახელმწიფოში უგანსაკუთრებულეს საქმეთა სახელდახელოდ შესრულების საგანგებო სამსახურის დარბაისელი უფროსის წინაშე, მის თვალწინვე მარდად გავხსენი საქაღალდე, იქიდან ქათქათა ფურცლები ამოვილე და გატაცებით დავყნოსე, – სიახლის სუნი უდის! აქ თითოეულ სიტყვას თავისი ადგილი აქვს და მათი ხორცშესხმა, რა თქმა უნდა, თქვენი კეთილი შეწევნით, დამეხმარება ჩემი ადგილის მიგნებაში ამ მარტივსა და თანაც გაურკვეველ სამყაროში. დამეთანხმებით, მომავალი ბუნდოვანია, აწმყო კი მხოლოდ სიზმარზე ოდნავ ცხადი, ზღაპარზე აუცილებლად ნამდვილი, ბავშვობაში

სიმართლეზე მეტად მიყვარდა მათი კითხვა, მაგრამ მზის ნათება, ფოთლების შრიალი და კეთილის მოლოდინით ალსავსე გული განა მოსაწყენ ყოველდღიურობაში ჩაკარგული სასწაული არაა ყველაზე უკვდავი ზღაპრიდან?! ამაზე ჩაფიქრებისას ალტაცებულს თვალებზე ცრემლი მადგება და სხეულსა და სულში უდიდეს ენერგიას, დროსავით მოუთოკავ წადილს ვგრძნობ, გამოვადგე ადამიანებს ანუ პოლიტიკოსის კარიერას მოვეკიდო, ოცნებას ვეძლევი და სახე მიღიმის. ერთმა ანგარიშგასაწევმა, ცოდნით ტვინგაჟღენთილმა ეგოისტმა ამის გამო შარშან სიბრიყვეში დამდო ბრალი. „იმედია, სიბრიყვისთვის ჯერაც არ ასამართლებენ-მეთქი?" – ვიკითხე. თქვენს ახალ კანონებში, საკუთარი სურვილების თარგზე რომ გამოჭერით, შემთხვევით, სიბრიყვე ავად ხომ არ არის ნახსენები?! კიდევ კარგი, გონიერებისკენ არ მაქვს მიდრეკილება, არც რაიმე განსაკუთრებული ნიჭი მტანჯავს. ეს პროექტები დაუღალავი შრომის შედეგია, მათზე გახარჯულ უმთვარო ღამეებს გულიდან ამოწვერილი სხივი მინათებდა და, მერწმუნეთ, მართლაც უბადლოა, ნუთუ ინტუიცია არაფერს გკარნახობთ?!

დარბაისელ უფროსს, რომელიც ხმისამოუღებლად მისმენდა და დროდადრო თავსაც აკანტურებდა, ჩემი ვარაუდით, თანხმობის ნიშნად, სწორედ ამ ფრაზაზე ტკბილად ჩაეძინა. მანამდე ისე კოხტად ნაბავდა თვალებს, ვფიქრობდი, უფრო და უფრო მოსწონს ჩემი ბუნება, ყოველი ბგერა დაუბრკოლებლად მისრიალებს მისი ყურისკენ-მეთქი; სინამდვილეში, ეს უბადრუკი კაცი ძილს ვერ ართმევდა თურმე თავს, საბოლოოდ კი მაინც დაიძინა.

სხვაგანაც დაუნდობლად მექცეოდნენ:

დაწესებულების პირმრგვალ უფროსს დაწესებულების დერეფანში შევეჩეხე, კიბესთან ახლოს. რადგან მოსმენა არ სურდა, წინ გადავუდექი და მოწიწებით შევჩივლე, რომ ორი თვის მანძილზე კვირაში სამჯერ ვაკითხავდი და ფეხმოუცვლელად საათობით გაბეზრებამდე ველოდი, სანამ სათქმელი არ მავიწყდებოდა.

– შენ გამიწყალე გულიო?! – პირმრგვალმა უფროსმა ისეთი რიხით შეჰყვირა, ნაფერები პროექტები ყველა ერთბაშად დამიცვივდა თეთრი მარმარილოს იატაკზე; ჩემი ცოდვით სავსემ ესეც არ მაკმარა და მიმოფანტული ფურცლების შეგროვებაში გართულს, – თუ ახლავე არ ნახვალ აქედან, კიბეზე მწიფე კიტრივით დაგაგორებო! – დამემუქრა.

– ჯერ ფურცლები ავკრიფო, – მივუგე და დავაყოლე, – სულგრძელად მაპატიეთ, თქვენი ალელვება გულში არ მდებია. ალელვებული ზღვაა სასიამოვნო საცქერი, როგორ სტყორცნის ნაპირს ტალღებს და რა საშიშია ამ დროს ზღვასთან ახლოს დგომა! იქნებ გადაიფიქროთ და იმ ფურცელს მაინც გადაავლოთ თვალი, ზედ რომ დამდგარხართ-მეთქი, – პირმრგვალ უფროსს ხელი ფეხზე წავატანე, რათა ფურცლიდან ფრთხილად გადაედგა, ვინაიდან ის ფურცელი ჩემთვის ძვირფასი იყო.

პირმრგვალმა უფროსმა არც აცია, არც აცხელა და კვლავაც დაუზოგავი რიხით იყვირა, – მიშველეთ, მკლავენო!

მაშინ კი იქიდან ისე მოვკურცხლე, გული კინაღამ პირიდან ამომვარდა.

მხოლოდ ერთადერთმა უფროსმა ჩამომართვა ხელი, დაბეჯითებითაც მომისმინა და დასასრულს ალერსიანადაც მკითხა, – კარგი ცეკვაც თუ იციო?

– რა თქმა უნდა, ვიცი-მეთქი! – გამიხარდა.

შემიყვანა ვეებერთელა ოთახში, კარადიდან ჩვეულებრივი დოლი გამოიღო, სკამზე კოხტად მოთავსდა, დოლი ფეხებსშუა ჩაიდო, რახარუხს მოჰყვა და უხერხულობისგან მობუზულსა და დამფრთხალს, – რალას უყურებ, იცეკვე! რალას უყურებ, იცეკვეო! – მიყიჟინებდა.

ვიცეკვე მანამ, სანამ ფეხისგულები არ გამიბუჟდა.

– დოლზე ხომ არნახულად ვუკრავ? დოლზე ხომ არნახულად ვუკრავ? დოლზე ხომ არნახულად ვუკრავო?! – არ მომეშვა მედოლე უფროსი.

– დიახ-მეთქი, – რის ვაი-ვაგლახით გავუღიმე, ოფლი წურწურით გამდიოდა.

– აქ მოსვლამდე მედოლე ვიყავი და აფსუსი არ არის, ასეთი მედოლე ცდებოდესო?! – მედოლე უფროსმა ამოიგმინა და სინანულითვე განაგრძო, – შენ კი კარგი მოცეკვავე ვერ ყოფილხარ, ცეკვისას ფეხები ერთმანეთში გებლანდება, ბოლოს ხელებს უმისამართოდ იქნევდი და სახეც ისე დაგეღრიჯა, თითქოს დაიღალე და შველას ითხოვდიო!

საზღვრისპირა დეპარტამენტის სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორმა ზუსტად ისეთივე წითელზონრებიანი დოლი მე მომაჩეჩა ხელთ და მთელი დღე წაგრძელებულ მდივანთან ერთად ჩემს უდღეურ დაკვრაზე გატაცებით ცეკვავდა, – ნახე, ნახე, რა წრეებს გარტყამთო! – ხანდახან, იშვიათად თუ დამძახებდა. ის იყო, დოლზე დაკვრა ვისწავლე, გამაჩერა, – საკმარისია! წერილი მაინც უნდა მოგეტანა, სამსახურში რომ მიგილო, საბუთი მჭირდებაო! – თან ვეებერთელა პირსახოცით კისერსა და მკერდს იწმენდდა.

– პროექტებს წაგიკითხავთ, ნაცნობ-მეგობრები, დიდებიც და პატარებიც, ნიჭიერად მთვლიან-მეთქი! – ფეხზე წამოვვარდი, ხელისგულები რუმბებივით დამსიებოდა.

– ჩვენ ყველანი ნიჭიერებად ვითვლებით, ერთია ასეთიო! – გულითადად ამიხსნა მოცეკვავე უფროსმა.

გასვლისას, – თუ ფულს გადამიხდით, ყოველდღე მოვალ და დოლზე დაგიკრავთ-მეთქი, – ვთხოვე.

– იმისთვის, რომ დოლზე დამიკრან, ფულს იქით მიხდიანო, – მოცეკვავე უფროსს ულვაშებში ჩაეღიმა და, – კარი მალე მოკეტე, უბერავსო, – მთხოვა.

მუსიკის ხმა ქალის გრძელმა სიცილმა გადაფარა. სავარძლიდან ავდექი, თმა გავისწორე, პიჯაკის ღილები შევიკარი და პირველივე ოთახში დაკაკუნებისთანავე შევედი.

– რა გნებავთ? – ცალყბად მკითხა უფროსის მდივანმა, ფანჯრის განიერ რაფაზე შემომჯდარი ტელეფონით ლაპარაკობდა.

– თქვენს უფროსთან... – მღელვარებისგან მუცელი მიხურდა.

– გელოდებათ?

– არა!

გოგო თავის მოსაუბრეს დაემშვიდობა, ფანჯრის რაფიდან გადმოსკუპდა, მუქი ყავისფერი შალის მოკლე ქვედაკაბა თეძოებზე დაქაჩა და ხელი გამომიწოდა, – მომეცით წერილი!

– არ მაქვს!

– მაშინ არ მიგიღებთ! – ცივად მომიჭრა და კვლავაც ფანჯრის რაფაზე შეხტა.

– მხოლოდ ორი წუთით მინდა ვნახო! – შევემუდარე.

– არც ერთი წუთით არ მიგიღებს, – გოგოს ჩემთვის აღარ ეცალა, ტელეფონზე ვიღაც ბიჭთან გააბა საუბარი, – აბა, თუ გამოიცნობ ვინ ვარო...

ბიჭმა ვერ გამოიცნო.

გოგომ, – სამი კვირის წინ ამა და ამ სახლში მნახეო.

ბიჭმა, – იქ ბევრი გოგო იყო, შენ რომელი ხარო? – მგონი ასე ჰკითხა.

კედელზე ოქროსფერვარაყიანი საათის გვერდით ჩვენი ქვეყნის რუკა გაეკრათ. საათ-ნახევარში მდივანი უფროსმა გამოიძახა.

სკამიდან წამოვვარდი, – ეტყვით...

– ვეტყვი, – მდივანმა თავი დამიქნია და უფროსთან შევიდა; გამოსვლისთანავე, – მითხრა, ახლა არ მცალია, სხვა დროს მოვიდესო! – მომახალა, მაგიდასთან დაჯდა, უზარმაზარი საქაღალდე გახსნა და ყვითელსა და თეთრ ფურცლებში ქექვა დაიწყო.

– ხვალ მოვიდე? – კართან შევჩერდი.

– მოდით, – მხრები აიჩეჩა გოგომ, – თუ გინდათ, ყოველდღე იარეთ! – საქმე შეწყვიტა და ამომხედა, – თქვენამდე თქვენსავით ახალგაზრდა, წარმოსადეგი, სანდომიანი ბიჭი ელოდა, ელოდა, ელოდა, გასასვლელშიც დახვდა, ამბობდა ნიჭიერი ვარ, განათლებული, სკოლაში კარგი ყოფაქცევისთვის ყოველ წელს საზეიმოდ სიგელსაც მაძლევდნენო, საქაღალდე სავსე ჰქონდა, ამან კი, – მარჯვენა ცერა თითი უფროსის კარისკენ მიაშვირა, – მაინც არ მიიღო! იქნებ ვინმეს დაარეკინოთ.

– ნახეთ! ნახეთ, შესანიშნავ ჩანაფიქრთა სია... პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის.უმტკივნეულო დაძლევა...

– ვიცი, მესმის! მაგრამ ეგ თქვენი პროექტები ამას არაფერში სჭირდება, დამიჯერეთ! წადით, წადით და აქ ნულარასოდეს მოხვალთ. ის ბიჭი შემდეგ, აი, ამ ფანჯრიდან გადახტა. მე სწორედ მანდ ვიდექი... – გოგოს ტირილი აუვარდა, – იცით, ჩემმა უფროსმა რა თქვა?

– რა თქვა?

– ნაყინზე გამაგზავნა: „ორ სტუმარს ველოდები და ნაყინი სამივეს ერთნაირად გვიყვარსო".

– რას მეუბნებით?! მერე?

– რა მერე? ქვევით ჩაველი. ბიჭი მიწაზე ეგდო, პირიდან სისხლი სდიოდა. დავხედე, მკვდარი არ იყო. აქეთ-იქიდან ხალხი მორბოდა, იქაურობა წამში აივსო. მალე იმ ბიჭის ნაცნობი გამოჩნდა, – საწყალი სამშობლოზე ლექსებს წერდაო! – შავი ლაქის ჩანთიდან წითელი ცხვირსახოცი ამოიღო, – თუ მოკვდა, ძლიერ დამენანება, თუმცა, რაღა გადაარჩენსო? ჩემი გოგო უყვარდა, კიდევ კარგი, ცოლად არ გავატანე, თორემ ხომ ახალგაზრდობაშივე დაქვრივდებოდაო; როგორ მინდა ამ კოხტა ბიჭთან დავრჩე, ჩემ თვალწინ გაიზარდა, მაგრამ დაგვიანების გამო სამსახურიდან რომ დამითხოვონ, მეც იგივე მელის, რაც ამან გააკეთაო...



მხატვარი კარლო ფაჩულია

– მერე?!

– წავიდა, თან ცრემლიან თვალებს ფრთხილად იწმენდდა, – მეშინია მაკიაჟი არ გამიფუჭდეს, სამსახურიდან ამისთვისაც შეიძლება გამაგდონო.

მერე სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა, ვიღაც ღვთისნიერს გამოეძახა, – ჯერაც სუნთქავსო! – ორმა ექიმმა ერთხმად თქვა, – ოღონდ დამავებულს ვერ წავიყვანთ, რადგან ჩვენი სამსახური ფასიანიაო.

– იქნებ თვითონ მას ჰქონდეს ფულიო! – სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლმა ბიჭს ჯიბეები გაუჩხრიკა. საწყალი ყოველ შეხებაზე კვნესოდა, ეტყობა, ძალიან სტკიოდა. ცოტაოდენი ფული აღმოაჩნდა.

– საკმარისი არ არისო, – შეწუხდა ერთი ექიმი, მეორე ფიქრებში იყო წასული.

დანარჩენი ფული მე დავამატე. ბიჭი საკაცეზე დააწვინეს და წაიყვანეს. გავყევი, ვინიცობაა, გზაში მოკვდეს, ფულს დავიბრუნებ-მეთქი.

– მერე?!

– არ დამიბრუნეს! რას ვიზამდი? ამა და ამ კაცის მდივანი ვარ, ეს ფული კი ამა და ამ ნაყინის საყიდლად გამომატანა და თუ არ მივუტან, გამიბრაზდება, – ავსლუკუნდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– უჰ, რა ძვირფას ნაყინს მიირთმევს შენი უფროსი! – ექიმმა ხალათის ჯიბიდან ფული ამოიღო და მომაწოდა, თან, – შვილს სამსახურში ვერ მომინწყობსო? – წამჩურჩულა.

– რა თქმა უნდა, ამდენი და ამდენი ფული მიუტანეთ და სიამოვნებით მოაწყობს-მეთქი, – მივუგე.

– კარგიო! – მითხრა ექიმმა და მანქანა სწორედ ნაყინის მაღაზიასთან გამიჩერეს.

ვიყიდე სამი ნაყინი და უკან წამოვედი. არც ჩემი უფროსი და მისი არც ერთი სტუმარი სხვა ნაყინს არ ჭამენ, ყელში არ გადასდით. მინდა დაგეხმაროთ, მაგრამ არ შემიძლია. ნახვამდის, – დამემშვიდობა გოგო.

ქუჩაში გამოვედი, სუსხს ემატა. გულდათუთქულმა პროექტებით სავსე საქაღალდე იღლიაში ამოვიდე და ხელები პიჯაკის ჯიბეებში ჩავიყავი, თითები ქაღალდზე მიმედო. ბილეთი ჯიბიდან ამოვიღე, დავხედე, ზედ გუშინდელი რიცხვი ეწერა. პირველსავე ჯიხურში გაზეთი, ბედნიერ ბილეთთა სიით, ვითხოვე. ჩემი ბილეთის ნომერი სიის თავში ეწერა და დიდი თანხა მოეგო.

– ხომ არ მეშლება? – თავაზიან გამყიდველ ქალს გაზეთიცა და ლატარიის ბილეთიც მივაწოდე, არ შემშლია.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ფული, რა თქმა უნდა, დავხარჯე და ისევ გავღარიბდი. ძველი მეგობრებიდან არავის გავხსენებივარ, ახლებიდან აღარავის ვჭირდებოდი. წლებმა ელვის სისწრაფით გაირბინა. ახლა უკვე იმ დროს, უთავბოლო დროსტარებასა და ათასი სულელური ნივთის ყიდვას რომ შევალიე, გადაყრილად ვთვლიდი, დროს უსინდისოდ გაფლანგულად. მაშინ ცხოვრებით კმაყოფილი არაფერზე ვწუხდი, ძალაუფლება მაბრმავებდა. ერთ უბედურ დილას ჩემი საიდუმლო ყულაბა ცარიელი აღმოჩნდა. ამას არასოდეს ველოდი. უეცრად გამახსენდა ამდენი ხნის მანძილზე მივიწყებული ხვალინდელ დღეზე ფიქრით გათენებული ღამეები და კვლავაც პროექტებს მივუბრუნდი, დავავლე ხელი და ნაცნობ მდივანს მივაკითხე.

ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი მდივანი ტელეფონზე თავგადაკლული ლაპარაკობდა. ჩემს დანახვაზე ხმას დაუწია, მათვალიერებდა. კარგად, ძალიან კარგად მეცვა, თმაც სხვანაირად მქონდა დავარცხნილი. საუბარი სწრაფად დაამთავრა, რაფიდან სხარტად გადმოხტა. მოკლე ქვედაკაბა თეძოებზე დაქაჩა და ზედმიწევნით ნაზად მომმართა, – რა გნებავთ?

– არაფერი, – გამეცინა და ოთახიდან გამოვედი.

სავარძლის სახელურები მთლიანად გადაცვეთილიყო. დიდხანს ვიჯექი, წარსულიდან ამოტივტივებულ ხილვებში გულისწყვეტით დავლასლასებდი. ნელ-ნელა ცხელმა სიცარიელემ მომიცვა და ტკივილისგან ავტირდი. როდესაც ცრემლი გამითავდა, ოთახში შევბრუნდი.

მდივანს ვილაც ბიჭი გამოეჭირა და აბრუებდა:

– ჯერაც ცოცხალია! – ორმა ექიმმა ერთხმად თქვა, – ოღონდ დაშავებულს ვერ წავიყვანთ, რადგან ჩვენი სამსახური ფასიანიაო...

ბიჭს სუნთქვა შეკვროდა...

– ... არც ჩემი უფროსი და მისი არც ერთი სტუმარი სხვა ნაყინს არ ჭამენ, ყელში არ გადასდით, მინდა დაგეხმაროთ, მაგრამ არ შემიძლია. ნახვამდის, – მდივანი ბიჭს დაემშვიდობა.

ბიჭი ჩაბნელებულ, ცარიელ დერეფანში ნაცემი ძაღლივით გაიძურწა.

– ეგ როდის მოხდა? – ჩავეძიე გოგოს.

გოგომ ვეებერთელა ქაღალდის ხელსახოცით ცხვირი მოიწმინდა, – იქნება რამდენიმე წელი... ასე, ოთხმოცდა... – ჩაფიქრდა, – რა მნიშვნელობა აქვს?!

– არავითარი! – დავეთანხმე და წამოვედი.

გვიანი გაზაფხულის ძლიერი წვიმა სასიამოვნოდ მეშხეფებოდა გახურებულ სახეზე. პროექტები იღლიის ქვეშ ამოვიდე, ხელები პიჯაკის ჯიბეებში ჩავიყავი. გარშემო ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა. ადამიანები აჩქარებით მიმოდიოდნენ. ჯიხურთან გავჩერდი, – ერთი ლატარიის ბილეთი მომეცით, – ის კაცი გამახსენდა, ლატარიის ბილეთი დაჟინებით რომ მომაჩეჩა...

ნაბიჯიც არ გადამედგა, ზურგიდან დამიძახეს. ქუჩა პირწმინდად დაცარიელებულიყო, მხოლოდ მდივანთან ნანახი ბიჭი თითქმის მორბოდა. დაველოდე, გამისწორდა თუ არა, – მეძახდით-მეთქი? – ვკითხე.

ბიჭი არ გაჩერებულა, უარის ნიშნად თავი გამიქნია.

ჩემი სახელი კვლავ რამდენჯერმე ზედიზედ, მკაფიოდ გახმაურდა წვიმით გაჟღენთილ ჰაერში. ბიჭს დავეწიე, მკლავზე წავეტანე, – ახლა ხომ ნამდვილად დამიძახეთ-მეთქი!

– არაო! – ბიჭმა მხრები აიჩეჩა და გზა განაგრძო.

წვიმა უცბად შეწყდა.

ვეებერთელა შენობის წინ გარინდულ ბიჭს, – დაგივარდათ-მეთქი! – ლატარიის ბილეთი მივაწოდე.

ბიჭმა, – არაფერი დამვარდნიაო! – უკან დაიხია.

– გამომართვით! – ბილეთი ხელისგულზე დავუდე და გავეცალე; ვგრძნობდი, მიმავალს მიცქეროდა. გონიერი ბიჭი ჩანდა, ჩემზე გაცილებით გონიერი, ბილეთი კი ბედნიერი იყო, დანამდვილებით ვიცოდი, ოღონდ საიდან ვიცოდი, წარმოდგენა არ მქონდა.

ხიდის მოაჯირს დავეყრდენი, პროექტებს გადავხედე. ახლა ასე არ ვწერ, ასოები სხვაგვარად გამომყავს... თუმცა... დიდი ხანია აღარაფერი დამიწერია... გულუბრყვილო ბიჭის იმედებით სავსე გაცვეთილი ფურცლები სათითაოდ დასრიალდა, აი, ამ თითებზე. მივიხედ-მოვიხედე, სიცარიელე სიბნელეს ჰგავდა, მდინარეში გადავეშვი, ჩემს ფურცლებშუა ღრმად, ძალიან ღრმად ჩავყურყუმალავდი... მაგრამ ამოვყვინთე. ნაპირზე გავედი, ჩამოვჯექი, ფეხსაცმელები გავიხადე, წყალი გადმოვასხი. ხიდიდან ორი კაცი მიცქერდა, ხელი დავუქნიე, მათაც დამიქნიეს ხელი და ტაატით გაქრნენ. მიწას უცნაური სურნელი უდიოდა. გარშემო ვაშლის ახალგაზრდა ხეები ქათქათა, ლამაზი ყვავილებით გადაპენტილიყო. ანაზდად, უსპეტაკესმა სიომ გაარღვია ავდრის მშფოთვარე ჩრდილი, ხეებს შორის მიწვა და მდუმარებას მიეცა. მზის ბრწყინვალე სხივები ყოველმხრივ გაიფანტა, გზა დაეთმო ათასგვარ სანეტარო ხმოვანებას და ამაოებათა გასაყარზე წუთისოფლის შვილებს მოგველამუნა, ჩამოწოლილი სევდა გამილხო და დროის უნებლიე მდინარებას შეუერთა, ნელ-ნელა დამიამა გულგატეხილობა, აღმიდგინა იმედები და მიბოძა დაკარგული სიმხნევე.

გადავწყვიტე ყველაფერი თავიდან დამეწყო.



ჯანსულ ჩარკვიანი თავისი ბოლოდროინდელი პოეტური ციკლებით ამტკიცებს, რომ სამოქალაქო მოტივი მხატვრული გამოსახვის განსაკუთრებულ ხარისხს წარმოადგენს და მას უნდა შევხედოთ არა მარტო როგორც პოეტურ ფოტოგრაფიას, არამედ როგორც ეპოქის მხატვრულ დოკუმენტს.

სიმართლე ერთია, გინდა მხატვრული იყოს, გინდაც დოკუმენტური.

სხვათა შორის, ზოგჯერ სინამდვილის ფოტოგრაფია უფრო საინტერესოა, ვიდრე მისი მხატვრული „დამუშავება", მითუმეტეს, ისეთ შემთხვევაში, როცა სინამდვილე პოლიტიკური რეალობის სახით გვევლინება.

ლიტერატურისთვის უცხო არ არის ცხოვრებისეული კონკრეტიკა, ნატურალისტური სკოლის გამოცდილება ყოველთვის იძლევა ეფექტს ზღვრულ სიტუაციებში, როცა „ქვედა ფენებს აღარ ძალუძთ და ზედა ფენებს არ ესმით".

პრაგმატიზმის ესთეტიკას ერთი კარგი თვისება აქვს – პრაქტიკულ შედეგს, როგორც იტყვიან, მომენტალურად აღწევს.

სწორედ ამით არის დასაფასებელი ჯანსულ ჩარკვიანის პოლიტიკურ-სოციალური „მიმესისი".

ჯანსულ ჩარკვიანი

# მზის მოლოდინში

## სიმართლის მსაჯული

მუხავ, ძირშივე მოჭრილო,
რა სიმღერით ხარ გართული,
შენ გეუბნები, მორჩილო, –
ჩაკვდა, რაც გვქონდა ქართული.

შენს ბაღში ანწლი ვინ დარგო
ირონიით და ქირქილით,
რა იქნა, სად დაიკარგა
შენი ღირსების გვირგვინი.

არცა სისხლია მთავარი,
არცა გვარი და არც რჯული,
სამართალი თუ არ არი,
ვინ სთქვა სიმართლის მსაჯული.

სანამ სანთელი სანთელობს,
სანამ მტრის მანტოს მოისხამ,
შე უბედურო ქართველო,
გახსოვდეს, ვისი გორის ხარ.

## ქარი და ფიქრი

ქარი არის ყაჩაღი, –
შეკრულია წარმართთან,
მე, ცეცხლივით გავჩაღდი,
როცა ფიქრი წამართვა.

წამართვა და წაიღო,
შორს, შატილის ღრუბლებთან,
ღმერთო ჩემო, რა იყო,
ნეტა ვინ დაუკვეთა?

ფიქრი გახლავთ ნეტარი,
ფიქრო, წმინდად მიგულე,
ახლა, ვფიქრობ, ნეტავი,
იმ ფიქრს ვინ დამიბრუნებს?

ალბათ, საძმო-ნასული,
მეცხრე ციდან მჭვრეტელი,
ჩარჩოშია ჩასმული,
ჩემი ფიქრის კედელი.

## უხმაურო მწუხარება
(დიალოგი)

– მიდის უხმაუროდ
დროი მქუხარული,
თუმცა, გულისგულში
გვიდგას სულ ხმაური,
როდის ჩათავდება
დღეი მწუხარული,
როდის გათენდება
დღეი სიხარულის.

– შენ, ბიჭო, ვინა ხარ,
მოცლილი ხომ არ ხარ,
იმას, შენად ნუ თვლი,
უცხო კაცს რომ ახლავს,
რაიც შენ დაკარგე,
ვერც ოდეს მონახავ,
რით ველარ გაიგე, –
მონა ხარ, მონა ხარ!

## უღირსთა

ხორცითა მხოლოდ,
არა, სულით არ გიცხოვრია,
მუდამ თან გახლდა
შენი მონა, შენი ანგალი,
რაც გიცხოვრია –
ისიც ფრთხილად აგიწონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელითა ვაჭრის, უფრო სწორედ –
ხელისკანკალით.

სულ აირია ქვეყანაზე –
შენი მენყერით –
შენი ბალები,
პოეზიის ჩვენი ტყე-ველი,
მოდგა სინათლე, –
ხმა მოისმა ციდან მეტყველი,
– მოინანიე,
მოახლოვდა სასუფეველი.

## მზე – დედაა

ნუ გაჰყვებით გზას კერპების,
თქვენი სულის ცხონებამ,
მორწმუნე კაცს არ ეგების,
ურწმუნო გზით ცხოვრება.

ნუ იცრუებთ, უკულმართთა
გვარით ნუ გამრავლდებით
გიხაროდეს, იტყვი მართალს? –
გზას გიფენენ ვარდებით.

გწამდეს, მარად ცოცხალია
სიტყვა ჭეშმარიტების,
დრო მწარეა, დრო ცხარეა
არ ვართ ეშმას გვრიტები.

დედა – მზეა, მამა – მთვარე,
მარად ასე ვმღეროდით,
დიახ, მოვრჩი, დავამთავრე,
ან სხვას რას მოელოდი?

## გახსოვდეს რომ ხარ ქართველი

მე ვარ – გულია,
მე ვარ – გოგუა,
ვარ, ანჩაბაძე
და ჯოლოგუა.

მე ვარ – ჩხეიძე,
მე ვარ – ხალვაში,
აფხაზობიდან
ჩვენს თავს არა ვშლით.

ვართ, აფხაზები,
ვართ, ჩვენს ყანაში,
ჩვენს აფხაზეთში,
ჩვენს ქვეყანაში.

არა, არ დავთმობთ
ჩვენს აფხაზობას,
და ნუ დამინყებთ
ახლა ბაზრობას.

ვარ, მარშანია,
ნალდი აფხაზი,
და ჩემი გენი
მარად მხარს მაზის.

და დედამინა, ბრუნავს
ჯორდანო,
ნელ-ნელა ქრება
რწმენის სანთელი,
ვაი, ქართველო,
შე საცოდავო,
არც შენ არ იცი,
რომ ხარ ქართველი.
...
ყური დამიგდეთ –
შვილნო დავითის,
შვილნო თამარის,
შვილნო რუსთველის,
ხმამაღლა ვიტყვი
რაიც არ ითქმის,
რაიც არს
ენით გამოუთქმელი...

ვამბობ ხმამაღლა –
ვითარ მჩვევია,
მთელი სიცოცხლე
ვიბრძვი კაცურად,
სიმართლის მეტი
რა დამრჩენია,
ტყუილით, ტბასაც
ვერ გადასცურავ.

ხმალალესილი
დადექ, ჯანმრთელი,
ცაში „ჩაკრულოს“
ისმენს შოპენი,
დაიმახსოვრე
რომ ხარ ქართველი,
რა ევროპელი,
რის ევროპელი.
ნუ მიუჯდებით
ხალხნო, სხვა სუფრას,
სხვებთან
ღამე არ გაგვთენებია,
ცალცალკე ყოფნამ
ისე დაგვღუპა,
აღარც გვახსოვს რომ
ქართველები ვართ.

## ყველა ჩვენია

არც მტრის არ მეშინია,
თუმცა მტრობაც ხშირია,
ა ის, ჩემი შვილია,
ის კი, შვილიშვილია.

გესმათ, შვილთაშვილიც მყავს,
კიდე ვილა გაგაცნოთ?
არც იფიქროთ, ვინ მიყვარს,
ერთმანეთის სანაცვლოდ.

დროი მოჰგავს მუქარას,
და ნუთებიც მიჰქრიან,
ყველა ერთი სუნთქვაა,
ყველა ერთი ფიქრია.

ყველა, ყველა ჩვენია,
დღითა ხარ თუ ღამით ხარ,
ყველას ვინ მირჩევნია? –
გთხოვ, მეორედ არ მითხრა.

## „თავისუფალი“

იქეთ, იმის უბანია,
აქეთ, ამის უბანია,
გიჟიც თავისუფალია,
მკვლელიც თავისუფალია.

ნეტაი შენ რომელი ხარ? –
მე მგონი რო ორთავე, –
ამას ვიტყვი და იმწუთში –
ზევით, ღრიალს მორთავენ.

მკვლელი ჩუმად იღიმება,
არც მიყეფს და არც მიღრენს,
მომიტევეთ, გიჟი მე ვარ
მკვლელებზე რო ხმას ვიღებ.

## აღიარება

დააშავე? შეგეშალა? –
ტვინმა ცუდად გიშარა?
– აღიარებ? – რაინდი ხარ,
გაიტრუნე? – მშიშარა.

უფრთო, ფრთასა როდი შლიდა,
გადახვიდე არცთუ ზღვარს,
მოუხადე ბოდიში და,
დაადექი კაცურ გზას.

## დღევანდელი ლექსი

თუ ღირს არ ხარ,
ვარდის სურნელს ვინ მოგცემს,
მერე რა რო
ამოსულხარ ნაგვიდან,
მე რომ ვყვირი –
„აღარ მინდა სიცოცხლე“,
შენ მპასუხობ –
„ჩემ ფეხებს თუ არ გინდა“.

მერე რა რო
მომწონს შენი პასუხი –
შენივ თავის
ქვეყნად დასამკვიდრებლად,
ამ ქვეყანას –
არ სჭირდება ჯანსული,
ამ ქვეყანას
შენნაირი სჭირდება.

აქეთ ქროლვა
ვერცერთ აფრას ვერ ვანდე,
არც ის მიყვარს
ვინც ვერ მოდის, ვინც მორცხვობს,
მე მივმართავ,
საქართველოს, დღევანდელს,
ვისაც ეტრფი, –
ა, ის კაცი გიცოცხლოს.

## მონათა საყურადღებოდ

ალბათ, ეშმაკი გიმზერს „გოლიათს“,
ცქერა უფლისა აღარ გეღირსა,
ის, რაიც შენი სიბრძნე გგონია,
სწორედ ისაა ძალა ღმერთისა.

ჩამავალ მთვარეს მზეი მზით შველის,
შენს სადღეგრძელოს ვერ ვთვლი ფერებად,
შენი სიცოცხლის ცოდვას მირჩევნის, –
ჩემი სიკვდილის ბედნიერება.

## ტინგიცა

შე ცნობილო ტინგიცავ,
მსურს ქვეყანას ვახარო,
ჩემზე კარგად ვინ გიცნობს,
შე ახვართა ახვარო.

გაუტიე, ერიჰაა...
ლამის სისხლი გააშრო,
შენ, ქართველთა მტერი ხარ,
და მოყვარეს თამაშობ.

დღეო, რად არ ნათელობ,
ალბათ, აღარც მოგვიხვალ,
ვაი, იმ საქართველოს,
შენ რო კაცი ჰგონიხარ.

## გუშინ და დღეს

ჭიქა ღვინოც ვერ დალია,
ე, რა ეშმაკს შავებით?
საქართველო, სტენდალია
„წითლებით“ და „შავებით“.

ძველი აღარ შვენის სულეთს,
ძველს, დალი აქვს სიბერის,
ორივ ფერი შეიძულეს, –
ამჯობინეს – „ცისფერი“.

## ძველი სისხლი

*ჯაკოს*

სხვა ვერ მოზელს ვერც შენს თიხას,
ვერცა შენსა პურის ცომს,
არვე – არა, შენ – მწყემსი ხარ, –
მე შენს ჯილაგს ვგულისხმობ.

მორაკრაკებს წყარო სევდის,
არც საშველი არ მოსჩანს,
რომელ ფესვზეც აღმოცენდი,
ა, ის ფესვი არ მოსჭრა.

ძველი სისხლი ერთგულს მოსდევს,
მიაფურთხე სხვა ტახტებს,
მხოლოდ შენს თავს ეკუთვნოდე,
სხვისი მონა არ გახდე.

## ხურდაფული

დროი დროისაა, თარიღი თარიღობს,
არ მიყვარს ის ხალხი, ქირით რო მღერიან,
ხურდა არ აილო,
ხურდა არ აილო,
ამღები ხურდისა, მილიონერია.

## ჩიტების ტირილი

გაყიდეს ყველაფერი
ვერ ვიტან ამ ვაჭრებს,
ქარხნებს, რუსთაველზე,
ტოტები დააჭრეს.

როგორ გაუტიეს,
ვაჰ, როგორ შეტოპეს,
ტირიან ჩიტები,
ეძებენ ძველ ტოტებს.

მე ვერას გიშველით,
დროს ვუმზერ რისხვიანს,
ტყეში გაგიშვებდით,
მაგრამ ტყეც სხვისია.

ამ წყევლის სიტყვებით
რა ეშმამ მოგვენათლა,
ვის უნდა ჩიტები?
დრო გვიდგას ყორანთა.

## საიდან მოდიხარ?

მაშ, სიყვარული რამ შობა?
როდის ვიწყებით, როდის?
მთავარი გახლავთ, ბავშვობა,
სხივიც იქედან მოდის.

არ გიმღერია წვიმაში
არცა თოვლში და ქარში,
შენ, ახლა ეძებ, იმას, ვინც
გაგილაწუნა მაშინ.

მიჰქრის დრო, ვითარ რონოდა,
შეუპოვარი, მკაცრი,
შენ რო ბავშვობა გქონოდა,
დღეს იქნებოდი – კაცი.

## საოცრება

ვისაც ვენდობი, აქვე მყავს,
ჩემს გულშიც რწმენით მივედი,
რალა არ ხდება ამ ქვეყნად,
შურით და ფუჭი იმედით.

არ გაიკარო ახლოსა,
ის, რაიც მიაქვს ნიავსა,
ძაღლმა ყვავილი დაყნოსა, –
მოეწონა და მიაფსა.

## ციხე შიგნიდან ტყდება?

ვამბობ, თანაც ვარ მედგრადა,
ვამბობ ძველს და ჩემსას,
მტერი, როგორ გაბედავდა,
სვანურ კოშკში შესვლას.

მე არ მივსდევ ჩვეულ სევდას,
მონგრეულს და მოშლილს,
ნეტაი ვინ შეუშვებდა
მტერს – ხევსურულ კოშკში.

დღეს, ერთმანეთს მკვიდრად ვუტევთ, –
თავს ვეძახით მაგრებს,
ჩვენ, მივხედოთ შინაურ მტერს, –
ვინც ჩვენს ციხეს ანგრევს.

გულისცემა, მტრის გრიგალო,
გსურს რომ გამიჩერო,
ციხე ტყდება შიგნიდანო,
რა ვქნა, დავიჯერო?



ია ჯინჭარაძე

* * *

მერე რა მოხდა
თუ მიწაზე ვდგავარ და წყალი
ილვრება ჩემი ხელებიდან
ვარ უმიწაწყლო,
როგორც სურაში მომწყვდეული
სული საწყალი
და როგორც სურო მოსიარულე.
ვით ათაშანგით გათანგული
ზანგი შამანთან,
როგორც ოცნება ყარიბისა
– ირიბად თოვდეს!
მოვალ იმედით სანთელივით
ერთხელ ამანთებ,
იმედად მქონდეს.
ვავედრებ მოძღვარს,
ვინც იქნება
სულთა თუ ხუროთ,
სანამდე თვალებს გავუშტერებ
ზეცის გუბურას,
იანვრის სუსხში
თოვლი საბნად რომ არ ეხუროთ
ჩემს უსაყვარლეს ჩიტებს – ბელურებს.

* * *

მე წმინდანებთან ცხოვრება მიმძიმს,
მათ ბერულ სამოსს, ჩემს შიშველ სიცილს...
მარადისობის სიმძიმე ვიცან,
მე წმინდანებთან ცხოვრება მიმძიმს.
მე მახსოვს, მინდვრად მზეა ჩახჩახა,
აქ ოქროსავით ელვარე ქალებს
უცნობი ხელი აქრობს, აჩალებს,
მე მახსოვს, მინდვრად მზეა ჩახჩახა.
ჯიხვი ქიუხებს, დალის დალალი
შვენის და დარდობს მამა ჭარმაგი,
კოშკი ავაგე, წყალმა წაიღო
ჯიხვი ქიუხებს, დალის დალალი.
მე ამომქარგა ქარმა ქარაგმად,
ახლა გარეთ ქრის, გულს გიშლით ყველას,
რა გადაარჩენს ყვავილებს ველის?
მე ამომქარგა ქარმა ქარაგმად.

* * *

ვის შევადარო ჭიამარია,
შენ ავდარ-დარის პატარა მაცნევ,
გიხმე იმედად, რადგან ამინდის
მბრძანებელთაგან არავის ვიცნობ.
ვიცი მომიტანს სატრფო ბროლ-მარილს,
შორი ყოფილა გზა ალზევანის,
მომწყინდა ყოფნა ღამის ამარა,
დღე ინურება როგორც მტევანი.
ნაზელს ვით ალიზს, ფიქრებს მე უხმოდ
კალენდარივით შევუნთებ ბუხარს,
დაე იელვოს, დაე იქუხოს
გაშალე ფრთები მამაცი თუ ხარ.
მე ჭაშნაგირი არა ვარ, ჭანგი
ეპარვის ღვინოს, ვით თმას ჭაღარა
და აღარ ვდავობ ხმამაღლა, განგებ,
დამემოწმება ალვა მაღალი.

* * *

მითხარი ალვაო,
შენთან თუ ამოვალ,
მივწვდები იმ ღრუბელს
მზეს გზას რომ ულობავს?
რა ქვით, რა დუღაბით
ვაშენებ სამყოფელს,
ვუფინე ამ სოფელს
სულ ფიანდაზები,
არც ოქრო და ვერცხლი,
არც მიწა სამყოფი,
გავტენე ანდერძი
მარტოდენ აზრებით,
და მაინც აქამდე
ვერ მივხვდი ალვაო,
სიყვარულს უნდა თუ
არ უნდა მალვაო?

## ნაწყვეტი ბავშვობიდან

ცვენას ყვავილების
ბოლო აღარ უჩანს,
ნეტავ თუ დარდობენ
ნორჩი ალუჩები?
ღამეს უძილოს და
თვალებდალურჯებულს
უნდა გადარჩენა
და მე მას ვუჯერებ.
გალობს ბულბული და
რად არ დავმუნჯდები,
ტყეს შვენის ხე შვინდის,

26020
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყე ხარობს მოცხარით,
ჩემია ეს მიწა
ცით გადახურული,
ხან ხურო მიყვარს და
ხან ხუროთმოძღვარი.
რუ მიედინება,
ცეკვავს ნაიადა,
ვიცი რომ არსებობს
ქალაქი მედინა,
მაგრამ არ მსმენია
ჯერად აია და
მე ვარ ბედნიერი
სამოთხის ჩიტივით.

**ნინოს**

მივდივარ თუმცა არასოდეს ველი უარესს
მე სიტყვებს ოქროს ძაფებით ვკერავ
ნულარ იდავებთ დაობაში დაობდა პური
მამაპაპეულს თქვენ გითმობთ კერას.
უძვირფასესო! რად მაგონებს შენი თვალები
ძვირფასს შორეულს ვით ბავშვობას,
ვით კულულს ქერას,
ბოლოს და ბოლოს გამოცხვება კვერი ობლისა,
მე ამ ზღაპრების ისევე მჯერა.
დასერილია ცა ფრანებით,
ჩემო მერცხალო,
გსურს და იფრინე ვიდრე შენთვის
ქრიან ქარები,
ისე მივდივარ
მენატრება მე სოფლის წყარო
და წყაროს თვალთან ჩამომსხდარი
სოფლის ქალები.
შენ მოიარე იყალთო და გუდამაყარი,
შენ შეიყვარე ჩემი წილი მიწა-აყალო,
მე ცა დიადი ამედევნოს როგორც მაყარი,
გზადაგზა წვიმა ცრემლებივით გადმომაყაროს.
და თუკი გულმა სიტყვა სუფთა ვერ დაიტიოს,
თუკი სტრიქონმა შენც მოგგვაროს ელეთ-მელეთი,
გაუმკლავდები ვიცი მაშინ ყველა სტიქიონს.
მივდივარ თუმცა არ მქონია
მე სხვა ხმელეთი.

* * *

მე რა მინდოდა ცისკიდურისგან?
ფერი ლურჯი და ღრუბლის ისლური,
შემობრუნება შენი გულის და
უსასრულობა მთელი სისრულით.
ვით ცხრაკლიტული მზეთუნახავებს
შენს მონატრებას ისე ვინახავ,
ვერ ჩამოვიშლი ოქროს დალალებს
და ვერც დალაის გეტყვი. ვინა ხარ
ასე კარგი და ასე კეთილი?

დრო დადგა ჩემი დაცამიწების,
შემოისაზღვრე, ალალი იყოს
ჩემი ზღვები და ჩემი მიწები.
შემობზარული გატყდება ღამე
გარიჟრაჟით და ხმებით მამლების,
შენ აქ ადგილი შემომიკარვე,
ვიდრე მე ცისკენ მივიკვამლები.
მე რა მივიღე ცისკიდურისგან?
ფერი ლურჯი და ღრუბლის ისლური,
შემობრუნება შენი გულის და
ლექსი, რომელიც ვერ დავასრულე.

**ბედნიერების ლექსი**

გამოვმზეურდით.
დავაფინეთ შენაციები სული და ძვლები,
მზე თავს გვევლება,
იმოსება ბალი ფერებად,
ღრუბელი ღრუბელს წინ მიუძღვის,
ხან ეფარება,
თუ გინდა მისწვდე
აიწიე ფეხის წვერებზე.
– როგორც ხომალდი ნავსადგურში
მე თქვენს გულებში...
დაუშვით აფრა
მეზღვაურნო!
აკეცეთ წყალი...
გიჟი პოეტი
აწენილი თმითა და წვერით,
მეზობლის გოგო მიღიმილებს:
– აფრენს საწყალი.
ძაძით მოსილი დედაბერი დაძენძილ თვალებს
ცას გაუშტერებს:
– გაისამდე მაცოცხლო მინდა.
– არაფრად ვაგდებთ ჩვენს ცხოვრებას
როცა ვთენდებით,
მზეს ვემსგავსებით
მერე ოდეს ვეშვებით ბინდად...
თუმც ზედმეტია ეს სიტყვები, ყალბი და ფუჭი,
დედოფლად თუკი მობრძანდება
თავად მაისი,
ჩემი ბიჭუნა კატას კუდზე ებღაუჭება
და მზეს ასხივებს
მხიარული თვალები მისი.

* * *

...ვით გალაღებულ სოვდაგარს
ალებით, წაგებ-მოგებით.
ვარსკვლავის ამობრწყინებას
განადიდებენ მოგვები.
გატაცებული ომებით,
ტრფობით და დროთა დინებით
უდაბნოს შემორიგებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედავენ ბედუინები.
შორია როგორც ქააბა,
ჭრელი ვით ტყვეთა ბაზარი,
მუეძინი რომ გააბამს
ნიშნავს რომ დროა აზანის.
მე ქებამ მზეზე მალალის
დამლალა, ისე მწყურია
ჩემი სამშობლოს ჰაერი
როგორც სამოთხე ჰურიას.
ინვიმოს მაინც, დაფარავს
თუკი გრძნობებმა დამძლია,
სულში განძივით ჩაფლული
ჩემი ტაო და ტანძია.

* * *

აიშენა ქვის სამტეხლო,
ღამის ტეხით ელის
მოვა ვინმე მშვენიერი,
როგორც მილოსელი.
სელს ართავენ, სანთლის შუქზე
წერენ ასომთავრულს
და მავრივით გაბადრული
და მეჩეთის მთვარე
მომაგონებს სოვდაგარს და
სევდას სოვდაგარის,
მივიწყებულ იდილიას:
თოვდა, ქსოვდა ქალი.
ჩასჩურჩულებს ქარი ჭადრებს
– არის ძლიერ ავად,
ძალას იკრებს რაც ადარდებს
თავად უთხრას თავადს.
ყველაფერი სულერთია,
სულეთია ახლო

და სულეთში ბევრი ჩვენი
ახლობელი სახლობს.
მაგრამ თურმე სიყვარული
არის უფრო მეტი,
ვიდრე ზანტი ჰორიზონტი,
ვიდრე ჰეგზამეტრი.
ერთ დღეს მიდის უფლისწული
და ბრუნდება მეფე,
სულში ბარდნის, რტოზე ვარდის
ბულბულები ყეფენ.

* * *

წვეთი და წვეთი და მერე წვიმა,
სველი ბალახი ერთმანეთს ეკვრის,
წვანან ნიმფები, წიწვების მწვანე
უდგათ თვალებში დაღლილებს ცეკვით.
წვიმს და ტყისმჭრელის ღარიბულ ქოხში
ტყისმჭრელის ცოლი ცის შროშანს ქარგავს,
მისგან გამომყვა თვალები ჭრელი
და სიყვარული ხეების დარგვის.
უმზერს მეთევზე თუ როგორ აწვიმს
ზღვას და ლანდებად მოარულ გემებს
და ენვის სული მლაშე წყლით სავსე
და გრძნობს ბაგეზე ზღვის წყალის გემოს.
გადაუარა ქარმა ქონგურებს,
როგორ ვიპოვოთ სადგური ქართა?
მოდის მოხუცი, წყალობას ითხოვს
და მერე გვხვდება სამოთხის კართან,
ყველაფერს აქვსო თავისი ბოლო
სიყვარულივით მოვა, გაივლის
და მოდის წვიმა – მსხვრეული ბროლი,
ნაკითხულია შრიფტით ბრაილის.

პირველი შთაბეჭდილება

# გრძნობითი ინტუიციის სივრცე

ია ჯინჭარაძე არის იმ პოეტთაგანი, რომლებსაც ბევრი მკითხველი ჰყავთ არა მარტო იმიტომ, რომ მელოდიურ ლექსებს წერენ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ გულგახსნილი არიან გარესამყაროს მიმართ და ამბობენ იმას, რასაც გულის პრინციპი ჰკარნახობთ.

გამჭვირვალობა, კეთილხმოვანება, ემოციურობა, დახვეწილი ფრაზები, ალიტერაციები და სხვა ესთეტიკური დეტალები მთლიანობაში ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ყველაფერი არის ძალზე ნაცნობი და ადგილმისაგნები, მაგრამ, მეორე მხრივ, არის აქ რაღაც განსხვავებული და ძნელად მოსახელთებელი.

სტრიქონთა პოლიფონიურ კონსტრუქციებში დევს იმაზე მეტი შინაარსი, ვიდრე ერთი შეხედვით მოჩანს. პროპორციების კანონი აქ პირობითად არის დაცული. სინამდვილეში, ყოველი პროპორცია თავის თავში ატარებს დეფორმაციის მუხტს, რაც უთუოდ აძლიერებს მხატვრულ გამომსახველობას. სადღაც აქ, ამ ველში ხდება ცხოვრებისეული ფაქტების მხატვრულ ფაქტად გადაქცევა, სიტყვის შევსება ესთეტიკური შინაარსით, ფრაზის აზრობრივი შესაძლებლობების გაფართოება.

ია ჯინჭარაძემ კარგად იცის სინამდვილის ენა და პოეზიის ენა, ისიც იცის, თუ სად, რომელ სივრცეში უნდა დაახლოვდეს ეს ორი კატეგორია, ორი მხარე თვითგამოხატვის სტიქიისა. ეს არის ემოციის, გრძნობითი ინტუიციის სივრცე, სადაც ყველას არ ძალუძს შესვლა, ხოლო ვინც შევა, მისთვის მკითხველთა ინტერესი გარანტირებულია...

როგორც ამჯერად, ამ შემთხვევაში.

**მალხაზ ივანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რილკეს უკანასკნელი წუთები

***რუდოლფ კასნერი – პრინცესა ტაქსისს რომში***

*[ვენა,] 5. 1. 1927*

მოწყალეო პრინცესავ!

რილკეს გარდაცვალების შესახებ მხოლოდ იმის დაზუსტება შევძელი, რომ ლეიკემიით გარდაიცვალა. ეს სენი თურმე მრავალი წელი ჩასაფრებოდა. საბრალო, უკანასკნელ დღეებში, როგორც ჩანს, ძალზე იტანჯებოდა. მისი მეუღლე ჩამოვიდა სიერში, მაგრამ რილკეს ზედმეტი ფორიაქი ისე აშინებდა, მის ნახვაზე უარი უთქვამს. ახლობლებიდან მასთან, ეტყობა, მხოლოდ ქალბატონი ნანი ვოლკარტი იმყოფებოდა და სწორედ მან გამომიგზავნა დეპეშა. რილკე ვალმონტის სანატორიუმში გარდაიცვალა. ის ბარათი, ბოლოს რომ მომწერა – ფანქრით, ალაგ-ალაგ აცახცახებული ხელით – და სადაც თქვენც მოგიხსენიებთ, საერთოდ მისი უკანასკნელი წერილია. ეს ჩემთვის უძვირფასესი, გულისმომწყვლელი საბუთია. ბოლო სტრიქონი ასეთია: ბევრს, ბევრს ვფიქრობ თქვენზეო. 15 რიცხვითაა დათარიღებული. წარმოდგენა არ მქონდა, მისი მდგომარეობა ასე მძიმე თუ იყო. ეს არც შვეიცარიიდან ჩამოსულ ბურკჰარტს სცოდნია, მხოლოდ ეს მითხრა, რილკეს ჩიყვი აწუხებსო. სანატორიუმში გამგზავრებამდე თურმე დამ მოინახულა და საშინლად გამხდარი ეჩვენა. ამის შესახებაც მხოლოდ ახლა შევიტყვე. „ფრანკფურტერ ცაიტუნგმა" მის შესახებ რამის დაწერა მთხოვა და მეც მოგონებები დავწერე, რომელსაც გამოგიგზავნით.

იგი უეჭველად უძვირფასესი და უსაყვარლესი ადამიანი იყო მათ შორის, ვისაც ამქვეყნად უცხოვრია.

ყოველივე კარგს გისურვებთ.

*რ. კ.*

იმ პატარა წიგნზე ვიზრუნებ, როგორც კი რილკეს ქალიშვილის მისამართსა და გვარს დავადგენ.

***ნანი ვუნდერლი-ვოლკარტი გუდი ნიოლკეს***

*მაილენი, [19]27 წ. 16 თებერვალი*

ჩემო კარგო, ძვირფასო ქალბატონო ნიოლკე, მთელი გულით გმადლობთ იმ თბილი სტრიქონებისათვის, რომელიც მომწერეთ; ვიგრძენი, რომ თქვენც მთელი გულით განიცადეთ ჩემთან ერთად ჩვენი მეგობრის დაკარგვა, მას ხომ ამქვეყნად ვერავინ შეგვიცვლის.

გუშინ ამანათით გაგიგზავნეთ მისი ფოტოსურათები, ისინი არაპროფესიონალის გადაღებულია, მაგრამ გავადიდებინე და ძალიან კარგი გამოვიდა. როცა ვუყურებ, თავისი ძველი, ასე ახლობელი პალტოთი რომ დგას, ყურში ჩამესმის მისი სიცილი. რა კეთილი, სუფთა სიცილი ჰქონდა, მისი სულის სიღრმიდან რომ მოდიოდა და ასე გადამდები იყო! მიხარია, რომ მისი სწორედ ეს უბრალო სურათი მაქვს, ერთი წლის წინათ ვალმონტში ექთანმა რომ გადაუღო. მაშინ გამოკეთებული და დამშვიდებული ტოვებდა იქაურობას და ყველას უხაროდა, მომჯობინდაო. რაგაცში გატარებულმა ზაფხულმაც კარგად ჩაიარა, აბაზანები ძალზე მოუხდა, ბევრს მიმოდიოდა და უამრავი ძვირფასი და საინტერესო ნაცნობიც გაიჩინა. ერთი კვირით მეც ვესტუმრე და არასოდეს დამავიწყდება, გამოთხოვებისას როგორ იდგა ხეივანში, ჩვენს მანქანას ხელს რომ უქნევდა. ჭაბუკივით იყო – თავაშვებული და... დაუვიწყარი. მაშინ წამიკითხა თავისი „ნარცისი", ვალერის შესანიშნავ თარგმანში. [...]

მალევე დაბრუნდა სიერში, იქიდან კი ლოზანაში წავიდა. იქ ქალბატონ ვაინინგერს ესტუმრა, – დიდი ხნის მეგობარს, რომელიც ყოველ წელს ამ დროს ვაჟიშვილთან ერთად ჩერდებოდა ლოზანაში. იქ შეიკრიბნენ პარიზელები, ეგვიპტელები – საკმაოდ მრავალფეროვანი, კოსმოპოლიტური საზოგადოება. ვალერიც თურმე იქვე, ტბის მოპირდაპირე ნაპირზე ყოფილა გაჩერებული და რილკემ ისიც მოინახულა. მაგრამ იქ, იმ ხალისიან ყოფაში რაღაც უეცარმა შიშმა დაზაფრა, ავდარივით იგრძნო რაღაც გარდუვალის მოახლოვება და იმეორებდა: ეს წელი ჩემთვის ცუდად დამთავრდება! ამ დღეებიდან მოყოლებული თითქოს ავბედითი ჩრდილი გადაეფარა მთელ მის არსებას.

ერთი ახალგაზრდა რუსი გოგონა ნახა, რომელიც თან წაყვა სიერში და მისი მდივანი გახდა. რილკე უკვე რახანია ოცნებობდა ასეთ შეხვედრაზე: სურდა რუსი ქალი ჰყოლოდა გვერდით და მასთან ეთანამშრომლა. გოგონამ სიერში, ბელევიუს სასახლეში დაიდო ბინა, რილკე კი კვლავინდებურად მიუზოში იმყოფებოდა. ერთად კითხულობდნენ რუსულ წიგნებს, რილკე ვალერის თარგმანებს კარნახობდა, რომლებზეც იმ ბოლო ხანს მუშაობდა. განუწყვეტლივ დაკავებულნი იყვნენ და რილკე მისადმი დიდი სიმპათიით განიმსჭვალა. მაშინ ერთი უნგრელი მეგობარი მყავდა სტუმრად და ერთად გვინდოდა მანქანით მოგვევლო ნოიშაპელი, ჟენევა და ბოლოს სიერშიც ჩავსულიყავით. 23 სექტემბერს მართლაც იქ ვიყავით. რილკე არ მელოდა, შორიდან დავლანდე იგი სასადილო დარბაზში და შევცბი, ისეთი გამოცვლილი მეჩვენა: გატანჯული, შეშფოთებული, უფერული სახე ჰქონდა, თითქოს მძიმე ავადმყოფობა გადაეტანა. შემდეგ ეს პირველი შთაბეჭდილება გადამავიწყდა: ჩვენთან საუბრისას გამოცოცხლდა, ძალზე თბილად შეგვხვდა და ბევრი ვუამბეთ ერთიმეორეს. დღის საათებში მუდამ მუშაობდა, საღამოს კი ჩვენთან გადმოდიოდა. მაგრამ სამი დღის შემდეგ უმწვავესი ჭვალის გამო ათი დღე ლოგინში ყოფნა მომიწია, საშინელი ტკივილები მქონდა და ვერ ვინძრეოდი. რილკე გულისამაჩუყებელი სისათუთით მევლებოდა თავს; საღამოობით ყველა ჩემი საწოლის გარშემო იკრიბებოდა. დღისით ჩემი მეგობარი მარტო დასეირნობდა მანქანით...

რილკე საღამოობით, როგორც წესი, კარგ გუნებაზე დგებოდა და ჩვენ მხიარულ თამაშებში ვატარებდით დროს. ფერმკრთალი კი იყო. როდესაც მოკლე ხნით მაინც შევძელი გარეთ გასვლა, ერთად ვსეირნობდით; ნელა მომყვებოდა გვერდში, მიფრთხილდებოდა, რადგან ტკივილები ჯერაც ბოლომდე არ მქონდა გავლილი. როცა ჩემმა მეგობარმა მანქანით გზის გაგრძელება მოინდომა, მე, ხელახალი გაციების შიშით, მატარებელი ვარჩიე, თუმცა რილკეს მუდარას დავყევი და კიდევ ერთ დღეს დავრჩი. დილითვე გამომიარა, რაღაცით ძალზე გატანჯული ჩანდა, თითი შეეხვია: თქვა, ვარდის ეკალზე გავიფხაჭნე, ძალიან გამილიზიანდა და მაწუხებსო. მეორე დღეს იგივე განმეორდა, ოღონდაც მეორე ხელზე. მართლა ძლიერ იტანჯებოდა. დავითანხმეთ, ბელევიუში გადმოსულიყო, რადგან აქ იყვნენ ექიმები და იყო ყველაფერი, რაც კი შეიძლება დასჭირვებოდა. ჟენია (რუსი გოგონა) შვილივით ევლებოდა თავს, ძალიან შემიყვარდა და მიხაროდა, რომ მის გვერდით იყო, – ასეთი მშვიდი, გამგები და ყოჩაღი. როდესაც შინ ჩავედი, ისე სუსტად ვიყავი, მაქანავებდა, და ჭვალის ბოლომდე მოსარჩენად საავადმყოფოში დაწოლა გადავწყვიტე[...]



*რაინერ მარია რილკე*

რილკესგან თბილი წერილები მომდიოდა, ოღონდ ეგ იყო, თავის მდგომარეობაზე ბევრს არაფერს მწერდა. შემდეგ ათი დღე არაფერი მიმიღია მისგან, ვიფიქრე, სამუშაოთი დაკავებული-მეთქი და გულში მიხაროდა, რომ ისევ წერდა.

შემდეგ მოვიდა წერილი ჟენიასაგან: 30 ნოემბერს გადავედით ვალმონტში, რილკე ძალიან ცუდად არისო, ძლიერი ტკივილები სტანჯავს და მის გამო ძალიან ვშიშობო (ამ დროს ჟენია დედასთან გაემგზავრა ლოზანაში). იმწამსვე დავრეკე ვალმონტში. დოქტორმა ფონ შულტერსმა დამამშვიდა, საგანგაშო არაფერია, მხოლოდ ძლიერმა ტკივილებმა დაასუსტა და, შესაძლოა, კიდევ მოუწიოს ტკივილის დათმენაო. იმავე დღეს მივწერე რილკეს. რამდენიმე დღეში – კვლავ სატელეფონო ზარი: მთავარი ექიმის, დოქტორ ჰემერლისთვის გაუგზავნიათ დეპეშა ბერლინში, რომ დაუყოვნებლივ ჩამოსულიყო. მდგომარეობა გაუარესდა. შეწუხებული ვიყავი, უგულოდ ვემზადებოდი შობისათვის, მთელი გულისყური ვალმონტისკენ მქონდა მიპყრობილი. მეორე საღამოს დოქტორ ჰემერლიმ დამირეკა: საქმე ძალზე სერიოზულადაა, მწვავე ლეიკემია აღმოაჩნდაო. ვიყვირე: ახლავე მოვდივარ-მეთქი, მაშინვე ჩავალაგე ბარგი. ამ საღამოს კიდევ მივიღე რილკესგან ფანქრით დაწერილი ორი წერილი: c'est l'enfer, jour et nuit!* მთხოვდა სხვადასხვა საშუალებებს ტკივილის გასაყუჩებლად! დილაადრიან წავედი ქალაქში, ვიყიდე ყველაფერი, გავემგზავრე, ლოზანაში ჟენიას შევხვდი – საღამოს ვალმონტში ვიყავი, დოქტორ ჰემერლი ვნახე – იგი თვითონაც შეშფოთებული იყო – მის ოთახში უახლოეს სკამზე დავეშვით და ავტირდით – – საშინელება გახლდათ. შემდეგ ვნახე თვითონაც – და ეს ყველაზე საშინელი იყო – რადგან ისიც, თვითონაც – ტიროდა –, ჩემო ძვირფასო, – მხოლოდ თქვენ გიამბობთ ამას ასე – სხვა არავისთვის არ მიმიწერია – თქვენ უნდა გითხრათ, რადგან თქვენ იცით, რა არის ტკივილი, თქვენც ხომ დიდი სიმძიმე გამოსცადეთ. –

იმ წუთიდან მოყოლებული – აღსასრული მოდიოდა. ვცდილობდი უწინდებურად მშვიდი და ხალისიანი ვყოფილიყავი[...] მე მგონი, უხაროდა, რომ მასთან ვიყავი, ერთხელ მითხრა, თქვენ მე სიცოცხლეს მიბრუნებთო. ჟენია ორჯერ ჩამოვიდა ლოზანადან, ეს დიდი სიხარული იყო. ბევრს ვუკითხავდი ფრანგულად, ზოგჯერ სამიდან ცხრა საათამდე. უძრავად იწვა თვალდახუჭული, ცვილივით გადაფითრებული. წვერს აღარ იპარსავდა. არაჩვეულებრივი ექთანი ჰყავდა, დღესა და ღამეს მასთან ასწორებდა. ორი საუკეთესო პროფესორი მოვიყვანეთ, მათი თქმით, რილკეს მხოლოდ ორიოდ დღის სიცოცხლეღა რჩებოდა[...]

ეს ძვირფასი ადამიანი თანდათან ხელიდან გვეცლებოდა. არავის ნახვა არ სურდა. მაგრამ მე რომ მასთან ვიყავი, სიამოვნებდა. ერთხელ მოულოდნელად მითხრა: ძვირფასო, მომეშველეთ, ჩემი საკუთარი სიკვდილით მოვკვდე, მძაგს ექიმების სიკვდილი! მინდა თავისუფლად მოვკვდე. – სიკვდილის შესახებ კიდევ ეს თქვა: მე ხომ მას ასე კარგად ვიცნობ! და კიდევ: სიცოცხლე ველარაფერს მომცემს – ყველა მწვერვალი უკვე დალაშქრული მაქვს –. იმ წუთიდან მკურნალობით აღარ აწვალებდნენ, მხოლოდ იმას აძლევდნენ, რასაც ითხოვდა. წამლებიდან – მხოლოდ ტკივილის გამაყუჩებელს, არაფერს გამაბრუებელს. უშუალოდ ტკივილებზე ვერაფერს მოგწერთ, ოდესმე ამას პირისპირ გეტყვით, ჩემო ქალბატონო ნიოლკე, მას მართლაც უსაშველო ტანჯვა ერგო წილად. – მაგრამ მცირედ შვებას თუ დახმარებასაც კი უდიდესი მადლიერებით ეგებებოდა. ხშირად ექთანში ვეშლებოდი – თანდათან გონს კარგავდა – ბევრს ახველებდა – ოხრავდა, ისე – გული მეხლიჩებოდა – ბოლოს არც საკვებს, აღარც წყალს იღებდა – ვიდრე სიკვდილის ძილ-ბურანში ჩაეფლობოდა, მისი ბოლო სიტყვა იყო: მერცი – დოქტორ ჰემერლისა და ექთანს მიმართავდა – სრულიად უგონოდ იყო დილიდან მომდევნო დილამდე, ვიდრე უკანასკნელი ჩუმი ოხვრით დალევდა სულს.

შვებით ამოვისუნთქე და ეს ვთქვი: მადლობა ღმერთს! ბედნიერი ვიყავი, რომ მისი ტანჯვა დასრულდა. [...]

* ნამდვილი ჯოჯოხეთია, დღე და ღამე! (ფრანგ.)

*კატარინა კიპენბერგი რილკეს დაკრძალვის შესახებ*

ახალი წლის დღეს გლიონიდან სიერისაკენ გავემართეთ. დაკრძალვა 2 იანვრისთვის იყო დანიშნული. შევაბიჯე იმ სასტუმროში, სადაც რილკეს მზრუნველობა მუდამ გარს მერტყა, თითქოს მეგობრების ოჯახში მოვსულიყავი. ამჯერად სასტუმრო სავსე დამხვდა, სადღაც მესამე სართულზე ძლივს მოიძებნა ჩემთვის ოთახი. მეტრდოტელმა, ლიფტით რომ ამაცილა, მომიბოდიშა იმის გამო, რომ უკეთესი ვერაფერი დამახვედრეს. ნუთუ ამდენი ხალხი დასაფლავებაზე ჩამოვიდა-მეთქი? თავიდან ვერ გამიგო. არა, საახალწლო მეჯლისზეო, მიპასუხა.

დილაადრიან რარონისკენ გავუყევით ჭადრების დიდ ხეივანს. იმ ღამით ითოვა, თეთრი სუდარა ეფარა ხეობას, ხეები პირქუშ მცველებად იდგნენ გზის პირას. რარონის პატარა ეკლესია მაღალ ბორცვზე დგას, მისკენ კლდეში ნაკვეთ დამრეც კიბეს მივუყვებოდით, ორივე მხრიდან კი საკვირაო სამოსში გამოწყობილი ადგილობრივი გლეხი ქალები მდუმარედ გვიკრავდნენ თავს. იმ დილით სოფლის ახალგაზრდა გოგონებმა ააცილეს პოეტი ეკლესიამდე – ასე მოისურვეს მისმა შვეიცარიელმა მეგობრებმა. ყვავილებით დაფარული კუბო ეკლესიის შუაგულში, საკურთხევლის წინ დაასვენეს, მის გასწვრივ ბიჭების გუნდი ჩამწკრივდა, თავთით – ღირსეული პასტორი ედგა, კედელთან, როგორც ძველ ფრესკებზე, მუხლი მოეყარათ გლეხებს, მაგრამ ჩვენ, რილკეს მეგობრები, ჩვენი ტკივილით დამძიმებულნი, ცერემონიის მსვლელობას ვერც კი ვამჩნევდით, თუმცა ის ჩვენივე ტკივილის ენით მეტყველებდა.

**გერმანულიდან თარგმნა**
**თამარ კოტრიკაძე**

---

**გრიგოლ სენეკური**

# დანაშაული და ბრალი ფრანც კაფკას რომანებში

*

## კაფკა – მარქსის თანამოაზრე?!.

„...და საერთოდ, როგორ შეიძლება ადამიანი დამნაშავე იყოს, ჩვენ კი აქ ყველა ადამიანები ვართ...“

*ფრანც კაფკა, „პროცესი“*

სიზმრისეული გარემო, კაფკას რომანებს იდუმალს რომ ხდის, მიგვანიშნებს, რომ მოქმედება ე.წ. „არაცნობიერის“ საუფლოში ხდება. კაფკას სიუჟეტი სიმბოლურია. ის კაცადქმნის ამბავს აგვიწერს. მთავარი პერსონაჟი ხვდება ინდივიდუალურ არქეტიპებს და მათთან შეჯახებისას ილუპება – ეს არის ჩვენთვის კარგად ცნობილი ცნობიერების დრამა, როცა პერსონაჟები „სულის“ ფუნქციებად განიხილება. ცნობიერება პირისპირ დგება მისთვის გაუგებარ სინამდვილესთან და ცდილობს მისი საიდუმლოს ამოხსნას, განმარტებას, კომენტირებას.

კაფკა არასოდეს ხდის იდუმალების ფარდას. ის მკითხველისთვისაც დაფარულია, თუმცა კაფკას რომანების კომენტატორები იოლად ეგებიან ანკესს და ცდილობენ მწერლის მიერ განგებ დაფარული გაუგებრობის ახსნას. არადა, თუ კაფკას გრძნეულ თამაშს არ ავყვებით, ძნელი მისახვედრი როდია, ეს გაუგებრობა რომ უფრო ხელოვნურია, ვინემ რეალური. კაფკა ოსტატურად გვახვევს თავს სინამდვილის მისეულ აღქმას, რასაც ბევრი ავადმყოფური ფანტაზიის გამოვლენად უთვლის. უნდა გვახსოვდეს, რომ მოქმედების ფონის გაბუნდოვანებით კაფკა დიდ მწერლურ განზოგადებას აღწევს – სიუჟეტი საყოველთაო ხდება, სადაც და რა დროსაც არ უნდა ხდებოდეს ის. ამით კაფკა კაცადქმნის პროცესს (მის ერთ-ერთ უცნობილეს რომანსაც ხომ იგივე სათაური ჰქვია!) სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცაღა ადვილი საგრძნობია, რა სკეპტიკურად უყურებს თავად მწერალი ამნაირ მეტამორფოზებს – რამდენადაც დრამატულია პერსონაჟის თავგადასავალი, იმდენად მეტად ხალისობს კაფკა-შემოქმედი. მისთვის ეს გართობაა. მან თითქმის შეუძლებელი შეძლო – შეაერთა ტრაგიკული და კომიკური, თანაც საერთო განწყობა არ შეუბღალავს. სქემა ერთობ მარტივია: ტრანსცენდენტური გარემო ამარცხებს პროტაგონისტს და ისიც ილუპება. ბერძნული დრამის მსგავსად ეს ტრანსცენდენცია თითქოს ფატალურობის განცდას უნდა გვიქმნიდეს, მაგრამ, როგორც წესი, კაფკასეული გარემო ხშირად უგვანი და უხამსია. სწორედ ამის გამო ვერ ვილაპარაკებთ პრაღელი მწერლის თეოლოგიურ მრწამსზე, რადგან კაფკა ხშირად აშარჟებს იმას, რასაც ჩვენ ფატუმს ვუწოდებთ. მართალია, პერსონაჟები ძრწიან სინამდვილის წინაშე, მათთვის დაუძლეველ ბარიერად რომ ქცეულა, მაგრამ ეს მაინც არ არის საღვთო შიში. ინდივიდუალური არქეტიპებით დაზაფრულ პროტაგონისტს შიშის ზარს სცემს ტრანსცენდენციად გარდაქმნილი სოციუმი, რომლის კრებითი სახე-სიმბოლოა მამა, რომელიმე თანამდებობის პირი, საერთოდ „შეფი“, როგორც ზემდგომი ინსტანციის წარმომადგენელი. სწორედ ამიტომაა კაფკას პერსონაჟებისთვის სამსახური ესოდენ მძიმე – პატრიარქალური საზოგადოება ხომ მათგან სხვაგვარ მოქცევას მოითხოვს, რაც მათ ერთობ საეჭვო სიტუაციებში აგდებს.

საზოგადოებრივი ურთიერთობის ამგვარი გაგებით კაფკა დიდად ენათესავება მარქსს, ვისი სოციალური დეტერმინიზმის თეორია ბევრი გაუგებრობის სათავედ იქცა. მარქსისთვის პიროვნება საწარმოო ძალთა ურთიერთზემოქმედების პროდუქტია. ეკონომიკურ კანონებს ლამის ფიზიკური კანონების საბედისწერო და შეუქცევადი სახე მიუღია. პიროვნება მთლიანად არის დასაზღვრული საზოგადოების მიერ – ის ჭანჭიკია სოციუმში და მისი ნებელობაც საწარმოო ძალებს შთაუნთქავს. სოციუმი მრისხანე და გადაულახავი ძალაა, რომელსაც ინდივიდი ვერ გადაახტება.

განა იგივე არ ხდება კაფკას რომანებში? პროტაგონისტი ამაოდ ეწინააღმდეგება კოლექტიური არქეტიპით გამთლიანებულ სინამდვილეს, რომელიც ბრალდებულივით სჯის მას („პროცესი"). ბრალიც და დანაშაულიც ხომ სოციალური დეტერმინიზმის გამოვლენაა. კაფკა არასოდეს გვიხსნის დანაშაულის არსს ან ბრალდების მიზეზს.

ეს მიზეზები პერსონაჟებისთვისაც დაფარულია. დანაშაულის ამგვარი გაგებით კაფკას სურს მიგვანიშნოს, რომ ბრალი უმალ სამართლებრივი კატეგორიაა, ვიდრე პიროვნული განცდა. ამადაც დიდ როლს ასრულებს მის თხზულებებში სასამართლო. ყურადღება ბრალის გარეგნულ მხარესაა გადატანილი, დანაშაულის ე.წ. „შინაგანი" განცდა კი უარყოფილია. „პროცესის" მთავარი პერსონაჟი იოზეფ კ. მთელი რომანის განმავლობაში ეძებს საკუთარი დანაშაულის დამამტკიცებელ თუ გამაბათილებელ არგუმენტებს და ერთხელაც არ დაფიქრდება, არის თუ არა ის პიროვნულად დამნაშავე. კაფკას თვალსაზრისი აქ ისევ მარქსისეულს უახლოვდება: თუ გარემო მოხსნის ბრალს იოზეფ კ.-ს, ის გამართლდება. მარქსისთვის ხომ განმსაზღვრელი სოციუმია. კაფკაც და მარქსიც ათვალწუნებით უყურებენ სოციუმს. „პროცესის" კითხვისას გამუდმებით ვგრძნობთ, რომ ნამდვილი დამნაშავე გარემოა. კაფკა ოსტატურად მიგვანიშნებს ამას – სასამართლოს კანცელარია ნადირის სოროს ჰგავს, თავად მოსამართლენი თუ ადვოკატები ბინძურები, უხამსები და ტუტუცები არიან. იოზეფ კ. ისე კვდება, ვერც ხვდება რა დააშავა. რატომ არ გვიმხელს ამას კაფკა? მიზეზი მარტო სინამდვილის სიმბოლიზების სურვილი როდია – დანაშაული ყოველთვის გულისხმობს მორალური ნორმების დარღვევას, კაფკას პერსონაჟებს კი ჯერ ასეთი ნორმებისთვის ვერ მიუგნიათ. უფრო მეტიც: კაფკასთვის დიდად საეჭვოა ყოველგვარი ნორმა. ერთადერთი, რითაც ინდივიდი საზოგადოებას ემოციურად უკავშირდება, – დასჯის შიშია. კაფკას პერსონაჟებს არა აქვთ შინაგანი კავშირი სოციუმთან. ამიტომაც რეფლექსიაზე საუბარი უადგილოა. ისინი იმდენად მარტოსულნი და გარიყულნი არიან, დანაშაულის განცდა მათთვის დიდი ფუფუნება იქნებოდა.

ვფიქრობ, კაფკას მართებულად ესმოდა პრობლემის არსი: ინდივიდუაციის პროცესში უნდა დაიძლიოს არქეტიპების გავლენა პიროვნებაზე. ერთ-ერთი ასეთი ძნელი არქეტიპია მამის კრებითი სახით გაერთიანებული სოციუმი – პატრიარქალური საზოგადოების სიმბოლო. ამგვარი საზოგადოების ავტორიტარული და ტრანსცენდენტური ბუნება ეჭვს არ იწვევს. სოციუმი ტრანსცენდენტურია არა იმდენად ზებუნებრივი და დაუძლეველი ძლიერებით, რამდენადაც თავად პროტაგონისტის უძლურებისა და ავტორიტარის ულოგიკობის გამო. ავტორიტარიზმის ზემოქმედება ხომ ყოველთვის „არაცნობიერია" – ის შიშის საშუალებით მოქმედებს და მისი მთავარი იარაღი მსჯავრია. უაპელაციო მორჩილება და განდევნის შიში – აი, ორი უმთავრესი ბურჯი, რასაც ავტორიტარიზმი ეყრდნობა. იოზეფ კ. სწორედ ავტორიტარული სოციუმის ზეგავლენის ქვეშ მოექცა: მარტოობა უბიძგებს მას ეძიოს სიახლოვე თუნდაც ეგოდენ მრისხანე და უსამართლო უწყებასთან როგორიც სასამართლოა.

ახლა უკვე ვხვდებით, თუ რატომ არ გვიხსნის დანაშაულის არსს მწერალი. ეს „არაცნობიერზე" მითითებაა და იოზეფ კ.-ს დრამაც სინამდვილის გაცნობიერების უუნარობაა – იმის ვერშეძლება, დასძლიოს ეგზომ უმიზეზო შიში სოციუმის წინაშე. ის განწირულია, რადგან ხსნას ისევ ავტორიტარულ ტრანსცენდენტურ ძალას სთხოვს.

ძნელი სათქმელია, შექმნიდა თუ არა კაფკა ადამიანთა ერთობის ისეთ მოდელს, რომლის წევრებიც ერთმანეთს ძალადობის თვინიერ დაუკავშირდებოდნენ. მისი პერსონაჟები დაჟინებით მიისწრაფვიან სოციუმისაკენ, თუმცა ეს მხოლოდ არქეტიპულ დონეზეა შესაძლებელი. ამიტომ ნთქავს მათ „არაცნობიერი" – ისინი ინდივიდუაციის გზაზე ილუპებიან ან თავად მწერალი ვერ ამთავრებს თხზულებას. მიზეზი – კაფკას უუნარობაა, ჩამოაყალიბოს თავისი ანთროპოლოგიური მოდელი. მან არ იცოდა, როგორ დაემყარებინა ურთიერთობა სოციუმთან, რომელიც მის ნაწერებში ტრანსცენდენტური საშინელების სახით წარმოგვიდგება.

ბრალისა და დანაშაულის თემაც კაფკასთან ახლებურად ტრანსფორმირდება: დამნაშავე არავინაა, დანაშაული არ არსებობს. სამაგიეროდ, არის მარტოობა, რომლის დაძლევაც შეუძლებელია.

**P.S.**

ესეის დაწერა გადამაწყვეტინა ქ-ნ მარინე ტურავას პუბლიკაციამ „თვითგადარჩენა თუ საკუთარ ბედთან შეგუება?!" („ჩვენი მწერლობა", №24, 2007), რომელშიც ავტორი ძალზე საინტერესო თემას ეხება – დანაშაულისა და ბრალის გაგებას ფრანც კაფკას შემოქმედებაში. ვფიქრობ, რედაქციამ აუცილებლად უნდა გამართოს დისკუსია ჟურნალის ფურცლებზე კაფკას – ამ განსაცვიფრებელი შემოქმედის – რაც შეიძლება უკეთ წარმოსაჩენად. მიზანშეწონილი იქნებოდა ასევე იმ უცხოელ ავტორთა რეცენზიების ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება, კაფკას თხზულებებს რომ ეხება.

* არანაკლებ საგულისხმოა ნაპოლეონის კოდექსის ცნობილი პრინციპის გახსენებაც: დამნაშავეა ყველა, სანამ თითოეულის უდანაშაულობა არ დამტკიცდება. კაფკას რომანები თითქოს ამ სამართლებრივი დებულების მხატვრული ხორცშესხმაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

# თვითმკვლელობა – გარდუვალი მოვალეობა

*

## კარლო ჩხეიძის ბედისწერა

ერთ პატიოსან კაცს თხოულობენ დედამიწაზე, მხოლოდ ერთს, როგორც არაჩვეულებრივ მოვლენას... აბა, პატიოსანი კაცი რომელია?.. შენა ხარ?.. ავადმყოფი შესახედაობა გაქვს, დიდხანს ვერ იცოცხლებ... ფრთხილად, ფრთხილად...

*მორის მეტერლინკი*
*„ლურჯი ფრინველი“*

### მკითხველისადმი

ვერასოდეს ვიფიქრებდი, კარლო ჩხეიძე ოდესმე ჩემი მონოგრაფიის გმირი თუ გახდებოდა.

სიყმაწვილისას კიდეც მხიბლავდა მისი ტრიუმფული აღმასვლა რუსეთის მღელვარებებსა და რევოლუციის ტალღებზე და ყველაზე დიდი გავლენის მოხვეჭა. ხელიდან მალევე გაუსხლტებოდა ეს უზარმაზარი მონაპოვარი, მაგრამ ხომ მაინც მიაღწია პოლიტიკური მწვერვალისათვის.

მხიბლავდა, საქართველოს დამფუძნებელი კრების ანუ პარლამენტის თავმჯდომარეობაც მას რომ რგებოდა.

მხიბლავდა, ისიც, სრულ იდუმალებაში რომ ჩანთქმულიყო მისი სახელი, მისი პუბლიცისტური სტატიები აკრძალულ ლიტერატურას შორის იგულისხმებოდა და შინ თუ არა გქონდა, ველარც ველარსად მიაგნებდი ასე ადვილად.

და, რაც მთავარია, მხიბლავდა, ჩემს საგვარეულოს ასეთი კაციც რომ გამოსჩენოდა, სხვა შტოდან, მაგრამ, რაც უნდა იყოს, გვარი გვარია, და მის გენეალოგიურ შტოსა და ბიოგრაფიასაც საგულდაგულოდ ვიძიებდი.

მაშინ სოციალ-დემოკრატიაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა და სრულებით არაფერს აკლებდა ჩემს თვალში კარლო ჩხეიძეს მისი მესამედასელობა თუ მენშევიკობა.

მაგრამ ეს დროც უნდა დამდგარიყო, და სულ რამდენიმე წელიწადში, როდესაც სოციალ-დემოკრატია ჩემს წარმოდგენაშიც ცოდვასა და დანაშაულს გაუთანაბრდებოდა და ის ტრიუმფული აღმასვლა ხომ დაკარგავდა მთელ შთამბეჭდაობას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობა თუ სამთავრობო წრეებში დიდი გავლენიანობაც ერთბაშად დაკნინდებოდა. თუკი რაიმე შეეძლო, თუკი საქართველოსათვის ერჩოდა გული, ხელიც უნდა გამოელო და ასე უმწეოდ არ შეეტოვებინა ქვეყანა რუსეთის სამხედრო ექსპანსიისათვის.

ცოცხალ განცდაში შევყურებდი სოლანლუღისა და კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებს, მათი თანატოლივით ვიყავი შეძრული იუნკრების ტრაგიკული ხვედრით და ვერ ვპატიობდი იმ ეფემერულ მთავრობას, თავზე რომ დაგვამხეს 117 წელინადს ნანატრი თავისუფლება. სახელმწიფოს ნაცვლად მის ნანგრევებში ჩაგვტოვეს და პარიზიდან კარგა ხანს ითვლევინებოდნენ, ყოველ ღონეს ვიხმართ, ევროპის შემწეობას გამოვითხოვთ და საქართველოს დამოუკიდებლობას კვლავ რეალობად ვაქცევთო.

ასე მიმეკარგებოდა თვალთაგან კარლო ჩხეიძის სახება.

საუკუნის მიწურული ტაბუს რომ ახსნიდა აკრძალულ სახელებსაც და აკრძალულ ნაწერებსაც და კარლო ჩხეიძის ცხოვრებაც და პუბლიცისტური მემკვიდრეობაც სულ უფრო ხელმისაწვდომი შეიქნებოდა, გაცნობით კი გავეცნობოდი ყველაფერს, სადაც მისი სახელი გაიელვებდა, მაგრამ ეს მაინც პროფესიული ინტერესი გახლდათ – რაც შეიძლება უკეთ გავრკვეულიყავი მაშინდელ ეპოქასა თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში. ეს ყოველივე ისტორიული ფონის აღსადგენად მჭირდებოდა და დაე ასეთ დროს ამა თუ იმ ბიოგრაფიულ რომანსა ან მონოგრაფიაში აქა-იქ კარლო ჩხეიძეც გამოჩენილიყო – ეპიზოდური როლი იქნებ ურიგოდ არც შეესრულებინა და თხრობიდან ამოსაკვეთი არც გამხდარიყო.

მაგრამ... მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკებს“ თურმე თავდაყირა უნდა დაეყენებინა ჩემი ის შეხედულება, რომელიც უკვე საბოლოო მეგონა.

სულ რამდენიმე პასაჟია, თანაც ისეთი, უბის წიგნაკის ჩანაწერებს როგორც სჩვევია – უაღრესად დაწურულად და მინიშნებით რომ მიგახვედრებს, თუ რა ჩაუფიქრებია მწერალს; მაგრამ დაწურულ სტრიქონებსა და მინიშნებებშიც გამჭვირვალედ მოჩანდა ის მთავარი, თუ რატომ შემოსილიყო კარლო ჩხეიძე მიხეილ ჯავახიშვილის თვალში ჰეროიკული შარავანდით და რატომ არ შეიძლებოდა მისი აღსასრული მიგვეჩნია ჩვეულებრივ ყოფით მოვლენად.

ცხადია, ყოფითი მოვლენა ვერ განზოგადდებოდა ისტორიულ და სიმბოლურ თარილად.

აქ კი ეს განზოგადება ძალდაუტანებლად ხდებოდა.

და ხდებოდა ისე, რომ საყოველთაო შეხედულებად დამკვიდრებულიყო, როდესაც შესაფერისი ჟამი დადგებოდა.

ვუტრიალებდი ამ პასაჟებს და... თითქმის უკვე ვგრძნობდი, ცოდვა რომ იქნებოდა მისი ჩატოვება ეპიზოდურ პერსონაჟებში. ტრაგიკული აღსასრული ცვლიდა და ძალიანაც ცვლიდა წარმოდგენას მის პიროვნებაზე. თურმე გაცილებით უფრო რთული და ღრმა ბუნებისა ყოფილა, ვიდრე მისი სოციალ-დემოკრატიული მრწამსითა და მოღვაწეობის გეზით შეიძლება გევარაუდა.

და ასეთ დროს ერთბაშად გავიწყდება, თუკი ვერასოდეს წარმოიდგენდი, კარლო ჩხეიძეც თუ გახდებოდა შენი მონოგრაფიის გმირი.

არადა:

თვითონვე მოექცეოდა თხრობის შუაგულში, თვითონვე ამოიხვევდა სიუჟეტს – შენ მხოლოდ ხელი არ შეგეშალა.

## I
## ძლივს ერთი პატიოსანი კაცი

სამი ტრაგიკული აღსასრული განსაკუთრებით აღელვებდა მიხეილ ჯავახიშვილის გულსა და გონებას: დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და კარლო ჩხეიძის.

უცნაურად გამოიყურება, არა, ეს სამეული?

გვერდიგვერდ საიდან შეიძლება მოხვდნენ?

თუ დიმიტრი ყიფიანსა და ილია ჭავჭავაძეს ურთმანეთოდ არ გაეძლებოდათ არც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე და არც შემდგომ – უკვე მოწამეთა დასში, კარლო ჩხეიძე მათგან განცალკევებულა და ძალიანაც განზე გამდგარა, ვერც პოლიტიკური მრწამსით ეთვისებოდა ვერასდროს და სიკვდილსაც განსხვავებულს ჰპოვებდა.

იმ ორს ჰკლავდნენ.

ეს თვითმკვლელობით გასცილდებოდა წუთისოფლის საზღვრებს.

დიმიტრი ყიფიანი იმპერატორის ხელისუფლებას უნდა ემსხვერპლა.

ილია ჭავჭავაძე სოციალ-დემოკრატიას უნდა ჩამოეშორებინა გზიდან.

კარლო ჩხეიძე ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთ მედროშედ აღიარებულიყო და, თუმც ილიას სამოქალაქო მკვლელობაში ხელი სხვებივით აშკარად არ ურევია, საპირისპირო გზას ადგა საზოგადოებრივ ასპარეზზე და ვერც ვერასოდეს შეთანხმდებოდნენ.

შეჭიდებოდნენ ერთმანეთს ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელიც, მაგრამ ეროვნული მრწამსი ჰქონდათ საერთო, ერთ იდეალს მიელტვოდნენ, ერთი სულისკვეთება წარმართავდა მათ ფიქრსა და მოქმედებას და, თვითონ თუ ვერ მოასწრებდნენ შერიგებას, ისტორია შეარიგებდათ.

ილიას და კარლო ჩხეიძეს კი ისტორია კიდევ უფრო დააცილებდა ერთმანეთს.

მაშ მიხეილ ჯავახიშვილის ფიქრის ერთ ტეხილში გვერდიგვერდ საიდან მოხვედრილიყვნენ?

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გახსნასა და მის მკვლელთა ვინაობის გამომჟღავნებას ისეთი ენერგიულობითა და მიზანდასახულობით მოჰკიდებდა ხელს „ჯაყოს ხიზნების“ მომავალი შემოქმედი, თითქოს მარტოდენ ჟურნალისტი კი არა, გამომძიებელიც ყოფილიყოს. სახელდახელოდ შეათავსებდა ამ ორ პროფესიას. და თუ საჭირო გახდებოდა, ჟურნალისტობას დაუნანებლად გადასდებდა განზე და უზურში ჩაჰყვებოდა მკვლელობის შემსრულებელთაც და იდეურ მოთავეთაც.

ოფიციალურად ამას ვინ დაანებებდა, ვინ აღჭურავდა გამომძიებლის უფლებებით, მაგრამ ცდით კი ძალიან ეცდებოდა და, სადამდეც მიწვდებოდა, ცნობებს ცნობებზეც მოკრებდა და დაურიდებლადაც დაადებდა ხელს სოციალ-დემოკრატებს. რის თქმასაც სხვანი ჩურჩულით თუ გაბედავდნენ ან სულაც გულში ჩაიბრუნებდნენ ტკივილსა და რისხვას, მიხეილ ჯავახიშვილი ნოე ჟორდანიასაც არ მოერიდებოდა და მწვავე კამათში გამოიწვევდა ნილბის ჩამოსაგლეჯად.

ლოგიკურად ყველაფერი ადვილი დასამტკიცებელი გახლდათ, თუკი მაშინდელ რეალობას ანალიტიკურად გაიაზრებდი და ბუჩქებში გასუსული მკვლელების შთამაგონებელთ ცხვირწინ დაულაგებდი მათ უმსგავს სტატიებს, ილია ჭავჭავაძის სამოქალაქო სიკვდილის განაჩენად რომ მოჩანდა. მხოლოდ წერტილი აკლდა ბოლოში, რასაც პარტიის იდეოლოგები და ჟურნალისტები ქილერებს მიანდობდნენ და ისინიც აღარ დაახანებდნენ.

ლოგიკურად კი დალაგდებოდა ყოველივე ხელისგულზე, ოღონდ გადამწყვეტ მტკიცებულებებად ეს არა კმაროდა და მიხეილ ჯავახიშვილი ამიტომაც მოისაზრებდა დიმიტრი ჯაშის გატაცებასა და მისთვის დაფქვევინებას მკვლელობის დაგეგმვა-აღსრულების გარემოებებისა.

ჯაშის გატაცების ეს აქცია იმათ უნდა აეღოთ საკუთარ თავზე, ეროვნულ სულისკვეთებასა და ილიას მიმდევრობას ვინც იჩემებდა და არასამთავრობო კომისიაც შეედგინათ. არ ენდობოდნენ ხელისუფლებას თუ მხოლოდ ნაწილობრივ ენდობოდნენ? ასეა თუ ისე, არასამთავრობო გამოძიებისა უფრო ეიმედებოდათ, თუმც მოჩვენებითი უფრო აღმოჩნდებოდა მისი შექმნა, ვიდრე რეალური, საკუთარი თავის მოსატყუებლად ისევე, როგორც სხვათა. ვითომ ირჯებოდნენ, ვითომ სიმართლის გამოსააშკარავებლად შემართულიყვნენ და... ტკეპნიდნენ და ტკეპნიდნენ ერთსა და იმავე ალაგს.

ამ კომისიაში ყოფნა არ გამომადგებაო, – გადაწყვეტდა ჯაშის გატაცების აუცილებლობაში დარწმუნებული მიხეილი და გაგულისებული გამოეცლებოდა ილიას მოკვლით გულწრფელად შეძრულ და შეწუხებულ, ოღონდ გათეიმურაზხევისთავებულ თვისტომთ და იმითღა ინუგეშებდა თავს, ბედი მდევარი მაგათაც მიწვდება, ურმით, ჩოჩვით, ტაატით, მაგრამ მაინც უყელებს და აზლევვინებს – შემსრულებელთაც და შთამაგონებელთაც, ჩემი მხრივ კი ამ სტატიებს დავუტოვებ შთამომავლობას, სოციალ-დემოკრატიის, როგორც ილია ჭავჭავაძისათვის სიკვდილის განაჩენის გამომტანი პარტიის, შეუფერადებელი და ჭეშმარიტი სახე რომ წარმოვაჩინეო.

ხელფეხშეკრულ პირობებში ესეც საქმე იყო, გაბედული წამოწყება, რომლის ზიდვაშიც რამდენიმე წლის შემდეგ კიტა აბაშიძეც შეეშველებოდა აღსარება-მონანიების თავისებური ტრაქტატით „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“ და გაინაწილებდა მიხეილ ჯავახიშვილისადმი მიმართულ რისხვასა და მუქარას.

სტატიები სტატიებად, მაგრამ ნუთუ წინამურის ტრაგედია და მისი განმსაზღვრელი მიზეზ-მოტივები არ აფორიაქებდა მის მხატვრულ წარმოსახვასაც? მიეტოვებინა ჟურნალისტიკა, გამოცლოდა პოლიტიკურ ვნებათაღელვას, ემიგრანტის ხვედრისთვისაც დაეღწია თავი, ციხის საკნისთვისაც და სარბიელად ბელეტრისტიკა დაეტოვებინა. წიგნს წიგნზე ალაგებდა ენერგიამოზღვავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული და, მისი ტალანტისა და გუმანის კაცს, თემები საძებარი არც აღარასოდეს გაუხდებოდა. ყველაფრის მოსწრებას ლამობდა, გულიც უგრძნობდა, კალამს შეგატეხენ ხელშიო, და სასტიკი პოლიტიკური რეჟიმიც ამასვე უქადდა.

ვერავინ დაპირდებოდა, სიბერემდე მოგიწევს სიცოცხლეო, თუ დაპირდებოდა, სასაცილოდ არ ეყოფოდა, და უბის წიგნაკებში უამრავ თემას რომ ჩაინიშნავდა – ტიპებსა და ხასიათებთან ერთად – მხოლოდ ინტერესთა მრავალფეროვნებას კი არ გამოხატავს ჩანაფიქრთა ეს სიუხვე, თავისებური ანგარიშიცაა შთამომავლობის წინაშე: რომ დამცლოდა, უსათუოდ აღვასრულებდი და ეს უმძაფრესი თემატიკა ჩემი ხელდებული იქნებოდაო.

ასე ხელშესახებად იქნებ არც მოჩანდეს მწერლის ეს გულისტკივილი საუბისწიგნაკო ჩანაწერებში, მაგრამ შეუძლებელია ნამდვილ მკითხველს გამოეპაროს სტრიქონსა და სტრიქონს შორის გაელვებული ნაღველი.

ნინამურის ტრაგედია, როგორც ნაგულისხმევი მოთხრობისა თუ რომანის ჩონჩხი, არსად გაკრთება.

სამაგიეროდ, კიდევ უფრო მწვავე თემა შთაუგონებია მისთვის ილიას სახებას.

როგორ თუ... უფრო მწვავე?

ავაზაკურ თავდასხმაზე უფრო მწვავეც შეიძლება იყოს რაიმე?

განა რამ შეიძლება გადააჭარბოს იმ სისხლიან აქტს?

რამ და:

– ბნელ ღამეს მამადავითის სასაფლაოზე ავედი. ლანდი მომეჩვენა. ილია ჭავჭავაძე გაცოცხლებულიყო. ნამომყვა. საქართველო დავატარე. ყველაფერი ნახა. მესაუბრა. ველარ გაუძლო – ვილუპებითო – და ისევ საფლავში ჩავიდა.

თურმე მართლა შეიძლება შვას მწერლის წარმოსახვამ ნინამურზე უფრო მწვავე თემაც – როგორც იმ ავაზაკური თავდასხმის შედეგი, ბუნებრივი და სავალალო დაბოლოება იმ მზაკვრული და შორს გამიზნული განზრახვისა.

ბერდენკიდან გამოსხლეტილმა იმ საბედისწერო ტყვიამ ისე უნდა დასცეს ქვეყანა, რომ უკვე ილიაც კი ვეღარ შველოდეს, თუნდ მკვდრეთით აღმდგარი. და ხელის გამოღებას ამაოდ მიიჩნევდეს.

იქ, შორეულ სივრცეებში მოისმენდა ილია ჭავჭავაძის ამ შემაძრწუნებელ კვნესას: დავილუპეთო, – მიხეილ ჯავახიშვილი და მოინდომებდა თვალნათლივი გაეხადა ყველასათვის საბედისწერო რეალობა, და ის სურათიც მხატვრულ ქარგაში მოექცია, თუ როგორ ჩადიოდა ერის მამის აჩრდილი თავისი ნებით სამარეში.

ვაი, რომ ამჯერად თავისი ნებით.

სამწუხაროდ, შთამბეჭდავი ქმნილების ნაცვლად დაწნეხილი სიუჟეტური მონახაზის გარეშე:

– დიმიტრი ყიფიანის მოკვლის ამბავი მოთხრობით აიწეროს.

და:

– თემა – კარლო ჩხეიძის თავის მოკვლა.

სხვა გზა არ არის და ვიკმაროთ ის, რომ ეს სახებანი მოელოდნენ მწერლის კალამს. და თავი ვინუგეშოთ, რომ მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის აღდგენისას ამ ჩაშლილ განზრახვებს თავისი მნიშვნელობა მიენიჭება და იქნებ გაცილებით მეტიც, ვიდრე დასრულებულ ქმნილებებს, გალაკტიონ ტაბიძის იმ აფორისტული სტრიქონებისა არ იყოს: სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობაო.

ასე მოექცა ერთ რკალში ეს სამი სახება.

მაგრამ კარლო ჩხეიძის აჩრდილი განცალკევებით რომ დამდგარა?

ეს ჩვენთვისაა ასე, თორემ მიხეილ ჯავახიშვილი მასაც ამაღლებულ სიმბოლოდ უნდა სახავდეს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება უბის წიგნაკის ჩანაწერებიდან.

ორ სხვადასხვა ადგილას აკი კიდევ უბრუნდება ამ პიროვნულ ხასიათსა და ბედისწერას.

ეს იმ კარლო ჩხეიძეს, ვინც?..

დიახ, იმ...

და ისიც ცნაურდება, თუ როგორ დასათაურდებოდა ჩაფიქრებული მოთხრობა – „სამართებელი".

ამ ფრაგმენტიდან უკვე იგრძნობა, რომ ეს ისტორიული პერსონაჟი სიმპათიით წარმოისახებოდა და... გიკვირს, ძალიან გიკვირს ისეთი მწერლისაგან, ვისაც დანაშაულებრივ მოვლენად, კაცობრიობისათვის თავსდატეხილ ცოდვად მიაჩნია სოციალ-დემოკრატია თავისი იდეოლოგებით, წინამძღოლებითა და ორივე განშტოებით – მენშევიზმითა და ბოლშევიზმით.

– ჩხეიძის გეზი დიდი ომის დროს: „საქართველოზე ლაპარაკი „დუმაში" სახიფათოა, გაგვაბითურებს პურიშკევიჩი. რომ ვთქვა – აი ოქრო, ის იტყვის... ჩვენი ხსნა რუსეთის დანგრევაშია და სწორედ ამაზე უნდა ვიმუშავოთ". პლეხანოვიც მას „პარაჟენცობას" აბრალებდა.

რუსეთის დანგრევა მხოლოდ ოცნებად არ გადაქცეოდა კარლო ჩხეიძეს და შორიდან თვალის დევნებასა და სხვათა შეგულიანებას არ იკმარებდა. თვითონვე ჩამდგარიყო დამანგრეველთა შორის, სულაც წინამძღოლობდა და – „ჩვენი ხსნა რუსეთის დანგრევაშიაო" – ეს ლოზუნგი ისეთი მიზანმიმართულებით ისხამდა ხორცს, ყველა დარწმუნდებოდა, ძალიც რომ შესწევდა ქადილისა.

და მოევლინებოდა თებერვლის რევოლუციას ერთ-ერთ ბელადად, ახალ პოლიტიკურ რეალობას კი – ხელისუფლად.

და არც ის ყოფილა შემთხვევითობა თუ ბედისწერის ბრმა გაჟინიანება, მაინცდამაინც კარლო ჩხეიძე რომ მოაწერინებდა ხელს იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს გადადგომაზე.

წლობით მიისწრაფოდა აქეთ ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი მამა რომანტიკოს გმირთა ნებისყოფითა და თავგანწირვით და კიდეც შეიმუსრებოდა ის ზღუდენი მის წინაშე, უკუნითი უკუნისამდე გამაგრებული და საძირკველმოურღვეველი რომ ეგონათ.

მოიხიბლებოდა მიხეილ ჯავახიშვილი რუსეთის დანგრევის იდეით და კიდევ იმით, პლეხანოვი რომ აღშფოთებულიყო კარლო ჩხეიძის მოღვაწეობით – მარცხისთვისა გვწირავსო, სხვათა წაქეზებასაც ლამობდა ამგვარი ხმების გავრცელებით და ამ წარმატებული კაცის ჩამოცილებას გზიდან.

ამ ფრაგმენტიდან უკვე იგრძნობაო...

და რაღა უნდა ითქვას იმ ჩანაწერზე, დითირამბის კლასიკურ ნიმუშად რომ წარმოგვიდგება და ეს პიროვნე-

ბა ზნეობრივ ორიენტირადაა დასახული და დიდ სიმბოლომდე ამაღლებული:

– ჩხეიძემ თავი მოიკლა. მიზეზი ცხადია – თავგანწირულობა, სასოწარკვეთილება, უიმედობა. „ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაცი საქართველოში! არის ჟამი ერის – ადამიანის ცხოვრებაში, ოდეს მაუზერის გავარდნა ერთადერთი ვაჟკაცური აქტია: ან სხვას უნდა დაუმიზნო, ან საკუთარი თავი გაიხვრიტო. დღეს ასე უნდა მოიქცეს ყოველი პატიოსანი ქართველი და ვინც ამას ვერ გაჰბედავს – პირნავარდნილი თეიმურაზ ხევისთავია. დღეს თვითმკვლელობა გარდუვალი მოვალეობაა“.

ძლივს არ გამოჩნდა ერთი პატიოსანი კაციო...

მეტი გასიმბოლოება და ამაღლება რაღა იქნება.

ერის დაცემული ზნეობა, დარღვეული შეგნება ერთი კაცის თავგანწირვამ უნდა აღადგინოს და შეადუღაბოს.

და ეს იმ კარლო ჩხეიძის ვინც?..

დიახ, იმ...

თავისი თვალსაზრისი გასჩენოდა მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ თუ გადააქცევდა ამ თვალსაზრისს საყოველთაო შეხედულებადაც?

საამისოდ ხომ არ რიალებდა გონებაში ტრილოგიის ეს ჯერ ბუნდოვანი მონახაზი, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და კარლო ჩხეიძის სახელებში ნაგულისხმევი?

როდესაც ტრილოგიას ჩაიფიქრებდა, აკი კიდეც გაამჟღავნებდა: „არსენა მარაბდელი“, „1832 წლის შეთქმულება“ და „ალექსანდრე ბატონიშვილი“ ერთი ერთმანეთის გამგრძელებელ რომანებად მესახებოდაო.

თავი ვერ მოებმოდა იმ ტრილოგიას და თავმოყრილი მასალები ერთობლივად შეერეოდა „არსენა მარაბდელს“, მაგრამ თავდაპირველი განზრახვა არ დამალულა და ამ სხვა ტრილოგიის ჩანაფიქრს რატომღა დაფარავდა?

აკი ითქვა: ჯერ ბუნდოვანი მონახაზიო.

უბის წიგნაკის ჩანაწერებზე დაკვირვება თვითვე გვიმხელს იმ ფსიქოლოგიურ საწყისს, რაც მწერალს იქნებ ბოლომდე არც გაეცნობიერებინა და, რომელიმე მათგანის წერას თუ მოჰკიდებდა ხელს, მხოლოდ მაშინ მიხვედრილიყო, დამოუკიდებელი ქმნილებაცაა და ტრილოგიის ნაწილიცო, ტრილოგიის, იმ გულისშემძვრელი სურათის შემდეგ – ილია ჭავჭავაძე რომ ველარ უძლებს საქართველოს მოხილვას, ვილუპებითო, ამოიგმინებს და კვლავ სამარეში ჩაეშვება – კიდევ რომ გამოჩნდებოდა პატიოსანი კაცი, ვისაც ერთადერთი ვაჟკაცური აქტის აღსასრულებლად ან სხვა უნდა გაემეტებინა სასიკვდილოდ და ან საკუთარი თავი.

და ამ არჩევანის წინაშე მდგარი საკუთარი თავის გაწირვას ამჯობინებდა!..

## II
## პოლიტიკური მოძრაობის დასაბამთან

ვინ რას მიიტაცებდა.

ვინ რას დაიჩემებდა.

და აეშლებოდნენ ერთმანეთს ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაიაც: „კაპიტალი“ პირველად არა მე წავიკითხე და არა მეო, პირველი პოლიტიკური ჯგუფი არა მე დავაარსე და არა მეო...

მიხა ცხაკაია, ასეა თუ ისე, იმყოფებოდა იმ პირველ ფარულ შეკრებაზე, ზესტაფონში რომ გაიმართებოდა 1892 წლის დეკემბრის დამლევს და თურმე მარქსისტული მოძრაობის დასაბამადაც უნდა გადაქცეულიყო საქართველოში. ესეც მესამე დასის დამფუძნებელი კრება, თუმც თვითონ მონაწილენი მაშინ ასე არც ფიქრობდნენ და ისე დაიშლებოდნენ, არსებითად ვერც ვერაფერზე შეთანხმდებოდნენ. მშრომელთა ინტერესების დაცვაო, ხალხის პოლიტიკური მომზადება დიდი ბრძოლებისთვისო, მარქსიზმის გავრცელებაო, ესაო, ისაო...

უბედურების წელთაღრიცხვად დაიდებოდა ეს წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, კაცთმოყვარეობისა და ბედნიერების ილუზიებით რომ შეინიღბებოდა, და უმთავრესად ორი კაცი განსაზღვრავდა მის მიმართულებას – კარლო ჩხეიძე და ნოე ჟორდანია. ეგნატე ნინოშვილის სახელი სიმბოლოდ და დროშად უფრო ესაჭიროებოდათ, ჯერ თავიდანვე, მერე ხომ მითუმეტეს, როდესაც სამზეოს გამოაკლდებოდა სულ ცოტა ხანში და მისი დაკრძალვაც კიდევ ერთ მნიშვნელოვან თარიღად და სიმბოლოდ დამკვიდრდებოდა სოციალ-დემოკრატთა ცნობიერებაში.

ახლა ვიღა ახსენებდა ან კარლო ჩხეიძეს და ან ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია რომ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს და შეეცდებოდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატთა საქმიანობის ისტორია თავთავის ეზო-კარში შეეზიდათ, ამ ისტორიაზე დაყრდნობით ამაღლებულიყვნენ და, ერთმანეთს რომ წააჭარბებდნენ, მერე უფრო გაადვილებოდათ სხვათა სახელების მიჩქმალვა ამოშლა.

ასე თუ ისე, იმყოფებოდაო...

დიდად ვინ გაუწევდა ანგარიშს.

მაგრამ ფილიპე მახარაძეს ჯერ ცხვირიც ვერ შეეყო იქ, თუმც მერე და მერე ნოე ჟორდანიას ფარდი მარქსისტი ის შეიქნებოდა ბოლშევიკთა წრეში. მაგრამ არ იკმარებდა ამ აღზევებას და საქართველოში პირველი მარქსისტის სახელის დაჩემებას მოინდომებდა – „კაპიტალი“ ყველაზე ადრე მე წავიკითხეო.

რაღა მოციქულთა დავა და რაღა ამათიო, – ჰოი, რას იცინებდა მიხეილ ჯავახიშვილი. ბარემ პრესის ფურცლებზე ერჩივნა ამ სიცილის გადმოღვრა, მაგრამ... უბის წიგნაკს რომ მიანდობდა, თურმე ესეც საქმე იყო.

ვიდრე ის პირველი ფარული შეკრება გაიმართებოდა, მანამდე უკვე გამოკვეთილიყო მთავარი ბირთვი, რომელზეც უნდა ამოშენებულიყო მარქსისტული მოძრაობა საქართველოში.

ეგნატე ნინოშვილი და სილიბისტრო ჯიბლაძე თავისთვის ოცნებობდნენ ამგვარი მიმართულების შექმნას, მაგრამ ჰაერში გამოკიდებულიყო მათი ოცნება და ელოდნენ ისეთ კაცს, ვინც – მესამე წევრად მოვლენილი – პირველადი უჯრედის ჩამოყალიბებას ხელშესახებს გახდიდა.

და ვინ შეიძლება ყოფილიყო ასეთი კაცი, თუ არა ნიკოლოზ ჩხეიძე, სწავლაზეც რომ იოლად აიღებდა ხელს უმაღლეს სასწავლებელში, რათა რაც შეიძლება უკეთ გარკვეულიყო მარქსის სოციალურ მოძღვრებაში. წამითაც არ ინანებდა ამ არჩევანს, რადგანაც გარშემო ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ნააჭარბებდა ამ მოდური მიმდინარეობის ცოდნა-გააზრებით. პოპულარობას ამით მოიპოვებდა და... კიდეც შეერქმეოდა კარლო, მარქსისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო.

თვითონ მოაფიქრდა ნიკოლოზის გადაცვლა კარლოზე?

რომელიმე ტოლ-ამხანაგს დაებადა ასეთი თიკუნის შეთხზვის სურვილი?

შეთვისებით კი ძალიან შეეთვისებოდა ამ ახალ სახელს და შემდგომ უკვე პარტიულ ფსევდონიმად დაიმკვიდრებდა. და აღარავის ეხსომებოდა, რომ კარლო ჩხეიძეს ოდესღაც ნიკოლოზი რქმევია.

უარყოფდა საკუთარ სახელს.

უარყოფდა რუსეთის იმპერატორსაც სახელიან-ტიტულიანად და ნიკოლოზ მეორე მის ხელში იტყოდა უარს სამეფო ტახტზე.

ჯერ თავისი მღელვარე პოლიტიკური გზის დასაწყისთან იდგა და ეს დასაწყისი უთანაბრდებოდა მარქსისტული მოძრაობის ჩანასახს ჩვენს უბედურ ქვეყანაში, რომელსაც თანდათან აღედგინა საკუთარი ვინაობა, გაეცნობიერებინა ისტორიული ფესვები, ხელახლა ჩანერგოდა და განმტკიცებოდა სახელმწიფოებრიობის დაბრუნების რწმენა და თურმე უნდა განქარებულიყო ეს ყოველივე, ჩამოშლილიყო ნელ-ნელა ნამომართული შენობა, და ჩამომშლელი კი ის მოძრაობა აღმოჩენილიყო, რომლის პირველი ბირთვიც ეს-ესაა იკვროდა და დაბეჯითებით ვერავინ განჭვრეტდა, მართლა გადაიქცეოდა რეალურ ძალად თუ ვერა.

ვის თვალში მეტად სახიფათო მოჩანდა ის პირველივე ნაბიჯი, ვის თვალში კეთილდღეობისაკენ გზის გამხსნელად, და ნოე ჟორდანია სწორედ იმათ შორის ჩადგებოდა და სულაც მოვლენათა სადავეებს იგდებდა ხელთ, ამქვეყნიურ სამოთხეს ვინც პირდებოდა ხალხს. ეამაყებოდა ამ მოძრაობის გაჩენა-მომძლავრება საქართველოს მიწა-წყალზეც, ახალი წელთაღრიცხვის დასაბამად ესახებოდა და ჰეროიკული განცდითაც გაჰყურებდა და ალადგენდა პარტიის მითოლოგიასა და ისტორიაში იმ ხანას:

– ეგნატე, სილვა და კარლო – ეს პირველი სერიაა ჩვენი მოძრაობის, ჩვენი ბრძოლის, ჩვენი განვითარების. ესენი ერთიმეორეს ავსებდნენ, ერთი-მეორეს აგრძელებდნენ.

ავსებდნენ და აგრძელებდნენ... ქვეყნისათვის საბედისწეროდ!..

ეგნატე ნინოშვილი ბევრს ველარაფერს დაამავებდა, ეთხოვებოდა საწუთროს და 1841 წლის გურიის აჯანყების გაყალბებას თუ მოასწრებდა – მის რაობას მარქსისტულ თარგზე მოჭრიდა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მიზანს სოციალური მისწრაფებით შეანაცვლებდა, ეგაა და ეგ.

სილიბისტრო ჯიბლაძე უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთებოდა მარქსისტულ მოძრაობაში და ცოდვასაც მეტს დაიდებდა, სულაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დაგეგმვა-გადაწყვეტილებაში რომ მიიღებდა მონაწილეობას ბახვის საიდუმლო შეკრებაზე.

კარლო ჩხეიძეს სულ სხვა გზა ელოდა წინ და იქამდე ალზევდებოდა პირველი რევოლუციის ჟამს, ქართველთაგან ველარავინ გაუტოლდებოდა – ველარც ირაკლი წერეთელი, ველარც ნოე ჟორდანია, სხვანი ხომ სულ ვერა და ვერა.

გადაბრუნდებოდა ისტორიის ჩარხი და... ფილიპე მახარაძე და მიხა ცხაკაია ვერ მორიგდებოდნენ, ჩარბუზანასაც გამართავდნენ კარლო ჩხეიძისა და მის თანამებრძოლთა ნამოღვაწარზე და ერთმანეთის გადასწრებას მოინდომებდნენ ისტორიის მარულაში.

ის დროც დადგებოდა, ყველასათვის საპამპულო რომ შეიქნებოდა ეს სახელებიც და მათი მარულაც, მაგრამ იქამდე ჯერ შორს იყო და განეყოთ სამოსელი კარლო ჩხეიძისა და კვართსა ზედა მისსა ეყარათ წილი.

ყური ხომ არ მოგჭრათ სახარების ციტატის ასეთი სახით გადმოტანამ თხრობაში?

მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკს თუ ჩაათვალიერებთ და ამგვარი პაროდირების არსსა და მიზანსაც მკაფიოდ გააცნობიერებთ, სახამუშო აღარც არაფერი იქნება, ის კი არა, უფრო შესაფერისი სტრიქონი იქნებ ვერც იპოვნოთ მახარაძე-ცხაკაიას ჭიდილის პაროდირებისათვის – „კაპიტალი" არა ჯერ მე და არა ჯერ მეო...

ისტორიას ყოველთვის გამარჯვებულები წერენ და გამარჯვებულ ბოლშევიკთა ისტორიაში არსად გაიელვებდა კარლო ჩხეიძის სახელი და ღვაწლი.

ვითომც ყოფილა და ვითომც არა.

ამხელა პოლიტიკოსთა გაქრობაც ეიოლებოდათ.

ისტორია პარტიულ მითოსად ექციათ და იქ კარლო ჩხეიძის გამოჩენა ერთბაშად დაურღვევდათ მითოსის საზღვრებსა და სულისკვეთებას – მეფე თუ ამას ჩამოეგდო ტახტიდან და დროებითი მთავრობის შემადგენლობაც განესაზღვრა, ბოლშევიკებს რაღა რჩებოდათ – კარლო ჩხეიძის ნასუფრალზე ქეიფი? ასე კი იყო, მაგრამ არა, არ დაყაბულდებოდნენ უტყუარ რეალობას და ისე მიჭრიმოჭრიდნენ მაშინდელ ამბებს, სიმართლის ნატამალი რაღაა, ნატამალსაც აღარ დატოვებდნენ.

რა ადვილი ყოფილა ისტორიულ პიროვნებათა გაქრობა!..

თაობები გადაივლიდნენ, კარლო ჩხეიძის სახელიც რომ არა სმენოდათ, ღვაწლს ვილა ჩივის.

მაგრამ დგებოდა ახალი ჟამი და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხელახალი აღდგენა პირველი რესპუბლიკის მეთაურებსაც დააბრუნებდა ჩვენს ისტორიაში და მათ მანამდელ პოლიტიკურ მიღწევებსაც, რუსეთის რევოლუციის ხანაში თვალსაჩინო როლი რომ ეთამაშათ მღელვარე მოვლენებში.

გურამ შარაძე შემოუძღვებოდა იმათ აჩრდილებს და ცოტა შელამაზებულ პოლიტიკურ პორტრეტს შექმნიდა, მოაპირკეთებდა მენშევიკური ხელისუფლების ცოდვებსა თუ აშკარა დანაშაულებს საკუთარი ქვეყნისა და ერის წინაშე და ტრაგიკულ პერსონებად უფრო წარმოსახავდა, ვიდრე უუნარო მმართველებად, პარტია რომ ერჩივნათ ქვეყანას.

სამაგიეროდ, დიდძალ დოკუმენტურ მასალას შემოუზიდავდა ემიგრაციიდან ჩვენს – ამ მხრივ – სულიერად დამშეულ ხალხს. იქიდან მხოლოდ ყრუ და ბუნდოვანი ცნობები აღწევდა, ახლა კი ერთბაშად ხელშესახები ხდებოდა ეს ყოველივე და, მათ შორის, კარლო ჩხეიძის სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაც შემოჰყვებოდა ემიგრაციიდან დაძრულ ტალღას, რომელიც დაუსრულებელი ნაკადივით იდინებდა.

ბევრი რამ ხდებოდა საცნაური მასზე შექმნილი პოლიტიკური პორტრეტის წყალობით – პიროვნული ბიოგრაფია უმნიშვნელოვანეს და სულაც მსოფლიო-ისტორიულ მოვლენებს რომ გადაჯაჭვოდა, ეპოქის კონტურებიც თვალნათლივ იკვეთებოდა; კარლო ჩხეიძის ცხოვრების ზოგადი ქარგის აღდგენისას კი – გარდა ემიგრანტული მემუარული ცნობებისა – აქაური ხანაც ამოდიოდა მზის სინათლეზე, ვრცელ მონაკვეთებად რომ ჩაერთვოდა მისი გამოსათხოვარი სიტყვები რაფიელ ერისთავის, გიორგი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის დაკრძალვისას.

გურამ შარაძე უმეგზურებდა მის აჩრდილს, შემდეგ კი მონოგრაფიულადაც შეისწავლიდა გელა საითიძე კარლო ჩხეიძის მოღვაწეობას რუსეთის მესამე და მეოთხე სათათბიროებში. ყველაზე ოპოზიციურ ფრაქციას ჩადგომოდა სათავეში და ისეთ სახელს მოიხვეჭდა, დემოკრატიული პრინციპებისათვის მისი თავგადაკლული ბრძოლა სახელმძღვანელოდ რომ უნდა ჰქონოდა ყველა დეპუტატს, ვისთვისაც საქვეყნო, საზოგადო საქმე გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე პირადული მისწრაფებანი სახელმძღვანელო უნდა ჰქონოდა: მონოგრაფიის მთავარი ღერძიც ის აღმოჩნდებოდა („ათი წელი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის სათავეში").



კარლო ჩხეიძე

ამ მონოგრაფიით სამეცნიერო მიმოქცევაში დატრიალდებოდა კარლო ჩხეიძის დეპუტატად არჩევასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა, მაშინდელი ქართული გაზეთების ფურცლებზეც რომ გადიგამოდიოდა, სათათბიროს კრების ოქმები და მემუარულ-დოკუმენტური ცნობები ამ პიროვნების გაწევრიანებისა მასონთა ლოჟაში.

ესეც გახლდათ მისი ბიოგრაფიის ნაწილი და ამ ფარულ ორგანიზაციაში მისი მიღების ცერემონიალს საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთის ლოჟის სახელით შეასრულებდნენ. და თუმცა მანამდე კარლო ჩხეიძეს მცირე წარმოდგენაც არ გააჩნდა მასონებსა და მასონობაზე, თავგამოდებული წევრი შეიქნებოდა და საკმაო წვლილსაც შეიტანდა იმპერიის განაპირა მხარეებში, უპირველესად კი ამიერკავკასიაში მასონურ ორგანიზაციათა ქსელის გაშლაში.

გაორებული დამოკიდებულება კი ჰქონია ამ მოძრაობის მიმართ. 1911 წელს სწორედ იგი ჩამოაყალიბებდა მასონთა ლოჟას ქუთაისში. თუმცა აღიარებდა: ლოჟის შემადგენლობის განსაკუთრებული გაფართოება კი არ დამისახავს მიზნად, არამედ მეტი ინფორმაციის მოპოვება მაინტერესებდა და კიდეც ვაგროვებდიო. მასონთა ძმური დაახლოება მაინცდამაინც არ იზიდავდა და სხვა წევრები ამიტომაც აღიქვამდნენ ცოტა არ იყოს უცხო სხეულად.

გაურბოდა და... ვერც ეშვებოდა. რევოლუციური იდეების ქადაგება და ამ გზის გამართლება, როგორც ერთადერთისა კაცობრიობის სახსნელად და ახალი წესრიგის შესაქმნელად, მისთვის მახლობელი და ყველაზე სანუკვარი გახლდათ, მაგრამ მორგებით მაინც ვერ მოერგო ამ ლოჟას ევგენი გეგეჭკორივით და აკაკი ჩხენკელივით და იყო ასე გაუთავებელ გულისჭიდილში, ვიდრე ბოლოსდაბოლოს ხელს არ აიღებდა მასონთა ლოჟის უმაღლესი საბჭოს წევრობაზე იმ მოტივით: აზრთა სხვადასხვაობა ჩემსა და საბჭოს სხვა წევრებს შორის იქამდე აღწევს, საერთოს ვეღარაფერს ვპოულობთო.

მონოგრაფიის ბოლო მონაკვეთი კარლო ჩხეიძის მასონობის თემას უტრიალებს საკმაოდ დეტალურად და ისტორიკოსი ეჭვსაც გამოთქვამს, ამ მასალების გაცნობასა და გააზრებას რომ გაუჩენია მისთვის წიგნის მთავარი გმირის თვითმკვლელობის გამო:

– მის მიერ გადადგმული საბედისწერო ნაბიჯი ხომ არ იყო დაკავშირებული...

თუმცა ამ სავარაუდო ვერსიას შემდგომ დავუკვირდეთ, ამჯერად კი იმის აღნიშვნა ვიკმაროთ, თუ როგორ მოჰყვა პოლიტიკურ პორტრეტს მონოგრაფია.

## III
## ილიას ახალგაჭრილ სამარესთან

კარლო ჩხეიძეც რომ ყოფილიყო ილიას მკვლელობის მონაწილე, მის დაკრძალვაზე სიტყვით გამოსვლას მოერიდებოდა.

ახალგაჭრილ სამარესთან არ გამოიგლოვდა.

მკვლელებს შეჩვენებას არ შეუთვლიდა.

სოციალ-დემოკრატთა მენშევიკურ ფრთას, დაბნეულობასთან ერთად, ზნედაცემულობაც სჩვეოდა და ბევრი რამ მოიძებნება სამარცხვინო ამ პარტიისა თუ მის წინამძღოლთა და აქტივისტთა ბიოგრაფიაში. მაგრამ ასეთი საქციელი – ცრემლმორეული მკვლელის დგომა მოკლულის ცხედრის წინაშე – უჩვეულოა მათთვის. ეს უკვე ბოლშევიკური ფრთის მონაპოვარია – ზნეობას სადღაც შორს რომ მოიტოვებდნენ და ძალაუფლებისკენაც სულ უფრო რეალურად გაეხსნებოდათ გზა, ამგვარი ეპიზოდებითაც დამშვენებდნენ პარტიის ბიოგრაფიას.

კარლო ჩხეიძის გამოჩენა ილიას სამარესთან მაინცდამაინც არავის გააკვირვებდა და არც ძალიან უხერხულად მიიჩნევდნენ – იმ პოლიტიკური მოძრაობის თვალსაჩინო წევრი კი იყო, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე დაუნდობელი ბრძოლა რომ გამოუცხადეს ილია ჭავჭავაძეს და მისი დამხობა და ცხოვრების მდინარებიდან გარიყვა ჩაითქვეს ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად, მაგრამ თვითონ უშუალოდ არ გარეულა ამ დევნაში, ისევე, როგორც ვლასა მგელაძე, ვინც კიდევ უფრო მხურვალედ დაიტირებდა საზოგადოებრივი აზრთამპყრობლის ნეშტს, ისეთი მღელვარე განცდით, რომ მისი გამოსვლისას მაცხოვრის სახელიც იელვებს: ილიას გახვრეტილმა შუბლმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ის ჭეშმარიტება, რაც იესომ წამებით დაგვიმტკიცაო.

რომ არ ვიცოდეთ ვლასა მგელაძის პოლიტიკური მრწამსი, ილიას მიმდევარი გვეგონებოდა. სულიერად ამიტომაც ეთვისებოდა მას, მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმი გაეხადა თავისი მსოფლხედვის საყრდენად და ადამიანისა და ქვეყნის სრულ თავისუფლებას სოციალიზმთან აიგივებდა.

მთავარი ისაა, რომ ილიას სახელის სიმბოლიკაში მოაქცევს რევოლუციურ მოძრაობასა და მის გარდუვალ გამარჯვებას, სწორედაც გარდუვალ გამარჯვებას, რადგანაც სულ უფრო თვალნათლივ იკვეთება, რომ პოლიტიკური პროცესები სწორედ იქით მიექანება – ხელისუფლების გარდაქმნისაკენ.

რევოლუციის შთამაგონებლად კარლო ჩხეიძეც დასახავდა ილია ჭავჭავაძის პიროვნებას და მოღვაწეობას და აღიარებდა თავიანთი პოლიტიკური ბრძოლის წინამორბედად: როდესაც რუსეთის ბნელი ცხოვრების საძირკველი მძლავრად შეირყა და ბატონყმობის დახავსებული სიმაგრის ზღუდეებს ძლიერად შეეჯახა ახალი ცხოვრების აზვირთებული ტალღები და პირველად მოისმა ხმა ძველი მონური ცხოვრების წინააღმდეგ, ჩვენში შენ ერთი პირველთაგანი იყავი, რომელიც ჩადექი იმ მცირე რაზმში, მაშინდელი საზოგადოების მეთაურობა რომ იკისრაო.

გაუხსენებდა, რომ ჯერ კიდევ როდის დაესურათებინა უფსკრული და ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ბატონსა და ყმას შორის, გესლიანი ენით დაეცინა და სასიკვდილოდ მოეშხამა ის, ვინც წინათ დიდებითა და პატივით იყო მოსილი, მკითხველის თვალწინ საოცრად გადაეშალა გონებრივი სიკოტრე და სიდუხჭირე, სრული არარაობა და პარაზიტობა ბატონის, იმ ბრწყინვალე წოდების, გაფუქსავატებულიც სიამაყითა და მედიდურობით რომ აღვსილიყო. ამასთან იმ დროებისათვის საუცხოოდ დაესურათებინა უმწეო და უბედური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდნენ ლუარსაბ თათქარიძის უღელში შებმული გლეხები, ერთიმეორისათვის დაეპირდაპირებინა თავადი დათიკო და გლეხი გაბრო და თვალსაჩინო გაეხადა, რომ მათი ერთად არსებობა შეუძლებელია, რადგანაც პირველი ბედნიერება მეორის უბედურებაზეა აგებული, და სადაც პირველი იცინის, იქ მეორე უნდა ტიროდეს...

და ამ მაგალითების ჩამოთვლასა და ექსპრესიას ასეთი გზნებით დააგვირგვინებდა – ჩვენ მაშინ დავგმეთ ძველი ცხოვრება და სიტყვა დავდეთ, შეძლებისდაგვარად გავმკლავებოდით ბოროტებას, რომლითაც აღვსილიყო ჩვენი ცხოვრებაო:

– ამრიგათ შენმა მგოსნურმა ნიჭის ნაწარმოებმა ხელი შეუწყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოსულიყო ახალთაობა, რომელმაც კლასთა ბრძოლა საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ, მთავარ ღერძათ აღიარა. ამ ახალგაზრდობისთვის სხვათაშორის, შენი იმდროინდელი შემოქმედების ნაყოფი გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველ საფეხურათ, რომელზედაც ეს ახალთაობა უნდა შემდგარიყო, რომ გულმოდგინედ შესდგომოდა იმ დიადი მოძღვრების შესისხლხორცებას და ჩვენ ცხოვრებაში გადმონერგვას, რომელიც გვასწავლის, რომ კაცობრიობის წინსვლის აუცილებელ და უდიდეს მიზანს შეადგენს სოციალიზმის დამყარება.

მინიშნებით, ქარაგმულად კი არ აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძის დიდსა და განსაკუთრებულ ზეგავლენას სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შექმნის მოლონიერებაზე საქართველოში, დაბეჯითებით და საქვეყნოდ გააცხადებდა მის ამ ღვაწლს და სულაც პოლიტიკურ ფორმულებად ჩამოასხამდა, თითქოს პარტიის წესდებაზე მუშაობსო.

ხელი შეუწყოო...

გახდა მისი გონებრივი და ზნეობრივი ზრდის პირველი საფეხურიო...

მთლად მარქსიზმამდე ვერ ამაღლებს, მისთვის შესათანასწორებლად არ ემეტება, თორემ სხვა აღმატებულ ეპითეტებს არ იშურებს.

ამ მხრივ კარლო ჩხეიძის შეხედულება და შეფასება არ განირჩევა ნოე ჟორდანიასა თუ ფილიპე მახარაძის შეხედულება-შეფასებათაგან.

უკვე გახლეჩილა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ორ ნაკადად, უკვე შეურიგებლად შეჯახებიან ერთმანეთს და შორეული პერსპექტივაც ჭიდილის გაღრმავებას თუ გულისხმობს, თორემ შერბილებასა თუ ლოიალობას – არასდიდებით; მაგრამ საერთოც შერჩენიათ – ჯერ ილია ჭავჭავაძის გასტუმრება წუთისოფლიდან და შემდეგ კი მისი ეროვნული იდეალის ერთხელ და სამუდამოდ დასამარებაც.

კარლო ჩხეიძე ასეთ რადიკალიზმსაც არ იჩენს და ამით განცალკევებულა ჟორდანია-მახარაძისაგან, რომელნიც იმგვარი მხურვალებით ირწმუნებოდნენ, პირველად ილიამ გაგვიხსნა გონება რეალობის შესაცნობად, მან შთაგვაგონა ბატონების წინააღმდეგ ბრძოლა და რევოლუციური სულისკვეთებითაც აგვავსოო, ლამის ვეღარც დაიჯერო, წინამურის ტრაგედია უშუალოდ მათი იდეური მომზადებით რომ აღსრულებულა.

მაგრამ როგორ არ დაიჯერებ, როდესაც მათი სტატიების ნაკადს მიადევნებ თვალს და, რა თემაზეც უნდა წერდნენ, ყოველთვის ილიას წინააღმდეგ უნდა შემოტრიალდეს კრიტიკული და – კრიტიკულს ვინ ჩივის – ცილისმწამებლური ისარი.

და გამიჯნონ ორი ილია – ადრეული და მოგვიანო ხანისა.

ის ადრეული – მათთვისაც დიდად მოსაწონი.

მაგრამ მოგვიანო?.. ოოო, ეს უკვე ყველაზე დიდი ბარიერი რევოლუციური მოძრაობისათვის, ყველაზე უკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურესი რეაქციონერი და თავადაზნაურთა წოდებისა და ხელისუფლების თავგამოდებული დამცველი.

ამ მხრივაც არ განირჩევა კარლო ჩხეიძის შეხედულება და შეფასება ნოე ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის შეხედულება-შეფასებისაგან.

და ეს განწყობილება ისე მკაფიოდ, ისე ხელშესახებად ჟონავს თვით სამგლოვიარო გამოსათხოვარში.

დატირებას კრიტიციზმის მარცვლები შეერევა.

ჟანრობრივ შეუსაბამობას თავს ვერ აარიდებს ამ რანგის ორატორიც.

სიყვარულიც არის და სიყვარულიცაო, – არ მოერიდებოდა თავისი პარტიული მრწამსის გამჟღავნებას მესამედასელთა ერთ-ერთი მესაძირკვლე, – საზოგადოება, რომელიც შემოკრბა დღეს შენი ცხედრის წინაშე, იმდენადვე სხვადასხვაგვარია, რამდენადაც მრავალმხრივი იყო თვით შენი წარსული. ჭეშმარიტებისაგან ძლიერ შორს იქნება, თუ ვინმე იტყვის, თითქოს ჩვენ ყველა ერთნაირად ვუყურებდეთ შენს წარსულს, ერთრიგად ვცემდეთ პატივს და ვაფასებდეთ შენს მოღვაწეობასო.

სხვას იქნებ კიდეც ეკმარა ეს გამჭვირვალე მინიშნება თუ შეფარული საყვედური, მაგრამ ორატორი რაკილა პარტიის ერთ-ერთი წინამძღოლი და იდეოლოგია, მეტი მოეთხოვება, და ჰა, ის მეტიც:

– დაე, გიტიროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავად-აზნაურობამ, საზოგადოთ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც მშრომელ ხალხის შრომის ნაყოფით ცხოვრობს. დაე, მოვიდნენ და პატივი დაგდვან შენ ძალა-უფლების ადგილობრივმა წარმომადგენლებმა როგორც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პრინციპის მომხრეს. დაე, გაქონ და გადიდონ შოვინისტებმა როგორც მამულის შვილი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეუერთდებით ასეთების ქებათა ქებას...

ის ილია, დემოკრატიის იდეით გაჟღენთილი და სოციალიზმის იდეალით გაბრწყინებული მოძრაობის მონაწილეთ თავიანთ მეგზურად რომ ეგულებოდათ, სადღაც გამქრალა და მის ნაცვლად ხელში შერჩენიათ კაცი, რომელიც მედროშედ გაუხდიათ მშრომელთა გარჯის ნაყოფის მიმთვისებელთ, სახელმწიფოს ქომაგთ და შოვინისტებს... და იქვე რა ამრეზით წარმოითქმის ეს სიტყვაც – „მამულიშვილი" – როგორც დასაგმობი, უარსაყოფელი ცნობიერების განუყოფელი ნაწილი და სულაც წარმმართველი.

ადრეულ დამსახურებას თუ არ დაუვიწყებენ, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სახიფათოდ ფერნაცვალ ილია ჭავჭავაძესაც შეეგუონ ან მორიდებით გადგნენ განზე?!.

და კარლო ჩხეიძეც, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისა, ზოგად სქემას ხელუხლებლად გადმოიტანს სამგლოვიარო გამოსვლისას.

და მაშ რითილა განსხვავდება ჟორდანია-მახარაძისაგან?

უფრო თავშეკავებულია, კამათი ზოგად სივრცეში გადააქვს და, მეტი დამაჯერებლობისა და ხალხის აყოლიებისათვის, ცილისწამებათა ნაკადს არ შემოურევს.

არც მისი სამოქალაქო მკვლელობის მონაწილეა, არამცთუ ერთ-ერთი თაოსანი.

და არც ბახვის პარტიულ კრებაზე დაუგეგმავს წინამურის აქტი.

ისედაც იმთავითვე გაემიჯნებოდა ტერორისტულ გზას და პოლიტიკურ მოღვაწეობას წარმოიდგენდა იდეოლოგიათა და შეხედულებათა ჭიდილად, რევოლუციაც მხოლოდ უსისხლო სნამდა და ტრიუმფის მწვერვალად ესახებოდა მეფის ნებაყოფლობითი გადადგომა ტახტიდან.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

## IV
## ორი ძაღლი ან ბიბლიის პაროდია

„ჯაყოს ხიზნების" პირველი გამოცემის – 1925 წელს – გარეკანზე ჯაყო გამოიხატებოდა ილლიაში ამოჩრილი ცხვრით, იმ სახით, როგორც ჩნდება პირველად რომანის ფურცლებზე, და ცხვარს მკითხველი თავიდან თუ რეალისტურ დეტალად აღიქვამს და დიდ მნიშვნელობას არც მიანიჭებს, მერე და მერე, თხრობის კვალდაკვალ, მკაფიოდ გაიცნობიერებს იმ სურათის ღრმა სიმბოლურ შინაარსს, შემაძრწუნებელსა და დამთრგუნველს, მაგრამ ისეც არა, სასონარკვეთას თავი ვერ დააღწიო, ბედს მორჩილად შეურიგდე და ჯაყოს ხელთაგან ცხვრის გამოგლეჯას არ ეცადო.

ცხვარი ხომ ის საზოგადოებაა, რომელიც დაბეჩავებული და ხიზნად გადაქცეული თავისივე სამშობლოში, ჯაყოს ხელში ფართხალებს ყელის გამოჭრის წინ, და ყელის გამოჭრა კი გარდუვალია და არცთუ შორს გადავადებული, თუკი მახვილი არ აღიმართება ბოროტების დასამხობად.

მხატვარს შეუმცდარად ამოეკითხა რომანის შინაარსი და იდეური მრწამსი და დიდი ხელოვნებითაც დაემშვენებინა გარეკანი.

მიხეილ ჯავახიშვილი უთუოდ მოიხიბლებოდა ამ ილუსტრაციით, მაგრამ ახლა სხვა კუთხითაც მოუნდებოდა „ჯაყოს ხიზნების" მხატვრული კონცეფციისა და ტენდენციის გახსნა და... თვითონ უკარნახებდა მეორე გამოცემის – 1926 წელს – გარეკანისათვის სრულიად განსხვავებულ ილუსტრაციას თუ მხატვარი ჩანვდებოდა ალღოთი მწერლის სურვილს?

თითქოს ის უფრო მოსალოდნელია, მწერალს მიეწოდებინა თემაც და მისი სიმბოლიკაც, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მხატვარს ისედაც ამოეცნო გარეკანისათვის ყველაზე შესაფერისი და მარჯვე სურათი.

ისე ტრიალებდა ის სიმბოლიკაც და განწყობილებაც მაშინდელ საზოგადოებაში.

და დამშვენდებოდა „ჯაყოს ხიზნების" მეორე გამოცემასაც:

ორი ძაღლი შეყმუის ერთმანეთს, აჯაგრულები და ალესილნი, ყელში რომ უნდა წვდნენ წამინამზე ერთიმეორეს და ასე ერთბაშად უარყონ ძველთაძველი სიბრძნე: ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. გამონაკლისი წესს არამარტო მათემატიკაში ადასტურებს, არამედ, როგორც ჩანს, ანდაზებშიც, და ეს ის გამონაკლისი გახლდათ, იმ წამს რომ ემიჯნებოდა ძველ შეგონებასა და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილებას, იმ წამს უარყოფდა, თუმც სამუდამოდ არ აუქმებდა.

რჩებოდა ანდაზა.

და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიას მკაფიოდ დააჩნდებოდა იმ ორი ძაღლის სიმბოლიკაც, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის გარეკანზეც რომ ამოეყოთ თავი და ავისმომასწავებლად ილრინებოდნენ და იყალყებოდნენ:

მენშევიზმისა და ბოლშევიზმის.

მოგვიანებით, როდესაც მენშევიკური ეპოქის საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს დაუკავშირდებოდა ცალკეული წრეებისა და მერე სულაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში და თავისუფლებასა და სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან გასიმბოლოვდებოდა, ის ორიოდ წელი რომანტიკული და იდეალური იერით წარმოდგებოდა, თავისებურ ოაზისად თუ სულიერ ნავსაყუდელად, რომელიც შთააგონებდა თავდაუზოგავ ბრძოლას იმპერიული კაბალისაგან კიდევ ერთხელ და უკვე საბოლოოდ თავდასახსნელად. აღავსებდა იმედს, განამტკიცებდა ნებისყოფასა და რწმენას.

მაგრამ 20-იანი წლების თვალსაჩინო მოღვაწეთათვის თუ უბრალოდ გონიერ ადამიანთათვის არც არაფრით განირჩეოდა მენშევიკური და ბოლშევიკური ეპოქის საქართველო.

იმას თავისუფლების ნავსაყუდელი დაერქმეოდა და ამას მონობის ჟამი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება ხელისუფლების სულიერი სწრაფვა და მონაპოვარი კი არა ყოფილა, არამედ ბედისწერის ჟინიანი თამაშით ნაკარნახევი მოვლენა, თორემ სინამდვილეში მენშევიკურმა ხანამ შეამზადა და განსაზღვრა ბოლშევიკური ჟამი, ერთმა ჟამიანობამ მეორე ჟამიანობა, ერთმა მარქსისტულმა ფრთამ მეორე მარქსისტული ფრთა და თვითონ კარლ მარქსის ვეება პორტრეტი ისევე გადმოჰყურებდა ეროვნული საბჭოს დარბაზში 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებით აღფრთოვანებულ დეპუტატებს, როგორც 25 თებერვალს მოუძლოდა XI არმიას საქართველოს სახელმწიფოს დასამხობად.

დაე გაქონ და გადიდონ შოვინისტებმა, როგორც მამულიშვილიო, – ილია ჭავჭავაძის ახალგაჭრილ სამარესთანაც რომ არ მოერიდებოდა ამის თქმას, სწორედ იმ მამულიშვილურ – მისი თვალთახედვით: შოვინისტურ – იდეასა და იდეალს გაემარჯვა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენით, და კარლო ჩხეიძე, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი თავკაცი, ამიერკავკასიის სეიმის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი კრების მომავალი თავმჯდომარე, ამ აქტის მომზადებაშიც მონდომებით მონაწილეობდა და დარბაზშიც მხურვალედ შეეგებებოდა ილიასა და მის მიმდევართა ნაოცნებარ თავისუფლებას, შეეგებებოდა... მარქსის სურათის ქვეშ.

და შალვა ამირეჯიბს ისიც კი მოეჩვენებოდა, ირონიულად ჩაუკრა თვალი კომუნიზმის იდეოლოგის პორტრეტმა მთელ დარბაზს და იქედნურადაც დაემუქრა, არ შეგრჩებათ, კოსმოპოლიტური იდეის წინააღმდეგობა რომ მოინადინეთო.

და ისევ კარლ მარქსის ირონიული და იქედნური მზერა გააცილებდა კარლო ჩხეიძესაც, როდესაც 25 თებერვალი ემიგრანტის მწუხარე ყოფაში გადაისროდა, ყველა წარმატებასა და გამარჯვებას ერთბაშად მოუსპობდა.

არც არაფრით განირჩეოდა მენშევიკური და ბოლშევიკური ეპოქის საქართველოო...

არც მიხეილ ჯავახიშვილი განარჩევდა და აღარც მისი მკითხველები.

და კიდეც გამოიხატებოდა ეს საბედისწერო სიმართლე „ჯაყოს ხიზნების" გარეკანზეც.

ეს განწყობილება და თვალთახედვა თუ ვერ გაგითვალისწინებია, გაუგებარი დარჩება გარეკანში მხატვრის მიერ ნაგულისხმევი მხატვრული კონცეფცია – სიუჟეტურად ეს ორი ძაღლი რა შუაშიაო.

ასე აშკარად, რომანის დედააზრში ჩაუწვდენად მართლაც რა შუაშია!..

მაგრამ ზედაპირულად ხომ არც 1924 წლის აჯანყება ილანდება არსად და ვერც რომანის ფინალი მიგახვედრებს, თურმე ამ სულისკვეთებით რომ განმსჭვალულა ყოველი ეპიზოდიც და მთლიანი სიუჟეტური ქარგაც.

ეს განურჩევლობა და მარქსიზმის ამ ორი ფრთის ერთიანობაა, როდესაც ეროვნულ ზნე-ჩვეულებებსა და თავისებურებებს უპირისპირდებიან, და რაც გამჭვირვალედ იგულისხმებოდა „ჯაყოს ხიზნებში", ლიტერატურულ-პოლიტიკური ფორმულის სახით გამოითქმოდა უბის წიგნაკის ჩანაწერებში:

– მენშევიზმი ფარია ბოლშევიზმისა. მოიხმარეს და გადააგდეს. როცა დასჭირდებათ, ისევე ამოიფარებენ.

თითქოს ყურისმომჭრელი ფრაზაა, გარეგნულ ეფექტზე გათვლილი და ნაკლებ დამაჯერებელი: მენშევიზმი ბოლშევიზმის ფარიაო, – მაგრამ რა გარეგნული ეფექტი, რომელი გარეგნული ეფექტი, მიხეილ ჯავახიშვილი ამ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ყველაზე ღრმა შრეებს ჩანვდომოდა და ზედაპირის ნაცვლად სწორედაც ის არსი ამოეზიდა მზის სინათლეზე, პარადოქსული იერით შეღებილი, მაგრამ უტყუარი სიმართლე.

და მენშევიზმის ხელახლა გამოცოცხლების პერსპექტივაც იმ შემთხვევაში გამოჩნდებოდა, როდესაც ბოლშევიზმი დაისაჭიროებდა. ისევე, როგორც ცეცხლითა და მახვილით შემუსვრილსა და დევნილ ქრისტიანულ ეკლესიასა და სამღვდელოებას მფარველად მოევლინებოდა თვითონვე, როდესაც ფაშისტურ გერმანიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ძალდაუტანებლად უკარნახებდა ბოლშევიკურ-კომუნისტურ ხელისუფლებას ეკლესიისა და მისი მრევლის შემოკრება-შემომტკიცების აუცილებლობას. მერე კი მის დაჯილდოებას ხელისუფლებისათვის გაწეული დახმარების საზღაურად.

ეს განურჩევლობაა, მის უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერიც რომ უნდა გაჩნდეს:

– მენშევიკები საქართველოს მეორე ინტერნაციონალის სამსხვერპლოზე მიათრევენ ზვარაკად, ბოლშევიკები კი – მესამესთან. განსხვავება აქ არის, მაგრამ არის კი?

გინდა მეორე შეგერქმია, გინდა მესამე, ორივ ერთი უბედურება გახლდათ და მწარე ირონიაც იმ მოჩვენებით განსხვავებას წარმოაჩენდა, ერთმანეთის ჩაძირვის (მაგრამ არა განადგურების!) მოსურნენი, ზვარაკად ერთსა და იმავე სივრცეს რომ აირჩევდნენ, მიწის იმ ნაგლეჯს,

რაც უმნიშვნელოზე უმნიშვნელოდ ეჩვენებოდათ საკაცობრიო ოცნება-წესრიგის ფონზე.

თანადროული საქართველოს ისტორიაც ამ ჭიდილის ფონზე გაიაზრებოდა და უბის წიგნაკშიც საგანგებოდ ჩაინიშნებოდა მოთხრობის სიუჟეტი, რომელსაც ხორცი ვერ შეესხმოდა, მაგრამ თვითონ ქარგაც საგულისხმოა იმ მხრივ, რომ მიხეილ ჯავახიშვილისათვის ამ პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება, ქვეყნის ბედისწერას რომ ათამაშებენ, ერთ-ერთი მოტივი კი არ არის ანდა მხატვრული კონცეფციის ნაწილი, არამედ მოთხრობა სულაც მასზე უნდა ამოშენდეს – თავისი თემით, მოტივებით, კონცეფციით, პერსონაჟებით:

– ძველმა რეჟიმმა გაჭყლიტა ორი ძმა სოციალ-დემოკრატი – ბოლშევიკი და მენშევიკი. მერე ორივემ გაჭყლიტეს ძველი რეჟიმი. მენშევიკმა (საქართველოში) გასრისა და განდევნა ბოლშევიკი. მან შემოიყვანა რუსის ჯარი და გასრისა მენშევიკი ძმა. შემდეგ თვითონაც გაჭყლიტეს. დასასრულ ორივენი შეხვდნენ ერთმანეთს – ორი ავმურივით.

და მწუხარებით ალსავსე ფინალური აკორდი:

– აი საქართველოს ისტორია.

ვაი რომ მართლა...

რაიმე ნიშანდობლივ განსხვავებას რომ ხედავდეს მათში, ძმებად არ წარმოსახავდა. და მაინც, გულუბრყვილო მკითხველი რომ არ დაიბნეს და ამ სიუჟეტში აბელისა და კაენის ანალოგია არ ეძებოს, საგანგებოდ ამიტომაც მოიხსენიება მათი მშობელი – სოციალ-დემოკრატია. თუმც ერთიმეორის გასრესვა და გაჭყლეტვა ისედაც ნაკლებ მოგვაგონებს აბელის სახებას.

რელიგიის წინააღმდეგ კი ისე შემართულიყვნენ და, სადამდეც ხელი მიუწვდებოდათ, ისე თრგუნავდნენ მართლმადიდებლობასა და სასულიერო პირთ, ამსხვრევდნენ ჯვარ-ხატებსა და ეკლესია-მონასტრებს და მთელი მგზნებარებით ამტკიცებდნენ ღვთის არარსებობას, ყველაზე ძალიან თუ რაიმე მოხვდებოდათ გულზე, უთუოდ ის, რომ ვინმეს მარქსიზმი რელიგიად გამოეცხადებინა. არადა, მართლაც მატერიალიზმის ეპოქის რელიგიაა მარქსიზმი, სხვა რა არის!.. მაგრამ ბევრი სხვა ჭეშმარიტებისა არ იყოს, არც ამ ჭეშმარიტებისათვის სურდათ თვალის გასწორება და ამ აზრის ამოშანთვასაც მიზანდასახულად ესწრაფოდნენ.

მაინც გამოითქმოდა ეს თვალსაზრისი, და მარქსიზმისა და რელიგიის გაიგივება ძალდაუტანებლად გაიელვებდა გერონტი ქიქოძის „ეროვნული ენერგიის" ფურცლებზე.

რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში ასე თუ ისე შესაძლებელი გახლდათ, 25 თებერვალი ისეთ რეჟიმს მოიყოლებდა, ამგვარ შეხედულებებს მკრთალადაც აღარ გაალწევინებდა ცენზურის კლანჭებში, და მიხეილ ჯავახიშვილიც უბის წიგნაკში თუ ჩაინიშნავდა.

სულ რამდენიმე ფრაგმენტია და გული გწყდება, საშუალება რომ არ მიეცა, ბოლომდე მიჰყოლოდა ამ გაიგივებას და სრული სურათი წარმოესახა მარქსიზმის რელიგიურობის – თუ როგორ შექმნილიყო მატერიალისტური სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრება ბიბლიის პაროდიად, როგორ დახურდავებულიყო რწმენა და ფარსად გადაგვარებულიყო, ამაღლებული იდეალი კი ბერიკაობად. ჭეშმარიტების ფესვი სიცრუის ფესვს შეეცვალა და ზედ ამოშენებული იდეოლოგიურ-სახელმწიფოებრივი ნაგებობანიც ფარისევლობად და სიყალბედ მიისწრაფოდა ზეცისაკენ, რათა ბაბილონის გოდოლის მარცხისათვის შური ეძია...

კიდეც დაემხობოდა ეს სწრაფვა ბაბილონის გოდოლივით, მაგრამ ჯერ ხომ თამამად უყელყელავდებოდნენ უფალს და, ილუზიებით შთანთქმულნი, დარწმუნებულნი იყვნენ, ორიოდ გოჯილა გვრჩება, რათა ცას ხელით შევწვდეთო...

უკვირდებოდა მიხეილ ჯავახიშვილი რევოლუციონერთა ფსიქიკასა და პორტრეტებს, ჩასდევდა ეპიზოდებსა და დეტალებს და, თვითონ ხომ თავს ვერ იკავებდა სიცილისაგან, ეოცნებებოდა, ისე როგორ იქნება, ამ დაკვირვებათა ერთობლიობა სატირული ქმნილების ქვაკუთხედად არ ვაქციოო.

ჩაიფერფლებოდა ეს განზრახვაც.

ორიოდ ფრაგმენტს ვერც გასცდებოდა.

და იმ ჩანაფიქრის, იმ გულიანი სიცილის შორეულ და მკრთალ ანარეკლად ეს სახელდახელო ჩანიშვნები უნდა ვიკმაროთ:

– ფ. მახარაძის და ცხაკაიას დავა: ვინ წაიკითხა პირველად „კაპიტალი". ვინ ნახა, ვინ ამოიღო ხმა და დააარსა პირველი ჯგუფი? გაიხსენე მოციქულთა დავა, – პავლემ ქრისტე არც კი ნახაო.

მეორდებოდა ისტორია, ოღონდ ასე გაპამპულებული. მოციქულები რევოლუციონერებს შეეცვალათ და უნებურად ეხმიანებოდნენ მათ განწყობილებებსა თუ ნაბიჯებს, მაგრამ რაკილა ღვთის მადლი გამოცლოდათ, გარეგნული სქემები გადმოჰქონდათ და ეს ესახებოდათ ახალი სამყაროს დასაბამად.

თვითონ მახარაძე-ცხაკაია თუ სხვანი სულაც არ გაიხსენებდნენ მოციქულებს, მათთან შედარებას საკუთარი ღვაწლისა და პიროვნების დაკნინებად მიიჩნევდნენ და სულაც გადაშლიდნენ ისტორიას მარქსიზმის გამოჩენამდე. ამ მოძღვრების მოლონიერება-გაბატონების შემდგომ კი თავთავისი ღვაწლის ამაღლებასა და სხვათა გადაფარვას ესწრაფოდნენ და, გარემო რომ ევიწროებოდათ, ორ ნაკადად ამიტომაც გაიხლიჩებოდნენ.

და შეეყალყებოდა ერთმანეთს ორი ძაღლი, შეღრენდა და გასაგლეჯადაც მიეტანებოდა.

კაენისა და აბელის დაპირისპირების მოდელს საქართველოს მთელ ისტორიაზე განაზოგადებდა: მუდამ დასტრიალებს ქართველ ხალხსო.

მისი წარმოდგენით, აბელი მუდამ ეროვნულ ღმერთს სწირავდა შესაწირველს, კაენი კი უცხოთა ყმა გახლდათ და ამიტომაც ჰკლავდა აბელს.

ამ სიმბოლიკის ბოლოდროინდელი ხორცშესხმანი?

– ასე მოჰკლა ფილიპემ ჯერ ილია და მერე ნოე. ამგვარი ძმის კვლა ათასჯერ მომხდარა ჩვენს წყეულ ქვეყანაში, რომელიც ზოგს კურთხეული ჰგონია. მხოლოდ მესამე პირი – ღმერთი არ მოსჩანს და არ ეკითხება მახარაძეებს: კაენ, სად არის ძმა შენი? არა, არ ღაღადებს ხმა სისხლისა ძმისა ფილიპესი უფლისადმი. არც ილაღადებს, რამეთუ ისინი ძმები არ არიან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ბუჯიაშვილი

# ეს ბროდსკი იყო

*

## გია ჯოხაძის საჯარო ლექცია

ამბობენ თითქოს, ყველაფერთან ერთად, ამ დიალოგმაც საბედისწეროდ განსაზღვრა ბიოგრაფია ადამიანისა, რომელმაც თავისი კვალი დააჩნია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს:

წლების წინათ ევგენი ევტუშენკოსთვის თავის ახლო მეგობარს იური ანდროპოვს უკითხავს:

– კარგი პოეტია ბროდსკი?

– ნიჭიერია, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო რუსულ ლიტერატურასთანო, – უპასუხია ევტუშენკოს.

ასე იყო თუ ისე, ამ საუბარმა თავისი შედეგი გამოიღო: 1972 წელს იოსიფ ბროდსკის სსრკ-დან გააძევებენ.

დისიდენტი პოეტის სახელი ტალღასავით აგორდება, იმპერიის ნაპირებს გასცდება, დიდ ოკეანეს გადაივლის, ამერიკის საზღვრებსაც გადალახავს და არაერთ ტიტულამდის აიზიდება.

მის ცხოვრებას და მოღვაწეობას მკვლევარები გამოუჩნდებიან, საქართველოში კი ბროდსკის ბიოგრაფიას და შემოქმედებას **გია ჯოხაძე** ჩაეძიება, მის პოეზიასაც თარგმნის და საინტერესო მასალასაც მოუყრის თავს. ოღონდ ყველაფერ ამის წიგნად გამოცემამდე, ერთგვარი ანონსის სახით, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" სალონში წაიკითხავს მოხსენებას სათაურით:

„იოსიფ ბროდსკის ბედისწერა".

ბედისწერა, რომელიც იმ დიალოგთან ერთად, ცხოვრების გზაზე დახვედრილმა არაერთმა ტკივილმაც განსაზღვრა.

და კიდევ ალბათ, აი, ამანაც:

* * *

ბატონი **როსტომ ჩხეიძის** თქმით, იოსიფ ბროდსკის ინტერესების მქონე ადამიანს ისედაც ექნებოდა სურვილი გამხდარიყო მსოფლიო ლიტერატურული პროცესების მონაწილე და, განგებაც რომ არა, ალბათ თვითონაც შემოაბრუნებდა ცხოვრების ჩარხს აქეთ.

მას უნდა ეწერა რუსულადაც და ინგლისურადაც.

უსასრულო და უნაპირო სივრცეებს უნდა შერწყმოდა.

მსოფლიო მდინარებას შერთვოდა....

– იგი თავისებურად ალაგებს რუსული ლიტერატურის ისტორიას, შესაძლოა ზოგი რამ გაიზიაროთ, ზოგი – არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია:

ის იყო მოაზროვნე, მაძიებელი კაცი, რომელსაც სურდა თავისი აზრი და პოზიცია ჰქონოდა ყველაფრის შესახებ და თუ ხანდახან, ეპატაჟისთვის, ისეთ შეხედულებებსაც გამოურევდა, რაც ცოტა გვეჩოთირება, ესეც საჭირო იყო ლიტერატურული პროცესებისთვის. მთავარი ხომ ის არის, რა გადასახედიდან ამბობ ყველაფერ ამასო, – თქვა ბატონმა როსტომმა, გია ჯოხაძემ კი შეკრებილებს თავისი თვალით დანახული ბროდსკი წარუდგინა და მისი ლექსების თარგმანებიც წაიკითხა.

* * *

იოსიფ ბროდსკი...

აშშ-ს უნივერსიტეტებისა და კოლეჯების პროფესორი, რომელსაც ლენინგრადის სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ ოფიციალური განათლება არ მიუღია.

21 წლისას 25 წლის ევგენი რეინი წარუდგენს ანა ახმატოვას, რომელიც იმთავითვე გამოარჩევს თანატოლთაგან. ცნობილია მისი ავტოგრაფი ბროდსკისთვის ნაჩუქარ წიგნზე: „იოსიფ ბროდსკისადმი, რომლის ლექსები ჯადოსნური მეჩვენება".

სრულიად ახალგაზრდა, ბჰაგავად-გიტასა და მაჰაბჰარატას შემდეგ, ბიბლიას რომ წაიკითხავს, მთლიანად დაიპყრობს იუდაიზმის მეტაფიზიკური ჰორიზონტები და ქრისტიანობა... და არჩევანს ქრისტიანობის იდეათა სასარგებლოდ გააკეთებს.

მერე...... მოხდება ის, რაც უკვე განესაზღვრა ბედისწერას:

ლენინგრადის ხელისუფლებასთან ურთიერთობები დაეძაბება. მალევე „ვეჩერნი ლენინგრადში" გამოქვეყნებული წერილი – „ლიტერატურის ახლომახლო მოწრიალე მუქთახორა" – ნათელყოფს ბროდსკისთვის, რომ მისი ლენინგრადში დარჩენა უკვე საშიშია.

23 წლის ასაკში უახლოესი ადამიანების – საყვარელი ქალისა და საუკეთესო მეგობრის ღალატსაც გამოცდის და ეს ტრავმაც სამუდამოდ დააჩნდება მის გულს.

ტკივილი ცხოვრების ბოლომდე დაემგზავრება.

არც ციხის კედლებს დააკლებენ,...

არც – ფსიქიატრიული საავადმყოფოსას....

გადასახლების წლები და იქ წაკითხული ჯონ დონის შემოქმედება დიდად იმოქმედებს მის მსოფლხედვაზე.

ლენინგრადში დაბრუნებულს კი მაინც „არასაიმედოდ" მიიჩნევენ.

– კარგი პოეტია ბროდსკი? – საბედისწეროდ იკითხავს ანდროპოვი....

– ნიჭიერია, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო რუსულ ლიტერატურასთან, – უპასუხებს ევტუშენკო....

და ამ ფრაზით განაჩენსაც გამოუტანს მწერლის ბედს....

* * *

ევროპაშიც არ დარჩება.

ამერიკაში გაემგზავრება და სამშობლოსკენ დასაბრუნებელ ყველა გზას მოიჭრის.

ოკეანისგაღმა სამყაროში მისი სათაყვანებელი პოეტი უისთან ოდენი ექცევა მფარველად და ჩართავს ლიტერატურულ პროცესებში.

ოდენისადმი მიძღვნილ საგანგებო ესეიში ბროდსკი წერს:

„უკანასკნელად 1973 წლის ივლისში ვნახე სთივენ სფენდერის სახლში გამართულ ვახშამზე. უისთანი მაგიდასთან იჯდა, მარჯვენა ხელში სიგარეტი ეჭირა, მარცხენაში – ჭიქა და ქადაგებდა ცივი ორაგულის ღირსებებზე. სკამი ძალიან დაბალი შეხვდა, ამიტომ დიასახლისმა ქვეშ ოქსფორდის ლექსიკონის ორი გაცვეთილი ტომი ამოუდო. მაშინ გავიფიქრე, რომ ერთადერთ კაცს ვხედავდი, ამ ტომებზე დაჯდომა რომ შეეძლო".

თავისუფალ ქვეყანაში ბროდსკი ბოლომდე შეიგრძნობს თავისუფლების გემოს, ფრთასაც გაშლის და...

აფრინდება ნობელის პრემიამდე.

აშშ-ს პოეტი-ლაურეატის წოდებამდე.

ამერიკის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების პროფესორის პატივამდე....

– სად მიიღო ბროდსკიმ დოქტორის ხარისხი? – არაერთხელ ჰკითხავენ აბეზარი კოლეგები პოეტის მფარველ დეკანს ჯო ელისს და ისიც პასუხს არ დააყოვნებს:

– ციმბირის უნივერსიტეტში!

„ის სარგებლობდა მექალთანისა და კალამბურისტის რეპუტაციით, უყვარდა ვისკი, ტვიდისა და ველვეტის პიჯაკები, ავტომანქანის მართვა, ყავა, სიგარეტი, ფეხბურთი, პერსელისა და ჰაიდნის მუსიკა... ფიქრობდა, რომ დრო ეთაყვანება ენას,... პოეზიას პროზაზე მაღალ ხელოვნებად მიიჩნევდა,... სძულდა გორბაჩოვი და შევარდნაძე, ხიბლავდა პეტერბურგი და რომი, იდეალურ ქალაქად ვენეცია მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ სოლჟენიცინს, ისევე, როგორც ბლოკს, პასტერნაკს და ნაწილობრივ, მანდელშტამსაც (მაგრამ არა ცვეტაევას ან ახმატოვას) უხერხულობას უქმნიდა „რუსული პროვინციული ტენდენცია",... უარყოფითად იყო განწყობილი ევტუშენკოსა და ვოზნესენსკისადმი და მათზე უკეთეს პოეტად ვისოცკის მიიჩნევდა......ბელა ახმადულინას, პათეტიკურობის მიუხედავად, მაინც გამოარჩევდა და საგანგებო ესეისაც უძღვნიდა. ახმადულინამაც რეიგანთან საუბრისას ყველაზე დიდ რუს პოეტად იოსიფ ბროდსკი დაასახელა. . ."

ბროდსკი 1996 წელს 55 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საბოლოოდ უმტყუნა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ნაღალატევმა და გატეხილმა გულმა, მერეც არაერთი ტკივილი რომ გამოსცადა.

მისი ცხოვრებისეული მრწამსიდან გამომდინარე, ებრაული წესით ვერ გააპატიოსნეს. რაკი მონათლული არ იყო, მართლმადიდებლურ სასაფლაოზეც ვერ დაკრძალეს და ნიუ-იორკის სასაფლაოს საეპისკოპოსო ნაკვეთში, ეზრა პაუნდის გვერდით მიუჩინეს დროებითი ადგილსამყოფელი, მოგვიანებით კი, ანდერძის თანახმად, მისი ნეშტი ვენეციაში, სან-მიქელეს სასაფლაოს პროტესტანტულ ნაწილში გადაასვენეს.

– კარგი პოეტია ბროდსკი? – სადღაც სივრცეებში დაქრის ოდესღაც საბედისწეროდ დასმული კითხვა...

და პასუხი ასეთია:

– ნიჭიერია... და მას ბევრი აქვს საერთო არა მხოლოდ რუსულ ლიტერატურასთან.

* * *

**მაკა ჯოხაძე:**

„– აღფრთოვანებული ვარ დღევანდელი საღამოთი. მინდოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო. როგორც როსტომმა აღნიშნა, ბროდსკის შემოქმედებაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად მხოლოდ რუსული ლიტერატურის ცოდნა არ არის საკმარისი და ძალიან მიხარია, რომ იგი ქართულ სივრცეში ასეთი სრულყოფილი სახით სწორედ გია ჯოხაძის ძალისხმევით შემოვა.



გია ჯოხაძე

ჩვენ მოვისმინეთ თარგმანებიც – დასტური იმისა, როგორი სიღრმით აქართულებს იგი ბროდსკის პოეზიას.

„ვეჩერნი ლენინგრადში" გამოქვეყნებული ის წერილიც მახსოვს და შეგრძნებაც, რომელიც ახლდა იმ საშინელ სიტყვას „ტუნეიადსტვო" (მუქთახორობა).

და კიდევ:

ყოველთვის დიდი საიდუმლოა არჩევანი. ჩვენ ყველანი ხომ რაღაცას ვირჩევთ, ოღონდ დროთა განმავლობაში რაღაცნაირ გამჭვირვალობასაც იძენს ეს ყველაფერი... და მგონია, რომ თუკი ვინმეთი ასე უნდა დაინტერესებულიყო და გარკვეული წლებიც მიეძღვნა მისი კვლევისათვის, გია ჯოხაძის ტემპერამენტისა და სულიერი წყობის ადამიანისთვის, ეს აუცილებლად იოსიფ ბროდსკი უნდა ყოფილიყო".

**რენე კალანდია:**

„– ნობელის პრემია მან ესეისტიკაში მიიღო. ვიცნობ ბროდსკის შემოქმედებას და ვფიქრობ, რომ მას აქვს გენიალური ლექსებიც და ისეთებიც, რომლებიც, ჩემი აზრით, მის ტომებში არ უნდა შესულიყო. აი, ესეისტიკა კი ძალიან კარგია და, მგონი, უფრო საინტერესოც".

**გია ჯოხაძე:**

„– საქმე ის არის, რომ ბროდსკი ინგლისურადაც წერდა ლექსებს და ზოგჯერ მას ისე გაიტაცებდა ხოლმე ადეკვატის მოძებნა უცხო ენაში, რომ ლექსი ხანდახან გროტესკულიც გამოდიოდა და იმ სიღრმეს, რაც რუსულში იყო, პოეტი ველარ აღწევდა. ესეისტიკა კი, რომელსაც ძირითადად ინგლისურად წერდა, ძალზე დიდ ინტერესს იწვევდა ამერიკელ მკითხველში".

**სოსო ნადირაძე:**

„– გორბაჩოვი და შევარდნაძე რატომ სძულდა?"

**გია ჯოხაძე:**

„– აბა, როგორ გითხრათ...

შევარდნაძეს წარსულს უხსენებდა: რას უნდა მოველოდეთ ქართული სპეცსამსახურების ყოფილი უფროსისგანო. გორბაჩოვისა არ სწამდა: ყალბად მიიჩნევდა „გარდაქმნისა" და „საჯაროობის" კამპანიას.

... ამბობდნენ, თითქოს ბროდსკი არ საუბრობდა პოლიტიკაზე. ის აღნიშნავდა: არ გამახსენოთ, რომ პოლიტიკასაც და პოეზიასაც ეს ორი ასო – „პო" – აერთიანებსო. თუმცა მერე აღმოჩნდა, რომ პოლიტიკაზეც ულაპარაკია და არცთუ ცოტა. მას პიესაც აქვს ამ თემაზე სათაურით: „დემოკრატია" (რომელიც მე არ მომეწონა და არ ვთარგმნე). ჩანს, ის გულწრფელი იყო ამაშიც. . ."

**პაატა ჩხეიძე:**

„– მაგ კითხვის პასუხი შესაძლოა ქართველი მწერლებისადმი მოწერილ ბარათშია, რომელშიც ბროდსკი თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდა უმრავლესობის მიმართ. გორბაჩოვი და შევარდნაძეც ალბათ იმიტომ სძულდა, რომ იმდროინდელ უმრავლესობას წარმოადგენდნენ".

**ქეთევან ქურდოვანიძე:**

„– ჩემი აზრით, საბედისწერო იყო ბროდსკისთვის ის, რომ იგი გაემიჯნა პოეზიას და ხელი მოკიდა ესეისტიკას. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. იგი ამით გაემიჯნა რუსულ სამყაროსაც, მის უმაღლეს პოეტურ გამოხატულებას, რადგან ის მომავლის ქვეყანაში ცხოვრობდა და იგრძნო, რომ მომავალი ესეისტიკისა იქნებოდა.

ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ბროდსკი უფრო ნაკლები პოეტი იყო, ვიდრე ესეისტი. მეტიც: ვფიქრობ, რომ ის პოეზიაში უფრო დიდი იყო. მან გადაატრიალა სინტაქსი. იცით, ძალზე ბევრ კარგ პოეტს აქვს სუსტი ლექსებიც... აი, თუნდაც გალაკტიონს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი დიდი არ იყო.

რაც შეეხება ბროდსკის ესეისტიკას, ის მართლაც ძალზე დახვეწილია და დიდი განათლების, ფართო თვალსაწიერის, საინტერესო ნააზრევის შედეგია.

პოლიტიკურ შეხედულებებზეც მინდა გითხრათ:

– 1991 წელი იდგა. მაშინ საქართველოს სახელმწიფოს სათავეში მოვიდა ბატონი ზვიად გამსახურდია. მე ვიყავი რედაქტორი გაზეთისა „ლიტერატურა და სხვა". და აი, „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნდა ის ხმაურიანი სტატია. მასში მოყვანილი იყო იოსიფ ბროდსკის გამოხმაურებაც ქართველი მწერლების მიმართვის იმ ტექსტზე, რომელშიც საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ. ის მიმართვა ორმაგად უზნეო გახლდათ – ჯერ ერთი, მას ხელს აწერდნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს მწერლებს უწოდებდნენ და ზოგს მწერლობასთან არაფერი ჰქონდა საერთო და მეორეც – ისინი საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მთავრობასთან ასმენდნენ, ტირანიაში ადანაშაულებდნენ, თითქოს ბატონ ზვიად გამსახურდიას ვინმეს ნააზრევის დაბეჭდვა ოდესმე აეკრძალოს ან მათი უფლებები შეეზღუდოს.

გახსოვთ, გარეთ იმ დროს არეულობა იყო, გაზეთებისთვის არავის ეცალა. „ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნებული სტატიაც და ბროდსკის გამოხმაურებაც, რომელშიც ის „უმცირესობაში აღმოჩენილ", „უფლებაშეზღუდულ" მწერლებს ექომაგებოდა, შემთხვევით წავიკითხე. ჩემი გაზეთის სარედაქციო კოლეგიის სახელით საპასუხო წერილი გამოვაქვეყნე. ამის გამო სერიოზული უსიამოვნება შემხვდა რედკოლეგიის წევრებთან ურთიერთობისას. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს კოლეგებს – ძალზე ცნობილ და პატივსაცემ პიროვნებებს შორისაც იქნებოდნენ ადამიანები, რომლებსაც შესაძლოა მხარი დაეჭირათ "ტირანისაგან ჩაგრული" მწერლებისათვის. თუმც დღეს ალბათ ამაყობენ იმით, რომ ბროდსკისთვის გაგზავნილ საპასუხო წერილს მათი ხელმოწერებიც ამშვენებს.

ბროდსკისთვის ერთი რამის ახსნა მსურდა: ქართველს უნდა, რომ ოდესმე მაინც, პირდაპირი გზით, ყოველგვარი შუამავლის გარეშე შეხვდეს ევროპას და აი, ამის საშუალებას არ აძლევს "ინტელიგენცია", რომელიც ასე თავგამოდებით იცავს "დემოკრატიას"-მეთქი.

სხვათა შორის, ბროდსკი გამოეხმაურა ჩემს წერილს, ბოდიშიც მოიხადა. ის წერდა, რომ შეცდა და არ იყო ინფორმირებული ჩვენს ქვეყანაში არსებული მოვლენების შესახებ.

ზოგადად იგი ყოველთვის სიმპათიით იყო განწყობილი უმცირესობისადმი. შევარდნაძე და გორბაჩოვიც იმიტომ სძულდა, რომ ისინი სიმბოლონი იყვნენ იმპერიალიზმისა, მაშინდელი უმრავლესობისა.

სხვათა შორის, ბროდსკის კიდევ ერთხელ ჰქონდა შეხება ქართულ სინამდვილესთან – ემიგრაციაში წასვლამდე, მაშინდელ ლენინგრადში იმყოფებოდა ძალზე კარგი ლიტერატურათმცოდნე ნინო ხოფერია. ის და ბროდსკი შემთხვევით კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს. საუბრისას ბროდსკიმ უთხრა, რომ სურდა რამე ეთარგმნა ქართული პოეზიიდან. საქმე გალაკტიონამდე მივიდა. მან თქვა, რომ მეორე დილით მიუტანდა თარგმანს ლექსისა „ქარი ქრის", მაგრამ... დანიშნულ დროს მწერალი მივიდა და უთხრა:

– არა, გალაკტიონის თარგმნა მე არ შემიძლიაო".

**გია ჯოხაძე:**

„– ბროდსკი ამბობდა: მე დავალებული ვარ ქართული პოეზიისგანო. მაინც მგონია, რომ ეს მეტაფორული თქმა იყო, რადგან მას კარგად უნდა სცოდნოდა ქართული პოეზია. შესაძლოა იცნობდა ოთარ ჭილაძეს, რადგან თუ არ ვცდები, მისი მეგობარი ევგენი რეინი თარგმნიდა ბატონი ოთარის ლექსებს.

სხვათა შორის, ამერიკელ საზოგადოებას ბელა ახმადულინას რომ აცნობდა, ასეთი რამ თქვა:

მოცალეობის ჟამს ან როცა ძალიან უჭირს, იგი მიდის სამოთხეში, რომელსაც ჰქვია საქართველო და ქართველ პოეტებს თარგმნისო. შემდეგ უმატებდა: "რუსი მწერლებისთვის კავკასიაში მუშაობა იგივეა, რაც ამერიკელისთვის – მექსიკასა ან ბრაზილიაში".

**ქეთევან ქურდოვანიძე:**

„– გია ჯოხაძეზეც მინდოდა მეთქვა:

ის ძალზე კარგი მთარგმნელია. ნიჭიერი ადამიანია. და ერთი პირობა უნდა ჩამოვართვა: ელიოტის თარგმნა ვთხოვე – თარგმნა, შემდეგ ბროდსკი გადმოაქართულა, ახლა დილან თომასი მივაწოდე და უნდა დაგვპირდეს, რომ ამ ავტორსაც გვითარგმნის".

**თემურ ნადარეიშვილი:**

„– ბროდსკის ერთი ლექსი – „ძილისპირული" მეც ვთარგმნე და წაგიკითხავთ კიდეც, ოღონდ ჯერ სხვა რამ მინდა გითხრათ:

მის საბრალდებო დასკვნაშიც ეწერა ეს სიტყვა: „ტუნეიადსტვო". მერე სადღაც წავიკითხე, რომ ფორმულირება შემდეგ უფრო გამძაფრდა: „ზლოსტნოე ტუნეიადსტვო"...

**გია ჯოხაძე:**

„– კი, ეს ჩანაწერები ცნობილია, ჯერ კიდევ მაშინ გამოქვეყნდა. სასამართლო სხდომების ჩანაწერებზე იზრუნა ჟურნალისტმა და პედაგოგმა ფრიდა ვიგდოროვამ. ამის გამო მას ბევრი უსიამოვნება შეხვდა. ბროდსკის არ უყვარდა ამ ჩანაწერების ხსენება და როცა მას ეუბნებოდნენ: რამხელა დამსახურება აქვს ფრიდა ვიგდოროვასო, დიდი არაფერიო, – პასუხობდა.

გამოქვეყნებულია მთელი სასამართლოს ოქმი, ყველა კითხვა, რომელიც დაუსვეს. მას ეუბნებოდნენ:

„გასწორდით ბროდსკი!" „ადექით ბროდსკი!" „დაჯექით ბროდსკი!" „ცუდად ზიხართ ბროდსკი!.." „გვიპასუხეთ ბროდსკი!"

ჩანს, ეს ფსიქოლოგიური ზემოქმედების განსაკუთრებული ფორმა იყო. იგი შემდეგ წერდა: იმდენად ხშირად იმეორებდნენ ჩემს გვარს, რომ ეს სიტყვა – „ბროდსკი" – ჩემთვის აღარაფერს ნიშნავდაო.

და კიდევ:

მე ალბათ უნდა მეთქვა (წიგნში კი ვწერ ამის შესახებ), რომ ბროდსკი თარგმნილია ჩემამდეც – ბათუ დანელიამ გადმოაქართულა და წიგნიც გამოცემული აქვს. იქ, როგორც ჩემს კრებულში აღვნიშნავ, მიგნებულია ფორმა და ეს უდავოდ დასაფასებელია. ბროდსკის თარგმნის ვახუშტი კოტეტიშვილიც. გამორჩეულად მომწონს ერთი ლექსის მისეული თარგმანი – „ორი საათი რეზერვუარში" – ჩემი აზრით, ეს ნამდვილი ბროდსკია"...

**თემურ ნადარეიშვილი:**

„– გია ჯოხაძემ აღნიშნა: ბროდსკი ამბობდა, ნუ შეეცდებით ლექსით ინფორმაციის მიღებას, ლექსის ინფორმაცია მისი მუსიკალობააო.

შესანიშნავი ნათქვამია.... თუმცა არის ისეთი ლექსებიც, რომლებშიც ინფორმაციული ნაკადი ძალზე მნიშვნელოვანია.

ისიც ითქვა, რომ ბროდსკი ზედმეტად კატეგორიული იყო პროზაიკოსების შეფასებისას: კონდენსირებულად არ შეუძლიათ აზრის გამოთქმაო.

ლევ ტოლსტოის ნათქვამი გამახსენდა:

თავის „ომი და მშვიდობას" ის უწოდებდა „მნოგოსლოვნაია რაზმაზნიას".

**გივი გამრეკელი:**

„– მისი და ევტუშენკოს ურთიერთდამოკიდებულება გასაგებია. თუმცა ევტუშენკო ამბობდა:

– მე ყველაზე ცნობილი რუსი პოეტი ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაზე უკეთესიც ვარო... და საზოგადოებამ იცოდა, რომ ბროდსკის გულისხმობდა"...

**გია ჯოხაძე:**

„– ბედის ირონიაა: ბროდსკი რომ გარდაიცვალა, ევტუშენკო იყო მათ რიცხვში, ვინც ის უკანასკნელ გზაზე გააცილა....

სხვათა შორის, ორჯერ სცადეს მათი შერიგება, მაგრამ ამაოდ. ბროდსკი ბოლომდე ევტუშენკოს ადანაშაულებდა იმაში, რომ სსრკ-დან გამოაძევეს. მან ეს ძალიან განიცადა. იცით, ის მზად იყო გადასახლებისთვის, სხვა სასჯელისთვის, მაგრამ სამშობლოდან სამუდამოდ წასვლისთვის – არა! მწერალთა კავშირში ყველამ იცოდა, რომ ეს დღე ადრე თუ გვიან დადგებოდა. ბროდსკის ესეც ევტუშენკოს „დამსახურებად" მიაჩნდა და ამ ინფორმაციის ფლობას ანდროპოვთან მის ახლობლობას უკავშირებდა.

როცა ევტუშენკო ამერიკის აკადემიის წევრად აირჩიეს, ბროდსკიმ პროტესტის ნიშნად დატოვა აკადემია.

არსებობს სერგეი დოვლატოვის ჩანაწერი:

– ერთხელ ბროდსკისთან მივედი, ავად იყო. იგი ისედაც მთრგუნავს და ასეთ მდგომარეობაში რომ ვნახე, უფრო ცუდად გავხდი. ვუთხარი:

– ვიდრე თქვენ აქ კვდებით, იქ ევტუშენკო კოლმეურნეობების წინააღმდეგ გამოდის-მეთქი.

მან კი მიპასუხა:

– თუ ის წინააღმდეგია, მაშინ მე მხარს ვუჭეროˮ.

**პაატა ჩხეიძე:**

„– ბროდსკის შემოქმედებას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ იგი პოეზიას ამჯობინებდა პროზას, ამაში ორიგინალური არ არის, რადგან ასეთი რამ მანამდე უილიამ ფოლკნერს უთქვამს. . ....

ბროდსკის წერილს რაც შეეხება, არ იფიქროთ იმ მწერლების მხარეს ვარ. უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ბროდსკი, ამ შემთხვევაში, ზოგადადაც და კონკრეტულადაც, უმრავლესობის, როგორც ტირანიის წინააღმდეგ გამოდიოდა და როცა ერთ პატარა ქვეყანაში (რომლის ამბებიც არ იცოდა), მწერლები ტირანიას აპროტესტებდნენ, ცხადია, ის მათ მხარეს დადგებოდა. უბრალოდ ის ისე ჩაერია ყველაფერ ამაში, რომ სიტუაციაში არ გაერკვა. . ."

**მაკა ჯოხაძე:**

„– პოეზიისადმი დამოკიდებულებაზე იყო საუბარი... შეიძლება ამითაც აიხსნება ბროდსკის ის წერილი – დოსტოევსკიზე, რომელშიც მთლიანად ამოყირავებულია მისი შემოქმედება. როცა წავიკითხე, ცხადია, ბევრ რამეში არ დავეთანხმე და ვიფიქრე: ნეტავ რას ერჩის დოსტოევსკის-მეთქი?"

**გია ჯოხაძე:**

„– იცით, ის ეპატაჟის ოსტატიც არის და ბევრ რამეს ამისთვისაც აკეთებს. ყველამ ვიცით, რომ ნებისმიერი დიდი შემოქმედი ქმნის მითს საკუთარი თავის შესახებაც.

მისი უცნაურობების გამო იგი უაპელაციოდ ან სძულდათ ან უყვარდათ.

ჩნდებოდა ბროდსკის ფანატთა წრეებიც. ბოლო ხანს,... ისე აღიზიანებდა საუნივერსიტეტო რუტინა, რომ სტუდენტებს იღებდა შინ, ხისიატაკიან სამზარეულოში, რომელსაც ხან "ბუნაგად" მოიხსენიებდნენ, ხან "ბელლად". იგი ამბობდა: ამ იატაკს ფეხი რომ გაუსვათ, შეიძლება ხინვიც შეგერჭოთ, ეს რაღაცით რუსეთს ჰგავსო. . ....

ყავა ბროდსკის საკულტო სასმელი იყო და მხოლოდ მისი მომზადება იცოდა. ეს იყო გრძელი, დამღლელი რიტუალი ჭიქებში ჩამოსხმით და გათანაბრებით. . .

ეს ბროდსკი იყო.

და მან ბრწყინვალედ იცოდა, რომ დარჩებოდა ის, რითაც იგი სხვებისგან გამოირჩეოდა.

მაგალითად, ერთი კატა ჰყავდა, სახელად მისისიპი. თავის ავტომობილს მას ადრიდა. იმ დროისთვის ბროდსკის ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ 1972 წელს გამოშვებულ მანქანას არ ცვლიდა. შესაძლოა იმიტომ, რომ აშშ-ში სწორედ ამ წელს ჩავიდა, ან იქნებ რაიმეს ახსენებდა. . .

– წავალ, ჩემს ავტომობილს გავასეირნებო, – ამბობდა და ამ პროცესს "მისისიპის" გასეირნებას ადრიდა.

სატელეფონო საუბარი შეიძლება ასეც დაემთავრებინა:

– მიაუ!..

რაღაცით თითქოს თვითონაც ჰგავდა თავის კატას".

**ელისო კალანდარიშვილი:**

„– დღეს ბევრი ვისაუბრეთ ბროდსკიზე, მაგრამ არ გვილაპარაკია მთარგმნელზე და ამ დანაკლისის შევსება მინდა:

საერთოდ თარგმნა ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს. არსებობს ისეთი სკეპტიკური აზრიც, რომ პოეზიის თარგმნა შეუძლებელია...

მე მიმაჩნია, რომ ყოველი კარგი მთარგმნელი თანაშემოქმედია, ისიც პოეტია, მწერალია.... სხვაგვარად წარმოუდგენელია ავტორისეული მუხტის გადმოტანა. კარგი მთარგმნელი მწერალივით განიცდის მისეულ შთაგონებას.

ის, რასაც გია ჯოხაძე აკეთებს – ასე შემონახვა რიტმის, რითმის, მარცვალთა რაოდენობის, ფორმის, მხატვრულობის და ამ ყველაფერში კიდევ სულის – შესაშური რამ მგონია.

მიუხედავად იმისა, რომ ბროდსკის შემოქმედებას კარგად ვიცნობ და მისი კრებულები ჩემთვის სამაგიდო წიგნებადაც არის ქცეული, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ეს პოეზია ქართულადაც წავიკითხო, გია ჯოხაძის მიერ თარგმნილი".

**ცირა ბარბაქაძე:**

„– გიას აქვს ერთი ასეთი თვისება – ისე ისრუტავს სათარგმნ მასალას – დანყებული მწერლის ბიოგრაფიით და დამთავრებული შემოქმედებითი ნიუანსებით – რომ ალქმაში ყველაფერი შემოაქვს. მან ჯერ უნდა გაიგოს პოეტის მსოფლხედვა, მისი დამოკიდებულება სამყაროსთან, ადამიანებთან და მხოლოდ მერე გადმოაქვს ქართულად. ამიტომაც არის მისი თარგმანები ასეთი მაღალი დონის. გიას აქვს ძალზე კარგი ინტუიცია, პოეტური ალლო.... იგი თავადაც კარგი პოეტია, მაგრამ ხელი აილო ამ საქმეზე. არაერთხელ მითქვამს, რომ მან თავისი ტალანტი თარგმანს შესწირა, თუმცა მას ემეტებოდა ასეთი მსხვერპლი.

გია ჯოხაძის თარგმანებში ძალიან ბევრი ისეთი მოულოდნელი სახე ჩნდება, ხშირად სურვილი გამჩენია, ვნახო დედანში როგორ არის. ის ქმნის ავტორის აზრის შესაბამის ქართულ მეტაფორებს, ამიტომაც არის მისი თარგმანები ასეთი კარგი.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ იგი საოცარი ენთუზიაზმით და პასუხისმგებლობით არის სავსე იმის გამო, რომ მის შემოქმედებას ასეთი გულშემატკივარი გამოუჩნდა როსტომ ჩხეიძის სახით.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ მას ამ გზაზე".

---

ივანე ამირხანაშვილი

# ბარათაშვილის პოსტმოდერნი ენგურის ნაპირებთან

ზუგდიდი აღარ არის ისეთი, როგორიც გახსოვთ ამ ორი-სამი წლის წინანდელი დროიდან. გამოცოცხლება იგრძნობა გზებზე, ქუჩებსა და შენობებზე, რომელთა აფერადებული ფასადები კარგ გუნება-განწყობილებასთან ერთად იმის იმედსაც ბადებს, რომ შეიძლება ცვლილებები შემთხვევითი არ იყოს და მართლა კარგს, დიდი ხნის ნანატრსა და ხელშესახებს მოასწავებდეს, ჰქონდეს გარემოს შეცვლის მიზანი და აგრეთვე პერსპექტივა იმისა, რომ შეცვლილი გარემო მალე შეცვლის თავის შემცვლელს – ადამიანს, ხალხს, საზოგადოებას.

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ შენიშნოთ ცივილური ანუ ქალაქური მზაობა კულტურის გამოღვიძებისათვის.

რა ქმნის კულტურას? – ტრადიციების ერთგულება და ნიჭი.

ნიჭიერი და ტრადიციების ერთგული ადამიანები ზუგდიდს არ აკლია. თუ რაიმე აკლია, ალბათ ეს არის ამ ადამიანების ერთიანობა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა 2008 წლის 9 თებერვალს დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, „Art გალერეაში" გამართული საღამოს შემდეგ, რომელიც როსტომ ჩხეიძის წიგნის „ხანი უნდობარი" განხილვას მიეძღვნა.

კაცმა რომ თქვას, ერთიანობა პრაქტიკის საქმეა, რაც მეტი იქნება ასეთი შეხვედრები, მით უფრო მალე აღმოიფხვრება ეს ხარვეზი.

საღამო გახსნა ზვიად კვარაცხელიამ. მისი სიტყვის კვინტესენცია ასეთი იყო: „ხანი უნდობარი" არის ეპოქის გააზრებისა და ჭეშმარიტების დადგენის, ბოლშევიკების მიერ ქართული ეკლესიის დევნის ისტორიის ასახვის წარმატებული ცდა.

– ოღონდ ცდა და მცდელობა მწერლისა და არა სასულიერო პირისა! – ხაზგასმით აღნიშნა ზუგდიდის დადიანების კარის ეკლესიის დეკანოზმა მალხაზ ჭანტურიამ. „ძალიან კარგი წიგნია, ობიექტურად არის ასახული საეკლესიო ცხოვრების ტრაგიკული ეპიზოდები, თუმცა მაქვს მცირეოდენი შენიშვნა: კარგი იქნებოდა, გამოქვეყნებამდე ეკლესიის მოძღვარს გადაეხედა წიგნისთვის, ამას აქვს მნიშვნელობა", – ბრძანა მამა მალხაზმა.

„ეს წიგნი არის ლიტერატურულ-რელიგიური ცდა იმის ჩვენებისა, თუ რა ქარტეხილები გამოიარა ჩვენი მამების თაობამ", – განაცხადა ელგუჯა თავბერიძემ, რო-

მელმაც ჩვეული სკრუპულოზურობით მიმოიხილა ოციან-ოცდაათიანი წლების ქუთაისური ამბები და განსაკუთრებით ბევრი ისაუბრა „მებრძოლ ულმერთოთა კავშირის“ შავბნელ საქმეებზე.

ზუგდიდში სერიოზული ინტელექტუალური ძალები სანთლით რომ არ არის საძებარი, ეს ჟურნალისტ ზურაბ ცხონდიას გამოსვლამაც დაადასტურა. მას რომ უყურებ და უსმენ, გრძნობ, სულის დაუფარავ ნაწილში უზის თეატრი და არტისტიზმი, ამიტომაც უხდება მანერის ზღვრამდე მისული რიტორობა და მჭევრმეტყველება, მაგრამ მთავარი მაინც არის აზრი, თვალსაზრისის გადმოცემის სინათლე და დეტალური სიზუსტე, რასაც მისი გამოსვლის ეს მცირე ჩანაწერიც ადასტურებს: „ამ წიგნმა ისე ამაღელვა, ძილი დავკარგე. აქ ისეთი ამბებია აღწერილი, რომელთა გამოძახილი დღესაც გვესმის. როსტომ ჩხეიძე ხასიათების მხატვარია, ისტორიის პერსონაჟებს გვიცოცხლებს და სულის შიგნითა მხრიდან დაგვანახებს, მას აქვს ჭეშმარიტად ინტროვენტული ხედვა. კინოფილმ „ლონდრეს“ მისეულმა ანალიზმა ჯონ ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“ გამახსენა. თვით როსტომში კი, თუ მერწმუნებით, პანტე ჯაავას, ჩორეხის, გამსახურდიას, მნათე ოქროპირისა და პავლე ინგოროყვას სული ცოცხლობს“.



დეკანოზი მალხაზ ჭანტურია

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორმა ანდრო ბედუკაძემ სალამოს მონაწილეებს დაურიგა „ილიას ფონდის“ მიერ საიუბილეოდ გამოცემული ფერადი, საკმაოდ სოლიდური გაზეთი „ილია ჭავჭავაძე – 170“. რაც შეეხება მის სიტყვას, ტრადიციულად ლაკონური და კონცეფციური იყო: „როსტომ ჩხეიძემ მიზნად დაისახა და იტვირთა საქართველოს ორასწლიანი ისტორიის ასახვა. „ხანი უნდობარი“ არის ნაწილი ამ ისტორიისა, ეს არის წიგნი, რომელიც თვალნათლივ მიგვანიშნებს სწორ ორიენტირებს და მიგვახვედრებს, თუ რაზე უნდა ვტიროდეთ და რაზე ვიცინოდეთ“.

ემოციური იყო აბესალომ ტუღუშის სიტყვა: „ამ წიგნში არის ჩვენი ისტორიის ის უმძაფრესი მხარე, რომლის დანახვა მხოლოდ როსტომ ჩხეიძეს შეეძლო“.

ემოცია არც ფილოლოგ მანანა ბუკიას სიტყვას აკლდა, მაგრამ მან ისიც მიგვანიშნა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ემოციის გამომწვევი მიზეზი: „მართალი გითხრათ, ამ წიგნმა დამამძიმა, მძაფრად იმოქმედა ჩემს განწყობაზე, მაგრამ სწორედ ეს სიმძიმე და სიმძაფრე არის ის, რაც ჩვენში მუდამ იყო და ყოველთვის თავს გვახსენებდა – საუკუნის ტკივილი და სირცხვილი ერთად. „ხანი უნდობარი“ უფლის მიერ იქნა დაშვებული იმისათვის, რომ გამოვფხიზლდეთ და სწორი გზით ვიაროთ“.

დასასრულ, წესისამებრ, როსტომ ჩხეიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, „Art გალერეის“ მესვეურებს და თქვა: „მჯერა, რომ განწყობილება, რაც დღეს დაგვეუფლა, ამ კედლებს გარეთ გააღწევს, გავა, თავის გზას მოძებნის. სხვაგვარად არ შეიძლება, საბედისწერო მოსახვევში ვართ და ის უნდა გავიაროთ ფრთხილად, დანაკარგების გარეშე.

რა იყო ამ წიგნის დაწერის მიზეზი? – სულ უბრალო რამ, სურვილი იმისა, რომ დავინახოთ მოვლენები ისე, როგორც სინამდვილეში იყო. შევეცადე მეჩვენებინა საქართველოს ისტორიის ერთი საბედისწერო მონაკვეთი და აგრეთვე ისიც, თუ იმ უმძიმეს ჟამს როგორ ცდილობდნენ ქართველი მწერლები გვერდში დადგომოდნენ ეკლესიას“.

ზუგდიდში ჩასულ ქართველ კაცს, რაც არ უნდა ეჩქარებოდეს, როგორღაც, რაღაცნაირად, აუცილებელი რიტუალის აღსრულება ევალება – დაათვალიეროს დადიანების მუზეუმი, ვლაქერნის ეკლესიაში დაანთოს სანთელი, ერთი ქართველურად კიდევ ამოიოხროს („ვაჰ, დრონი!“) და მერე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი ამისთვის აღარ დაღონდეს.

რა თქმა უნდა, ჩვენც გავიარეთ ბარათაშვილის მოტივით შეზავებული ისტორიული პოსტმოდერნი: დავათვალიერეთ სამეგრელოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პალეოლითის, ნეოლითის და გვიანი ბრინჯაოს ხანის ექსპონატები, ანაკლიის, ერგეტისა თუ თაგილონის ძვირფასეულობანი, ლევან II დადიანისა და მისი ოჯახის წევრთა ფრესკა წალენჯიხის ეკლესიიდან, ივან კრამსკოის, ალექსეი ხარლამოვის, გრიგოლ გაგარინის, ფრიდრიხ ფრიშის, ჟაკ-ლუი დავიდისა და სხვათა ფერწერული ტილოები; ნაპოლეონის ნიღაბი, ფრანც ქსავიერ ვინტერჰალტერის „სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის პორტრეტი“, ემილ ფრანსუა დესენის „ნინო ჭავჭავაძის პორტრეტი“... მივეახლეთ ვლაქერნის ღვთისმშობლის მადლს და მივხვდით, რომ სიტყვა, წიგნში ნაკითხული გამოსავალს გარეთ ეძებდა, იქ, სადაც ჩანდნენ ადამიანები, პრობლემებითა და უკეთესობის მოლოდინით დაღლილი ზუგდიდელები, რიგითი ქართველები, რომელთა ზურგზე კიდევ ბევრმა ჭირსახდელმა უნდა გადაიაროს, რათა ისტორიას პირნათლად გავუსტუმროთ ვალები და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ვეძებთ, რომელიც სადღაც აქ არის, ენგურის ნაპირებთან.

# მთელი ცხოვრების საქმე

*

## დათო ქართველიშვილთან შეხვედრა არტ-კაფე „ქარავანში“

– „საერთოდ ყოველთვის ვამბობ, რომ იყო ჩემს ცხოვრებაში პერიოდი, როცა არ ვკითხულობდი და კარგადაც ვგრძნობდი თავს, დავიწყე კითხვა და, დავიღუპე კიდეც...

პირველად ვოლტერის ფილოსოფიური მოთხრობები წავიკითხე. „კანდიდი“ მომეწონა ძალიან, დღემდე საოცრებად რჩება ჩემთვის...

მერე წერა დავიწყე...

ოღონდ ბევრი კითხვისგან არა, უბრალოდ მივხვდი, რომ უნდა მეწერა.

საერთოდ ქართული ლიტერატურიდან გამოვდივარ.

ახლა რომ გითხრათ: ლიტერატურას ჩემთვის ნაციონალობა აქვს-მეთქი, ასე არ არის, თუმცა არის მეორე მომენტიც: არსებობს ქართული ტექსტი, რადგან ქართული ენა არსებობს და ამიტომაც ვამბობ, რომ ქართული ლიტერატურიდან მოვდივარ, – ასე დაიწყო არტ-კაფე „ქარავანში“ შეკრებილ საზოგადოებასთან საუბარი მწერალმა **დათო ქართველიშვილმა,** ვინც თავისი ორიგინალური და საინტერესო შემოქმედებით უკვე დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელის შესახებ ცოტა ხანში ის თავად გვეტყვის, მანამდე კი...

## პროლოგი ანუ გზა, რომელსაც ირჩევ

**– დათო, თქვენ თქვით, რომ ფესვი ქართულ ლიტერატურაში გიდგათ, დასავლური ლიტერატურის გავლენას თუ განიცდით?**

– არა მგონია... ყოველ შემთხვევაში ისეთს არა, როგორიც ქართულია...

**– საყვარელი მწერლები თუ გყავთ? ვინ მიგაჩნიათ თქვენს მასწავლებლებად?**

– უპირველესად სულხან-საბა ორბელიანი...

მიყვარს თანამედროვე მწერლებიც... ისე, იმაზე უფრო შემიძლია ვილაპარაკო, რა არ მიყვარს. მაგალითად: არ მიყვარს ცისფერყანწელების პოეზია. რატომ? როგორ გითხრათ... დამსახურებებს ვაღიარებ, მაგრამ არ მგონია, რომ ეს ის ხაზია, რომლითაც უნდა იაროს ქართულმა პოეზიამ. მიხეილ ჯავახიშვილი მიყვარს, კონსტანტინე გამსახურდია – არა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ექსპერიმენტული პროზა არ მომწონს, პირიქით, ჩემი საყვარელი მწერლები სწორედ ექსპერიმენტატორები არიან – აი, მაგალითად ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი... ეს ორი ავტორი თანამედროვე მწერლობაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. უფროსი თაობიდან კი ალბათ ვასილ ბარნოვს დავასახელებდი, მიუხედავად იმისა, რომ მასთან სულ სხვა თემატიკაა და მისეული პათოსიც ჩემთვის უცხოა... ჭაბუა ამირეჯიბი მიყვარს კიდევ... იმას არ ვამბობ, რომ შედეგის მიღწევა სხვა გზით არ შეიძლება, უბრალოდ ვთვლი, რომ მე რა შედეგსაც მინდა მივაღწიო ლიტერატურაში, სწორედ ეს ხაზია. ამ მწერლებმა ჩემზე გავლენა იქონიეს არა იმდენად თემატიკით, რამდენადაც ახალი რიტმის, პოეტური დამოკიდებულების შემოტანით ქართულ ენაში (პოეზია არა როგორც ლექსი, არამედ როგორც ადამიანის დამოკიდებულება ტექსტისადმი). ეს იცით რას ნიშნავს? როცა შენ შენი ტექსტის გჯერა და გწამს, რომ ის უკეთესობისკენ შეცვლის... თუნდაც სამყაროს (რატომაც არა!). შეიძლება ყოველთვის ასე არ ხდება, მაგრამ თვითონ რწმენაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან ლიტერატურული ტექსტი ჩემთვის მხოლოდ ტექსტი არ არის, ის საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა.

## ჩვენებური აზროვნება ანუ მთავარი

– მე თუ მკითხავთ, მირჩევნია იმაზე ვილაპარაკო, რამდენად არის ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი.

იცით, ჩემი აზრით ეს მომენტი თავისთავად არ გამოდის. აქ ან ხარ – მუშაობ, ცოცხლობ – ან არ ხარ. მე მგონია, რომ ქართულ ლიტერატურას ხარისხობრივი კი არა, რაოდენობრივი პრობლემა აქვს და ვფიქრობ, რომ თუ ჩვენ შევალთ ამ სივრცეში, უნდა ვიყოთ მისი ორიგინალური ნაწილი (ორგანულთან ერთად). ჩვენ იქ საკუთარი თვითმყოფადობით, საკუთარი დროშით უნდა შევიდეთ. აქედან გამომდინარე, მგონია, რომ დასავლეთში უკვე გადაყინული თეორიების აქ გაცოცხლება და ამით ვითომ ახალი კრიტერიუმების შექმნა ეპიგონურ მდგომარეობაში გვაგდებს. არადა, თავისთავად, ქართული ლიტერატურა თავისი საუკეთესო ნიმუშებით, არსით, დანიშნულებით და მიზნით ეპიგონური არ არის (და არც არასოდეს ყოფილა), არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, ბერძნული, ბიზანტიური ან რომელიმე სხვა გავლენა არ ჰქონია (ასეთი ურთიერთგაცვლა ძალიან ჩვეულებრივი ამბავია და, საერთოდაც, გავლენა სულაც არ არის ცუდი რამ. მახსოვს ბატონი როსტომ ჩხეიძის ძალისხმევით გამოიცა ანდრე ჟიდის წიგნი „გავლენის აპოლოგია“, რომელშიც ძალზე საინტერესოდ არის განხილული ეს საკითხი. გავლენა მეტყველებს კულტურაზე, ეს გარკვეული არჩევანია და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ). ჩემი აზრით, ჩვენი მოწოდების სიმაღლეზე რომ ვიყოთ, ამისთვის საჭიროა შევქმნათ საკუთარი კრიტერიუმი. არსებობს მსოფლიო კრიტერიუმი და არსებობს ცალკეული ეროვნული კრიტერიუმები. მაგალითად, თავიდან ხომ ცალ-ცალკე არსებობდა ინგლისური, გერმანული და ა.შ. კრიტერიუმები, ეს მერე შეიქმნა საერთო ევროპული თუ საერთო აღმოსავლური კრიტე-

რიუმები. ჩვენც უნდა შევქმნათ საკუთარი (თუნდაც საერთო კავკასიური). ეს შეცვლის ვითარებას, რადგან როცა შეფასების კრიტერიუმი ორიგინალურია, ტექსტიც, თავისთავად, შესაბამისია. უფრო სწორად, ტექსტი კი არა, ტექსტისადმი დამოკიდებულება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ უნდა მივეჩვიოთ აზროვნებას, ოღონდ ჩვენებურ აზროვნებას. ევროპული კრიტერიუმებით აზროვნება ძალიან ადვილია, რადგან ყველაფერი გადამღერებულია: ჩვენ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, საკუთარი ერისა და ქვეყნის სოციალური მდგომარეობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ არ გავიყინოთ, მუდმივად ვიფიქროთ და ვიფიქროთ... გადასარჩენად.

არ მგონია ეს საკითხი – მიგვიღებს მსოფლიო თავის სივრცეში თუ არა – ასე იდგეს. ჩემი აზრით, იქ თვითონ უნდა მიხვიდე, თვითონ უნდა დაიკავო საკუთარი ადგილი. არავინ მიგიღებს და არავინ დაგიძახებს, შენ თვითონ თუ არ იაქტიურე. ამ პროცესში ქრისტიანული გულმოწყალების იმედით არ უნდა ვიყოთ. ჩვენ ვართ ერი და ქვეყანა, რომელმაც უნდა იბრძოლოს – უნდა მივიდეთ, ჩავწი-ჩამოვწიოთ სხვები და საკუთარი სათქმელითა და საკუთარი სახით დავმკვიდრდეთ.


დათო ქართველიშვილი

## სათქმელი კარგი დასაწყისისათვის

**– დათო, თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში მოვლენა, რომელმაც კალამი აგაღებინათ ხელში?**

– ასეთი კონკრეტული მოვლენები არ მახსოვს. კალამს ხელში ყოველთვის იდეა მაღებინებს. ჩემი უმთავრესი პერსონაჟებიც ყოველთვის იდეები არიან. აქედან გამომდინარე, ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ჩემი პროზა ძალიან სქემატურია. მე კი ყველაზე მეტად ჩემს ნაწარმოებებში სწორედ ის მომწონს, რასაც სქემატურს უწოდებენ. ჩემთვის მწერლობა არის ჩემი იდეების არალეგალური მდგომარეობიდან ლეგალურში გადაყვანა და ამას ჩემს მეტი ვერავინ გააკეთებს. ვწერ იმაზე, რაზეც ვფიქრობ. ეს შეიძლება სულ არ იყოს აქტუალური ან პირიქით – ძალიან აქტუალური აღმოჩნდეს. ჩემთვის ლიტერატურა მთელი ცხოვრების საქმეა. ის სიკვდილთან ბრძოლის საშუალებაა. აქ იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ჩემს მერე ჩემი წიგნები დარჩება და, ვთქვათ, რომელიღაც ქუჩას შესაძლოა ჩემი სახელი დაარქვან (ასეთი რამეები საერთოდ არ მაღელვებს), მე უბრალოდ მინდა, რომ ჩემს თავში დავამარცხო სიკვდილის შიში. ლიტერატურაც სწორედ ეს არის და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მწერლები რომ დავასახელე, მათ თავიანთი შემოქმედებით სწორედ ეს გააკეთეს. ყოველ შემთხვევაში, მათი ლიტერატურა მე სწორედ ასე გავიგე...

**– რამდენად შესაძლებელია საკუთარ თავზე გამარჯვება?**

– მგონი ეს შეუძლებელია. წარმოუდგენელია ბუნებაზე გამარჯვება (ოღონდ ეს არ ეწინააღმდეგება სიკვდილის შიშის დამარცხებას). იმას ვგულისხმობ, რომ არ მგონია ადამიანს შეეძლოს რამე მოუხერხოს საკუთარ ცუდ თვისებებს. ყველაზე დიდი საქმე ალბათ ის იქნება, თუ გაიაზრებ ყველაფერს და შეძლებ შენში ცუდს ცუდი დაარქვა და კარგს – კარგი. იცით რა სხვაობაა ჩემს ბავშვობასა და დღევანდელობას შორის? იმ ცუდს ხანდახან ისევ ვაკეთებ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ვიცი – ეს ცუდია!

**– რამდენად ხშირად ხართ „თქვენ“ თქვენს ნაწარმოებებში და ისეთი ხართ, როგორც სინამდვილეში ბრძანდებით, თუ როგორიც გინდათ რომ იყოთ?**

– იცით, მე ჩემი თავის გარდა სხვა პერსონაჟი არ მყავს. აქ ყველა გმირი მე ვარ – ქალიც, კაციც... იდეებიც, და, საერთოდ, როცა ვწერ, ჩემზე ვწერ, არა იმიტომ, რომ სხვა ადამიანები არ მაინტერესებს, არა, უბრალოდ ჩემი თავი ვიცი ყველაზე უკეთ და კიდევ ჩემი დამოკიდებულებები... წარმოიდგინეთ, საკუთარ თავზე რა ცოტა რამ ვიცი და სხვებზე ხომ საერთოდ არაფერი გამეგება. ვიცი, რომ განიცდიან, ფიქრობენ... და თანავუგრძნობ მხოლოდ, თორემ საფუძვლიანად მათი არ მესმის...

ახლა დავაპირე მეთქვა: მარტო მე კი არ ვწერ, ზემოდან მკარნახობენ-მეთქი, მაგრამ... გადავიფიქრე.

**– თქვენ რომ თქვით: მთავარია ვიცოდე, რომ ცუდი ცუდია და კარგი კარგიო, ცოტა უცნაურია – რა აზრი აქვს ამ ცოდნას, თუკი იმ ცუდს არ ებრძვი და მაინც აგრძელებ მის კეთებას?**

– იცით როგორ მგონია? ამ წუთას შენ კი არ ებრძვი, დრო ებრძვის მას და თუ კარგად და ლოგიკურად წარიმართა შენი ცხოვრება, საუკეთესო შემთხვევაში დაბერდები და ნაკლები ცუდის გაკეთების საშუალება გექნება.

საერთოდ ძალიან მიკვირს, როცა ადამიანები ამბობენ: ჩემს ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდიო. ეს შესაძლებლობა რომ მქონდეს, საერთოდ ყველაფერს შევცვლიდი – იმდენი შეცდომა დამიშვია და იმდენი სისულელე ჩამიდენია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**– რა ამბით დაიწყებდით თქვენს შესახებ მოყოლას?**

– საერთოდ ძალიან მიყვარს ამბების მოყოლა და რაკი ჯერ ფინალი არ არის, საერთოდაც ვერაფერს მოვყვები ჩემზე. კარგი დასაწყისი იქნებოდა: „მას მერე, რაც სამოთხეში მოვხვდი..."

## მისი ავტონომია

**– დათო, თუ შეგიძლიათ გვიამბოთ, როგორ დაიწერა თქვენი არაჩვეულებრივი მოთხრობა „ციყვი"?**

– ეგ მოთხრობა საერთოდ არ მიყვარს...

ისე... მე მარტივი იმპულსები მაქვს. ამ შემთხვევაში იმპულსი კარგი ჰონორარი იყო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რამეს, ასე ვთქვათ, „ვახალტურებ". ვწერ ყოველთვის ისე, როგორც მეწერება.

**– თუ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში რამე სირთულე ან კატასტროფა, რომელიც დაგეხმარათ ახალი გზის პოვნაში?**

– სირთულე ყოფილა... კატასტროფა? კი, ესეც, ოღონდ მაშინ ვერ აღვიქვამდი, რომ კატასტროფა იყო. მაგალითად, მამაჩემი რომ გარდაიცვალა, ისეთი მხნე და რაციონალური კაცი არასოდეს ვყოფილვარ, როგორიც მაშინ ვიყავი. ეს მერე აცნობიერებ, რომ საშინელება მოხდა, კატასტროფა მოხდა – ანუ რაღაც ისეთი, როცა შენთვის ძვირფასს კარგავ და ველარასოდეს დაიბრუნებ.

სირთულე კი ბევრი რამ შეიძლება იყოს. მაგალითად, თუნდაც ის, საჭირო სიტყვას რომ ვერ გამოძებნი წერისას...

**– თუ შეგიძლიათ საუკეთესო წუთები დაიმახსოვროთ და საჭირო დროს აღიდგინოთ-ხოლმე?**

– ჩემში დრო არ ჩერდება, არ იყინება... მე კონკრეტული მოგონებები არ მაქვს, რაც ძალიან ცუდია, რადგან ეს ყველაფერი თანაგრძნობის უნარს გიკარგავს. ვცხოვრობ დღევანდელი დღით, უფრო კი – მომავლით. ალბათ ფიქრობთ, რომ ეს საშინელი თვისებაა, მაგრამ... ასეა.

**– რა დამოკიდებულება გაქვთ ფულთან?**

– ფული არ მიყვარს, მაგრამ მჭირდება იმისათვის, რომ ჩემი სამყარო მტკიცე კედლებით შემოვზღუდო და გამოვაცხადო დათო ქართველიშვილის ავტონომია. თუ ფულის კეთებას გულისხმობთ, ეს საქმე არ გამომდის.

**– რას იტყოდით თემაზე – დათო ქართველიშვილი და ღმერთი?**

– დათო რას ფიქრობს ღმერთზე, ნაკლებად საინტერესოა. მთავარია ღმერთი რა აზრის არის დათოზე. ისე... რწმენით მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ. რიტუალურ დონეზე ფორმალური მართლმადიდებელი ვარ, რწმენის დონეზე, ცხადია, არა! იცით, ეს ძალზე სერიოზული თემაა. ამაზე მირჩევნია ვწერო, ვიდრე ვილაპარაკო. დღეს ყველა ამ საკითხზე საუბრობს და ასე მგონია ეს ყველაფერი ფარისევლობაში გადადის უკვე. ამიტომ მე ამაზე დავწერ და ვისაც დაგაინტერესებთ, წაიკითხეთ.

**– დღესასწაულები თუ გიყვართ?**

– ჩემი დაბადების დღე – არა, სხვების – კი... საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიყვარს!.. კიდევ... რა ვიცი... დღესასწაულებს თქვენ რას უწოდებთ?

**– აი, დაწესებულ დღეებს თუ აღნიშნავთ?**

– ააა... „ქართული ფეხბურთის დღე", „მესაზღვრის დღე"... რა ვიცი, ეგეთ დღეებს საერთოდ არ აღვნიშნავ...

**– ამჟამად რას წერთ?**

– ვწერ რომანს, რომელსაც ჰქვია „ახალი წიგნი". თუ კარგად გავედი ბოლოში, მერე დავწერ მეორე ნაწილს – „სულ სხვა წიგნი".

**– ლექსის წერა თუ გიცდიათ?**

– ლექსი საერთოდ თვითონ უნდა გწერდეს...

არა, ისე კი, როგორ არ მიცდია, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემგან ლექსის მწერალი არ გამოვიდოდა... რაღაც ისეთი სიტყვები უნდა მოიგონო: თოვლი, სპეტაკი...

**– ეგ ძალზე მცდარი წარმოდგენაა...**

– რა თქმა უნდა!.. ახლა საგანგებოდ ვთქვი, რომ „ავარდნილიყავით", თორემ, ცხადია, ასე არ ვფიქრობ...

## მარადისობასთან გასაშინაურებლად ანუ ეპილოგის მაგიერ

**– დათო, ახალგაზრდა მწერლებს თუ კითხულობთ?.. და რა აზრის ხართ მათზე?**

– დღევანდელი ახალგაზრდა მწერლების ტენდენციაც ის არის, რაც იყო ჩემს ახალგაზრდობაში – რაღაც არ მოგწონს და აპროტესტებ... ეს ცუდი არ არის, პირიქით, ძალზე მნიშვნელოვანი რამ მგონია. ახალგაზრდების შემოქმედებას ვკითხულობ და მომწონს. იდეები მომწონს მათი, მაგრამ მინდა, რომ უფრო მეტ პროზას წერდნენ.

**– თქვენი შემოქმედების თემატიკაზე რას იტყოდით?**

– მე არ ვარ თემატურად მრავალფეროვანი მწერალი. ვწერ სიყვარულზე და შიშებზე. ეს ორივე შეიძლება უკავშირდებოდეს ყოფით ურთიერთობებსაც და რაღაც მარადიულსაც. მე მინდა, რომ ჩვენ ადამიანები მარადისობას გავუშინაურდეთ...

**– ადამიანს უყვარს ლიტერატურა... თუ შეიძლება ლიტერატურას რომ უყვარდეს ადამიანი და ასეთი რამ თუ გიგრძვნიათ?**

– დოსტოევსკის ვუყვარდი ბავშვობაში – ამას ვგრძნობდი და ისე... ლიტერატურის სიყვარულისა ადამიანის მიმართ რა გითხრათ, მაგრამ მათ შორის საინტერესო ურთიერთობები შეიძლება აიგოს. ლიტერატურა ადამიანის გარეშე ხომ მკვდარია. საერთოდ იცით როგორ ვფიქრობ? ნებისმიერი რამ ჩვენს გარემომცველ სამყაროში განსაკუთრებული მოვლენა სულაც არ მგონია. აი, მაგალითად, ბუნება – ის რომ თავისთავად არსებობდეს, სხვა საქმეა, მაგრამ როცა ვიცი, რომ მის უკან ღმერთია, უკვე ჩვეულებრივი რამ ხდება ჩემთვის.

**– რიტუალურ დონეზე ფორმალური მართლმადიდებელი ვარ, უფრო შინაგანად მწამსო, – თქვით. რელიგიის, რწმენის არსი რას ნიშნავს თქვენთვის?**

– რელიგია ჭეშმარიტებაა... ის ჭეშმარიტება, რომელიც დგას დემოკრატიაზე, ტოტალიტარიზმზე და ყველაფერზე მაღლა...

ნონა კუპრეიშვილი

# „ანგელოზისა“ და „ნაგვის ყუთის“ სიმღერა




იმთავითვე ვიტყვი: ამ საკმაოდ უცნაური სათაურით პოეტ ცირა ყურაშვილის ლექსთა კრებულის ორხმოვანებაზე მივანიშნებ, რადგან ვთვლი, რომ ლექსები, რომელთაც ავტორი „ანბანური პერიოდით“ დასათაურებული პატარა წიგნაკით გვთავაზობს, არა მარტო ორი სხვადასხვა რეგისტრის ხმის, არამედ განსხვავებული პოეტიკების, და საკმაოდ ბუნდოვნად ჩამოყალიბებულ მატერიალიზებას წარმოადგენს (ლიტველი ემიგრანტი პოეტის თომას ვენცლოვას აზრით, მხოლოდ ოთხი პოეტიკა არსებობს: რომანტიკული, კლასიცისტური, ავანგარდული და სუპერავანგარდული და გინდა თუ არა, „სწორედ მათთან გიწევს მუშაობა“). პოსტმოდერნიზმის ხანამ მოიტანა და არც არავის უკვირს პოეტთა დისჰარმონიული თვითაღქმა ან ამ აღქმის იმიტაცია, რომელსაც ხშირად კეთილშობილ იერსახეს სწორედ ჰარმონიის დაკარგვით გამოწვეული მოუსვენრობა ანიჭებს. მონატრებაც, იმაზე რაც იყო, როგორადაც იყო და უკვე ველარ იქნება. თუმცა ეს განცდა თანამედროვე პოეტთა მიერ ერთგვარად დისტანცირებულია და მწარე ირონიითა და მოვლენების პაროდირებითაა შეზავებული. ზუსტად ასეა „ანბანური პერიოდის“ შემთხვევაშიც.

პირობითად „ანგელოზის ხმით“ წოდებული ცირა ყურაშვილის პოეტური ინტონაცია (როგორც აღვნიშნეთ, არც თუ ისე მკვეთრად გამოხატული რომანტიკული პოეტიკით) მონოლოგურად ისმის ამ კრებულში. იგი ძირითადად სრულიად კონკრეტული ადამიანის, მამა ანდრიას, და კონკრეტული მოვლენის, კომანის მონასტრის ეზოში აფხაზი სეპარატისტების მიერ მისი დახვრეტის ფაქტითაა პროვოცირებული. ეს სახელი ჩემთვისაც კარგადაა ცნობილი. კომანის ტრაგედია, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ ჩვენივე უახლესი ისტორიიდან ჩვენ მიერ სათანადოდ გაუაზრებელი და შეუფასებელი, „ჟურნალისტური ტიტინის“ კატაკომბებშია ჩამარხული. და ვინ იცის, როდის ეღირსება მზის სინათლეზე ამოსვლა...

სწორედ ამიტომ, თუ უფრო ამიტომ, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამ რიგის ერთ-ერთი ამბის ექსტატიურმა შეფასებამ, ანუ მომხდარის პოეტური ენისათვის დამახასიათებელ სიმართლეზე მაღლა მდგომი სიმართლით გადმოცემის შესაძლებლობამ. ცირა ყურაშვილი ყველა აქსესუარს საკუთარი ფიქრის გაგრძელებაში – სიზმრისეულ ხილვაში ხედავს: კომანის მონასტრის მინდორს, მამა ანდრიას სილუეტს, ანაფორას „მოყინული თეთრი კვირტებით“ და ძვირფას, ობლად დარჩენილ საფლავსაც. იქ, სადაც ხრწნადი სხეული ეგულება, დედასთან ამგზავრებულს, ბრწყინვალე ნათელი ხვდება, როგორც ლოგიკური შედეგი ღმერთთან ასე მიახლოებული და ადამიანთა სულიერი სიბრმავისაგან დასახსნელად მოკლული კაცის თავგანწირვისა: „... ვფშვნიდით ბელტებს და ვირჯებოდით, როგორც სხვები, ვინც საფლავში ხრწნად სხეულს ეძებს. – აქ აღარ არის ჩემი შვილი და ჩემი მამა... ამ საფლავში ნათელი ბრწყინავს – თქვა დედამ, რომელიც დიდი ხანია აღარ იყო ბრმა და... ნათელი ამობრწყინდა მისი საფლავიდან! შენ ხომ გვახარე, შენც გიხაროდეს! ხომ გიხარია, დედა?“

„მამა ანდრიას ციკლის“ ლექსები მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით, თავისუფლების პატარ-პატარა მონაკვეთების ათვისებით, ხშირად უხერხული და გაუმართლებელი სიტყვათქმნადობითაც, ცდილობენ დამარცხებულთა ანუ ენგურსგამოღმა დარჩენილთა სულიერი უპირატესობის აქცენტირებას. ავტობიოგრაფიულობის გარკვეული დოზაც, რომელსაც ლექსის თხზვისას შეუძლია ხელისშემშლელ ფაქტორადაც იქცეს, სწორედ ამ კონკრეტულ ფორმას ჰგუობს, რომელსაც ჯერ კიდევ პუშკინი „პოეტურ საუბრად“, „поэтическое говорение-დ იხსენიებდა. მართალია, ეს „говорение“ სრულყოფილად არ არის გადმოცემული, მაგრამ მოხელთებულია ელეგიური განწყობილება, რომელიც სევდიანობის, მონყენილობის ცნების გაფართოებით მიიღწევა და რაღაც მეტს ნიშნავს.

სრულიად განსხვავებულ ნიღაბს ირგებს ჩვენი პოეტი ქალი ე.წ. „ნაგვის ყუთის“ სიმღერებში, სადაც ამაღლებული მგრძნობელობა ცხოვრების ბალაგანში ჩართული პერსონაჟის ჭრელი ქუდის ჟღარუნების ხმითაა ჩანაცვლებული. აი, ის, სარკასტული და გამწარებული, პოეტი რომ უწოდეს და შუაგზაზე კი მიატოვეს. საით წავიდეს ახლა? „დასაზღვრული, ანგარიშიანი სიყვარულით“ გარემოცული, საყვარელი სახისაკენ „ჩიტებივით გაფრენილი ხელები“ უმწეოდ რომ ჩამოუშვია. რისი ეშინია მას? როგორც თვითონ უწოდებს, „ჩათქვლეფილი ქვეყნის“ შვილს კბილის ჯაგრისის მოხმარების სურვილიც რომ განელებია, „ატარალგინის“ დალევის, „ვაისროისის“ მოწევის და, რაც მთავარია, ცაში ახედვის. ნუთუ იმისი, რომ სამუდამოდ მოახლედ შერჩება სხვათა ფეშენებელურ საცხოვრისს, გადამთიელის ჯიბრზე თავის სურვილებს შავი სამოსით რომ შენიღბავს ან იმისი, წიო ჩიტად რომ იქცევა, გაავდრების ამ პატარა გულუშიშარ მაცნედ. იქნებ სულაც რეალურია ნაგვის ყუთად, ათასგვარი ნარჩენებით ამოსავსებ ამ სიცარიელედ, ან კედელზე „ბუფუს კრებული“ მისრესილ კოლოდ გადაქცევის პერსპექტივა? ეს შინაგანი შიშის გამომხატველი ლექსებია, სუპერავანგარდული პოეტიკით, ანტირომანტიკულობითა და მისი სახიერი მეტაფორით, „შავი თოვლით“; ლექსები, სადაც მოუწყობელი, მუდმივად აწეწილი ქვეყნის მდგომარეობითა და ამ ქვეყანაში არშემ-

დგარი ქალობით გამოწვეული ისტერიაა პოეტიზირებული: „... მე სიბერის დროს მოვიწონებ თავს ამ კადრებით,/ მუხლებში თუ არ ჩავუვარდი ცისფერ ავტობუსს,/ თუკი სიბერე მექნება და არ იკადრებენ,/ ათასნაირად დაქუცმაცდეს ერთი ატომი"... როგორი ნაცნობი და, სამწუხაროდ, ადვილადრეალიზებადი პროგნოზებია. ცირა ყურაშვილის პოეტური თვალი, რომელიც როგორც წესი, ჩვენს მზერაზე მახვილი და ულმობელიც უნდა იყოს, უმეცრებითა და სულიერი სიტლანქით წარმოქმნილ თვითკმაყოფილებას აკვირდება. ათასი ჯურის ბატონ ზაურებსა და ციური ფაჩულიებს, რომელთა თვითგამოხატვის აქტი ყველაზე უკეთ კბილებში ბოლოკგაჩრილი ღორის თავით დამშვენებულ სუფრაზე ხორციელდება. სუფრაზე, რომელიც, სამწუხაროდ, პირმოთნეობისა და ფარისევლობის თავშესაფრად ქცეულა. თუმცა პოეტური ხედვის სიმძაფრე პოეტური ასახვის ოსტატობას ერთგვარად ჩამორჩება. კოლაჟური ტექნიკა, ანტიკომპოზიციურობა, სიტყვათქმნადობა გარკვეულ მხატვრულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ნამდვილი პოეზია, „პატიოსანი წესებით თამაშის ანუ მხატვრული ნორმიდან გადაუხვეველი თამაშის" (დ. ანდრიაძე) წესებს გულისხმობს და ამაზე დაფიქრება თავად პოეტს მოუწევს. გარდა ამისა, თვით ბუალო წერდა თავის „პოეტურ ხელოვნებაში": ჯერ ღრმად დაფიქრება, მხოლოდ შემდეგ სიტყვის ქაღალდზე გადატანაო. ეს შენიშვნაც „ანბანური პერიოდის" ორივე „ციკლის" ლექსებს ეხება, „ანგელოზურსაც" და „ნაგვისყუთურსაც" და ამის შესახებაც ფრთხილად მინდა პოეტს შევახსენო.

რაც შეეხება ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" 2008 წლის თებერვლის ნომერში დაბეჭდილ ცირა ყურაშვილის ახალ ლექსებს, უნდა ვაღიარო – სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ლექსების გრაფიკისა და სათქმელის ასეთ დახვეწას არ ველოდი. ნიღბების ცვალებადობიდან სუბიექტივიზმისაკენ მიმავალ გზაზე პოეტს თავგანწირული ათლეტივით დიდი მანძილი მოკლე დროში დაუფარავს. ღრმა, ინტროსპექციული მზერა, ზუსტი და ტევადი მეტაფორული სახეები, „კარგად გამოცდილი, აწონილი ფიქრი და ნააზრევი" პოეზიას ცირა ყურაშვილის „მეწყვილედ, ყოფიერებასთან და არსებობასთან მისი კავშირის" უტყუარ საშუალებად წარმოგვიდგენს. კვლავ „პოეტური საუბრის" ფორმით დაწერილი მისი ოდა „თავსაფრიან დედაკაცს" („ქრისტე, გაუღე შენი კარები") ერთ რამედ ღირს. ბიბლიური ალუზიები, რომელიც „მამა ანდრიას ციკლის" ლექსებში გაცხადდა, როგორც მართებულადაა მინიშნებული სარედაქციო მინაწერში, „განუწყვეტლივ სულის" თავისუფლებას ელტვის. მუდმივ მზადყოფნაშია ყოფიერების აუტანელი სიმძიმე ხელოვნების ესთეტიკურ საბურველში გაახვიოს..." გამარჯვება ამ აუტანელ სიმძიმეზე სახეზეა ვერბალურ ავტოპორტრეტში „ომის გამოცხადება": „ომი გამოვუცხადე/ ჩემს თვალგამტერებულ მზერას,/ ლანვებიდან უპეთა კუთხეებამდე ბრჭყალებით შეფრენილ,/ შებუდრებულ ტრაგიკულ იერს,/ მარტოობის მდუმარე სანგარი ავუფეთქე,/ სიცილის ჭურვები ვესროლე,/ ბავშვების ყიჟინით დავბომბე,/ გადავუფრინე ტკბილ მოგონებათა/ რეაქტიული თვითმფრინავებით..." ნებისმიერ ზარსა და გოდებაზე უფრო შთამბეჭდავია ეს თვითდარწმუნება, ეს უცნაური თვითთერაპია, როგორც უკიდურესი სასოწარკვეთის ფორმა. აქედან ერთი ნაბიჯილაა ისეთ მხატვრულ სიმართლემდე, როგორც იტყვიან, „ისეთ დრამატულ სიმაღლემდე, რომლის შემდეგაც ნამდვილი პოეზია იწყება". და იგი, ჩემი აზრით, როგორც უკვე აღვნიშნე, თავსაფრიანი დედაკაცისადმი აღვლენილი ახალი დროის ქებაა. თითქოს რა უნდა დარჩენოდა უთქმელი ნიკო ლორთქიფანიძეს? მაგრამ, თურმე უახლესი ისტორიის ახალ ეკალ-ბარდებს მრავალი უცნობი დეტალი, ამდენივე ახალი შტრიხი თუ ნიუანსი მოჰყოლია: „... თხილის და დაფნის კრეფით გაუხეშებული თითებით, ძროხის რძით დატკბილული თითებით, სიმინდის ნაქურჩალ-ნაკორტალა-კოტიათი გაქლიბული ფრჩხილებით, ფელამუშგადასმული ფრჩხილებით..." თუმცა შავი თავსაფარი ჭრელით შეუცვლია, მაგრამ ისევ ის „აღმართის ქალბატონია", რომლითაც აქამდე სული მოიტანა ჩვენმა ქვეყანამ.

ცირა ყურაშვილი მგრძნობელობის მოთვინიერების რთულ გზაზე დგას. იგი წიგნის პოეტი არ არის (არ უნდა იყოს), ამიტომაც ბევრი რამ აქვს აღმოსაჩენი და ხელშესავლები. როგორც ტარიელ ჭანტურია წერდა თავის დროზე შოთა ჩანტლაძეზე, ამ გზაზე თანამგზავრი არ აგედევნება, რადგან აქ მარტო მიდიან. პოეტს თავისი სპეციფიკური და განსხვავებული ხედვა უნდა ჩამოუყალიბდეს, რაც საკუთარი თავისადმი უშეღავათო მომთხოვნელობის ზრდის ხარჯზე უნდა მოხდეს. იგი „ცხოვრების შიგნიდან უნდა საუბრობდეს" უშიშრად და თავდავიწყებით. მაშინ იგრძნობს ლექსებში „საკუთარი თავის პოვნის" სიხარულს, მაშინ შეეძლება, ჩვენი, მკითხველების, ყოვლისმომცველი უსახურობისაგან გამოხსნა.

წარმატება ვუსურვოთ ჯიუტ „აღმართის ქალბატონს".

## ქრონიკა

ლიტერატურული არტ-კაფე „ქარავანი" განაგრძობს შეხვედრებს ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედებთან. საინტერესო სალამოების რიცხვს კიდევ ერთი შეხვედრა შეემატა. 14 მაისს გაიმართა ნინო მალრაძის პოეზიის სალამო. მან უკვე გამოსცა ორი კრებული. ახლო მომავალში გამოვა მისი ახალი წიგნი, სწორედ მასში შესული ლექსები წაიკითხა პოეტმა.

სალამო გახსნა დათო ტურაშვილმა, მან ისაუბრა ნინოს პოეზიაზე და აქვე დასძინა: „ჩემთვის საამაყოა ის, რომ ნინოს სალამოზე, წამყვანის როლის მორგება პირველად არ მიწევს,ვარ მისი ლექსების თაყვანისმცემელი და ვეცდები გავუწიო შესაფერისი პოპულარიზაცია. გპირდებით, რომ წინ დიდი სიამოვნება გელოდებათ".

ნინო მალრაძემ აღნიშნა:

— სამი წელია ასეთი სალამო არ გამიმართავს და ამიტომაც ძალიან ვღელავდიო. ბოლოს მადლობა გადაუხადა სტუმრებს და სიტყვა გადასცა მწერალ გიზო ნიშნიანიძეს, რომელმაც დასძინა: „ეს იყო ნამდვილი პოეზიის პატარა დღესასწაული, ლექსები იწერება ასოების სასოებით, მის ლექსებში იმდენი მეტაფორაა, რომ მისი აღქმა ძნელია და საინტერესო, მე მინდა მივულოცო ნინოს გამარჯვება".

სალამოზე განსაკუთრებით აქტიურობდა მთარგმნელი და პოეტი დავით აკრიანი, რომელმაც აღნიშნა: მეც ნინოს პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ვარო.

ნინო ჩხიკვიშვილი

# როცა ყველა შინ არის

ახლა ხელთ მაქვს, საყმაწვილო ბიბლიოთეკის სერიის მეთორმეტე წიგნი – ნინო ბეზარაშვილის „მეზღაპრის საჩუქარი“.

ეს წიგნი კარგა ხანია (2006 წელს) გამოვიდა, და, ალბათ, ჩვენი წიგნების სხვადასხვა მაღაზიაშიც შეამჩნევდით დახლებზე, მაგრამ... ამ შემთხვევაში ერთი უმთავრესი რამ მაინტერესებს – ჰყავს თუ არა ამ შესანიშნავ კრებულს ნორჩი მკითხველი? თუ საერთოდაც საბოლოოდ გადაეჩვივნენ ჩვენი ყმაწვილები კითხვას?

მოგეხსენებათ, ეს მხოლოდ ჩემი, თქვენი თუ კერძო პიროვნული სატკივარი არ არის. ყოველი გონიერი, მოაზროვნე ადამიანი ამაზე, იმედია, სერიოზულად ფიქრობს.

ნუთუ მხოლოდ კომპიუტერული თამაშებითა და ჯოან როულინგის „ჰარი პოტერით“ დაინტერესებულ ყმაწვილებს ვზრდით და ასეთი მომავლისა გვეიმედება?!

არა, ახლა ისე ნუ გამიგებთ, რომ რაღაც განსაკუთრებულს ვითხოვდე და დროის უკან დაბრუნებას ვლამობდე, მაგრამ ძალიან მწყდება გული, რომ ჩვენი ყმაწვილები, ჩვენი შვილები, წიგნთან, მწერალთან ურთიერთობის დიდებულ განცდას, ამ მოუბეზრებელ ინტიმს არიან მოწყვეტილნი...

ახლა ხშირად შეიძლება მოისმინოთ ასეთი დიალოგი დედა-შვილს, ბებიას, პაპასა და შვილიშვილს შორის:

– ამოირჩიე, რომელიმე წიგნი, შვილო, და... წაიკითხე! აი, თუნდაც ქართული ხალხური ზღაპრები, ან თუნდაც „მაუგლი“.

– ჰო, კარგი, კარგი!

თითქოს რაღაც მოვალეობის მოხდის მიზნით პასუხობდეს ყმაწვილი უფროსს და, როცა მშობელი ამას მიუხვდება, ახლა სხვანაირად უმეორებს იმავეს:

– შვილო, დამიჯერე, წიგნს კომპიუტერი ვერ შეცვლის, თუ გინდა სიტყვების ძალა იგრძნო, აუცილებლად უნდა წაიკითხო კარგი წიგნი!..

– მერედა, რაში მჭირდება ეგ შენი სიტყვის ძალა, ან თუნდაც წიგნი რაში გამომადგება? განა ვერ ხვდები, დროში რომ ხარ ჩარჩენილი? აბა, შენს დროს ყოფილიყო კომპიუტერი, დავინახავდი, წიგნებს თუ წაიკითხავდი!

– აი, „ტომ სოიერი“, „რობინზონ კრუზო“, ქართველები გნებავს – იაკობ გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ან სხვა ვინმე, თუნდაც ჩვენი თანამედროვე ამოირჩიე.

–რა? რა დროს გოგებაშვილი, ანდა გაბაშვილია.

– მაშ ვინ?

– მოიცა რა, დედა!

– ნახე, აი, ეს წიგნი, მაინც გადაფურცლე.

– ეს რა წიგნია?

– ნინო ბეზარაშვილის „ანწლის ქოხი“, შენი ტოლა რომ ვიყავი, პირველად ეს მოთხრობა წავიკითხე და მაშინ მივხვდი, რომ...

– რა „რომ“?

– მივხვდი, რომ მეც მწერალი უნდა გამოვსულიყავი.

– მერე გამოხვედი, რო?..

– არა, მწერალი ვერ გამოვედი, მაგრამ წიგნის სიყვარული კი ვისწავლე.

* * *

არ ვიცი, ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ, როდის შედგა ასეთი დიალოგი ჩემს შვილსა და ჩემს შორის, მაგრამ რაკი ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა ნინო ბეზარაშვილის შემოქმედება გახლავთ, არ შემიძლია შორეული, ბავშვობისდროინდელი განცდა არ გავიხსენო: მახსოვს, როგორ მომიტანა ნინო ბეზარაშვილის წიგნი მამამ და როგორ მირჩია, რომ წამეკითხა.

...მეც ავდექი და ჯერ ყდა შევათვალიერე, მერე მოთხრობის პირველივე აბზაცი ჩავიკითხე სულმოუთქმელად და მივხვდი, მივხვდი, რომ მეც ისეთივე გოგონა ვიყავი, როგორიც იყო თათუ. არა, ჩემი და თათუს ბიოგრაფია არაფრით ჰგავდა ერთმანეთს, მაგრამ მაინც ბავშვური სიჯიუტით ვიყავი დარწმუნებული, რომ თათუ მე ვარ – დამფრთხალი, შეშინებული, მარტოსული და კერპი. მე ვიყავი ის გოგო, რომელსაც აუცილებლად შეიყვარებდნენ... და ანწლის ქოხსაც აუგებდნენ.

ახლა, ამდენი ხნის გადასახედიდან, ეს ყოველივე იქნებ უცნაურადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ მაშინ ნამდვილად ასე იყო; ნაწარმოების პერსონაჟებს ხშირად ვბაძავდით ბავშვობაში.

ხშირად ძილიც კი გამტეხია ნაწარმოებში ამოკითხული თავგადასავლისა და იმის გამო.... რომ ვერ გადამეწყვიტა, გავქცეულიყავი თუ არა მეც იმ პატარა გოგონასავით შინიდან?

აი, ასე ვიზრდებოდით, ასე შევაბიჯებდით ხოლმე სიყმაწვილეში. მერე, მერე კი.... ჩვენ თვითონ ვხდებოდით დედები, და მაინც, დღემდე არ გვტოვებს ბავშვობაში განცდილი და ნაფიქრი.

ახლაც იმ ბავშვური განცდითა და მღელვარებით ვშლი მწერალი ქალის წიგნს და ვგრძნობ, როგორ ვბრუნდები ბავშვობაში. თუმცა მთლად ასე ხელაღებით ვერ ვიტყვი, მხოლოდ ბავშვობაში-მეთქი, რადგანაც ნინო ბეზარაშვილის მოთხრობები და ზღაპრები მხოლოდ ყმაწვილთათვის არ არის განკუთვნილი. აკი წიგნის წინასიტყვაობაში შენიშნულიცაა: „ჩვენი სადიდეთიც ენაფება იმ ჯადოსნურ წყაროს, რომლის დაგემოვნებითაც დაბრძენებული ხალხი ახალგაზრდავდება, ახალგაზრდა კი ბრძენდება.

აი, ასეთი საბავშვო – საუფროსო მწერალია ნინო ბეზარაშვილი.“ – ვიტყოდი, რომ ზუსტადაა შეფასებული ქალბატონ ნინოს შემოქმედება, რომლის მთავარი პერსონაჟები ისევ და ისევ ყმაწვილები არიან, ის ლამაზი გოგო-ბიჭები, რომელთაც სიყვარულისა და საკუთარი კერის გარეშე ცხოვრება არც შეუძლიათ და ვერც წარმოუდგენიათ.

დიახ, საკუთარი კერა, ეს ფრაზები შემთხვევით არ მიხსენებია.

საკუთარი ქვეყნის, ფუძისა და სოფლის განცდა დაკარგეს ჩვენმა ყმაწვილებმა, და რაც მეტი დრო გავა და რაც მეტად მოაწყდება ჩვენს ქვეყანას უცხოური სიო, მით უფრო იოლად დავივიწყებთ საკუთარ ფესვებს... მით უფრო გავუვუცხოვდებით ერთმანეთს. ბავშვურ გულწრფელობასა და სილაღეს ისე უეცრად დავკარგავთ (თუ უკვე არ დაგვიკარგავს), რომ შემდეგ ამაზე ფიქრი და ჯავრი გვიანღა იქნება!

ისე, ყმაწვილებმა დაკარგეს საკუთარი კერისა და მშობლიური მხარის განცდა-მეთქი, რომ ვამბობ, აქვე ერთი რამ აუცილებლად უნდა შევნიშნო: განა ჩვენ, უფროსებსაც, არ მიგვიძღვის ამაში წვლილი?

განა ოდესმე წაგვიყვანია ქალაქში დაბადებული ბავშვები, რომლებიც, ბუნებრივია, ქალაქშივე იზრდებიან, კახეთში რთველზე? გვიჩვენებია, როგორ მწიფს ვენახი ზვრებში? და როგორ გამოსჭვივის მტევნებში მზის სხივი? და ჩვენს დაელმებულ ყოფაში თუ ყველას არა გვაქვს ამის საშუალება, მაშინ ის მაინც ხომ შეგვიძლია, რომ ჩვენი საყვარელი მწერლის – ნინო ბეზარაშვილის წიგნი გადმოუღლო და წააკითხო მისი ერთ-ერთი მოთხრობა, ვთქვათ, „ღიმილი“:




„სოფელი ხმაურობს, ქოთქოთობს, აივანზე საჩურჩხელე კაკალს ამტვრევენ. ბადაგში დასველებული ჩაქუჩით ღელვის ჩირს აბრტყელებენ, მარნებიდან მოისმის ლაპარაკი და ყურძნის საწური მანქანის რახრახი.

მეზობელ ეზოში ვეება სპილენძის ქვაბით სათათარე ტკბილს ადუღებენ.“

ან კიდევ მოთხრობა „რთველი“ გავიხსენოთ, რომელშიც სწორედ იმ პატარა გოგონას განცდებია გადმოცემული, ბალღობისას რთველში ყოფნას რომ არაფერი ერჩია:

„ყურძენი ბევრია, ძალიან ბევრი. ხან კუმსი მტევანი მოსტაცებს თვალს, ხან თხელი, მზეზე დამკრახული, თუმცა სად სცალია მტევნებისთვის. აქა-იქა გამოკირკნის ყველაზე ლამაზ მარცვალებს და ჰყოფნის. ლამაზი მარცვლების მეტი რა არის, მაგრამ გოგონა უფრო მეტად ძველ დაფახფახებულ გოდრებს უვლის გარშემო. გამხმარ წნელებშუა ყველაზე ლამაზი მარცვლებია გარეთ გამოსული. გოგონა პაწაწინა ცერით და საჩვენებელი თითით გამოსწყვეტს მარცვალს და პირისკენ გააქანებს. მეტიც აღარ უნდა, ეგრე უფრო გემრიელია!

ვენახის ბოლოს წამლის კონას ცეცხლი ეკიდება, ალი სულ ბურბურით ადის მაღლა. იქვე ნაღვერდლებზე შამფურებზე წამოცმული ცხვრის მწვადები შხიპშხიპებს. ისეთი სუნი დგას, მკვდარსაც მოუნდება ჭამა.

ეხლა ის პატარა გოგონა სიბერის კარიბჭეზეა მისული, მაგრამ დღესაც თვალწინ უდგას გამჭვირვალე, ქარვისფერი მარცვლებით შემძივული გოდორი.“

სიბერის კარიბჭეზეო! – მინდა სიტყვათა ამ შეთანხმებას მიაქციოთ ყურადღება. ასეთი კარგი, ნამდვილი ქართულის მცოდნენი და მოლაპარაკენიც, სამწუხაროდ, თანდათან ტოვებენ სამწერლო თუ საქვეყნო ასპარეზს და ბურთი და მოედანი ისეთ მწერლებსა და მოსაქმეთ რჩებათ, სიტყვის გრძნობა რომ დაუკარგავთ.

ვიცი, ასეთ მწერლებზე საუბარი ამ წერილის თემა არ გახლავთ და არც ის მინდა, ვინმე უსამართლოდ გავკენწლო, მაგრამ ვინც ამ ჩივილს საკუთარ თავზე მიიღებს, ეგებ ჩაფიქრდეს კიდეც!.. და თუ ჩემი არა სჯერა, ისეთ მწერალს მაინც დაუჯეროს, როგორიც გრიგოლ რობაქიძე იყო. ასე დანანებით, რომ წერდა თავის დროზე: ბევრ ქართველ მწერალს დაავიწყდა ქართული, დღეს რატომღაც მათი სიტყვები გაცვედდნენ და სასიცოცხლო ძალა დაკარგესო! არადა, სიტყვას ისეთივე ძალა გააჩნიათ, როგორც ცოცხალ არსებასაო!

მაგრამ ამაზე სხვა დროს და ალბათ უფრო სხვა ვითარებაში თუ ვისაუბრებთ. ახლა კი ისევ ნინო ბეზარაშვილის შემოქმედებას მინდა მივუბრუნდე – მწერლის ლექსიკა ვახსენე წეღან და აქვე მინდა შევნიშნო ისიც, რომ ყმაწვილი (და არა მხოლოდ ყმაწვილი), რომელიც მისი ზღაპრებისა და მოთხრობების წიგნს წაიკითხავს, აუცილებლად მიხვდება, თუ რა ძალა აქვს ქართულ სიტყვას და რატომ აქვს მიკუთვნებული საკუთარი ადგილი მსოფლიოში ცნობილ სხვა ენათა შორის.

აბა, ყმაწვილებო, თუ გახსოვთ, რა ჰქვია ქართულად ბუს? – მიკიოტი, ან რას ნიშნავს ლეჩაქი, ძველად ქალები თავსაბურად რომ ხმარობდნენ, ან თუნდაც, ნარს ეკლიან ბალახს, რომ ეძახიან, კლერტას კიდევ – სარეველას, ეგ ხომ არ დაგავიწყდათ? ან სულაც ვარცლი ცომის მოსაზელი ხის ჭურჭელი რომ არის, ეს თუ უთქვამს თქვენთვის ბებიას ან დედას? და ასე შემდეგ, ვინ იცის რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამ ერთი კრებულიდან?! ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ სიტყვებისა, რომელიც ლექსიკონის სახით თან ერთვის წიგნს და ბავშვებს ნამდვილი ქართული ენის მადლს აზიარებს;

იცით, ერთ გარემოებას მინდა მივაპყრო ყურადღება, რაც, ჩემი აზრით, მართლაც რომ მნიშვნელოვანია. მწერალი არსად, არცერთ მოთხრობაში, მით უფრო ზღაპარში, არ ახსენებს სიკვდილს. მისი პერსონაჟები ისე მიდიან ამქვეყნიდან, რომ მათთან მიმართებით არასდროს არაა ნახმარი სიტყვა სიკვდილი, გარდაცვალება, ან კიდევ მისი რომელიმე მკაცრი სინონიმი. და ეს იცით, რატომ? მწერალმა ქალმა კარგად იცის როგორი ფაქიზია ყმაწვილის სული და ამიტომაც ესათუთება ასე ძალიან.

მაგალითისთვის გავიხსენოთ თუნდაც მოთხრობა „კუნძი“ და ამ მოთხრობის მთავარი მოქმედი პერსონაჟი - ნიკო პაპა.არა, არც ამ მოთხრობაში ხდება რაიმე გამორჩეული თუ განსაკუთრებული, მაგრამ ნიკო პაპაც, ისევე, როგორც მწერლის სხვა პერსონაჟები, ისეთი სიყვარულისა და სითბოს მატარებელნი არიან, რომ ერთხელ მაინც თუ შეხვდებით, მერე მათი გადავიწყება, მერწმუნეთ, გაგიჭირდებათ... და აი, ნიკო პაპა კვდება, მაგრამ მწერალი სიკვდილს არსად ახსენებს, მხოლოდ ასე წერს: „ერთ დღეს ნიკო პაპა აღარ გამოჩნდა, არც მეორე დღეს ჩამომჯდარა კუნძზე. ზამთრის პირის ჰაერის ცვალებადობას ვეღარ გაუძლო და წავიდა ნიკო პაპა.“

წავიდაო, განა მოკვდაო. – მწერალმა, იცის ბავშვს რამოდენა ფანტაზიის უნარი აქვს და იცის, რომ იგი რაღაცას, მისთვის უფრო მისაღებს, ვიდრე სიკვდილია, შეაწყვილებს ნიკო პაპასთან.

„კუნძი“ – ეს მოთხრობა იმ კრებულიდან გახლავთ, მწერალს „ჩემი საყდარი“ რომ უწოდებია. იგი გამომცემლობა „ნაკადულს“ 1993 წელს დაუსტამბავს. ბუნებრივია, ამავე სა-

ხელნოდების მოთხრობაც აქვეა და, რაკი „ჩემი საყდარი" ვახსენე, მინდა ერთ გარემოებას გავუსვა ხაზი – ნინო ბეზარაშვილი იმ ეპოქის შვილია, როდესაც კომუნისტური დიქტატურა, ცენზურის მახვილი თვალი ბევრ მართალ სიტყვას, ბევრ სათქმელს ისე გადაასხვაფერებინებდა ავტორს, რომ მერე თვითონვე ავტორი აიყრიდა ხოლმე გულს საკუთარ ნაწარმოებზე. იმ ეპოქაში ბევრ სადიდო მწერალსაც უწევდა დათმობა, ერთგვარი კომპრომისი, მაგრამ საინტერესოა, როგორ ახერხებდნენ მაშინდელი საბავშვო მწერლები პატარა მკითხველამდე სათქმელის ისე მიტანას, როგორც ეს მათ სურდათ და ხელეწიფებოდათ?

სხვათაშორის, ეს საკითხიც – საბავშვო მწერლობისა და ცენზურის ურთიერთობა, ალბათ სხვა, უფრო ვრცელი საუბრის თემა გახლავთ, მაგრამ ამჯერად ნინო ბეზარაშვილის შემოქმედებაში ერთ ტენდენციაზე მინდა გავამახვილო ყურადღება. მწერალი საკმაოდ თამამია, ისეთივე ჯიუტი და შეუპოვარი, როცა სურს, თავისი სათქმელი ბოლომდე მიიტანოს ნორჩ მკითხველამდე, რომ შეიძლება ბევრ უფრო თვალსაჩინო მწერალსაც კი შეშურდეს მისი. ეს ზოგადად, კონკრეტულად კი რამდენიმე მაგალითის მოყვანასაც შევძლებ: მაშინ, როცა, როგორც წესი, ყმაწვილებს კომუნისტური პარტიის დიად მომავალსა და მიღწევებზე ესაუბრებოდნენ უფროსები და მათ შორის ბევრი იყო სწორედ საყმაწვილო მწერალი (და არა მხოლოდ საყმაწვილო), ქალბატონი ნინო ალაზნის ველსა და კავკასიონის ფონზე საკუთარი საყდრის აღმოსაჩენად მოუწოდებდა პატარა მკითხველს.

მართალია ამ მოთხრობას თარიღად 1991 წელი აქვს მინიშნებული და შეიძლება ვინმე შემომედავოს, ამ დროს კომუნისტური ეპოქა სადღა იყოო? მაგრამ იმას რაღა დაუდგება წინ, ლამის ყველა მოთხრობაში უფლის სახელი რომ ისმის?! წარჩინებულ გვართა და თავადთა ნოსტალგიაც იგრძნობა. თანაც, ესეც ნუ დაგავიწყდებათ. ერთ, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვან, ეპიზოდს შეგახსენებთ მწერლის ბიოგრაფიიდან: ნინო ბეზარაშვილი წელმაგარი გლეხის ოჯახში დაბადებულა. მამამისი გამრჯე მევენახე ყოფილა და კარგი მგალობელი. ოცდაჩვიდმეტში ისიც სხვებსავით გაუციმბირებიათ და ოჯახის ტვირთი 15 წლის გოგონას დასწოლია მხრებზე. ასე რომ, დღეს რატომღაც ასერიგად გაცვეთილი ფრაზები (ამ ფრაზებს ძალიან ხშირად და სავსებით უადგილოდაც კი პოლიტიკოსებიც ხმარობენ და ამით თითქოს ერთგვარად კვალუცმბენ კიდეც) – ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ! – ამ შემთხვევაში ნამდვილად არ გვჭრის ყურს და იოლი მისახვედრიცაა, რატომ უყვარს მწერალ ქალს ასე ძალიან გარდასული ეპოქა, რომელმაც ასე დაუნდობლად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვხედავთ, რომ ადამიანებში კეთილშობილება და თანადგომის უნარი ვერ ჩაკლა.

ესეც ძალიან ნიშანდობლივია, თუკი დღევანდელობასთან მიმართებით განვიხილავთ. დღეს რატომღაც ხშირად ნავაწყდებით საპირისპირო სურათს: ძალადობა, სისხლი, სიკვდილი – აი, რას უყურებენ ჩვენი შვილები და რა იბეჭდება მათ ჯერაც ჩამოუყალიბებელ, ფაქიზ გრძნობა-გონებაში, ასე შეუმჩნევლად და ასე თამაშ-თამაშით. ესეც, ბუნებრივია, გარკვეული პოლიტიკის შედეგია, მაგრამ არ მინდა ეს ყველაფერი ე.წ. ამერიკანიზაციას გადავაბრალო, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რომ ამერიკის ყველა წესიერ ოჯახში, სადაც მომავალ თაობაზე ზრუნავენ, ტელევიზიით მკაცრად დადგენილი საათების განმავლობაში ვერცერთ არხზე მოზარდი ვერ წააწყდება ვერც ძალადობას, ვერც ტრილერსა და ვერც „ბოევიკს", რომ არაფერი ვთქვათ გაშიშვლებულ სასიყვარულო სცენებზე.

მაშ რატომ ვაწყდებით ასე ხშირად ჩვენში საპირისპიროს – ესეც ნუთუ დაუდევრობისა და გულგრილობის შედეგია და მეტი არაფერი?!

განა არ სჯობს ჩვენს შვილებს თანადგომა და თანალმობა ვასწავლოთ?!

და რაკი თანალმობა ვახსენე, ნინო ბეზარაშვილის სხვა მოთხრობებს შორის ერთ-ერთი, ვთქვათ „არხეინა" გამოვარჩიოთ და მის შინაარსს შეგახსენებთ: აქ ერთი პატარა, უჩინარი ოჯახის საწუხარია აღწერილი – ღმერთმა ცოლქმარს შვილი არ მისცა, მაგრამ არცერთი მათგანი არ გაბოროტებულა, არც ღვთის გმობაში ჩავარდნილა. ამიტომ თავის დარდსა და ვარამს სხვების დასანახად მალავენ. იქნებ ამიტომაც ბევრს ჰგონია, რომ ეს უშვილო კაცი – ელიზბარი, ერთი შეხედვით ასე უდარდელად რომ ილხენს, მართლაც უდარდელია, არადა, საპირისპიროს გვიჩვენებს მწერალი: ერთხელაც სასადილოდან გამოსული ელიზბარა სიბნელეში ნელ-ნელა მისდევს გზას და თან თავის სადარდებელს სიმღერით ამბობს:

**რა იქნებოდა,**
**რა მოხდებოდა,**
**ერთი პატარა ბიჭუნა**
**მეცა მყოლოდა...**

„ღმერთმა აცოცხლოს ელიზბარა, ამ დადუმებულ ღამეს ეგ დაახმაურებს ხოლმე, – ამბობდნენ ზოგიერთები კეთილად. მაგრამ გამკენწლავიც ბევრი ჰყავდა ელიზბარას:

„ტყუილია, მაგისთანა არხეინა კაცი არ იქნება დედამიწის ზურგზე, მიდის და მიიმღერის უდარდელად! ანდა რა აქვს სადარდებელი, შვილი მაგას არა ჰყავს და ძირი."

რა იცოდნენ, რა ცეცხლი უდუღდა გულში ელიზბარასა!..."

წავაკითხოთ ეს პატარა მოთხრობა ჩვენს ყმაწვილებს და შემდეგ ვკითხოთ, აბა, რა არის ამ მოთხრობის მორალი, რისი თქმა უნდოდა მისი მეშვეობით მწერალს? და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოგიგებენ – ასე ხელაღებით, ჰარად არცერთი ადამიანი არ უნდა განიკითხო, არც არავისზე იჭორავო და გახსოვდეს, ყველას თავისი სადარდებელი აქვსო.

დიახ, ნამდვილად ასე გვიპასუხებენ და მართალნიც იქნებიან, რადგან ელიზბარს თავის ჯვარი აქვს სატარებელი, სხვას კიდევ საკუთარი და ასე, განა უფალმა ყველა ჩვენგანს ჩვენ-ჩვენი ჯვარი არ დაგვიწესა? გავიხსენოთ თუნდაც ის ბრგე, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი, გერმანელებთან ომში რომ დაკარგა ორივე ფეხი, ეს პერსონაჟი იმ მოთხრობიდან გახლავთ, რომელსაც მწერალი ასე ასათაურებს – „ღრუბლები მიჰქრიან".

თუმცა ვიდრე ამ მოთხრობაზე შევაჩერებდე თქვენს ყურადღებას, ისევ „არხეინას" მინდა მივუბრუნდე და ერთი რამ შეგახსენოთ: დაუკვირდით, რას ამბობს მწერალი, შვილი რომ ჰყოლოდა, როგორ გაზრდიდა ელიზბარი, როგორ და აი, ასე:

„ვაჟიშვილს ნატრობდა ელიზბარა: „ერთი მაღირსოს ღმერთმა იგრე გავწურთნით მე და ჩემი დედაკაცი, რო იმისი ცალი და ბადალი არავინ იყოს. ჯერ ზრდილობასა და რიგიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა–პასუხს ვასწავლით, მერე სხვა რამეს, შრომასა და გარჯის ყადრსაც ჩავაგონებ, პური რომ დაუვარდება, ვეტყვი: „აილე, შეუბერე და აკოცე, მაგაში ხალხის ოფლია ჩაღვრილი-მეთქი, ღმერთმა ქნას, ნიჭი გამოჰყვეს, არ დავუკარგავ, ურიის ვალში ჩავდგები და ვასწავლი. არადა წერა-კითხვა, ანგარიში ისწავლოს კარგად, მეტი რა უნდა? გამოვუწკეპავ კოხტა თოხსა და თოხნოს. მაშ როგორა, ძალით ნასწავლი კაცი რად ვარგა, არც თავის თავს არგია, არც ქვეყანას.“

ხედავთ, როგორი ხალხური სიბრძნითაა ნასაზრდოები ეს სიტყვები, ძალით ნასწავლი კაცი არც თავისთავს გამოადგება და არც ქვეყანასაო! რა ზუსტადაა ნათქვამი, აბა, მიმოიხედეთ და ნახეთ, რამდენი ასეთი ძალით ნასწავლს შეხვდებით ჩვენს დღევანდელ საზოგადოებაში. არ არის ეს მეტად დასაფიქრებელი?!

აქვე მინდა კიდევ ერთი პერსონაჟის სიტყვები შეგახსენოთ მოთხრობიდან „წყაროს სიმღერა“: „როცა კაცი საქვეყნო რამეს შეეჭიდება და მხოლოდ თავისთვის იფიქრებს, იმ საქმეს კარგი ბოლო არა აქვს ხოლმე.“ რაო, ხომ არაფერი გენიშნათ, კვლავ ჩვენი დღევანდელობა ხომ არ მოგაგონათ?

ახლა ისევ ზემოთ ზემოთ ნახსენებ მოთხრობას „ღრუბლები მიჰქრიან“ მივუბრუნდეთ, ამ მოთხრობაში ამბავი 1941-45 წლის ომის ჟამს ხდება. აქაც, ისევე, როგორც ნინო ბეზარაშვილის სხვა მოთხრობებში, ფაბულა, ამბავი რაზეც მწერალი გვიყვება, თითქმის ბანალურია, მაგრამ ის სიკეთე და ოპტიმიზმი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია მწერლისთვის, აქაც სჯაბნის დარდსა და ვარამს. მაშინ, როდესაც ტანჯვისთვისაა განწირული მთელი ოჯახი, მისი თითოეული წევრი საკუთარ თავში პოულობს იმის ძალას, რომ დარდსა და ტკივილს გაუმკლავდეს და ომიდან დაბრუნებული, ორივე ფეხმოკვეთილი, სრულიად ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე მამაც შეძლებს ფეხზე დადგომას. ამიტომ შეურქმევია ამ ნაწარმოებისთვის ავტორს ასეთი სიმბოლური სახელწოდება – „ღრუბლები მიჰქრიან“. ახლა, რაკი მოთხრობის სათაურზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა დავძინო, რომ ავტორი მართლაც ზუსტად პოულობს ამა თუ იმ ზღაპრის სახელწოდებას, ისე ოსტატურად შეურჩევს ხოლმე სათაურს, პირდაპირ შეგეხარბება.

სხვათა შორის, რომ იცოდეთ, ესეც ერთგვარი მწერლური ალღოა, პატარა მკითხველის გულთან მისასვლელ ბილიკს ასე იოლად რომ უკვალავს ნინო ბეზარაშვილს.

წელან აღვნიშნე ისიც, რომ მწერალის პერსონაჟები დარდსა და ტკივილთან გამარჯვებულნი გამოდიან-მეთქი, და ამის ახსნაც იოლადაა შესაძლებელი: ამ ნაწარმოებების თითქმის ყველა პერსონაჟი, მოხუცი პაპა, დიდედა თუ სხვა უფროსი ადამიანები უდავოდ მისაბაძნი არიან ყმაწვილთათვის.

„პაპას არ უყვარს ცუდი ამინდი, ძვლები ტეხს ხოლმე. ახლაც, მგონი, ვერ არის კარგად, მაგრამ მაინც არაფერს ამბობს... საერთოდ პაპა ასეთია: შიმშილს, დარდს, ტკივილს უთქმელად იტანს“.

ასე ახასიათებს პატარა ბიჭუნა თავის პაპას და, ასეთი მოხუცის შემხედვარეს, განა იმის უფლება აქვს, თვითონ იწუწუნოს?

თუმცა ამ მოვლენას – ძველი და ახალი თაობის ურთიერთობას, იმას, რომ ძველი თაობა მუდამდღე კარგი მაგალითის მიმცემია ყმაწვილთათვის – მწერალი არცერთ მოთხრობაში საგანგებოდ არ უსვამს ხაზს. ეს ისე, თითქოსდა თავისით, ბუნებრივად ხდება. ისე, რომ ამის აღმოჩენა ზოგჯერ დაკვირვებულ, დადარაჯებულ მკითხველსაც კი გაუჭირდება. ამის ნიმუშად შემიძლია რამდენიმე მოთხრობაც დავასახელო. მაგალითად, „სოკრატე“. ეს იმ კეთილშობილი მასწავლებლის მეტსახელია, რომელიც როგორც საკუთარ შვილებზე, ისე ზრუნავს თავის მოსწავლეებზეც. ან – „მგოსანი“, „ფერიცვალა“ და კიდევ სხვა.

არ მინდა გამომრჩეს კიდევ ერთი პროფესიული ნიუანსი – ნაწარმოების კომპოზიციური წყობა და საბოლოო წერტილის ზუსტად დასმის ხელოვნება.

აბა, გაიხსენეთ მოთხრობა „სახლი“. დიდი ხნის წინათ ამ სახლიდან წასული პატრონი, ახლა უკვე ჭარმაგობაში შესული, როგორ უბრუნდება საკუთარ ფუძეს. არ ვიცი, სხვები დამეთანხმებიან თუ არა, მაგრამ მე კი მგონია, რომ ამ მოთხრობის ფინალს ბევრი ცნობილი, სადიდო მწერალიც მოაწერდა ხელს.

რაკი ნაწარმოების კომპოზიცია ვახსენე, აქვე არ შემიძლია მოთხრობებისა და ზღაპრების შინაგან მუსიკალობაზე, რიტმზე არ ვისაუბრო. თუკი კარგად დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ ამის მისაღწევად მწერალს ბევრი არ უწვალია. ეს ის რიტმია, რომელსაც თვითონ ცხოვრება სთავაზობს ყოველ შემოქმედს. ეს ის მუსიკალობაა, მოჩუხჩუხე წყაროს რომ მოსდევს ფეხდაფეხ, და ის ჩუმი სიმფონიაა, ალაზნის ველზე გაშლილ ღამეს რომ სჩვევია.

* * *

ახლა წელან დაწყებულ სათქმელს მივუბრუნდები. ამჯერად ამორჩევით დავასახელებ მოთხრობებს-მეთქი რომ აღვნიშნე, მინდა „სახსოვარსა“ და „ნავენახარზე“ შევაჩერო თქვენი ყურადღება.

„სახსოვარი“ – ეს მოთხრობა პირველი სიყვარულის ამბავს გვიყვება და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ბავშვური აღქმა პირველი სიყვარულისა არასდროს ქრება. მერე რა, რომ ეს სიყვარული არათუ რომანტიკულ, არამედ პირიქით, მეტად პროზაულ გარემოში აღმოცენდება. იცით, სად? სამჭედლოში! მაგრამ რამოდენა დროს გაუძლებს?! ის ვაჟი, თედო, რომელსაც თავის დროზე სრულიად ყმაწვილი, ახლა უკვე ლამის სიბერეში ფეხშედგმული თამრო შეუყვარდა, გერმანელ ნაცისტებთან ბრძოლას გადაჰყვა და არც ცოლ-შვილი დარჩენია, არც სხვა ვინმე გულშემატკივარი, გარდა ამ მჭედლის ქალიშვილისა, გარდა თამროსი, რომელმაც მისი პაწაწინა სასიყვარულო ბარათი მთელი ცხოვრება თან ატარა, ჯერ იყო და დედამთილსა და მულებს უმალა. მერე – ქმარს, როგორც სიმბოლო სათუთი ოცნებისა და ნამდვილი სიყვარულისა.

ასეა, ეტყობა მართალი იყო მწერლის ახალი კრებულის – „ზღაპრის საჩუქრის“ – რედაქტორი, როცა აღნიშნავდა: წაიკითხავთ ნინო ბეზარაშვილის ზღაპრებსა და მოთხრობებს და მაშინვე გენიშნებათ გიორგი ლეონიძის სიტყვები: „პოეტები მხოლოდ ქაღალდზე, რითმებით მოლაპარაკენი როდი არიანო“.

ახლა რაც შეეხება მეორე მოთხრობას – „ნავენახარს“. მართალია, ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი 30-40 იან წლებში რეპრესირებულთა ოჯახიდანაა, მაგრამ იოლი შესაძლებელია, რომ ასეთივე მოზარდი ჩვენს გვერდით, ჩვენს ოჯახშიც აღმოჩნდეს, და როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ?

ამ ბიჭის – მალხაზის – ტრაგედია სწორედ არსებული ყოფის, პოლიტიკური წყობის შედეგია. მას თითქმის აღარავინ დარჩენია ქვეყნად, იმ დის გარდა, რომელიც გამუდმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ და ბავშვები

ბით პატიობს ყოველ შეცდომას და დიდსულოვნად ელოდება, როდის მოვა გონს. ამ ყმანვილის შინ დაბრუნება და გამოსწორება შორეულ რემინისცენციებს აღძრავს სახარებისეულ უძღები შვილის დაბრუნების იგავთან. დანარჩენი კი უბრალოდ ანტურაჟია. ვფიქრობ, იმისთვის შექმნილი, ამ შემთხვევაში ცენზურას რომ არ დაეჩხა, ან სულაც ვეტო რომ არ დაედო მისთვის. აბა, ხუმრობა საქმე კი არ იყო ე.წ. ხალხის მტრის შვილზე მოთხრობის გამოქვეყნება თავის დროზე.

საერთოდ კი, როცა მთლიანად ვეცნობით ნინო ბეზარაშვილის შემოქმედებას, ერთი ტენდენცია ხდება შესამჩნევი: მწერალს ურჩევნია, თვითონ, როგორც ავტორი, შეუმჩნეველი დარჩეს და თანაავტორად გაიხადოს ის ყმანვილი, რომელიც მის წიგნს გადაშლის. და მანაც, როგორც ამ წიგნის ავტორმა და პერსონაჟებმა, ირწმუნოს, თუ რა პატარა რამ ყოფნის ადამიანს ბედნიერებისათვის. ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო და მარტივი, მაგრამ მაინც თურმე უმთავრესი – ის, როცა.... როცა ყველა შინ არის!..

## პოეტის ერთი ლექსი



გიორგი ნიკლაური, ყველა რომ „ჭოლიკაურის“ თიკუნით იცნობდა და გვარი ეგონათ, ის კი ფრატრიის თუ შტოის თუ „მამის“ მინიშნება იყო და არის და იქნება, კიდევ ერთ, მისი ქარიშხლიანი ცხოვრების დასტურ ფსევდონიმსაც ატარებდა – „უბედური“.

გიორგი წიკლაური – არხოტის პოეტური ციდან გამომკრთალი ობოლი სხივი; კაცი, რომელსაც სული მთაში „დარჩა“, ხოლო ცელის სალესავივით ფიცხი სხეული, „ნადედინაცვლევ“ ბარს შეაცვითა...

გიორგი ჭოლიკაური – ბოჰემის მეტრფეთა კერპი; კაცი, რომელსაც ლექსიც ისე უჭრიდა, როგორც მრავალნაცადი ორლესული სატევარი...

„უბედური“ – აღროფებული ცხოვრების მდინარებასთან საბედისწეროდ შებმული ამბოხი; კაცი, რომელიც ცხოვრობდა და წერდა ისე, როგორც სურდა, და აღესრულა იქ, სადაც თავისუფლების მზე ენატრებათ...

ხოლო სულეთში, ალბათ, მისებრი ხასიათის შორეული ანასხლეტი, ფრანსუა ვიიონი გადმოუდგამდა სამასპინძლო ტაბლას...

**ნოშრევან არაბული**

### გიორგი წიკლაური (ჭოლიკაური)

### ხევსურეთისადმი

გილალატე და გაგწირე, გულით ძნელამოსაღებო,
ობლებ ვართ უერცხვისოდა, „ვაის“ მემრ დასაძახებო,
მე ბარი მედედინაცვლა, მე – შენ, შენ – მე განაღვლებო,
შენი მლოცველი მეკვლე ვარ, კარს კრძალვით შემოვალებო,
ყრმობას ფეხშიშვლის ნათელო, სამშობლოს იალაღებო,
რად მხვდებით მოქუფრულები, გეუცხოვებით, ლალებო?
კბოდეებო და კორდებო, ნაკადულ-ნაქამანდებო,
წარმტაცო სიმაღლეებო, საჯიხვეთ თავ-გუმბათებო,
აკვნიდან წრიაპებამდე თვალშადგმით დასანახებო,
ცის ბოძო კიდეგანაო, ღმერთების ნაქანდაკებო,
იერზვიადო, მეხების სპირალით ნასვირანგებო,
სინდაურავ და სახარევ, ლურჯი ლაჟვარდის ჭალებო,
ტანმთელო მიცუს ციხეო, ზისცვრის დულაბით ნაგებო, –
მსოფლიოს ციხეთ ლიდერო, მომხვდურთგან ვერანაღებო,
შულღწაუგებო შატილო, ბეგენგორივით საქებო,
ქალუნდაურის ნამუსო, ძაღლიკას ნაჯანსაღებო,
ბნელ ღამევ, ბაბურაულის დაშნაით ნაჩახჩახებო,
შენ, ჩემო თემის კარიბჭევ, ცქიოტო ქავის თალებო,
დავლათიანი გაგაის უტყუვრად ნაგუშაგებო,
ქარჩათ ბუბაის დალალო, ჩაჩქანში ნატუსაღებო,
ტკივნებავ – სულის წამლებო, კივლებავ – გულის
ამკლებო,
ნიას კალდიმის წივლებავ – ლაშქრისად ოცის მამკლებო,
მახვილ-ხმალ-მაჯა-მარჯვენნო, ურჯულოს ყანად
მამკლებო.
მელოდი, სულის სამყოფოვ, მართლადამც დამელოდები,
შენს მკერდზემც ამოვბორცვდები, შენს ფერხთით
გადავსწორდები,
მამღერე შენი სიმაღლე, ხომ მაინც ლექსით მგონდები,
მათქმიე, რომ ძველს გაუსწრებ, არამცთუ გაუსწორდები,
მისალონე და გამხარჯე, მომანანიე ცოდვები,
მოვედ და განაწილების შემდეგ ნელ-ნელა ვგროვდები,
გუნებაგამოცვლილები პირქუშად დგანან გორ-მთები,
ჭერმოხდილ ჭერხოთ ყორეებს ბუ დაჰქვითინებს მგოდები,
მოშლილა სათოფურები, მრავალგზის განაფოთები,
აქით სიკვდილის პირითა იფურთხებოდნენ თოფები,
ისმოდა ხეიბარ პაპის ჟრუანტლიანი ლოცვები,
სატკენი შედარებაა, საწყენი, გასაოცები –
მანმიდართ სამამაცოსა დაუბამთ ფერმის ძროხები,
რიოშით შეძრწუნებული ამხდარა ანგელოზები,
დაფარულია შამბითა პატრონცოცხალი ქოხები,
ღამისმთეველთა მაღალბან არ წკრიალებენ დროშები,
ყელს შესდნობიათ სამოსი – ქალწულთა ხელსახოცები,
მეც ბრალიანთა რიცხვის ვარ, ვუმზერ და სულით
ვღონდები,
ვითომ რა საზლაურია, მიუწვდომ გავსაგონდები,
ქვეყნად ჰყავდა კი ან რაად აუხდა ავთ ნალოცები?!
მტრისგან ძლეულს და დარბეულს ღგავ ნასოფლარი
სოფლები,
მთიელი უმთოდ – უმშობლო, მთა – უშვილებო მშობლები,
ასე ვართ, მთაო, მე და შენ, უერთმანეთოდ, ობლები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიამ ფოლკნერი

# კვამლი

ანსელმ ჰოლანდი კარგა ხნის წინათ ჩამოვიდა ჯეფერსონში. საიდან იყო და სადაური – არავინ იცოდა. მაგრამ იმხანად ახალგაზრდა კაცი გახლდათ, ეტყობა გამორჩეული, ასეა თუ ისე, წარმოსადეგი ეთქმოდა, ვინაიდან სამ წელიწადში ცოლად შეირთო ერთადერთი ასული ჩვენში საუკეთესო მიწის მფლობელისა, ორი ათასი აკრი რომ ექნებოდა, და თავის სიმამრთან გადასახლდა, სადაც ორი წლის შემდეგ ცოლმა ტყუპი ვაჟები გაუჩინა. კიდევ რამდენიმე წელი რომ გავიდა, სიმამრი მოუკვდა და ჰოლანდი დატოვა მთელი ფერმის პატრონად, რომელიც მისი ცოლის სახელზე იყო ჩაწერილი. მაგრამ სიმამრის სიკვდილამდეც ჩვენ, ჯეფერსონელები, გამოგვაყრუა ჰოლანდის ყბედობამ – მეტი რომ არა ვთქვათ, ძალზე ხმამაღლა გაიძახოდა: „ჩემი მიწა, ჩემი მინდორიო"; და ისინი, ვისი მამა-პაპაც აქ დაბადებულიყო, ალმაცერად უცქერდნენ, უსინდისო და (თეთრკანიან თუ შავკანიან მოიჯარადრეთა ნაამბობის მიხედვით და ყველას ნაამბობითაც, ვისაც კი საქმე ჰქონია მასთან) სასტიკ კაცად მიიჩნევდნენ. მაგრამ მისი ცოლის სიბრალულითა და სიმამრის პატივისცემით თავაზიანად ვეპყრობოდით, თუმცა გულზე არ გვეხატებოდა. და როცა მოუკვდა ცოლიც, პაწია ტყუპები რომ დაუტოვა, ჩვენ ასე განვსაჯეთ, ყველაფერი მაგისი ბრალია და ამ უგვარტომო ხიზანის გაუთლელობამ ცოლს სიცოცხლე გაუმწარაო. როცა შვილები წამოეზარდნენ და (ჯერ ერთი, მერე მეორეც) სულ წავიდნენ სახლიდან, არც კი გაგვკვირვებია. და როცა ნახევარი წლის წინათ ანაზდად ნააწყდნენ მკვდარს, ფეხი რომ გახლართოდა ცხენის უზანგში, და სხეულზე ნაჟეჟის კვალი ემჩნეოდა, რადგანაც ცხენმა, ჩანს, გაათრია რკინის ღობეში (ცხენის ზურგი და ფერდები ერთიანად იარებით იყო აჭრელებული ცემა-ტყეპისგან, როგორც ჩანს, გაცოფებულს რომ გაუმართავს), ჩვენგან არავის შებრალებია, ვინაიდან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ისეთი რამ ჩაიდინა, რაც ყველას, ვინც კი ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა იმხანად და ჩვენსავით ფიქრობდა, საზარელ დანაშაულად ეჩვენა. იმ დღეს, როდესაც მოკვდა, შევიტყვეთ, რომ საგვარეულო სასაფლაოზე ამოუთხრია საფლავები, სადაც ცოლის წინაპრები ემარხა და არც ის საფლავი დაუნდვია, სადაც უკვე ოცდაათი წელიწადია განისვენებდა მისი ცოლი. და აი, ეს ჭკუიდან შეშლილი, სიძულვილით შეპყრობილი ბერიკაცი დამარხეს იმ საფლავებს შორის, რომელთა წაბილწვაც სცადა, ხოლო დანიშნულ ვადაზე მისი ანდერძი განახვნეს და დასამტკიცებლად წარადგინეს. ანდერძს სულაც არ გავუკვირვებივართ. არ გაგვკვირვებია, რომ უკანასკნელი დარტყმა კუბოდანაც კი მიაყენა სწორედ იმათ, ვისი გულისტკენა თუ შეურაცხყოფა ხელეწიფებოდა: თავის ღვიძლ შვილებს.

მამა რომ მოუკვდათ, იმ წელს ტყუპები ორმოც-ორმოცისა შესრულდნენ. უმცროსი ანსელმი, როგორც ამბობდნენ, დედის ნებიერა იყო, ეგებ იმიტომ, რომ უფრო მეტად წააგავდა მამას. მაგრამ დედის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ბიჭები ჯერ მთლად ნორჩები იყვნენ, ყური მოგვიკრავს, რომ უფროსი ანსი დღენიადაგ ეკინკლავება ახალგაზრდა ანსს, ხოლო ვირჯინიუსი, მეორე ტყუპისცალი, მათ შერიგებას ცდილობს, რის



გამოც მამაც და ძმაც ლანძღვა-გინებით იკლებენო. მაგრამ ამ ვირჯინიუსს სხვაგვარად არ ძალუძდა. მეორე ძმაც კაი თავნება ბრძანდებოდა: თექვსმეტი წლისამ სახლიდან მოკურცხლა და ათი წელიწადი გადაკარგული იყო. დაბრუნდა უკვე სრულწლოვანი და ოფიციალურად მოსთხოვა მამას, რომ გაეყო მთელი მიწა, რომელსაც, როგორც შეიტყო, უფროსი ანსი მხოლოდ მეურვეობდა, და მისთვის, ანს-უმცროსისთვის, მისი კუთვნილი წილი გადაეცა. უფროსი ანსი განრისხდა და უარი სტკიცა. შვილი, ეტყობა, ისეთივე მრისხანებით მოითხოვდა მიწას – ორივენი, უფროსი ანსიც და უმცროსიც, ერთიმეორეს ამშვენებდნენ, როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო. მერე კი შევიტყვეთ, რაგინდ უცნაურიც არ იყოს, რომ ვირჯინიუსი მამის მხარეზე დამდგარა. ასე მოგვეყურა ჩვენ, რადგანაც ხელი არავის უხლია მიწისთვის, და გვიამბობდნენ, რომ სასტიკი ჩხუბის შემდეგ, მაგათაც კი მსგავსი არასოდეს რომ არ აუტეხიათ, – ისეთი საზარელი ჩხუბი ყოფილა, რომ ზანგი მსახურნი აქეთ-იქით დაიფანტნენ და მთელი ღამე იმალებოდნენ, – ახალგაზრდა ანსი გაემგზავრა, თავისი კუთვნილი უღელი ჯორი წაიმძღვანა, და იმ დღიდან ვიდრე მამის სიკვდილამდე, მას მერეც კი, რაც ვირჯინიუსიც იძულებული გახდა, სახლიდან წასულიყო, ანსელმს აღარასოდეს გაუცია ხმა არც მამისათვის და არც ძმისათვის. ოღონდ ამჯერად ანსელმი შორს არ გადაკარგულა. აილო და დასახლდა მთაში („იქიდან კარგად ხედავდა, რას აკეთებენ ბერიკაცი და ვირჯინიუსიო", – თქვა ვიღაცამ და ყველანი დავეთანხმეთ) და თხუთმეტი წლის მანძილზე მარტოდმარტო ცხოვრობდა ოროთახიან ფარღალალა სახლში, მიწის იატაკი რომ ჰქონდა. განდეგილივით ცხოვრობდა, თავად იმზადებდა საჭმელს და წელიწადში ოთხჯერ ჩნდებოდა ქალაქში თავისი ორი ჯორის თანხლებით. რამდენიმე წლის წინათ დააპატიმრეს და გაასამართლეს იმის გამო, რომ ვისკის ხდიდა. უარი განაცხადა დაცვაზე, დანაშაულიც არ აღიარა, კანონის დარღვევისა და სასამართლოს უპატივცემლობისათვის მიუსაჯეს ჯარიმა, და როცა მისმა ძმამ ვირჯინიუსმა შესთავაზა, ჯარიმას შენს მაგივრად მე გადავიხდიო, იმგვარად გაცოფდა, როგორც მამამისს სჩვეოდა ხოლმე. ლამობდა ვირჯინიუსის გალახვას იქვე, სასამართლოში, თვითონვე მოითხოვა, ციხეში გამისტუმრეთო და რვა თვის შემდეგ გაათავისუფლეს სამაგალითო ყოფაქცევის გამო, დაბრუნდა თავის ქოხში – უჟმური, სიტყვაძვირი, კეხცხვირა კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც მეზობლებიც უფრთხოდნენ და შემთხვევითი გამვლელ-გამომვლელნიც.

მეორე ტყუპისცალი, ვირჯინიუსი, შინ დარჩა და მიწას ამუშავებდა, რომელიც მამამისმა ღვთის ანაბარა მიაგდო (უფროს ანსზე ასეც ამბობდნენ: საიდან არის და ვინ არის – კაცმა არ იცის, მაგრამ ის კი ცხადია, ფერმერი არ არისო. ჩვენც ყველანი ერთ პირზე ვიდექით: ბერიკაცი იმიტომაც ეჩხუბა ახალგაზრდა ანსს, რომ იმას დანახვა აღარ შეეძლო, როგორ გაავერანა მამამ მიწა, ძმებს რომ უანდერძა დედამ). მაგრამ ვირჯინიუსი მამასთან დარჩა. ცხოვრება, რა თქმა უნდა, არ გაუტკბებოდა და მერე ხშირად ვამბობდით: „ვირჯინიუსი უნდა მიმხვდარიყო, რომ ასე ვერ გაგრძელდებოდა დიდხანს". მას მერე კი, რაც მოხდა, ვფიქრობდით: „ვინ იცის, ეგებ ხვდებოდა კიდეც". აი, ასეთი კაცი იყო ეს ჩვენი ვირჯინიუსი. არავინ იცოდა, რას ფიქრობდა მაშინ და საერთოდ არავინ იცოდა, რაზე ფიქრობდა. უფროსი ანსისა და ახალგაზრდა ანსის ასავალ-დასავალი წყალივით ვიცოდით. წყალი იქნებ ამღვრეულიც იყო, ოღონდ ყველა ხვდებოდა, გულში რა ედოთ. მაგრამ კაციშვილმა არ იცოდა, რას ფიქრობს და რას აკეთებს ვირჯინიუსიო და მერელა შეიტყო ყველამ. ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით, თუ როგორ მოხდა, რომ ვირჯინიუსმა მთელი ათი წელიწადი იცხოვრა მამასთან ერთად, სანამ ახალგაზრდა ანსი გადაკარგული იყო, და ბოლოს მაინც აიკრა გუდა-ნაბადი. ეს ამბები არავისთვის უამბია – გრენბი დოჯთანაც კი, ალბათ, კრინტი არ დაუძრავს. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცნობდით უფროს ანსსაც და ვიცნობდით ვირჯინიუსსაც, და აი, მათი ჩხუბი როგორ წარმოგვესახებოდა.

ვხედავდით, რომ უფროსი ანსი ცოფებს ყრიდა მთელი წელიწადი მას მერე, რაც ახალგაზრდა ანსმა ჯორებს ხელი დაავლო და მთაში გაიხიზნა. მერე კი, ალბათ, ბოლმამ იფეთქა და ვირჯინიუსს რაღაც ამის მსგავსი უთხრა:

– რა გგონია, შენი ძმა რაკი წავიდა, ახლა აქ იბორიალებ და დაელოდები, სანამ მთელი მიწა შენ გერგება?

– მთელი მიწა არა მჭირდება, – მიუგო ვირჯინიუსმა. – ოღონდ ჩემი წილი მერგოს და მეტი არაფერი მინდა.

– აჰა, – ალბათ თქვა უფროსმა ანსმა, – შენც მიწის გაყოფა გნებავს. აგრეა, ხომ? შენც იმის ჭკუაზე ხარ, არა? მაშასადამე, უნდა გაგვეყო მიწა, როგორც კი სრულწლოვანები გახდით, არა?

– მირჩევნია ცოტა ავიღო და კარგად დავამუშავო, ვიდრე იმას ვუყურებდე, როგორ ოხრდება, – უპასუხა ვირჯინიუსმა როგორც ყოველთვის გონივრულად, როგორც ყოველთვის თვინიერად: არავის ერთხელაც არ დაუნახავს, რომ ვირჯინიუსი მოთმინებიდან გამოსულიყო ან თუნდაც აღელვებულიყო, მაშინაც კი, როდესაც ანსელმი გალახვას უპირებდა ჯარიმის გამო.

– აჰ, ეგრე? – თქვა უფროსმა ანსმა. – ამდენი წელიწადი ამ მიწას რომ ვამუშავებდი, გადასახადს რომ ვიხდიდი, შენ და შენი ძმა კი მხოლოდ ფულს აქუჩებდით, არც გადასახადი გაწუხებდათ და არც არაფერი, ეს როგორ მოგწონს?

– შენ ხომ იცი, ანსს მთელი თავისი დღე და მოსწრება ერთი ცენტიც კი არ შეუნახავს, – თქვა ვირჯინიუსმა, – რაც გაგიხარდება, ისა თქვი, ოღონდ თაღლითობას ნუ დასწამებ.

– ღმერთმანი, არცა ვწამებ! მაგას გამბედაობა ეყო, რომ პირდაპირ მოეთხოვა ის, რაც თავისად მიაჩნდა და ნათრეულიყო აქედან, როდესაც ვერაფერს გამომრჩა. შენ კი ასეთი არა ხარ. შენ აქ იწრიალებ, ეშმაკმა დაგლახვროს, დაიცდი, ვიდრე ჩავძაღლდები, თუმცა პირიდან თაფლი გადმოგდის! დამიბრუნე ყველა გადასახადი, რომელიც კი შენს წილზე გადამიხდია იმ დღიდან დაწყებული, რაც დედაშენი მოკვდა და ნაილე მიწა!

– არა, – თქვა ვირჯინიუსმა, – არ დავაბრუნებ.

– მაშ არა? – თქვა უფროსმა ანსმა, – არ დააბრუნებ? სწორია, რატომ უნდა დახარჯო ფული მიწის ერთი ნახევრის გულისათვის, როცა ერთ მშვენიერ დღეს მთელი მიწა მუქთად გერგება, ერთი ცენტის დაუხარჯავად. – და აქ წარმოვიდგინეთ, როგორ წამოდგა უფროსი ანსი (ჩვენ წარმოვიდგენდით, რომ ამ წუთამდე ისინი მშვიდად ისხდნენ, მუსაიფობდნენ, როგორც ნესიერ ხალხს ეკადრება), წამოდგა მთლად თმააბურძგნული, წარბშეჭმუხნილი. – გაეთრიე ჩემი სახლიდან! – ეუბნება. მაგრამ ვირჯინიუსი ადგილიდან არც კი დაძრულა, არ შეტოკებულა და მხოლოდ შეჰყურებდა მამას. უფროსი ანსი ჯიქურ მიადგა შვილს, ხელი აღმართა. – წადი-მეთქი! გაეთრიე ჩემი სახლიდან, თორემ მე შენ...

და ახლა კი წავიდა ვირჯინიუსი. არ აჩქარებულა, არ გაქცეულა. თავისი ბარგი-ბარხანა ჩაალაგა (უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ახალგაზრდა ანსს, რაღაც-რუღაცეები დაგროვებოდა) და საცხოვრებლად გადავიდა თავის ერთ ნათესავთან, სამი-ოთხი მილის დაშორებით რომ ბინადრობდა – დედამისის რომელიღაც მოყვრის შვილი იყო. ეს ნათესავი მარტოდმარტო ცხოვრობდა, კარგი ფერმა ჰქონდა, თუმცა დაგირავებული და გადაგირავებულიც, რადგან უხეირო ფერმერი იყო და უფრო საქონლის ყიდვა-გაყიდვასა და ქადაგებას ეწეოდა – შესახედავად ტანდაბალი, მომწითურო, უფერული ვინმე იყო, ასეთ კაცს შეეყრები და ერთ წუთში მისი სახეც კი აღარ გახსოვს – და ვაჭრობაც თუ ქადაგებაც, ალბათ, უკეთესად როდი ეხერხებოდა, ვიდრე მიწის დამუშავება. ვირჯინიუსი აუჩქარებლად წავიდა, არც აურზაური აუტეხია და არც ჩხუბი – თავის ძმასავით არ მოქცეულა, თუმცა რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩვენ ერთი ბეწოზეც არ დაგვიმუნათებია ახალგაზრდა ანსი იმისათვის, რომ ილანძღებოდა და თავისას მოითხოვდა. სიმართლე რომ ითქვას, ყოველთვის ალმაცერად ვუყურებდით ვირჯინიუსს, ძალიანაც თავდაჭერილი რომ იყო. ეშმაკის ფეხს ვეძახდით და არ გაგვკვირვებია, როდესაც ყური მოვკარით, რომ მან მთელი თავისი დანაზოგი დახარჯა იმ ვალის გადასახდელად, რომელიც ნათესავის ფერმას დასდებოდა. არც იმან გაგვაოცა, რომ ერთი წლის შემდეგ უფროსმა ანსმა უცებ იუარა თავისი ფერმის გადასახადის გადახდა, ხოლო ორი დღით ადრე, ვიდრე გაკოტრებულად გამოაცხადებდნენ, შერიფმა ფოსტით მიიღო, კაცმა არ იცის – ვისგან, მთელი თანხა გადასახადებისა, ჰოლანდის მამულს რომ ეწერებოდა.

– ნაღდად ვირჯინიუსი იქნება, – ვამბობდით ჩვენ, ვინაიდან, თუმცა ხელმოწერა არა ჰქონია, მივხვდით, ვინ გამოგზავნიდა ფულს. მანამდე კი შერიფმა უკვე გააფრთხილა უფროსი ანსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– გამოაცხადეთ საჯარო ვაჭრობა და ჯანდაბამდე გზა გქონიათ, – სიტყვა გააწყვეტინა უფროსმა ანსმა. – თუკი მაგათ ჰგონიათ, რომ ისლა დარჩენიათ, დასხდნენ და ელოდონ, ოჰ, ეგ გათახსირებული ჯილაგი...

შერიფმა ახალგაზრდა ანსსაც აუწყა.

– მიწა ჩემი არ არის, – მიუგო მან.

შერიფმა ვირჯინიუსიც გააფრთხილა. ვირჯინიუსი ჩამოვიდა ქალაქში და თავად შეამოწმა საგადასახადო დავთრები.

– ახლა დიდი მეურნეობა მაბარია, – თქვა მან. – მაგრამ, რასაკვირველია, თუკი მამაჩემი ხელიდან გაუშვებს ფერმას, ალბათ, შევძლებ ვიყიდო. თუმცა რა ვიცი. ასეთი კარგი ფერმა არ დაობდება და იაფად როდი გაიყიდება.

მორჩა და გათავდა. არც აღშფოთებულა, არც გაოცებულა, არც დანანებია. მაგრამ ჭკუა კი უჭრიდა. და სულაც არ გაგვკვირვებია, როდესაც შევიტყვეთ, რომ შერიფმა მიიღო ფული ანონიმური ბარათითურთ: „ანსელმ ჰოლანდის ფერმის გადასახადები. ბარათი ჩაბარდეს ანსელმ ჰოლანდ უფროსს".

– ნაღდად ვირჯინიუსი იქნება, – ვამბობდით ჩვენ. მერე მთელი წელიწადი ხშირად ვიხსენებდით ვირჯინიუსს: ცხოვრობს სხვის სახლში, მუშაობს სხვის მიწაზე და უცქერს, რომ სახლი, სადაც დაიბადა და მიწა, წესით და კანონით რომ ეკუთვნის, – ყველაფერი წყალს მიაქვს. ბერიკაცმა საბოლოოდ გააპარტახა ფერმა: წლიდან წლამდე ვრცელ, ბარაქიან მინდვრებს შამბი ედებოდა, ვერანდებოდა და ილუპებოდა, თუმცა ყოველ წელს, იანვარში, შერიფი ფოსტით ღებულობდა ანონიმურ ფულს და თანმხლებ ბარათს უგზავნიდა უფროს ანსს, ვინაიდან მან ფეხი ამოიკვეთა ქალაქიდან, სახლი თავზე ენგრეოდა და, ვირჯინიუსის გარდა, არავინ გაჭაჭანებულა მასთან. ხოლო ვირჯინიუსი, წელიწადში ხუთჯერ თუ ექვსჯერ, ცხენს მიაგდებდა პარმალთან, ბერიკაცი საიდანღაც გამოუხტებოდა და უსაზიზღრესი, ცოფმორეული ლანძღვაგინებით უმასპინძლდებოდა შვილს. ვირჯინიუსი მშვიდად შეჰყურებდა მამას და როცა დარწმუნდებოდა, ცოცხალი და სალ-სალამათი არისო, ფერმაში შემორჩენილ ზანგებს გამოელაპარაკებოდა და უკან გაემგზავრებოდა. სხვა არავინ გამოჩენილა აქ, თუმცა მრავალნი ადევნებდნენ თვალს, გატიალებულ მინდვრებში როგორ მიდი-მოდიოდა ცხენზე მჯდომი ბერიკაცი, სწორედ იმ ცხენზე, რომელმაც მერე მოკლა.

შარშან ზაფხულში კი ყური მოვკარით, რომ საფლავები ამოუთხრია ღვიის ჭალაში, სადაც განისვენებდნენ მისი ცოლის წინაპრები მეხუთე მუხლამდე.

ამბავი მოიტანა ერთმა ზანგმა, რის შემდეგ ქალაქის სანიტარული ინსპექტორი გაეშურა სასაფლაოზე და ჭალაში დაინახა მიბმული თეთრი ცხენი, თოფმომარჯვებული ბერიკაცი კი გამოხტა ხეებს იქიდან. ინსპექტორი უკან გამობრუნდა. ორი დღის შემდეგ კი შერიფი ეწვია სასაფლაოს და წააწყდა ბერიკაცს მიწაზე, ცხენის გვერდით, ფეხი უზანგში რომ გახლართოდა, ხოლო ცხენის გავაზე შეამჩნია ნაკვალევი ჯოხით დარტყმებისა – სწორედ ჯოხით და არა მათრახით, – ღრმა ნაკვალევი იყო, ჩანს, ურტყამდა და ურტყამდა ცხენს, დაუსრულებლივ ურტყამდა.

და აი, ბერიკაცი დამარხეს იმ საფლავებს შორის, რომლებიც მან წაბილწა. ვირჯინიუსი, თავის ნათესავთან ერთად, მოვიდა დაკრძალვაზე. სიმართლე რომ ითქვას, ისინი შეადგენდნენ მთელ სამგლოვიარო პროცესიას, რადგან ანს-უმცროსი არ მობრძანებულა, მას შინაც არ შეუვლია, თუმცა ვირჯინიუსი დაყოვნდა იქ, ვიდრე ყველაფერს ჩაკეტავდა და ზანგებს ანგარიშს გაუსწორებდა. მერე ისიც გაემგზავრა თავის ნათესავთან და დანიშნულ ვადაზე უფროსი ანსის ანდერძი დასამტკიცებლად წარუდგინეს მსაჯულ დიუკინფილდს. ანდერძის არსი არავისთვის ყოფილა საიდუმლოება: ყველამ მშვენივრად ვიცოდით. ანდერძი შედგენილ იყო როგორც წესი და რიგია და სულაც არ გაგვკვირვებია, რომ ყველაფერი ზუსტად და გარკვევით იყო თქმული: „... მომდევნო ორ პუნქტში ჩამოთვლილის გამოკლებით, ვუანდერძებ... მთელ ჩემს ქონებას ჩემს უფროს შვილს ვირჯინიუსს, თუკი დამტკიცდება, სასამართლოს თავმჯდომარის სრული დაკმაყოფილებისათვის... რომ სწორედ ის, ზემოხსენებული ვირჯინიუსი, იხდიდა ჩემი ფერმის გადასახადს, ამასთან ერთადერთი და უდავო მსაჯული უნდა იყოს სასამართლოს თავმჯდომარე".

ორ სხვა პუნქტში ეწერა:

„ჩემს უმცროს შვილს, ანსელმს, ვუანდერძებ... მოსართავის ორ სრულ კომპლექტს ჯორებისათვის, რათა ზემოხსენებული ანსელმი შეკაზმული ჯორით ერთხელ მაინც ეწვიოს ჩემს საფლავს. თუ არა და, მაშინ მოცემული მოსართავი რჩება ზემოთ ჩამოთვლილი ჩემი ქონების განუყოფელ ნაწილად".

„ჩემს მოყვარეს, გრენბი დოჯს, ვუანდერძებ ერთ დოლარს ნაღდი ფულით, რათა შეიძინოს დავითნი ან რამდენიმე ფსალმუნი, ჩემი მადლიერების ნიშნად იმისთვის, რომ იგი აჭმევდა და ასმევდა ჩემს შვილს ვირჯინიუსს იმ დღიდან მოყოლებული, რაც ზემოხსენებულმა ვირჯინიუსმა მიატოვა ჩემი სახლ-კარი".

აი, როგორი ანდერძი დატოვა. ვუსმენდით და ველოდით, რას იტყოდა ან რას იზამდა ახალგაზრდა ანსი. მაგრამ არაფერი არც გვსმენია და არც გვინახავს. ვუცქერდით და ველოდით, რას გააკეთებდა ვირჯინიუსი, მაგრამ იმასაც არაფერი გაუკეთებია. ანდა ეგებ ჩვენ უბრალოდ არ ვიცოდით, რას აკეთებდა და რას ფიქრობდა. მაგრამ ასეთი იყო ეს ვირჯინიუსი და რა გაეწყობა. თუმცა, არსებითად, ყველაფერი გაკეთებული იყო. მას ისლა დარჩენოდა, რომ მოეცადა, ვიდრე მსაჯული დიუკინფილდი დაამტკიცებდა ანდერძს, მერე კი ვირჯინიუსს შეეძლო გადაეცა ანსისთვის მისი კუთვნილი ნახევარი – თუკი აპირებდა მის გადაცემას. „მაგას და ანსს არასოდეს უჩხუბიათ ერთიმეორესთან", – თქვა ვიღაცამ. „ვირჯინიუსს არავისთან არასოდეს უჩხუბია, – შეეპასუხნენ სხვები. – ამას რომ დავეყრდნოთ, იძულებული გახდება, რომ მთელ შტატს გაუნაწილოს ფერმა". – „მაგრამ ანსის ჯარიმის გადახდა სწორედ ვირჯინიუსს ენადა", – ეპასუხებოდნენ პირველნი. „ჰო, მაგრამ ვირჯინიუსი მამის მხარეზე დადგა, როცა ანსი მიწის გაყოფას აპირებდა", – ამბობდნენ სხვები.

ერთი სიტყვით, ყველა ელოდა, რა მოხდებაო. ჩვენ ვიცოდით, თუ რას იტყოდა მსაჯული დიუკინფილდი: უცებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მის ხელთაა და სწორედ მან, როგორც განგებამ, უნდა განიკითხოს ეს ბერიკაცი, რომელსაც არაფრით არ სურდა დაშომმინებულიყო და კუბოდანაც კი აბუჩად იგდებდა ყველას; უნდა განსაჯოს ეს შეურიგებელი ძმები, რომლებიც თხუთმეტი წლის წინათ ერთიმეორისთვის თითქოს მკვდრებად შეირაცხნენ. მაგრამ ჩვენ ვთვლიდით, რომ უფროსი ანსის უკანასკნელი დარტყმა მიზანს ასცდა და როდესაც მსაჯული დიუკინფილდი აირჩია თავის ანდერძამსრულებლად, საკუთარი მრისხანებით დაბრმავებულს ანგარიში შეეშალა. მშვენივრად ვიცოდით, რომ უფროსმა ანსმა, მსაჯულ დიუკინფილდის სახით, ჩვენგან ამოარჩია ყველაზე ბრძენი, ყველაზე პატიოსანი და ყველაზე უანგარო კაცი და კანონთა გაცხოველებულ შესწავლას არ შეეძლო დაებნელებინა და შეერყია მისი პატიოსნება და უანგარობა.

თავად ის ფაქტი, რომ მან ასეთი ყოვლად უბრალო დოკუმენტის დამტკიცება გადასდო უჩვეულოდ დიდი ხნით, კიდევ ერთხელ გვიდასტურებდა იმას, რომ მსაჯული დიუკინფილდი იმ ხალხს მიეკუთვნებოდა, ვისაც სწამს, რომ მართლმსაჯულებას სანახევროდ კანონთა ცოდნა შეადგენს და სანახევროდ კი – მოთმინება და რწმენა საკუთარი თავისა და უფალი ღმერთისა.

დამტკიცების კანონიერი ვადა იწურებოდა, დღეცისმარე თვალს ვაყოლებდით მსაჯულ დიუკინფილდს, როდესაც თავისი სახლიდან, მოედნის გავლით, სასამართლოში მიემართებოდა. აუჩქარებლად და მშვიდად მიაბიჯებდა, წარმოსადეგი, თმაჭაღარა – უკვე სამოცს იყო გადაცილებული და კარგა ხანია დაქვრივებულიყო, – თავი გამართულად და ღირსეულად ეჭირა „სიმივით გაჭიმულს", როგორც ამბობდნენ ზანგები. ჩვიდმეტი წლის წინათ აირჩიეს სასამართლოს თავმჯდომარედ; მოეპოვებოდა მცირეოდენი მარაგი იურიდიული ცოდნისა და უზარმაზარი მარაგი უბრალო საღი აზრისა და აი, უკვე ზედიზედ ცამეტი წელიწადი იქნებოდა, ვერავინ ექიშპებოდა არჩევნებზე და ისინიც კი, ვისაც აღიზიანებდა მისი გულითადი და თავაზიანი შემწყნარებლობა, ხმას აძლევდნენ რაღაცნაირი ბალღური ნდობითა და იმედით. და ახლა ჩვენ ყველანი მოთმინებით თვალს ვადევნებდით, თუმცა წინასწარ ვიცოდით, რომ მისი საბოლოო გადაწყვეტილება სამართლიანი იქნებოდა არა მარტო იმიტომ, რომ გადაწყვეტდა იგი, არამედ იმიტომაც, რომ უსამართლოდ მოქცევის ნებას არასოდეს მისცემდა არც თავის თავს და არც სხვას, და ყოველ დილით ვუცქერდით, როგორ გადაჭრიდა მოედანს ზუსტად ცხრის ათ წუთზე და მიემართებოდა სასამართლოში, სადაც მის მისვლამდე ზუსტად ათი წუთით ადრე მოდიოდა ზანგი შვეიცარი, რათა მატარებლის ჩამოდგომის მაცნე შუქნიშნის სიზუსტით გაეღო სასამართლოს კარი. მსაჯული თავის კაბინეტში განმარტოვდებოდა, ზანგი კი თავის ადგილზე ჯდებოდა ძველ, დამტვრეულ, მავთულით შეკეთებულ სავარძელში, რომელიც იდგა ქვისიატაკიან ტალანში, მსაჯულის კაბინეტს რომ გამოჰყოფდა სხდომათა დარბაზისგან, და მთელი დღე თვლემდა ამ სავარძელში, როგორც თვლემდა უკვე ზედიზედ ჩვიდმეტი წელიწადი. ხოლო ნაშუადღევს ხუთ საათზე ზანგი იღვიძებდა და შედიოდა კაბინეტში და, შესაძლოა, აღვიძებდა მსაჯულს, რომელიც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მიმხვდარიყო, რომ ყოველგვარი საქმე, ჩვეულებრივ, რთულდება მოფილოსოფოსო ჭკუის კოლოფთა ნაჩქარევი დასკვნების გამო, რომელთაც სხვა საფიქრალი არ გააჩნიათ. მერე ვხედავდით, რომ ორივე ბერიკაცი ერთიმეორის მიყოლებით თხუთმეტი ფუტის მანძილზე, კვლავ გადაჭრიდა მოედანს და აჰყვებოდა აღმართს შინისაკენ, ორივე წინ იყურებოდა და ისე წელგამართულნი იყვნენ, რომ თერძის მიერ მსაჯულისთვის მორგებული სერთუკები მხრებიდან ეშვებოდათ ფიცარივით სწორ კეცებად, სადაც არც წელი მიინიშნებოდა და არც ფერდები.

მაგრამ ერთხელაც, საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, ვილაც-ვილაცეები, მოედნის გავლით, სასამართლოსკენ გაიქცნენ. ამის დანახვაზე სხვებმაც იხუვლეს და გაჰყვნენ. მძიმედ მიბრაგუნობდნენ ქვაფენილზე, სატვირთო თუ მსუბუქ მანქანებს შორის მიძვრებოდნენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ გამოსცემდნენ შეცბუნებულ სიტყვა-პასუხს. „რამია საქმე?", „რა მოხდა?", „მსაჯული დიუკინფილდი"... ისმოდა ხმები, გარბოდნენ, გზას მიიკვლევდნენ ტალანში მსაჯულის კაბინეტსა და სხდომათა დარბაზს შორის, სადაც ბებერ ზანგს, გამონაცვალი სერთუკი რომ ეცვა, შეძრწუნებით აღეპყრო ხელები მაღლა. ჯგრომ გვერდით ჩაუქროლა და კაბინეტში შევარდა. მაგიდასთან, სავარძლის ზურგზე მოხერხებულად გადაწოლილი იჯდა მსაჯული დიუკინფილდი. თვალები გახელილი ჰქონდა, ტყვია ზუსტად ცხვირის ფუძეში მოხვედროდა, ასე რომ, გეგონებოდა, სამი თვალი აქვსო. ყველამ თავისი თვალით დაინახა, რომ ეს იყო ტყვია, მაგრამ არც მოედანზე მყოფთაგან არავის და არც ბებერ ზანგს, მთელი დღე ტალანში რომ იჯდა, სროლის ხმა არ გაუგონიათ.

იმ დღეს გევინ სტივენსს საქმე გაუჯანჯლდა – მას და ბრინჯაოს ზარდახშას. ჯერ იყო და ნაფიცმა მსაჯულებმა ვერაფრით ვერ გაიგეს, საით ეჭირა გეზი. და არავის, ვინც იმ დღეს სასამართლოში იმყოფებოდა, არც ორივე ძმას, არც მათ ნათესავს, არც ბებერ ზანგს – არავის არაფერი ესმოდა. ბოლოს ნაფიც მსაჯულთა მამასახლისმა პირდაპირ დაუსვა შეკითხვა:

– გევინ, თვლით თუ არა, რომ ბებერი მისტერ ჰოლანდის ანდერძსა და მსაჯულ დიუკინფილდის მკვლელობას შორის რაღაც კავშირი არსებობს?

– დიახ, ასე ვთვლი, – თქვა პროკურორმა, – და არა მარტო მაგას დავამტკიცებ.

ყველა მიაჩერდა გევინს – ნაფიცი მსაჯულნი, ორივე ძმა. მხოლოდ ბებერ ზანგსა და ძმების ნათესავს არ შეუხედავთ. ბოლო კვირაში ზანგი შესახედავად ლამის ორმოცდაათი წლით დაბერდა. როდესაც მისი პატრონი მსაჯულად აირჩიეს, იმანაც სასამართლოში დაიწყო სამსახური, რადგან მუდამ, რაც თავი გვახსოვს, დიუკინფილდთა ოჯახს ემსახურებოდა. ასაკით მსაჯულზე ხნიერი იყო, თუმცა ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ, იმ ავბედით დღემდე, ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, – ხმელ-ხმელი, განიერ სერთუკში, რომელიც მის ფიგურას ჩქმალავდა, დღე ცისმარე მოდიოდა სამსახურში ათი წუთით ადრე მსაჯულამდე, აღებდა კაბინეტს, ჰგვიდა იქაურობას, მტვერს გადაწმენდდა მაგიდიდან, არაფერს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასძრავდა ერთი ადგილიდან და ყოველივე ამას აკეთებდა იმ გერგილიანი დაუდევრობით, რაც ჩვიდმეტწლიანი ჩვეულების ნაყოფი იყო, მერე კი მიეშურებოდა თავისი სავარძლისკენ, მავთულით დამაგრებული ფეხები რომ ჰქონდა, ჩაჯდებოდა და მთელი დღე ეძინა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, გეგონებოდათ, სძინავსო (კაბინეტში მოხვედრა შეიძლებოდა გვერდითა ვიწრო კიბითაც, რომელიც სასამართლოს დარბაზიდან გამოდიოდა, – ამ კიბით, ჩვეულებრივ სარგებლობდა მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარე სესიის დროს, მაგრამ აქაც ბებერი ზანგიდან რვა ნაბიჯზე უნდა გაგევლო, თუკი ტალანში მიმავალი არ გადაუხვევდი პატარა ჩიხში კაბინეტის სარკმელქვეშ და ამ სარკმელში არ გადაძვრებოდი). მაგრამ აქამდე კაციშვილთაგან არავის ჩაუვლია სკამის გვერდით ისე, რომ ყავისფერ, უგუგო, ბებრულ თვალებს ზემოთ დანაოჭებული ქუთუთოები არ შეჩეხებოდათ. ზოგჯერ გამოველაპარაკებოდით ხოლმე ბერიკაცს, რათა მოგვესმინა დარბაისლური გამომეტყველებით როგორ ამახინჯებდა მაღალფარდოვან და გაუგებარ იურიდიულ ტერმინებს, რომლებიც შეუმჩნევლად მიტმასნოდა, როგორც სნეულებამ იცის ხოლმე. ისეთი ენამჭევრი პათოსით წარმოთქვამდა, რომ მრავალი ჩვენგანი, თავად მსაჯულიც კი, უბოროტო ჩაცინებით უსმენდა. მაგრამ ბერიკაცი სავსებით დაჩაჩანაკდა, ჩვენი სახელები და ასაკი ავიწყდებოდა, ერთიმეორეში ვერეოდით და ისეც მომხდარა, რომ სახელთა და წლების ამგვარი არევ-დარევის გამო, თვლემიდან გამოფხიზლებული მომსვლელებად მოიხსენიებდა იმათ, ვინც დიდი ხანია აღარ ეწერა ცოცხალთა სიაში, მაგრამ ჯერ კაციშვილს არ გაუვლია შეუმჩნევლად მის გვერდით.

დანარჩენები, ყველანი, მისჩერებოდნენ სტივენსს – ნაფიცი მსაჯულნი თავიანთი ადგილებიდან, მერხის ორ ბოლოში მსხდომი ორი ძმაც, ერთმანეთს რომ ჰგავდნენ ხმელ-ხმელნი, ცხვირკეხიანები, შავგვრემანები და ერთნაირად გულხელდაკრეფილნი.

– მაშ, თქვენ ამტკიცებთ, რომ მსაჯულ დიუკინფილდის მკვლელი აქ, ამ დარბაზში იმყოფება? – ისევ ჰკითხა ნაფიც მსაჯულთა მამასახლისმა.

შტატის პროკურორმა თვალი მოავლო ყველას, ვინც კი მას უცქერდა.

– მე მხოლოდ ამას როდი დავამტკიცებ! – თქვა მან.

– დაამტკიცებთ? – ჰკითხა უმცროსმა ტყუპისცალმა, ანსელმმა. ის ეულად იჯდა მერხის ბოლოში და ავი, მკაცრად დაჭყეტილი თვალებით მიშტერებოდა სტივენსს, ხოლო მერხის მეორე ბოლოში იჯდა მისი ღვიძლი ძმა, რომელსაც აგერ თხუთმეტი წელიწადია ხმას არ სცემდა.

– დიახ, – თქვა სტივენსმა. ის იდგა მაგიდის ბოლოში. მთელ დარბაზს შემოატარა თვალი და მშვიდობიანი, ნახევრადსახუმარო კილოთი შეუდგა იმის თხრობას, რაც დიდი ხანია ყველამ იცოდა, დასტურისათვის წამდაუწუმ მიმართავდა მეორე ტყუპისცალს, ვირჯინიუსს. ჰყვებოდა ანს-უმცროსსა და მამამისზე. მშვიდად, ლმობიერად ლაპარაკობდა. იფიქრებდი, მემკვიდრეთა დასაცავად ალმდგარაო, როდესაც ჰყვებოდა, როგორ წავიდა სახლიდან ანს-უმცროსი, სავსებით სამართლიანად გამწყრალი მამაზე იმის გამო, რომ იგი ავერანებდა დედის მემკვიდრეობას (იმ დროისათვის დანატოვარი მიწის ნახევარი, კანონით, ეკუთვნოდა ანს-უმცროსს). ლაპარაკობდა სტივენსი ძალზე დამაჯერებლად, გულმართლად, გულახდილად, შესაძლოა, ცოტა მიკერძოებით ანს-უმცროსის მიმართ. აი, სწორედ ამაში იყო საქმე. სწორედ ეს მოჩვენებითი მიკერძოება, ეს მოჩვენებითი მიდგომა ქმნიდა რაღაც არასასიკეთო შთაბეჭდილებას, თითქოს ანსი დამნაშავე იყო რაღაცაში, თუმცა სახელდობრ რაში – არავინ იცოდა; ეგებ დამნაშავე იყო სწორედ თავისი მისწრაფებით სამართლიანობისადმი, თავისი სიყვარულით განსვენებული დედისადმი, დამნაშავე იყო იმაში, რომ ეს გრძნობები შეირყვნა მისი ხასიათის სიავით, მემკვიდრეობად რომ ერგო იმ კაცისგან, რომელმაც ესოდენ დიდი წყენა მიაყენა მას. ძმები ისხდნენ დრო-ჟამისგან გაკრიალებული მერხის სხვადასხვა ბოლოში და უმცროსი შეჰყურებდა სტივენსს ძლივს შეკავებული გაშმაგებით, ასევე მიშტერებოდა უფროსიც, მაგრამ სახეზე ვერაფერს შეატყობდი. სტივენსმა უამბო მსმენელთ, როგორ წავიდა სახლიდან გაგულისებული ანს-უმცროსი და ერთი წლის შემდეგ კი ვირჯინიუსი, გაცილებით წყნარი, გაცილებით გულჩათხრობილი კაცი, ბევრჯერ რომ ცდილობდა ძმის შერიგებას მამასთან, ასევე იძულებული გახდა წასულიყო. და სტივენსმა კვლავ დახატა სარწმუნო და ნათელი სურათი. მამამ კი არ დააშორიშორა ძმები, სანამ ცოცხალი იყო, არამედ ხასიათის იმ თვისებებმა, თვითეულ მათგანს მემკვიდრეობით რომ ერგო მისგან, ხოლო ერთიმეორესთან ასისხლხორცებდათ ის გარემოება, რომ მიჩვეულნი იყვნენ იმ მიწას, სადაც დაიბადნენ, რომელიც არა მარტო კანონით ეკუთვნოდათ, არამედ მათი დედის ნეშტსაც ინახავდა.

– ასე ცხოვრობდნენ ისინი და შორიდან უმზერდნენ, როგორ ვერანდებოდა ეს მადლიანი მიწა, ხოლო სახლი, სადაც დაიბადნენ ისინი, სადაც დაიბადა მათი დედა, იქცეოდა ჭკუიდან შეშლილი ბერიკაცის ნებით, რომელმაც სახლიდან გამოაპანღურა ისინი და რადგანაც გრძნობდა, მეტს ვერაფერს დავუშავებო, ცდილობდა სამუდამოდ წაერთმია მათთვის ყველაფერი და მამული საჯარო ვაჭრობით გაყიდულიყო გადასახადის გადაუხდელობის გამო. მაგრამ აქ ვიღაცამ გააბითურა ბერიკაცი, ვიღაც წინდახედულმა და თავდაჭერილმა, თავიც რომ არ გაუმჟღავნებია, თუმცა, არსებითად, ეს საქმეები არავის არ ეხებოდა, თუკი გადასახადი გადახდილი იყო. ერთი სიტყვით, ძმებს ისღა დარჩენოდათ, რომ დალოდებოდნენ ბერიკაცის სიკვდილს. ის უკვე ხანდაზმული იყო და თუნდაც ცოტათი ახალგაზრდა ყოფილიყო, მშვიდსა და თავდაჭერილ ადამიანს მაინცდამაინც არ გაუჭირდებოდა ლოდინი, რომც არ სცოდნოდა, თუ რა ეწერა ბერიკაცის ანდერძში. მართალია, ფიცხსა და თავშეუკავებელს უფრო გაუჭირდებოდა ლოდინი, მით უმეტეს, რომ ამ კაცმა, თავის სიფიცხესთან ერთად, ისიც იცოდა შემთხვევით ანდა ხვდებოდა, თუ რა იყო თქმული ანდერძში, და მეტიც ალარაფერი სჭირდებოდა, რომ თავი ეგრძნო უსაშველოდ დაჩაგრულად იმ კაცისაგან, რომელმაც ჯერ წაართვა სიცოცხლის საუკეთესო წლები, აიძულა, ზურგი შეექცია ადამიანებისათვის, მთაში შეყუჟულიყო, ეცხოვრა ქოხში, ახლა კი დააბეჩავა და პატიოსანი სახელი შეუბღალა. ასეთ კაცს

არც დრო ჰქონდა და არც ხალისი, რომ რალაცას დალოდებოდა.

ორივე ძმა თვალს არა სწყვეტდა სტივენსს. ანსელმის თვალები რომ არა, გეგონებოდა, პირისახე ორივეს ქვისგან გამოუკვეთესო. სტივენსი ლაპარაკობდა ხმადაბლა, გამორჩევით არავის უცქერდა. ის იმდენივე ნელი იყო ოლქის პროკურორად, რამდენიც – მსაჯულ დიუკინფილდს ეჭირა სავარძელი. სტივენსს ჰარვარდის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, მაღალი ტანისა იყო, უსწორმასწორო აღნაგობისა, ანენილ, ჭაღარა ფაფარს ატარებდა, შეეძლო ეკამათა უნივერსიტეტის სწავლულებთან აინშტაინის თეორიის თაობაზე და ისიც შეეძლო, რომ ჩაცუცქულიყო სოფლის დუქნის კედელთან დაბის მცხოვრებთა გვერდით და ემუსაიფა მათსავე დიალექტზე. ამას კი „დასვენებას“ ეძახდა.

– ბოლოს და ბოლოს მამა მოკვდა, როგორც მოსალოდნელი იყო ყოველი წინდახედული ადამიანისათვის. და ბერიკაცის ანდერძი წარდგენილ იქნა დასამტკიცებლად. და შორს მთაშიც კი მიაღწია ხმამ იმის შესახებ, თუ რა ეწერა ანდერძში, იმაზე, რომ გატიალებული მიწა, როგორც იქნა, თავისი კანონიერი მფლობელის ხელში მოხვდებაო. ანდა, უფრო სწორად, მფლობელთა ხელში, ვინაიდან ანს ჰოლანდმა ჩვენზე ნაკლებად როდი იცოდა, რომ ვირჯინიუსი, მხოლოდ თავის კანონიერ წილს აიღებდა, თუნდაც ასი ათასი ანდერძი დაეტოვებინათ, ისევე როგორც სურდა დაპატრონება მხოლოდ ნახევრისა მაშინაც, როდესაც მამამ მთელი მიწა შესთავაზა. ანსმა იცოდა ეს, რადგან თვითონაც ასე მოიქცეოდა, ესე იგი გადასცემდა ვირჯს მის კუთვნილ ნახევარს, ვირჯის ადგილზე რომ ყოფილიყო. ვინაიდან ორივენი არა მარტო ანსელმ ჰოლანდის შვილები იყვნენ, არამედ – კორნელია მარდისის შობილნიც. თუკი ანსმა ეს არ იცოდა, ის ხომ ნაღდად ეცოდინებოდა, რომ დედამისის კუთვნილი მიწა, ის მიწა, სადაც მისი ნეშტი განისვენებდა, როგორც იქნა, საიმედო ხელში უნდა მოხვედრილიყო და შესაძლოა იმ ღამით, როდესაც ანსმა მამის სიკვდილი შეიტყო, შესაძლოა, იმ ღამით, პირველად ბავშვობის შემდეგ, პირველად იმ დღეების შემდეგ, დედა ჯერ კიდევ ცოცხალი რომ იყო და სალამოობით მის ოთახში ამოდიოდა, დავხედო ერთი, სძინავს თუ არაო, – შესაძლოა, პირველად იმ დროიდან უმცროსმა ანსელმმა მშვიდად დაიძინა. გესმით, ახლა ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა: წყენაც და უსამართლობაც, პატიოსანი სახელის გატეხვაც და ციხეში დაჭერის სირცხვილიც – ყველაფერი სიზმარივით გამქრალიყო. ახლა ყველაფერი შეიძლება დაივიწყო, ახლა ყველაფერი კარგად აეწყობა. ამ დროისათვის უკვე მიჩვეული იყო ეულ ცხოვრებას, განდეგილივით ცხოვრებას, გაუჭირდებოდა ცხოვრების წესის შეცვლა. უფრო ეამებოდა, რომ დარჩენილიყო მარტოობაში, მიყრუებულ ადგილას. მთავარი კი ისაა – იცოდე, რომ ყველაფერი ავი სიზმარივით გასრულდა, რომ ეს მიწა, დედამისის მიწა, მისი მემკვიდრეობა, მისი განსასვენებელი, ახლა იმ ერთადერთი კაცის ხელთ არის, ვისაც შეიძლება მიენდო და ენდობოდა კიდეც, თუმცა უკვე დიდი ხანია ხმას აღარ სცემდა. გამიგეთ?



მხატვარი აივენგო ქელიძე

ჩვენ შევყურებდით სტივენსს და სწორედ იმ მაგიდას ვუსხედით, სადაც ყველაფერი ისე იყო დარჩენილი, როგორც მსაჯულ დიუკინფილდის სიკვდილის დღეს, ვუსხედით იმ მაგიდას, სადაც ჯერ კიდევ ელაგა ის ნივთები, რომლებზეც აღიმართა რევოლვერის ლულა – უკანასკნელი, რაც დაინახა მსაჯულმა, – ნივთები, რომელთაც წლების მანძილზე ვიცნობდით: საქაღალდეები, დაობებული სამელნე, ბლაგვი კალამი, რომელსაც შესჩვეოდა მსაჯული და პატარა ბრინჯაოს ზარდახშა, რომელიც, არცთუ დიდი საჭიროებით, წნეხად ემსახურებოდა. ხის მერხის ორ ბოლოში გაუნძრევლად ისხდნენ ძმები და თვალჩაციებით შეჰყურებდნენ სტივენსს.

– არა, ვერ გაგიგეთ, – თქვა ნაფიც მსაჯულთა მამასახლისმა. – რისი თქმა გნებავთ? ყოველივე მაგას რა კავშირი აქვს მსაჯულ დიუკინფილდის მკვლელობასთან?

– აი, რა კავშირი აქვს, – თქვა სტივენსმა. – მსაჯულ დიუკინფილდს უნდა დაემტკიცებინა ანდერძი, მაგრამ ის მოკლეს. ანდერძი რამდენადმე უჩვეულოა, მაგრამ მისტერ ჰოლანდისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ოღონდ ანდერძი შედგენილი არის, როგორც წესი და რიგია, და მემკვიდრენი სავსებით კმაყოფილნი არიან; ყველამ მშვენივრად ვიცოდით, რომ მიწის ნახევარი ერგებოდა ანსს, როგორც კი ამას მოითხოვდა. მაშასადამე ანდერძი მართებულია და მისი დამტკიცება – უბრალო ფორმალობა გახლავთ. მაგრამ მსაჯულმა დიუკინფილდმა ქაღალდი დააყოვნა ლამის სამი კვირით, მერე კი დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღუპა. მაშასადამე, ის კაცი, რომელიც თვლიდა, რომ მხოლოდ უნდა მოეცადა...

– რომელი კაცი? – სიტყვა გააწყვეტინა ნაფიც მსაჯულთა მამასახლისმა.

– მაცალეთ, – თქვა სტივენსმა. – ამ კაცს მარტო ერთი რამ სჭირდებოდა – უნდა მოეცადა. მაგრამ ლოდინი როდი აკრთობდა – ის ხომ უკვე თხუთმეტი წელიწადი ელოდა. ამაში არ იყო საქმე. საქმე სრულიად სხვა რამეში იყო, ეს კი მან შეიტყო (ანდა გაახსენდა), როდესაც აღმოჩნდა, რომ უკვე გვიანია და არაფრის დავიწყება არ ეგების. ცბიერი კი იყო, მომთმენი, წინდახედული, იმდენად მომთმენი, რომ მშვიდად ელოდა მთელი თხუთმეტი წელიწადი, იმდენად წინდახედული, რომ ყველაფერი აწონ-დაწონა, ყველაფერი გაითვალისწინა გარდა ერთისა – გარდა თავისი მეხსიერებისა. და როცა ძალზე გვიანი იყო, უცებ გაახსენდა, რომ კიდევ ერთი კაცი არსებობს, რომელსაც ეცოდინება ის, რაც თავად მას დაავიწყდა. და ეს კაცი გახლდათ მსაჯული დიუკინფილდი. მსაჯულმაც იცოდა, რაში იყო საქმე, სახელდობრ: ის თეთრი ცხენი ვერაფრით ვერ მოკლავდა მისტერ ჰოლანდს.

სტივენსი გაჩუმდა და სრული დუმილი ჩამოვარდა დარბაზში. ნაფიცი მსაჯულნი მდუმარედ უსხდნენ მაგიდას და სტივენსს შეჰყურებდნენ. ანსელმმა თავისი გაბოროტებული, ნაოჭებით დალარული სახე ჯერ ძმისკენ მიაბრუნა, შეხედა, მერე ისევ სტივენსს მიაჩერდა, ოდნავ წინ წამოიხარა. ვირჯინიუსი გაუნძრევლად იჯდა, მისი სახის სერიოზული, დაძაბული გამომეტყველება არ შეცვლილა. ვირჯინიუსსა და კედელს შორის იჯდა გრენბი დოჯი, ნათესავი ძმებისა. მუხლებზე ხელდაკრეფილს თავი ჩაექინდრა, როგორც ეკლესიაში სჩვევიათ. მასზე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ მოხეტიალე მქადაგებელი იყო, ზოგჯერ კი მოაქუჩებდა ხოლმე შეუხედავი ცხენებისა და ჯორების ჯოგს და სადღაც ყიდდა ანდა ცვლიდა. ისეთი სიტყვაძვირი იყო, ისეთი ყოყმანა და მორცხვი, რომ ყოველგვარი ურთიერთობა ადამიანებთან წამებას უდრიდა მისთვის და ჩვენ გვებრალებოდა იმ ზიზღნარევი სიბრალულით, რითაც უყურებ გასრესილ მატლს და მასთან დალაპარაკებისაც კი გვეშინოდა, იძულებული რომ არ გაგვეხადა ჩვენს შეკითხვებზე პასუხთა ამოსაღერღად. მაგრამ იმასაც ვხედავდით, რომ კვირაობით, სოფლის ეკლესიის ამბიონზე, თითქოს ფერი უცვალესო, სულ სხვა ადამიანად გადაიქცეოდა ხოლმე და ხმა ჰქონდა წკრიალა, სულში ჩამწვდომი და უყოყმანო, არაფრით რომ არ შეესიტყვებოდა მის გარეგნობასა და ხასიათს.

– ახლა წარმოიდგინეთ, როგორ ელოდა ის კაცი, – თქვა სტივენსმა, – ელოდა, რა გამოვაო, და მერე უცებ მიხვდა, რატომ არ გამოვიდა არაფერი, რატომ მოხვდა ანდერძი მსაჯულ დიუკინფილდის ხელში, მერე კი გაქრა მთელი ქვეყნისათვის, მიხვდა, რომ ყველაფრის მიზეზი იყო მისი საკუთარი მეხსიერება, რომ დაავიწყდა ის, რისი დავიწყებაც არ ეგების. მას დაავიწყდა, რომ მსაჯულმა დიუკინფილდმაც იცოდა, მისტერ ჰოლანდი თავის ცხენს არასოდეს არ მიბეგვავდაო, ის მიხვდა, რომ მსაჯულმა დიუკინფილდმა იცოდა, რომ იმ კაცმა, რომელიც ჯოხს ისე ურტყამდა ცხენს, რომ იარები დაუტოვა ზურგზე, სწორედ იმ კაცმა მოკლა მისტერ ჰოლანდი, ჯერ მოკლა, მერე კი მისი ფეხი უზანგს გაუყარა და ჯოხით დაუწყო ცემა ცხენს, რათა გაჭენებულიყო. მაგრამ ცხენი არ გაჭენდა. იმ კაცმა იცოდა, რომ არ გაჭენდებოდა, იცოდა უხსოვარი დროიდან, იცოდა – და დაავიწყდა. დიახ, დაავიწყდა, რომ ეს ცხენი, როდესაც ჯერ კიდევ კვიცი იყო, საშინლად მიბეგვეს და იმ დროიდან მოყოლებული ჯოხის დანახვაზეც კი წვებოდა მიწაზე, და ეს იცოდა მისტერ ჰოლანდმაც და მისი ოჯახის ყველა ახლობელმა. და სწორედ ამიტომ ცხენი მყისვე დაწვა მისტერ ჰოლანდის გვამზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამაზე უარესი სხვა რამ იყო. ასე ფიქრობდა ის კაცი ღამღამობით, ლოგინში რომ იწვა და ახლაც ელოდა ისე, როგორც თხუთმეტი წელიწადი ელოდა. მაშინაც კი, როდესაც უკვე ძალზე გვიანი იყო და მიხვდა თავის შეცდომას, მაშინაც კი მყისვე როდი გაახსენდა ის, რისი დავიწყებაც არ შეიძლებოდა. მაგრამ მას ყველაფერი გაახსენდა, როდესაც უკვე გვიანი იყო, უკვე მას შემდეგ გაახსენდა, როდესაც წააწყდნენ გვამს და ყველამ დაინახა ნაიარევნი ცხენის ზურგზე, და ყველა ალაპარაკდა ისე, რომ ამის დამალვა უკვე გვიანი იყო. თუმცა იმ დროისათვის, როდესაც მას გაახსენდა, ნაიარევნი, ალბათ, უკვე შეუხორცდებოდა. მაგრამ ადამიანებს რომ დავიწყებოდათ ეს, ერთადერთი ხერხი არსებობდა. წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა იმ წუთებში, მისი შიში, მისი ჯავრი, შეგნება გამოუსწორებელი შეცდომისა, რომელმაც დაღუპა, სასოწარკვეთილი წადილი, უკან დაებრუნებინა დრო, ერთი წამით მაინც დაებრუნებინა, რათა გადაეკეთებინა, გამოესწორებინა ის, რისი გამოსწორებაც უკვე გვიანი იყო. და ყოველივე ეს იმიტომ მოხდა, რომ მას ძალზე გვიან გაახსენდა, თუ როგორ იყიდა მისტერ ჰოლანდმა ეს ცხენი მსაჯულ დიუკინფილდისგან, სწორედ იმ მსაჯულისგან, რომელიც აგერ ამ მაგიდას უჯდა და ამოწმებდა ანდერძის მართებულობას, რომელიც ვიღაცას ხელში აბარებდა მთელი შტატის საუკეთესო მიწა-წყლის ორი ათას აკრს. და ის კაცი ელოდა, რა მოხდებაო, რადგანაც მას ერთადერთი ხერხით ძალუძდა დაევიწყებინათ ეს ნაიარევნი, ელოდა – და არაფერიც არ მომხდარა. დიახ, არაფერი არ მომხდარა, და იმ კაცმა იცოდა, რატომაც არ მოხდა. და იგი ელოდა, ვიდრე ძალ-ღონე ეყოფოდა, ვიდრე არ მიხვდა, რომ აქ თამაშდებოდა გაცილებით დიდი რამ, ვიდრე რაღაც მიწის ნაკვეთი. მაშ რაღა დარჩენოდა გაეკეთებინა გარდა იმისა, რაც გააკეთა?

გაჩუმება ვერც კი მოასწრო, რომ ალაპარაკდა ანსელმი. მისი ხმა მკვეთრად და წყვეტილად ჟღერდა.

– თქვენ სცდებით, – თქვა მან.

ყველანი შევყურებდით მას, შევყურებდით მის ჭუჭყიან ჩექმებსა და გაქუცულ ტანსაცმელს. ვხედავდით, როგორ მიაჩერდა სტივენსს. ვირჯინიუსიც კი მობრუნდა და შეხედა მას. მხოლოდ მათი ნათესავი და ბებერი ზანგი არ განძრეულან. იფიქრებდი, არაფერი გაუგონიათო.

– რაში ვცდები? – ჰკითხა სტივენსმა.

მაგრამ ანსელმს პასუხი არ გაუცია. იგი თვალს არა სწყვეტდა სტივენსს.

– ვირჯინიუსს კი მაინც ერგება მიწა? თუნდაც რომ... რომ...

– თუნდაც რომ რა? – ჰკითხა სტივენსმა.

– თუნდაც რომ ის... რომ...

– თქვენ გნებავთ თქვათ – თუნდაც რომ მამა კი არ მომკვდარა, არამედ მოკლეს?

– დიახ, – თქვა ანსელმმა.

– რასაკვირველია. თქვენ და ვირჯინიუსს გერგებათ მიწა დამოუკიდებლად იმისგან, ანდერძს დაამტკიცებენ თუ არა, – რა თქმა უნდა, თუკი ვირჯინიუსი გიწილადებთ თქვენ. მაგრამ ის კაცი, რომელმაც მამათქვენი მოკლა, ამაში დარწმუნებული არ იყო, გამოკითხვა კი ვერ გაბედა. მას არ ენადა, რომ ორივეს მიგეღოთ მიწა. მას ენადა, რომ მთელი მიწა ვირჯინიუსს მიეღო. აი, რატომ სწყუროდა ანდერძის დამტკიცება.

– თქვენ მართალი არა ხართ, – თქვა ანსელმმა უკმეხი, წყვეტილი ხმით. – მამაჩემი მე მოვკალი. მაგრამ ამ წყეული ფერმის გულისთვის როდი მომიკლავს. აბა, უხმეთ შერიფს!

მაგრამ სტივენსმა დაკვირვებით შეხედა ანსელმის ბოლმით შელახულ სახეს და მშვიდად უთხრა:

– მე კი ვამბობ, რომ თქვენ მართალი არ ბრძანდებით, ანსელმ.

რაღაცნაირად გაშეშებულნი ვისხედით და შევყურებდით მათ, ვუსმენდით მათ ლაპარაკს – თითქოს სიზმარში, როდესაც წინასწარ იცი ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს და, იმავდროულად, გესმის, რომ ეს სულაც არაფერს ნიშნავს: სულერთია, ახლა გაგელვიძება. თითქოს ჩვენ დროის გარეთ მოვხვდით და გარედან ვადევნებდით თვალს, რაც ხდებოდა; დიახ, ჩვენ დროის გარეთ ვიყავით და თითქოს გარედან ვადევნებდით თვალს იმ წუთიდან მოყოლებული, როდესაც ანსელმს რომ შევხედეთ, თითქოს პირველად დავინახეთ. და ამ დროს გაისმა ხმა, თითქოს ვილაცამ ნელა ამოიოხრა, სრულიად ხმადაბლა, იტყოდი – შებითო. შესაძლოა, ყველამ გავიფიქრეთ, რომ, როგორც იქნა, ანსელმის კოშმარები დამთავრდა; შესაძლოა, ჩვენ ყველანი ფიქრით გადავეშვით წარსულში, როდესაც ის ბავშვი იყო, თავის საწოლში იწვა და დედა, ვისაც იგი ყველაზე მეტად უყვარდა, დედა, ვისი მემკვიდრეობაც წაართვეს ანსს და ვისი მრავალტანჯული ნეშტი საფლავშიც კი წაბილწეს, დედამისი წუთით შევიდა მასთან, ძილის წინ თვალი შევავლოო. ყოველივე ეს იყო შორეული წარსული, თუმცა სწორედ იქიდან მოდიოდა პირდაპირი გზა. მართალია ეს გზა მოდიოდა პირდაპირ წარსულიდან, გულუბრყვილო ბიჭუნა, მაშინ ლოგინში რომ იწვა, დიდიხანია ასცდა ამ გზას, დიდიხანია გაქრა, როგორც ყველანი ვქრებით, გავქრით ან უნდა გავქრეთ. ის ბიჭუნა უკვე აღარ არსებობდა, ისევე როგორც მისი სისხლ-ხორცით ნათესავები, ვისი განსვენებაც დაირღვა ღვიის ჭალაში, და ახლა ჩვენს წინაშე იდგა კაცი, ვისაც პირდაბჩენილნი შევყურებდით უფსკრულის მეორე ნაპირიდან, შევყურებდით ეგებ სიბრალულით, მაგრამ ყოველგვარი დანდობის გარეშე. სტივენსის სიტყვებს ამიტომაც მაშინვე ვერ ჩავწვდით, ისევე როგორც ვერ ჩაწვდა ანსი, და სტივენსს მოუწია გამეორება:

– მე კი ვამბობ, რომ თქვენ მართალი არ ბრძანდებით, ანს.

– რაო? – წამოიძახა ანსმა. წინ წამოიწია. მართალია, ადგილიდან არ წამომდგარა, მაგრამ სტივენსისკენ თითქოს გაიჭრაო. – ცრუობთ!

– არა, თქვენ მართალი არ ბრძანდებით, ანს. თქვენ არ მოგიკლავთ მამათქვენი. იგი მოკლა იმან, ვინაც წინასწარ ჩაფიქრებული განზრახვით მოკლა ის ბერიკაციც, ყოველდღე აქ რომ უჯდა აი, ამ მაგიდას, ვიდრე არ მოვიდოდა ბებერი ზანგი და არ ალვიძებდა მას, შინ წასვლის დრო არისო, – მოკლა ბერიკაცი, ვისაც თავის დღეში არასოდეს არც ქალისათვის, არც კაცისათვის, არც ბავშვისათვის, სიკეთის გარდა, არაფერი დაუშავებია და სჯეროდა, რომ მუდამ იქცეოდა გულისხმისყოფით ღვთისა და თვისისა. არა, თქვენ არ მოგიკლავთ მამათქვენი. თქვენ მოითხოვეთ მისგან ის, რასაც კანონით თავისად თვლიდით, და როცა მან იუარა, თქვენ მიატოვეთ იგი, სახლიდან წახვედით და ხმა აღარ გაგიციათ მისთვის. გესმოდათ ხოლმე, მიწას ავერანებსო, მაგრამ თქვენ ხმას არ იღებდით, ვინაიდან მშობლიური კარ-მიდამო თქვენთვის უკვე გადაქცეულიყო „ამ წყეულ ფერმად". თქვენ ხმას არ იღებდით, ვიდრე ყური არ მოჰკარით, რომ ამ შეშლილმა ბერიკაცმა წაბილწა საფლავები, სადაც განისვენებდნენ დედათქვენის წინაპრები, თქვენი წინაპრები. მაშინ – და მაშინღა! – მიხვედით მამასთან, ნამუსში რომ ჩაგეგდოთ. მაგრამ თქვენ იმათგან როდი ხართ, ვისაც ეხერხება სხვისი ჩაგდება ნამუსში და ისიც არ ყოფილა იმათგან, ვინც გაგიგონებს. მაშინ თქვენ დაუდარაჯდით სასაფლაოზე ღვიის ჭალაში, დაინახეთ, რომ თოფი ეჭირა ხელში. თუმცა, მე მგონი, თქვენ არც მიგიქცევით ყურადღება თოფისთვის. თქვენ, ალბათ, მხოლოდ გამოსტაცეთ ხელიდან თოფი, გალახეთ ბერიკაცი და მიაგდეთ იქ ცხენთან ერთად. შესაძლოა, თქვენ გეგონათ, მკვდარიაო. მაგრამ თქვენს შემდეგ მოვიდა სხვა, დაინახა ბერიკაცი, თუმცა ეგებ ეს სხვა სულ გითვალთვალებდათ. მას ენადა ბერიკაცის სიკვდილი განა ჯავრისგან, განა ბოლმისგან, არამედ ანგარებისა გამო. შესაძლოა, იმედი ჰქონდა ანდერძისა. თქვენს შემდეგ სწორედ ის მიადგა ბერიკაცს, სწორედ მან მოუღო ბოლო, მერე კი მამათქვენის ფეხი გაუყარა უზანგში, და ჯოხს ურტყამდა ცხენს, რომ გაჭენებულიყო, და ყველაფერი მშვენივრად მოგვარდებოდა, ფაციფუცში რომ არ დავიწყებოდა ის, რისი დავიწყებაც არ ეგების. მაგრამ ეს თქვენ არ ყოფილხართ. თქვენ გაეშურეთ შინ და როდესაც შეიტყვეთ, როგორ იპოვეს ბერიკაცი, თქვენ არაფერი გითქვამთ. არ გითქვამთ, რადგანაც გაიფიქრეთ ისეთი რამ, რაშიც საკუთარ თავსაც კი ვერ გამოუტყდებოდით. და როდესაც შეიტყვეთ ანდერძის შესახებ, გაიფიქრეთ, ახლა ყველაფერი ცხადი არისო. და მოხარული იყავით. მოხარული იმიტომ, რომ მიეჩვიეთ ცხოვრებას მარტოობაში, იმიტომ რომ, გასრულდა ახალგაზრდობა, გასრულდა წყურვილი სიცოცხლისა. თქვენ ისღა გენადათ, რომ მშვიდად გასრულებულიყო ცხოვრება, რომ დედათქვენის ნეშტიც მშვიდად განსვენებულიყო. ანკი რას ნიშნავს მიწა და საზოგადოებრივი მდგომარეობა სახელგატეხილი კაცისათვის?

მდუმარენი ვუსმენდით, ვიდრე სტივენსის ხმა მიინავლებოდა ამ პატარა ოთახის თაღებქვეშ, სადაც ჰაერი ყოველთვის დაგუბებული იყო, სადაც არასოდეს ყოფილა იოტისოდენა ორპირი ქარი, რადგანაც ოთახი მდებარეობდა იმ შენობის მთლად კუთხეში, რომელიც მაღალ კედელს ებჯინებოდა.

– არა, თქვენ არ მოგიკლავთ მამათქვენი, ანს, თქვენ არ მოგიკლავთ მსაჯული დიუკინფილდი. მამათქვენის მკვლელს დროზე რომ გახსენებოდა, ეს ცხენი ადრე მსაჯულ დიუკინფილდს ეკუთვნოდაო, მსაჯული დიუკინფილდი ახლა ცოცხალი იქნებოდა.

სუნთქვაშეკრულნი ვუსხედით მაგიდას, სწორედ იმ მაგიდას, საიდანაც მსაჯულმა დიუკინფილდმა დაინახა მისთვის დამიზნებული რევოლვერის ლულა. მაგიდაზე არაფრისთვის უხლიათ ხელი. იქ კვლავინდებურად ელაგა ქაღალდები, კალმები, სამელნე და ოსტატურად გამოჭედილი ბრინჯაოს პატარა ზარდახშა, რომელიც მსაჯულის ქალიშვილმა ევროპიდან ჩამოუტანა მამას თორმეტი წლის წინათ, და რისთვის იყო გამიზნული – არც ქალიშვილმა და არც თავად მსაჯულმა არ უწყოდნენ: ამგვარ ნივთებში, ჩვეულებრივ, ინახავენ ხოლმე თამბაქოს ანდა ბურნუთს, ოღონდ მსაჯული არც ერთს და არც მეორეს არა ხმარობდა, მაგრამ ეს ზარდახშა გადააქცია ქაღალდის წნეხად, რაც ასევე ზედმეტი იყო, რადგან ორპირი ქარი ოთახში არასოდეს ტრიალებდა. ზარდახშა მუდამ ედგა მაგიდაზე და ყველასთვის ნაცნობი იყო: რამდენჯერ გვიდევნებია თვალი, საუბრისას მსაჯული როგორ ათამაშებდა ხელში, ხსნიდა სახსრიან სახურავს და შეჰყურებდა, ოდნავი შეხებისგან ზარდახშა ბრაზიანად რომ იხურებოდა თავისით...

ახლა, როდესაც ამას ვიხსენებ, მეჩვენება, რომ ყველაფერი უნდა გარკვეულიყო გაცილებით მალე. ახლა მეჩვენება, რომ ჩვენ უკვე ყველაფერს ვხვდებოდით; ახლაც ისევ ვგრძნობ ამ უმოწყალო ზიზღს, რომელიც ზოგჯერ ესაზღვრება სიბრალულს, როდესაც ხედავ გატიკნულ მატლს, ანკესზე რომ იკლაკნება, გრძნობ ზიზღიან გულისრევას და გგონია, თუკი ხელთ არაფერი მოგეძიება, მზად ხარ, შიშველი ხელისგულით გასრისო და ერთადერთი აზრი გიტრიალებდეს თავში: „ჩქარა! ბოლო მოუღე! გასრისე, წაშალე, ჩქარა მოაშთე!“ მაგრამ სტივენსს სხვა გეგმა ჰქონდა. და გეგმავდა იმას, რასაც მერელა მივხვდით, რომ რადგან იცოდა, როგორ გაუჭირდებოდა მკვლელის გამომჟღავნება, ამიტომაც ენადა, იძულებული გაეხადა – თავად გაემჟღავნებინა თავი. და ეს მთლად პატიოსანი გზით არ გაუკეთებია, ასეც ვეუბნებოდით მერე („როგორ გეკადრებათ! – გვპასუხობდა. – განა მართლმსაჯულება ყოველთვის მისდევს პატიოსან გზას? განა არ შეიცავს უსამართლობას, ბედნიერ შემთხვევებს, გაცვეთილ ჭეშმარიტებათა კრებულს და, კაცმა არ იცის, რა უფრო მეტია მასში?“).

მაგრამ თავდაპირველად ვერ მივხვდით, საით მიჰყავდა საქმე, როდესაც ალაპარაკდა იმავე მსუბუქი და უშუალო კილოთი, ხელი კი ბრინჯაოს ზარდახშაზე ედო. ადამიანებში ხომ ასე ძლიერია ნინასწარგანწყობა. ჩვენ ხშირად გვანცვიფრებს არა ფაქტები, არა გარემოებანი, არამედ გვანცვიფრებს ის, რასაც ჩვენ თვითონ უნდა მივმხვდარიყავით, თუკი ჩვენი ფიქრები გართული არ იქნებოდა იმით, რასაც სრულიად უსაფუძვლოდ მივიჩნევდით სიმართლედ, მხოლოდ იმიტომ მივიჩნევდით, რომ იმ წუთში გვჯეროდა, ეს ნამდვილად სიმართლე არისო. სტივენსმა უცებ დაიწყო ლაპარაკი მწევლებზე, იმაზე, რომ ადამიანი არასოდეს ტკბება თამბაქოთი, როგორც ჯერ არს, ვიდრე არ დაასკვნის, რომ ეს ვნებს მას, და არამწეველი იკლებს იმას, რაც წარმოადგენს ნატიფი ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიამეს: იმის შეგნებას, რომ შენ მიჩვეული ხარ მანკიერებას, რომელიც მარტოოდენ შენ გავნებსო.

– თქვენ ეწევით, ანს? – ჰკითხა სტივენსმა.

– არა, – თქვა ანსმა.

– და არც თქვენ ეწევით, ვირჯ?

– არა, – თქვა ვირჯინიუსმა. – ჩვენ ყველანი არამწევლები ვართ – მამა, ანსი და მე. ეს, ალბათ, მემკვიდრეობითია.

– საგვარეულო მსგავსებაა, – თქვა სტივენსმა. – და დედის ხაზითაც ყველანი არამწევლები არიან? თქვენს ოჯახში როგორ არის საქმე, გრენბი?

ნათესავმა წამით შეავლო თვალი სტივენსს. არ განძრეულა, მაგრამ გეგონებოდა, რომ მთელი მისი სხეული, გახვეული აკურატულად ნახმარ კოსტუმში, ნელა იკლაკნებაო.

– არა, სერ. არასოდეს არ ვეწეოდი.

– ალბათ იმიტომ, რომ მქადაგებელი ბრძანდებით? – თქვა სტივენსმა. ნათესავს პასუხი არ გაუცია. მან თვინიერი, დაბნეული მზერა ისევ მიაპყრო სტივენსს.

– აი, მე კი ყოველთვის ვეწეოდი, – თქვა სტივენსმა. – თოთხმეტი წლისამ დავიწყე, როგორც კი სული მოვითქვი გულისრევისგან, პირველ ნაფაზს რომ მოჰყვა. დიდიხანია ვეწევი, ოღონდ აზიზი მწეველი ვარ. თუმცა თითქმის ყველა მწეველი აზიზია, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგები ამას უარყოფენ და ყველა თამბაქო, არსებითად, სტანდარტულია. ან ეგებ მხოლოდ სიგარეტია სტანდარტიზებული? ანდა ეგებაც ისინი ერთნაირი ჰგონიათ მიუჩვეველ ადამიანებს, და არა თავგადაკლულ მწევლებს? მე შემიმჩნევია, რომ არამწევლები ათასგვარ სისულელეს ამბობენ თამბაქოს შესახებ სწორედ ისევე, როგორც ჩვენ რაღაცას ვჩმახავთ იმაზე, რასაც თავად არა ვხმარობთ, რაზედაც წარმოდგენა არა გვაქვს, ვჩმახავთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს სჩვევიათ ცრურწმენები, ცდომილებანი. მაგრამ აიღეთ თამბაქოს გამყიდველი, თუნდაც არ ეწეოდეს, ხომ ხედავს, მყიდველი როგორ ხსნის სიგარეტის კოლოფს და მოუთმენლად იქვე დახლთან უკიდებს. ჰკითხეთ ერთი: განა ყველა თამბაქოს ერთი და იგივე სუნი აქვს? შეუძლია თუ არა მას, ერთი ჯიში მეორისგან განასხვავოს სუნით? თუმცა, შესაძლოა, აქ როლს თამაშობდეს ფირმა და შეფუთვის ფერი, ვინაიდან ფსიქოლოგებს დღემდე ჯეროვნად ვერ აუხსნიათ ჩვენთვის, სად მთავრდება მხედველობა და იწყება ყნოსვა, ანდა სად მთავრდება სმენა და იწყება მხედველობა. ნებისმიერი იურისტი გეტყვით ამას.

აქ ნაფიც მსაჯულთა მამასახლისმა კვლავ გააჩერა სტივენსი. ჩვენ მშვიდად ვუსმენდით, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველანი იმასვე ფიქრობდნენ: „გასაგებია, რომ თავგზა უნდა აუბნიო მკვლელს, ოღონდ, ჩვენ, ნაფიცმა მსაჯულებმა რა დავაშავეთ?“

– ეს გამოძიება უნდა ჩაგეტარებინათ მანამდე, სანამ აქ მოგვიწვევდით, – თქვა მამასახლისმა. – თუნდაც თქვენ სამხილნი მოგეპოვებოდეთ, ამას რა მნიშვნელობა

აქვს მოკლულის გვამის გაუსინჯავად? რა თქმა უნდა, შეიძლება მკითხაობა და ვარაუდების დაშვება, მაგრამ...

– კეთილი, – სიტყვა გააწყვეტინა სტივენსმა. – ნება მომეცით, ცოტა ხანს კიდევ მივხედო გუმანს და თუკი, თქვენი აზრით, ეს არაფერს მოგვცემს, მაშინ გამაჩერეთ – და საქმეს წარვმართავ არა ჩემებურად, არამედ თქვენებურად. მზად ვარ საიმისოდ, რომ თავიდან თქვენ მოგეჩვენებათ, თითქოს ჩემს თავზე ვილებდე უზარმაზარ გამბედაობას, თუნდაც ვარაუდის სახით. მაგრამ ჩვენ ხომ წავაწყდით მოკლულ მსაჯულ დიუკინფილდს აქ, ამ სავარძელში, მაგიდასთან. ეს უკვე გუმანი როდი გახლავთ. ხოლო ბიძია ჯობი მთელი დღე იჯდა თავის სკამზე ტალანში, და ყველას, ვინც კი ჩაუვლიდა გვერდით ამ ოთახში შესასვლელად (თუკი მას არ მოეპრიანებოდა გვერდითა კიბით ჩამოსულიყო სხდომათა დარბაზში და სარკმლიდან გადმომძვრალიყო), ყველას უნდა გაევლო ბიძია ჯობისგან სამი ფუტის მანძილზე. ჩვენ კი ვიცით, რომ ჩვიდმეტი წელიწადია, რაც კაციშვილს შეუმჩნევლად არ გაუვლია მის გვერდით. ესეც გუმანი როდია.

– მაშ რას ამბობს თქვენი გუმანი?

მაგრამ სტივენსი ისევ წევასა და თამბაქოს ჯიშებზე ალაპარაკდა:

– გასულ კვირას უესტის თამბაქოს დუქანში შევიარე თამბაქოს საყიდლად, და მან მიამბო ერთი კაცის შესახებ, რომელიც ჩემზე არანაკლებ ჭირვეულობდა, როდესაც საქმე ეხებოდა თამბაქოს. უესტმა ყუთიდან ამოიღო ჩემი თამბაქო, მერე ხელი გაიწვდინა და სიგარეტის კოლოფი ჩამოიღო თაროდან. კოლოფი ერთიანად დამტვერილი იყო, გახუნებული, თითქოს დიდი დრო გაეტარებინა თაროზე, და მან მიამბო, რომ ვიღაც კომივოიაჟერმა ერთხელ შეასაღა ასეთი ორი კოლოფი. „ასეთი ოდესმე მოგიწევიათ?“ – მკითხა მან. „არა, – ვეუბნები, – ეს, ეტყობა, ქალაქური სიგარეტია“. მაშინ მიამბო: დახლთან ვიჯექი, გაზეთი მქონდა გადაშლილი, ვკითხულობდი და დროდადრო კარს გავხედავდი ხოლმე, ვიდრე ნოქარი სადილობდაო. უესტმა თქვა, არც დამინახავს და არც გამიგონია, როგორ შემოვიდა კაცი, უცებ თავი ავწიე – ის კი აგერ დგას, თანაც ისე ახლოს, რომ კიდევაც შევკრთი. ჩია კაცი ყოფილა, ქალაქური ტანსაცმელი ეცვა და ისეთი მარკის სიგარეტი მოუთხოვია, რომელიც უესტს სმენითაც კი არ სმენოდა. „ეგეთი არაფერი მაქვს, – ეუბნება უესტი, – ეგეთები არ გაგვაჩნია“. „და რატომ არ გაგაჩნიათ?“ – ეკითხება ის კაცი. „მაგაზე მოთხოვნილება არ არის ჩვენში“, – ეუბნება უესტი. ის ჩია კაცი, ქალაქური ტანსაცმელი რომ ეცვა, ასე ამიწერა: პირისახე ცვილის თოჯინისას მიუგავს, სუფთად აქვს გაპარსული, თვალები კი თითქოს მიმქრალია და ხმაც თითქოს მიყრუებული. მერე უესტმა თვალი გაუსწორა, მის ნესტოებს დააკვირდა და ყველაფერს მიხვდა. მთლად ჩაკოკაინებული იყო. „ეგეთებზე მოთხოვნილება არ არის“, – ეუბნება უესტი. ხოლო ის კაცი: „მე კი რა გთხოვეთ – ბუზსაკლავი ქაღალდი თუ რა?“ მერე იყიდა იმ დაძველებული სიგარეტის კოლოფი და გავიდა.

უესტი ამბობს, ისეთი ბოლმა მომანვა, რომ ოფლმაც კი დამასხა – საცაა გული ამერეოდაო. მეუბნება: „გესმით, რამე სისაძაგლე რომ მომსვლოდა თავში და ჩადენა შემშინებოდა, იცით რას ვიზამდი? ამ ტიპს ათ დოლარს მივცემდი და ვეტყოდი, რა სისაძაგლეც უნდა ჩაედინა და ვუბრძანებდი, აღარასოდეს თვალით აღარ დაგინახომეთქი. აი, როგორი გრძნობა გამიჩნდა, როდესაც გავისტუმრე. გულ-ღვიძლი პირდაპირ ამომიბრუნდა“.

სტივენსმა შემოგვხედა და გაჩუმდა. თვალს არ ვაშორებდით.

– ეს ქალაქელი კაცი საიდანღაც მოვიდა მანქანით, დიდებული მანქანით. ქალაქელი კაცი მიჩვეულია სიგარეტის გარკვეულ მარკას, და ისინიც გაუთავდა. – სტივენსი ისევ გაჩუმდა, მერე ნელა მიაბრუნა თავი და ვირჯინიუს ჰოლანდს შეხედა. მოგვეჩვენა, რომ ისინი მთელი ერთი წუთი თვალებში შეჰყურებდნენ ერთიმეორეს. – ერთმა ზანგმა მითხრა, რომ მსაჯულ დიუკინფილდის მკვლელობის წინა ღამეს ეს დიდებული მანქანა იდგა ვირჯინიუს ჰოლანდის გარაჟში. – და კვლავ დავინახეთ, რომ ორივენი თვალჩაციებით შეჰყურებდნენ ერთმანეთს და სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდი. სტივენსი ალაპარაკდა მშვიდად, ჩაფიქრებით, ლამის მეოცნებესავით: – ვიღაცამ ნება არ მისცა ამ კაცს შემოსულიყო ჩვენს დაბაში ამ მანქანით, ამ დიდებული მანქანით, რადგან ვინც კი დაინახავდა მას, დაიმახსოვრებდა და იცნობდა. შესაძლოა, ვიღაცამ აუკრძალა აქ გამოჩენა ამ მანქანით, შესაძლოა, ვიღაცამ დააშინა. მაგრამ მე მგონი, იმ კაცს, ვისაც ჩვენმა უესტმა სიგარეტი მიჰყიდა, იოლად ვერ დააშინებდი.

– თქვენი აზრით, ეს „ვიღაც“ მე ვარ? – თქვა ვირჯინიუსმა. იგი ერთი ბეწოზეც კი არ განძრეულა, არც თვალი მოუცილებია სტივენსისათვის. მაგრამ ანსელმი მიბრუნდა ძმისკენ. თვალი გაუყარა თვალში და მერე განზე გაიხედა. ოთახში სიჩუმე იდგა, მაგრამ როდესაც ალაპარაკდა ნათესავი, ერთბაშად ვერც კი გავიგონეთ მისი ხმა, ერთბაშად ვერ გავიგეთ, რას ამბობდა. მან მხოლოდ მეორედ ამოიღო ხმა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მსაჯულის კაბინეტში ვისხედით მას იქით, რაც სტივენსმა კარი ჩაკეტა. ხმა სუსტი ჰქონდა და კვლავ მოგვეჩვენა, რომ მთელი სხეულით იკლაკნებოდა, თუმცა ერთი ბეწოზეც კი არ განძრეულა. მორცხვად და თავდამცირებით ალაპარაკდა, ის მტანჯველი წადილი დაჰყვებოდა, რომ შეუმჩნეველი გამხდარიყო, რაც უკვე დიდიხანია გვხვდებოდა თვალში.

– ის კაცი ჩემთან იყო ჩამოსული, – ბუტბუტებდა დოჯი. – შემოიარა ჩემთან. საღამო იყო, რომ მესტუმრა, ამბობდა, მომცრო ცხენებს ვეძებო, იმისათვის, რა ქვია... აი, თამაშია ეგეთი...

– პოლო? – ჰკითხა სტივენსმა.

– დიახ, სერ. ვირჯინიუსიც შინ იყო. ცხენებზე ვლაპარაკობდით. დილით კი ჩაჯდა მანქანაში და გაემგზავრა. არ ვიცი, საიდან მოვიდა და საით წავიდა. – ლაპარაკობდა ნათესავი, თვალები დახრილი ჰქონდა, არავის უცქერდა. გეგონებოდა, თავის აკანკალებულ ხელებს მიმართავსო, მუხლებზე რომ ეწყო.

– და ვისი ნახვა ეწადა აქ, – დასძინა სტივენსმა, – და საერთოდ რას აკეთებდა აქ, თქვენ ამაზე არაფერი იცით.

დოჯს პასუხი არ გაუცია. და არც იყო საჭირო პასუხის გაცემა. და ისევ საკუთარ თავში ჩაიძირა. სოროში შემალულ უმწეო ტყის ცხოველს წააგავდა.

– აი, სად მიგვიყვანა ჩემმა გუმანმა, – თქვა სტივენსმა.

ახლა კი ყველაფერს უნდა მივმხვდარიყავით. ყველაფერი ხელისგულზე იყო გადაშლილი. უნდა გვეგრძნო, რომ ოთახში იმყოფება ვიღაც, სტივენსმა თავზარი რომ დასცა, გააბოროტა, გაუჩინა სასოწარკვეთილი ნატვრა, წამით მაინც შეებრუნებინა დრო, სხვაგვარად ეთქვა ყველაფერი, სხვაგვარად გაეკეთებინა ყველაფერი. მაგრამ, შესაძლოა, ამ „ვიღაცამ“ ჯერ ვერაფერი იგრძნო, ვერ იგრძნო ბიძგი, დარტყმა, როგორც ხანდახან პირველ წამში კაცი ვერცა გრძნობს, რომ ტყვია მოხვდა. ვინაიდან უცებ ალაპარაკდა ვირჯინიუსი, ალაპარაკდა უკმეხად, ბრაზიანად:

– და ამას როგორ დაამტკიცებთ?

– სახელდობრ რას, ვირჯ? – ჰკითხა სტივენსმა. და ისევ თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს, მშვიდად, მტკიცედ, როგორც ორმა მოკრივემ. დიახ, არა მოფარიკავეთა დარად, არამედ როგორც მოკრივეებმა ანდა პისტოლეტიანმა დუელიანტებმა. – დავამტკიცო, ვინ დაიჭირა ეს მკვლელი მემფისიდან, ეს მხეცი? მე არაფერი მაქვს დასამტკიცებელი. მან თვითონ ჩამოკაკლა ყველაფერი. მემფისის გზაზე, ბატენბერგის ახლოს, ბავშვს გადაუარა (ჯერ კიდევ გაბრუებული იყო კოკაინით, ალბათ, ისევ დაბოლდა, როდესაც თავისი საქმე მოათავა აქ). დაიჭირეს, ჩაკეტეს, და როდესაც ნარკოზმა გაუარა, ყველაფერი დაფქვა: ისიც, თუ სად იყო და ისიც, თუ ვის ესტუმრა. თხემით ტერფამდე ჯაყჯაყებდა, იღრინებოდა, როდესაც მაყუჩიან პისტოლეტს ართმევდნენ.

– აჰა, – თქვა ვირჯინიუსმა. – ძალიან კარგი. მაშ თქვენ ისღა დაგრჩენიათ დაამტკიცოთ, რომ ის ამ ოთახში იყო სწორედ იმ დღეს. ამას როგორ დაამტკიცებთ? ამ შავტრუხას კიდევ ერთ დოლარს აჩუქებთ, რათა უკეთესად გაიხსენოს?

მაგრამ სტივენსს თითქოს არც გაუგონია მისი ნათქვამი. მაგიდის ბოლოში იდგა, მოწმეთა და ნაფიც მსაჯულთა შორის, და როდესაც ალაპარაკდა, ბრინჯაოს ზარდახშა აილო ხელში, აქეთ-იქით ატრიალებდა და ათვალიერებდა, ხმა კი კვლავ მშვიდი და ფიქრიანი ჰქონდა:

– თქვენ ყველამ იცით ამ ოთახის ერთი თავისებურება. როგორც ცნობილია, აქ არასდროს არ ტრიალებს ორპირი ქარი. როგორც ცნობილია, თუკი აქ, ვთქვათ, შაბათს ეწეოდნენ, ორშაბათს დილით, როდესაც ბიძიკო ჯობი კარს გააღებს, კვამლი ზედა წირთხლთან მძინარე ძაღლივით იქნება გაწოლილი. ეს ყველას გინახავთ.

ანსისა არ იყოს, წამოვიწიეთ და თვალს არ ვაშორებდით სტივენსს.

– დიახ, – თქვა მამასახლისმა, – გვინახავს.

– დიახ, – თქვა სტივენსმა, თითქოს არც უსმენდა და დახურული ზარდახშა ისევ დაატრიალა ხელში. – თქვენ მკითხეთ, რა მოსაზრებანი გაქვთო. აი, ჩემი მოსაზრებანი. იმის გაკეთება, რასაც მე ვვარაუდობ, შეეძლო მარტოოდენ ცბიერ კაცს – ისეთს, რომელმაც მოახერხა მისულიყო დუქნის პატრონთან, როდესაც ის გაზეთს კითხულობდა და დროდადრო კარს გაჰყურებდა, მისულიყო ისე, რომ ვერც კი შეემჩნიათ. ქალაქელი კაცი იყო და ქალაქური სიგარეტი მოიკითხა. და აი, ეს კაცი გამოვიდა დუქნიდან, გადაჭრა ქუჩა სასამართლოს შენობასთან, შევიდა იქ, კიბეზე ავიდა, სხვასავით, ყველასავით. შესაძლოა, ათმა კაცმა მაინც დაინახა იგი, შესაძლოა, რომ უფრო მეტს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, რადგანაც არსებობს ორი ადგილი, სადაც ადამიანებს ყურადღებას არ აქცევ, – ესაა მართლმსაჯულების ტაძარი და საზოგადოებრივი საპირფარეშო. იგი შევიდა სასამართლოს დარბაზში, გვერდითა კიბით ჩავიდა ტალანში და დაინახა ბიძია ჯობი, თავის სავარძელში რომ ეძინა. შესაძლოა, მან გაიარა ტალანი და მსაჯულ დიუკინფილდის ზურგსუკან გადმოძვრა სარკმლიდან ანდა ეგებ გვერდითა კიბიდან პირდაპირ ჩაუარა ბიძია ჯობს, გამიგეთ? მძინარე ბერიკაცს გვერდით რომ ჩაუარო, ეს არ გაუჭირდება იმ კაცს, რომელმაც მოახერხა შესულიყო დუქანში შეუმჩნევლად დახლში მდგომი პატრონის ცხვირწინ. შესაძლოა, მან მოუკიდა სიგარეტს იმ კოლოფიდან, უესტისგან რომ იყიდა, ვიდრე მსაჯული დიუკინფილდი შეამჩნევდა მის ყოფნას ოთახში. ანდა შესაძლოა, მსაჯულს თავის სავარძელში ეძინა, როგორც ხშირად ემართებოდა ხოლმე. შესაძლოა, ეს კაცი იდგა და ეწეოდა სიგარეტს და უცქერდა, როგორ მიიზლაზნებოდა კვამლი მაგიდაზე და წვებოდა კედელთან, და ფიქრობდა მუქთად ნაშოვნ ფულზე, იოლ ნადავლზე, სანამ გაისროდა რევოლვერს. და გასროლას იმაზე დიდი ხმა არა ჰქონია, ვიდრე ასანთის გაკვრას, რადგანაც ამ კაცს ისე ეხერხებოდა ყოველგვარი ხმაურის თავიდან აცილება, რომ ფიქრიც კი არ სჭირდებოდა იმაზე, სიჩუმე არ დავარღვიოო. მერე კი წავიდა იმავე გზით, რომლითაც მოვიდა და ათობით ადამიანმა დაინახა და არც დაუნახავს იგი, ხოლო დღის ხუთ საათზე ბიძია ჯობი მივიდა მსაჯულის გასაღვიძებლად და იმის სათქმელად, შინ წასვლის დრო არისო. ბიძია ჯობ, მართალს ვამბობ?

ბებერმა ზანგმა თავი ასწია.

– ვზრუნავდი მასზე, – თქვა მან. – როგორც შევპირდი ქალბატონს, ყოველთვის ვზრუნავდი. ვუვლიდი, როგორც შევპირდი ქალბატონს. შემოვდივარ აქ, მეგონა, სძინავსმეთქი, – ეს ხშირად ემართებოდა ხოლმე...

– მოიცა, – გააწყვეტინა სიტყვა სტივენსმა. – შენ შემოხვედი, დაინახე ის, როგორც ყოველთვის, სავარძელში და შეამჩნიე, რომ მაგიდის უკან კედელს ეფინება კვამლი. ხომ ასე მიამბობდი, არა?

თავის დამტვრეულ სავარძელში მოკაკვული ბებერი ზანგი უცებ ატირდა. იგი წააგავდა ბებერ მაიმუნს და უხმოდ ტიროდა შავი ცრემლებით, და სახეს იწმენდდა კორძიანი ხელით, რომელიც უკანკალებდა სიბერისგან და, შესაძლოა, არა მარტო ამიტომ.

– აქ დილაობით მოვდიოდი, ვალაგებდი აქაურობას. კვამლი კი ტრიალებს ოთახში, ის შემოვიდოდა, თავის სიცოცხლეში არ მოუწევია, შეიყნოსავდა, მაგარი ყნოსვა ჰქონდა, და მეტყოდა: „დახე, ჯობ, გუშინ საღამოს, ეტყობა, გაგვიბოლებია აქედან მთელი ჩვენი მსაჯულთა ხროვა, არა?“

– მოიცა, – თქვა სტივენსმა. – შენ ის გვიამბე, კვამლი როგორ დასტრიალებდა მაგიდას იმ დღეს, როცა აქ მოხვედი მსაჯულის გასაღვიძებლად და შინ გასასტუმრებლად, თუმცა შენს გვერდით არავის გაუვლია გარდა მის-

ტერ ვირჯინიუს ჰოლანდისა – აგერ აქ ზის. მისტერ ვირჯინიუსი კი არ ენევა, და მსაჯულიც არ ენევა. და მაინც აქაურობა სავსე იყო კვამლით. უამბე ყველას, როგორც მე მიამბობდი.

– ჰო აბა, კვამლი ოხრად იყო. მეგონა, რომ მსაჯულს ეძინა, მივუახლოვდი გასაღვიძებლად...

– ზარდახშა კი მაგიდის კიდეზე იდო, როცა მსაჯული ელაპარაკებოდა ვირჯინიუსს, ზარდახშას ატრიალებდა ხელში, და როცა შენ აპირებდი მსაჯულის გაღვიძებას და ხელი გაინვდინე...

– დიახ, სერ, ზარდახშა გადმოვარდა მაგიდიდან. მე კი მეგონა, რომ მსაჯულს ეძინა...

– მაშ ზარდახშა გადმოვარდა მაგიდიდან. და აჯახუნდა, შენ კი გაგიკვირდა, მსაჯულს რატომ არ გაელვიძაო და იატაკს დახედე, სადაც ზარდახშა ეგდო, კვამლი შემოხვეოდა, სახურავი ღია ჰქონდა და შენ გეგონა, ზარდახშა გატყდაო. ასაღებად დაიღუნე, – მსაჯულს ძალიან უყვარდა იგი იმიტომ, რომ ემამ საჩუქრად ჩამოუტანა ზღვის გაღმიდან, თუმცა მსაჯულს ეს ზარდახშა არაფერში სჭირდებოდა. შენ დაუხურე სახურავი და ზარდახშა მაგიდაზე დადე. და ამ დროს დაინახე, რომ მსაჯულს კი არ ეძინა, არამედ...

იგი გაჩუმდა. ჩვენ კი ვცდილობდით, რომ არ გვესუნთქა – და გვესმოდა, როგორ ვსუნთქავდით. სტივენსი თვალს არ სწყვეტდა ზარდახშას და ნელა ატრიალებდა ხელში. მაგიდიდან ოდნავ შებრუნებული ელაპარაკებოდა ბებერ ზანგს, ასე რომ, ახლა უფრო მოწმეთა მერხს უცქერდა, ვიდრე ნაფიც მსაჯულებს.

– ბიძია ჯობი ასე ამბობს: ოქროს ზარდახშაო – ძალზე მორგებული სახელია. განა სულერთი არ არის, რას დაარქმევ? სიმართლე რომ ითქვას, ყველა ლითონი ერთნაირია. მხოლოდ ზოგიერთი უფრო მეტად სჭირდებათ ადამიანებს, ზოგიც – უფრო ნაკლებად. მთავარი ის გახლავთ, რომ ყველა ლითონს საერთო ნიშნები, საერთო თვისებანი მოეპოვება. და ამ თვისებათაგან ერთ-ერთი ისაა, რომ ლითონის კოლოფში ყველაფერი უფრო დიდხანს ინახება, ვიდრე ქაღალდისაში თუ ხისაში. მაგალითად, კვამლი შეიძლება ჩაკეტო ლითონის ზარდახშაში, აგერ ამის მსგავსში, მჭიდრო სახურავი რომ აქვს, და ერთი კვირის შემდეგაც კვამლი შიგ იქნება დარჩენილი. და არა მარტო ეს: ნებისმიერი ქიმიკოსი, ნებისმიერი მწეველი ან თამბაქოს სპეციალისტი, ჩვენი დოქტორ უესტისა არ იყოს, იოლად შეძლებს განსაზღვროს, სახელდობრ თამბაქოს რომელი ჯიშია, განსაკუთრებით თუკი ეს იშვიათი ჯიში იქნება, რომელსაც ჩვენთან, ჯეფერსონში, არასდროს ყიდულობენ, თანაც სულ ორიოდე დასტა ჰქონდა ამ ჯიშისა და დაამახსოვრდა, ვის მიყიდა ერთი მათგანი.

ადგილიდან არ განვძრეულვართ. ვისხედით და უცებ მოგვესმა აჩქარებული, ბორძიკა ნაბიჯები, დავინახეთ, როგორ მიირბინა კაცმა და ზარდახშა ხელიდან გააგდებინა სტივენსს. მაგრამ ჩვენ მას როდი ვუცქერდით. ჩვენ მასთან ერთად ვუცქერდით, როგორ მოსხლტა სახურავი ზარდახშას და იქიდან გამოჩნდა კვამლის პაწია ღრუბელი, ნელა რომ იფანტებოდა ჰაერში. ყველა, როგორც ერთი, გადაიხარა მაგიდაზე და მიაჩერდა გრენბი დოჯის არაფრისთქმელ, მწითურ კინკრიხოს, რომელიც დაჩოქილიყო და ხელებით ფანტავდა ზარდახშიდან ამოვარდნილ კვამლს.

– მე მაინც არ მესმის... – თქვა ვირჯინიუსმა. ჩვენ ხუთნი ვიდექით სასამართლოს ეზოში და თვალის დაუხამხამებლად შევყურებდით ერთმანეთს, თითქოს ბნელი გამოქვაბულიდან გამოგვიშვესო.

– დაწერეთ კი ანდერძი? – ჰკითხა სტივენსმა. და ახლა ვირჯინიუსი გაქვავებულივით მიაშტერდა სტივენსს.

– აი, თურმე რა! – წამოიძახა მან ბოლოს.

– დაწერეთ, რა თქმა უნდა, როგორც ვალდებულება, რომელსაც, ჩვეულებრივ, საქმიანი პარტნიორები უცვლიან ერთმანეთს, – თქვა სტივენსმა. – თქვენ და გრენბიმ გაცვალეთ ასეთი ანდერძები, რომელთა მიხედვით, ერთი თქვენგანი წარმოადგენდა მეორის მემკვიდრესა და ანდერძის ამსრულებელს, რათა თქვენი საერთო ქონება უსაფრთხო ყოფილიყო. ეს სავსებით ბუნებრივია. ეტყობა, გრენბიმ პირველმა შემოგთავაზათ ამ ქაღალდის დაწერა და გითხრათ, ჩემს მემკვიდრედ უკვე გაგხადეთო. ასე რომ, ახლა სჯობს მოსპოთ თქვენი ანდერძი, აიღეთ და დახიეთ. თქვენს მემკვიდრედ დაასახელეთ ანსი, თუკი მაინცდამაინც გნებავთ ანდერძის შედგენა.

– რატომ უნდა ელოდოს, – თქვა ვირჯინიუსმა. – მიწის ნახევარი ისედაც მაგისია.

– მთავარი ისაა, რომ თქვენ ამ მიწას გაუფრთხილდებით, – თქვა სტივენსმა, – და მან ეს იცის. ანსს მიწა არა სჭირდება.

– ჰო, – თქვა ვირჯინიუსმა და შებრუნდა. – მაგრამ მე მინდოდა...

– მთავარი ისაა, რომ გაუფრთხილდეთ მას, – თქვა სტივენსმა. – ანსმა იცის, რომ თქვენ გაუფრთხილდებით მიწას.

– ჰო, – თქვა ვირჯინიუსმა. შეხედა სტივენსს. – მე აბა... მე თქვენ... უფრო სწორად, ჩვენ ორივენი თქვენგან ძალიანა ვართ დავალებული...

– უფრო მეტადაც, ვიდრე გგონიათ, – თქვა სტივენსმა. ძალზე მშვიდად და ფხიზლად ლაპარაკობდა. – დავალებული ხართ ჩემგან და იმ ცხენისგანაც. მამათქვენის სიკვდილის შემდეგ გრენბიმ იმდენი ვირთხის საწამლავი იყიდა, რომ სამ სპილოს მოწამლავდა, ეს უესტმა მიამბო. მაგრამ ეს ცხენი რომ გაახსენდა და ისიც რომ გაახსენდა, რაც თავდაპირველად დაავიწყდა, ვირთხების მოწამვლისა შეეშინდა, ვიდრე მამათქვენის ანდერძს არ დაამტკიცებდნენ. ცბიერი კაცია, მაგრამ ამასთან უმეცარი – სახიფათო შეთავსებაა. იმდენად უმეცარი იყო, რომ ეგონა, კანონი თითქოს დინამიტსა ჰგავს: ვინც პირველი სტაცებს ხელს, სწორედ იმას მოემსახურება მონასავით, თუმცა ეს „მონაც" შეიძლება აჯანყდეს. მაგრამ ის იმდენად ცბიერი იყო, რომ ეგონა, თითქოს ადამიანები კანონს იყენებენ მარტოოდენ თავისთვის, თავისი პირადი მიზნებით. ამას მაშინ მივხვდი, როდესაც გასულ ზაფხულს ვილაც ზანგი მომიგზავნა, რომელსაც უნდა გაეგო, შეიძლება თუ არა ანდერძის დამტკიცებაზე გავლენა იქონიოს იმან, თუ როგორი სიკვდილით მოკვდა ადამიანი. მივხვდი, ვისი გამოგზავნილიც იყო ეს ზანგი და ვიცოდი, როგორი ცნობებიც არ უნდა გადაეცა ამ ზანგს იმ კაცისთვის, რომელმაც გამოგზავ-

ნა, სულერთია არ დამიჯერებდა, ვინაიდან მთვლიდა მსახურად კანონისა, ამ „დინამიტისა“, ამ „მონისა“. ასე რომ, მამათქვენს ჩვეულებრივი ცხენი რომ ჰყოლოდა და გრენბის მისი ბუნება დროზე გახსენებოდა, თქვენ ახლა საფლავში ინვებოდით. შესაძლოა, გრენბის ამით არაფერი მოეგო, მაგრამ თქვენ ხომ მიცვალებული იქნებოდით.

– ჰო, – თქვა ვირჯინიუსმა ძალზე მშვიდად და ფხიზლად, – მე მგონი, ძალიან დავალებული ვარ თქვენგან...

– დიახ, – თქვა სტივენსმა, – თქვენ ძალზე დიდი ვალდებულება განევთ. თქვენ ძალზე დავალებული ხართ გრენბისგან. – ვირჯინიუსმა შეხედა მას. – თქვენ ვალად გაქვთ ის გადასახადი, რომელსაც იგი ყოველწლიურად იხდიდა თხუთმეტი წლის მანძილზე.

– აჰა, – თქვა ვირჯინიუსმა. – მე კი მეგონა, რომ ამას მამაჩემი... ჰო, გრენბი ყოველ შემოდგომაზე ფულს სესხულობდა ჩემგან, არცთუ ძალიან ბევრს, სხვადასხვა თანხები იყო ხოლმე. ამბობდა, საქონელი უნდა ვიყიდოო. ზოგჯერ ნაწილ-ნაწილ მისტუმრებდა. მაგრამ კიდევ აქვს ჩემი ვალი... არა, კაცმა რომ თქვას, ახლა მე მაქვს მისი ვალი. – ვირჯინიუსი ძალზე სერიოზულად, საქმიანად ლაპარაკობდა. – როცა ადამიანი ავ საქმეს მოეკიდება, იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას სჩადის, არამედ მნიშვნელოვანია შედეგები.

– მაგრამ დასჯით კი დასჯიან იმისათვის, რაც ჩაიდინა და დასჯიან გარეშენი. იმათ, ვინც დაზარალდება მისი ავკაცობით, იმ ადამიანებს ხომ მისი დასჯა არ მოუწევთ. ერთი სიტყვით, ჩვენთვის, დანარჩენთათვის კარგია, რომ თავისი ავკაცობის გამო ჩვენს ხელში მოხვდება, და არა იმათ ხელში, სხვების ხელში. აი, ახლა ის ჩემს ხელთაა და არა თქვენს ხელთ, ვირჯ, თუმცა თქვენ ხართ მისი ნათესავი. გამიგეთ?

– გაგიგეთ, – თქვა ვირჯინიუსმა. – მე ხომ სულერთია მას არ... – უცებ ჯიქურ შეხედა სტივენსს. – მომისმინეთ, გევინ, – დაიწყო მან.

– რაო, რა გნებავთ? – ჰკითხა სტივენსმა.

ვირჯინიუსი თვალჩაციებით მიაჩერდა.

– ამ კვამლთან დაკავშირებით თქვენ ძალზე ჭკვიანურად მსჯელობდით შესახებ ქიმიისა და ასე შემდეგ. დიახაც ზოგი რამ დავიჯერე, ზოგი რამ კი არა მჯერა. და, მგონი, რომ გითხრათ, რა დავიჯერე და რა არა, დამცინებთ. – სავსებით სერიოზული გამომეტყველება ეწერა სახეზე, ისევე როგორც სტივენსს. და მაინც სტივენსის გამოხედვაში რაღაცამ გაიელვა, მწვავემ, ყურადღებიანმა, ოღონდ ყოველგვარი დაცინვის გარეშე. – ეს ერთი კვირის წინათ მოხდა, – განაგრძობდა ვირჯინიუსი. – თუკი თქვენ მაშინ გახსენით ზარდახშა, შეხედეთ, კვამლი იყო თუ არა შიგნით, უსათუოდ აქროლდებოდა, და თუკი ზარდახშაში კვამლი არ აღმოჩნდებოდა, გრენბი თავს არ გასცემდა. და ყველაფერი ეს მოხდა ერთი კვირის წინათ. მაშ საიდან იცოდით, რომ ზარდახშაში კიდევ დარჩებოდა კვამლი?

– და არცა მცოდნია, – თქვა სტივენსმა. პასუხი გასცა სწრაფად, მხიარულად, სიხარულითაც კი, ლამის ღიმილით. – არაფერიც არ ვიცოდი. კვამლი ზარდახშაში ჩავუშვი სწორედ სხდომის დაწყებამდე. სწორედ მანამდე, სანამ თქვენ ყველანი შემოხვიდოდით ოთახში, ჩიბუხიდან ჩაშვებული კვამლით გავავსე ზარდახშა და სახურავი დავხურე. მაგრამ არაფერი არ ვიცოდი. და ვშიშობდი, ალბათ, გრენბი დოჯზე უფრო მეტადაც. მაგრამ ყველაფერი მოგვარდა. კვამლმა ზარდახშაში ლამის ერთი საათი გასძლო.

თარგმნა
**ლაშა გიორგაძემ**

## ლიტერატურული ცხოვრება

### პოეზიის ზეიმი ზემო აჭარაში

გეგელიძეები. ზემო აჭარის მშვენება. ზღვის დონიდან 650 მეტრზე მდებარე ამ სოფლის სახელი კარგად იციან ლიტერატურის მოყვარულებმა. ეს არის პოეტ ფრიდონ ხალვაშის სამშობლო, ანუ, როგორც იტყვიან, პარნასი, საიდანაც იწყება მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია.



ფრიდონ ხალვაში

2008 წლის 17 მაისს გეგელიძეებში ჩატარდა პოეზიის დღესასწაული – ფრიდონობა, რომელიც სოფლის მოსახლეობის ინიციატივით დაარსდა და ამიერიდან ყოველ წელს გაიმართება.

ზეიმზე შეიკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოება.

„ჩვენ ახლა ვიმყოფებით იმ ადგილას, სადაც ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა ქრისტეს სჯული...

აქ, ამ ძველებურ ფაცხაში დავიბადე 83 წლის წინათ, ბევრი ვიარე, ბევრი რამ გადამხდა და ისევ აქ დავბრუნდი, რათა დავრჩე სამუდამოდ, სამარადისოდ, – ბრძანა ფრიდონ ხალვაშმა და დასძინა, – გუშინ წვიმდა და ღმერთს ვთხოვდი გამოედარებინა. დღეს არის ისეთი ამინდი, როგორზეც ვოცნებობდი, და ვხედავ ისეთ ადამიანებს, როგორებსაც ვნატრობდი“.

მაისის თბილმა მზემ კიდევ უფრო დაამშვენა ზეიმი, რომელსაც უძღვებოდა აჭარის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი დავით თედორაძე.

პოეტს დაბადების დღე მიულოცეს და მის შემოქმედებაზე ისაუბრეს მწერლებმა: თამაზ ჩხენკელმა, რეზო ჭეიშვილმა, ვაჟა ოთარაშვილმა, გენო კალანდიამ, ჯანო ჯანელიძემ, გურამ გოგიაშვილმა, ვახტანგ ღლონტმა, ტარიელ ხარხელაურმა, მსახიობებმა: ზურაბ ქაფიანიძემ და იური ცანავამ, მეცნიერებმა: რამაზ სურმანიძემ და იური ბიბილეიშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ.

დღესასწაულში მონაწილეობდნენ ზემო აჭარის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონი და სხალთის ეკლესიის მღვდელი, მამა ზურაბი, აჭარის განათლების, ტურიზმისა და სპორტის მინისტრი მათე ტაკიძე, მწერლები: ირაკლი სამსონაძე, ზაზა ქინქლაძე, თეიმურაზ კომახიძე, ზაალ ბოტკოველი, ივანე ამირხანაშვილი, ჟურნალისტები: ოთარ ხუციშვილი, სპარტაკ ქობულია, ჯუმბერ მაღლაფერიძე, ნუგზარ ჯაფარიძე და სხვები.

## სამოთხე და მისი მკვიდრნი

უცხოელი სტუმრები ჩვენს სამშობლოს ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე „მზიური საქართველოს" სახელით. ინგლისელი მხატვარი რობერტ კერ პორტერი (1775-1842), სამწუხაროდ, ვერ ირწმუნებდა ამ ეპითეტის სამართლიანობას. იგი თბილისში იმყოფებოდა 1817 წლის 12 ოქტომბრიდან ნოემბრის დამდეგამდე, როდესაც თბილისში, უმეტესწილად, საუცხოო ამინდი დგას ხოლმე, „ოქროს შემოდგომა" რომ ჰქვია, მაგრამ მაინცდამაინც იმ წელს ყოფილა გამონაკლისი და ინგლისელ მხატვარს ბედმა არ გაუღიმა. თბილისში გადაუღებლად წვიმდა და თავი ლონდონში მეგონაო. ერთხელაც გამოიდარა, სტუმარს მოუხერხებია მოენახულებინა „მშვენიერი კახეთის პროვინცია" და თავის წიგნში „მოგზაურობა საქართველოში, სპარსეთში, სომხეთსა და ძველ ბაბილონში" (ლონდონი, 1822) ასე აღწერს იქაურობას:

„ველ-მინდვრების ბარაქიანი სილამაზე, გორაკები და მთები, შემოსილი უმშვენიერესი ტყეებით (მუხა, წიფელი, თელა, ნაბლი, იფანი); რჩეული ხილი და გემრიელი ყურძენი ბაღ-ვენახებში; ღვინო, თეთრი და წითელი, ყოველთვის მაღალ შეფასებას რომ იმსახურებს თავისი სილბოთი, სიმსუბუქითა და დახვეწილი გემოთი – ყველაზე მეტად საქართველოს სხვა მხარეთა ღვინოსთან შედარებით. კახეთში უხვად მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ფეტვი, ბრინჯი, სელი, კანაფი..."

პორტერის მტკიცებით, იმდენად მცირე გარჯა სჭირდება მიწათმოქმედს, ლამის გეგონება – მოსავალი თავისით მოდისო!

ინგლისელი მხატვარი გადმოგვცემს კახეთის ფაუნის მრავალფეროვნებასაც: ხოხობი და სხვა ყოველგვარი გარეული ფრინველი, ჯეირნები და ირმები; ცხვარი და ყველა ჯიში მსხვილფეხა შინაური საქონლისა ამშვენებს საძოვრებით მდიდარ ველებს; წყალუხვი მდინარეები უშურველად იხდიან ბუნების ხარკს; მინერალური სამყაროს ნებისმიერი განძი შეიძლება აღმოაჩინოთ მთების წიაღში და, ყველა სიკეთესთან ერთად, ჰავაც მომხიბლავია.

პორტერი დაასკვნის, რომ ამ „ბედნიერი კუთხისათვის" ზეცას თითქოს გამოუწურავს ესენცია ყველაფრისა, რაც კი აუცილებელია ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

და უეცრად, პორტერის აღტაცებულ თხრობას საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამო, განგებამ რომ უწყალობა ქართველ ხალხს, ნაღვლიანი შენიშვნა ერთვის: „მაგრამ, ვაგლახ, ადამიანს, რომელიც დამკვიდრებულა ამქვეყნიურ სამოთხეში, რათა შეინახოს იგი, მოუაროს და ისარგებლოს მისი სიუხვით, სურვილი არ გააჩნია – სარეველა გამოარჩიოს ბალახისაგან".

ინგლისელი მხატვრის სიტყვით, „ამქვეყნიური სამოთხის" მკვიდრი ჩაძირულა აპათიაში და მისთვის სულერთია, წვიმა ასველებს თუ მზის სხივი ათბობს, მაყვალს შეექცევა თუ ყურძენს, და ძილი სოროში ისევე კომფორტული ეჩვენება, როგორც ყვავილნარში. მაგრამ ესოდენ უცნაური კონტრასტი ადამიანის მცონარობასა და მისი მარჩენალი მიწის ბარაქას შორის რაიმე თანდაყოლილი მიზეზებით როდია განპირობებულიო.

პორტერი იმოწმებს იმ კაცის ნაწერს, რომელიც გაცილებით დიდხანს იმყოფებოდა საქართველოში და, რასაკვირველია, უფრო ღრმა და საფუძვლიანი დაკვირვებანი ექნებოდა იმ პრობლემის თაობაზე, რამაც ჩააფიქრა ინგლისელი სტუმარი.

ეს გახლავთ გერმანელი ექიმი იაკობ რაინეგსი (1744-1793), რამდენიმე წლის მანძილზე ერეკლე II-ის სამსახურში რომ იდგა. იგი აღნიშნავს, რომ თავად-აზნაურობაც და გლეხობაც, შეპყრობილი მცონარობის სენით, ზიზღს ამჟღავნებდა ყოველგვარი საქმიანობის მიმართ. „მაგრამ ეს ჯიუტი მცონარობა არ არის ქართველი კაცის ბუნებრივი მიდრეკილება", – წერს გერმანელი ექიმი.

რაინეგსის აზრით, ისინი მშვენივრად გრძნობენ თავიანთ შემზარავ სილატაკეს, კარგად მოეხსენებათ თავიანთი საჭიროებანიც და ისიც იციან, მდგომარეობის გამოსაკეთებლად როგორ მოიქცნენო, მაგრამ სოციალური უთანასწორობა ამუხრუჭებს ადამიანის ძალისხმევას, უკარგავს იმედს, რომ თავისი შრომის ნაყოფიდან მცირე წილი მაინც ერგება, აუტანელ ჩაგვრას განიცდის და სულს ღაფავს ჯერ საკუთარი ბატონისა და მერე ზემდგომ ხელისუფალთა უღელქვეშ. ასეთ ვითარებაში ადამიანს აღარ გააჩნია არავითარი სტიმული, რომ პატიოსანი შრომითა და გარჯით გამოიჩინოს თავიო.

პორტერი, თავის მხრივ, დასძენს, რომ მუდმივი შუღლი ფეოდალებს შორის, სასოწარკვეთის გამომწვევი ტოტალური უკანონობა-უსამართლობა და, რაც მთავარია, ლეკთა განუწყვეტელი თავდასხმები და სისხლისმღვრელი ომები თურქებთან თუ სპარსელებთან მოსახლეობის დიდ ნაწილს უსაზღვრო უიმედობაში აგდებდაო.

ინგლისელი მხატვრის აზრით, ამგვარი ვითარება შეიძლება შეგვხვდეს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც გარკვეული ხნით დაპყრობილი ყოფილა და რომელსაც უხეიროდ განაგებდნენ.

## დაგვიანებული შეხვედრა

1963 წლის აპრილში აშშ კონგრესმა მიიღო საგანგებო დადგენილება, რომელიც შერაცხავდა უინსტონ ჩერჩილს (1874-1965) ამერიკის შეერთებული შტატების საპატიო მოქალაქედ. ამ უპრეცედენტო აქტს საფუძვლად ედო ამერიკის მმართველი წრეების ნადილი – აღენიშნათ დამსახურებანი იმ კაცისა, ვინც დაუღალავად მიისწრაფოდა რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობათა დასამყარებლად დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, აგრეთვე მისი თვალსაჩინო წვლილი კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კონგრესის დადგენილებას ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ (1917-1963). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ღონისძიების ინიციატორიც სწორედ ის იქნებოდა.

ჩერჩილი თურმე მისი კერპი ყოფილა. დიახ, მომავალი პრეზიდენტი მისაბაძ ფიგურას სახელოვან ამერიკელ პრეზიდენტთა შორის როდი ეძებდა, ვაშინგტონი იქნებოდა თუ ჯეფერსონი, ლინკოლნი თუ რუზველტი, არამედ ერთხელ და სამუდამოდ აერჩია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, მეორე მსოფლიო ომის წლებში რომ უძღვებოდა მსოფლიო იმპერიას.

კენედის თვალში ჩერჩილი იყო გოლიათი, რაინდი უშიშარი და უმწიკვლო. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში გატაცებით კითხულობდა ჩერჩილის წიგნებს. მიაჩნდა, რომ პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოზაიკა

კურ სიუჟეტზე ვერავინ წერდა ესოდენ კარგად, როგორც მისი კერპი – ავტორი, თავად რომ იყო პოლიტიკოსი. კენედის უბის წიგნაკები აჭრელებული ყოფილა ამონაწერებით ჩერჩილის ნაშრომებიდან. თავის ლიტერატურულ სტილზე მუშაობისას კენედი ცდილობდა მიებაძა ჩერჩილის ამაღლებული რიტორიკისათვის.

ეს როგორ არ მოხიბლავდა ჯონ კენედის, რომელიც კარიბის კრიზისის დროს (1962 წ.) არ შეუდრკა მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს, ვინაიდან სწამდა, რომ ამქვეყნად არსებობს მშვიდობაზე უფრო მნიშვნელოვანი რამ და არსებობს ატომურ ომზე საზარელი რამ; დიახაც მოხიბლავდა უინსტონ ჩერჩილის სიტყვები, წარმოთქმული დიდი ბრიტანეთის პარლამენტში 1940 წლის 4 ივნისს, როდესაც მთავრდებოდა ბრძოლა საფრანგეთისათვის (მარცხით!) და იწყებოდა ბრძოლა ინგლისისათვის: „მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სივრცეები და არაერთი დიდებული სახელმწიფო მოხვდა ანდა შეიძლება მოხვდეს გესტაპოსა და ნაცისტთა ბატონობის მთელი უსაზიზღრესი აპარატის ძალაუფლების ქვეშ, ჩვენ არ დავნებდებით და არ დავემორჩილებით. ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე, ვიბრძოლებთ საფრანგეთში, ვიბრძოლებთ ზღვებსა და ოკეანეებზე, ვიბრძოლებთ ჰაერში, ვიბრძოლებთ სანაპიროზე, ვიბრძოლებთ სოფლად და ქალაქად, მინდვრებსა და ქუჩებში... ჩვენ არასოდეს დავნებდებით".


უინსტონ ჩერჩილი


ჯონ კენედი

სამაგალითო და შესაშური სიმტკიცე სულისა! კიდევ ერთხელ გაიაზრებ მწარე სინამდვილეს და ლამის რასიზმის სენი შეგეყაროს...

ამერიკელი ჟურნალისტი ჰიუ საიდი, „მემატიანე" პრეზიდენტისა, წერდა, რომ კენედის აზრით, ჩერჩილის პოლიტიკურ აღზევებას მისმა ლიტერატურულმა ოსტატობამაც შეუწყო ხელი.

მრავალი წლის მანძილზე ოცნებობდა, პირადად გაეცნო თავისი კერპი და აი, გასული საუკუნის 50-იანი წლების დამლევს მიეცა ხელსაყრელი შემთხვევა. სენატორი კენედი მეუღლესთან ერთად ისვენებდა კანში, სადაც იმყოფებოდა ჩერჩილიც.

ისინი შეხვდნენ ერთმანეთს საერთო ნაცნობის იახტაზე. კენედიმ მოწიწებით ჩამოართვა ხელი ხანდაზმულ ჩერჩილს, მას კი ვილაცაში აერია ახალგაზრდა კაცი. მართალია, ბოლოს გაირკვა, თუ ვინ იყო ვინ, მაგრამ საუბარი მაინც ვერ აეწყო.

სხვათა შორის, კენედიმ გადაიღო და შეითვისა ჩერჩილის ჩვევა – ერთსაათიანი ძილი შუადღისას, რაც ზრდიდა შრომისუნარიანობას.

როგორც მოგეხსენებათ, სიკვდილს თავისი წესები აქვს: წაიყვანა 46 წლის კენედი და დატოვა 89 წლის ჩერჩილი.

## ქრონიკა

13 მაისს გალერეა „უნივერსში" გაიმართა გამოფენა „არქიტექტურის პოეტიკა 20". მისი ავტორი იყო არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი. არქიტექტურის პოეტიკა დაიბადა წყალზე – ხმელთაშუა ზღვაში 1988 წლის ივნისში, იუნესკოს და არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ეგიდით, გემზე „ლევ ტოლსტოი" – ჩატარდა კონცეპტუალური არქიტექტურის საერთაშორისო კონკურსი – კრუიზი თემაზე „XXI საუკუნის ცივილიზაციის სივრცე". იქ მონაწილე 400 არქიტექტორიდან შერჩეული ხუთი ავტორიდან ნომინაციაში „არქიტექტურა – კულტურა" პირველი პრემია მიენიჭა შოთა ბოსტანაშვილის პროექტს „პილიგრიმები".

საღამოს უძღვებოდა არქიტექტურის კათედრის დეკანი გოჩა მიქიაშვილი.

„ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანია ის თარიღიც, როდესაც დაიბადა „არქიტექტურის პოეტიკა", არქიტექტურის პოეტიკის საგანი საინტერესო გახდა აგრეთვე სტუდენტებისთვის, ამიტომ რასაც ბატონმა შოთამ 20 წლის წინ ჩაუყარა საფუძველი დასაფასებელია", – თქვა მან.

„დღევანდელ საღამოზე მოწვეულ სტუმრებს შორის არიან არქიტექტორები, აგრეთვე ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლები", – აღნიშნა არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ, – „ორივე სფეროში ბატონმა შოთამ დიდ წარმატებებს მიაღწია, საინტერესოა, საბოლოოდ საით გადაიხრება, მაგრამ ვიტყოდი, რომ იგი დიდი შენაძენია ორივე სფეროსთვის, ის განსაკუთრებულია როგორც პედაგოგი და როგორც კაცი, ამიტომ მინდა მას დიდი წარმატებები ვუსურვო".

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ არჩილ ფრანგიშვილმა ბატონ შოთას მიულოცა დაბადების დღე, რომელიც სიმბოლურად გამოფენას დაემთხვა და ისაუბრა იმ მნიშვნელოვან ღვაწლზე, რომელიც მას მიუძღვის პროფესიულ საქმეში.

არქიტექტორის წარმატებაზე ისაუბრა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ: „იგი არის არა მარტო პოეტი არქიტექტურაში, არამედ არქიტექტორი პოეზიაშიც. იგი ისე აგებს სტრიქონს, რომ მთელი სიღრმით გაგრძნობინოს ლექსი, ის არის სულით და გულით მონაწილე ქართული კულტურული ცხოვრების და ლიტერატურული თავყრილობების. საგნის განცდა, სიტყვის განცდა, აი, ის, რაც შეიძლება ისწავლო მისგან".

შოთა ბოსტანაშვილის სტუდენტობის წლები გაიხსენა მისმა ლექტორმა, არქიტექტორმა თინათინ ჩიჩუამ, ემზარ კვიტაიშვილმა კი აღნიშნა: შოთას დიდი ღვაწლი მიუძღვის არამარტო არქიტექტურაში, არამედ პოეზიაშიცო.

გამოფენამ დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც გარეგნულად, ისე კონცეფტუალური თვალსაზრისით.

# იის სურნელით, იის საიდუმლოთი

დღეს სასულიერო გიმნაზიის კედლებში მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. დიდი ქართველი მამულიშვილის, პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის იუბილე, მისი ცხოვრების აღმწერის — თანამედროვე ქართველი მწერლისა და მოღვაწის როსტომ ჩხეიძის მონაწილეობით წარიმართება.
დიდი ბედნიერებაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც, როდესაც გიწევს ისეთი პიროვნების გვერდით ყოფნა და საუბარი, როგორიც ბატონი როსტომია. ყოველი შეხვედრა თქვენთან, პირადად ჩემთვის, არის სიტყვის და გრძნობის დღესასწაული.

ძნელია, იყო ბ-ნი როსტომის მრავალმხრივი მოღვაწეობის შემფასებელი. უკეთესია, თუ ვიქნები დამფასებელი ისეთი პიროვნების ღვაწლისა, რომელიც ქართული ცნობიერების გამოსაფხიზლებლად იღვწის.

ბ-ნი როსტომი საოცარი რუდუნებით აღწერს და ძერწავს ქართველ მამულიშვილთა მოღვაწეობის ეპოქას და მათ პიროვნულ პორტრეტებს. წინაპართა მაგალითით გვიხსნის გამარჯვების სიდიადეს და იმ ტკივილსაც გვაგრძნობინებს „ვაი დედას“ ამოკვნესას რომ ახლავს თან.
ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, პავლე ინგოროყვა, და ამჯერად უკვე იაკობ გოგებაშვილი.




„აი ია“ ყველაფერს იტევსო, არ იკეტებაო, აქედანაც ღიაა და იქიდანაცო, წაღმაც და უკუღმაც ერთნაირად იკითხებაო, გინდა მარცხნიდან ხედავს, გინდა მარჯვნიდან, გინდ ქართველივით, გინდ არაბივითო.

აი ია — ლოცვასავით ვიმეორებთ და გული თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ცდილობს, იმ სიმშვენიერესთან, სინატიფესთან, სიბრძნესთან მიახლოებისას, რაც მადლიანი დედაენის წიაღში ძევს. დიდ მოძღვარს ღრმად სწამდა, რომ კარგად დაწერილი საბავშვო ნაწარმოებები ბევრ კეთილ აზრს ჩანერგავდა ყმაწვილის გონებაში და ამით სამშობლოს ბევრ მხნესა და გულწრფელ მამულიშვილს აღუზრდიდა.

ილიას, აკაკის, იაკობის გზის მიმდევარი უფრო მძაფრად გვაგრძნობინებთ იაკობის მადლიანი დედაენის სურნელებას და საიდუმლოს. იის სურნელით და საიდუმლოთია გაჟღენთილი რომანის თითოეული ფრაზა.

იაკობი მისიის შესასრულებად იყო მოვლენილი ამქვეყნად და როსტომ ჩხეიძესაც თავისი მისია აქვს აღსასრულებელი.
ბედნიერი ვარ, რომ ვარ თქვენი თანამედროვე.

ნინო ქოქოშვილი

ხ 40/22



მობანავეები

ალექსანდრე ხუბუა